


დავით შემოქმედელს ესაუბრება
გიორგი გომოლაშვილი



ეპოქა და მწერალი



ეპოქა და მცირალი

მწერალ დავით შემოქმედელს
ესაუბრება

პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი

იდეიტორი აკადემიური



სააკადემიური საუბრები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2023

დავით შემოქმედელი (დავით ჭავიძე) –
მწერალი, ესეისტი, საზოგადო
მოღვაწე. წიგნში ვრცლადაა საუ-
ბარი მისი ცხოვრებისა და შემო-
ქმედების შესახებ.

გიორგი გოგოლაშვილი – პროფესორი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დო-
ქტორი (ცნობები მისი ბიოგრა-
ფიის შესახებ იხ. გვ. 244)

რედაქტორი – ფილილიგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მურმან თავდიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი

© დავით შემოქმედელი

ჭინათქმა

შეგიმჩნევათ ალბათ: ორი ახლობელი რომ შეხვდება ერთმანეთს და დრო აქვთ გრძელი საუბრისა, როგორ იცვლება თემები, როგორ გადადიან თემიდან თემაზე; ეს ხდება თითქმის ბუნებრივად, „ლოგიკურად“ და ამინდზე დაწყებული საუბარი გრძელდება ოჯახის, სამსახურის, პოლიტიკის, ხელოვნებისა თუ სპორტის ამბებით; წინაუკმო მიმოსვლაც ჩვეულებრივია ამ დროს... არადა საუბარი ერთია, არ ფიქრობენ, რომ ნაირგარ ამბებსა პყვებიან... დაშორების შემდეგ იტყვიან ხოლმე: მავნეს შევხვდი და საუბრით გული ვიჯერეო...

ჩვენი „სადღეისო საუბრებიც“ ამგვარ საუბარსა ჰგავს: დავიწყეთ თემით „ენა და მწერალი“ და მერე... შევყევით და შევყევით...

დავით შემოქმედელი რუსთაველის საზოგადოებაში გავიცანი... მან, ამ საზოგადოების პრეზიდენტმა, მიმიწვია სათანამშრომლოდ... მრავალი ღონისძიება გავმართეთ ბოლო ათწლეულში ერთად... და, რაც მთავარია, ჩვენ, ამ საზოგადოების წევრებმა, მერე „ქვეყანა შემოვიარეთ“:

ერთად განვიცადეთ „შემაძრწუნებელი ბედნიერება“ – ვინილეთ ტაო-კლარჯეთი, შავშეთი და ერუშეთი...

მერე კაპადოკიის საოცრებანი...

ყარსი და ანისი...

ჩვენი დარღი და ტკივილი – ლორე-ალავერდის მხარე თუ ჰერეთი...

და ისრაელი: ლუდში წმ. გორგის საფლავს ვემთხვიეთ... იერუსალიმში გეთსიმანის ბაღით გავოცდით და გოდების კედლით მოგიხიბლეთ; ერთად ავიარეთ გოლგოთის აღმართი და ავედით გოლგოთაზე (პირდაპირი გაგებით); ერთად მოვიყარეთ მუხლი მაცხოვრის საფლავთან, მოვილოცეთ ჯვრის მონასტერი და რუსთაველის ფრესკას ვემთხვიეთ... ერთად მოვიხიბლეთ მდინარე იორდანეს სანახებითა თუ ნაზარეთით... თელ-ავივითა თუ ხაიფათით...

ათცამეტ ასურელ მამათა ნაკვალევზეც ერთად ვიარეთ...

და, როცა გამიჩნდა იდეა – თემაზე „ენა და მწერალი“ დიალოგების გამართვისა, – სხვებთან ერთად დავით შემოქმედელსაც ვთხოვე გვესაუბრა (პასუხი გაეცა ჩემს შეკითხვებზე)...

ვიტყვი ორიოდე სიტყვას იმის თაობაზეც, რამ მიმიყვანა ამ დიალოგებამდე:

ქართველ მწერალთა ჯადოსნურ ენობრივ სივრცეში მუდმივმა ხეტიალმა შემაქმნევინა წიგნების სერია „ენა და მწერალი“. ორი მთავარი კითხვა იდგა ჩემ წინაშე:

- რა არის ენა მწერლისთვის და მწერალი – ენისათვის?
- რას აძლევს ენა მწერალს და მწერალი – ენას?

2022 წელს გამოვიდა მე-8 წიგნი ამ სერიისა („რა ფერისაა სიტყვა?“).

„ენა და მწერალი“ – ეს სამყარო ამოუწურავია... თემას თემა მოჰყვა, კითხვას – კითხვა, აზრს – აზრი და თავი იჩინა ისევ ათასგვარმა ინტერესმა... და გაჩნდა იდეა „დიალოგებისა“... თანამედროვე მწერალთაგან ოთხ გამორჩეულ წარმომადგენელს ვთხოვე, თანადგომა-დახმარება გაეწიათ ჩემთვის, გავრკვეულიყავი წინა წიგნებზე მუშაობისას თავჩენილ საკითხებში; ერთად გვემსჯელა ამ პრობლემებზე. მთარგმნელი პაატა ჩეიძე, პროზაიკოსი თამაზ ხმალაძე, კრიტიკოსი ლევან

ბრეგაძე და პოეტი დავით შემოქმედელი დამიდგნენ გვერდით... და 2022 წელს გამოვიდა მე-9 წიგნი სერიისა „ენა და მწერალი“ – „ენა – ულმობელი მსაჯული“...

ასე დავიწყეთ... დავით შემოქმედელთან გამართული დიალოგის („ენა ერის სულის სარკეა“) საგაზეთო ვარიანტი გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 6, 7; 8, 15, აპრილი, 2022 წ.); სრულად – წიგნში შევიდა. დღევანდელ საუბრებსაც ამ დიალოგით დავიწყებთ... დანარჩენი სწორედ ამ დიალოგის გაგრძელებაა, იმავე სულისკვეთებით შთაგონებული... ფაქტია: „ეპოქა და მწერალი (სადღეისო საუბრები)“ ამ „დიალოგმა“ მოითხოვა:

,ენა და მწერლის“ თემაზე მუშაობის პერიოდში სხვა არაურთ საინტერესო საკითხზეც გვქონდა საუბარი; მაგრამ, რამდენადაც „ის დიალოგი“ თემატური იყო, ბევრი რამ გვერდზე გადავდეთ... არადა დაგვენანა...

და მერე გადავწყვიტეთ, გვერდზე გადადებული მასალა შეგვეკრიბა, დაგველაგებინა, გადაგვემუშავებინა, შეგვევსო... ასე გაგრძელდა ჩვენი საუბრები და გაჩნდა ეს წიგნი – ორი ქართველი კაცის საუბარი ქართულ ენასა და ლიტერატურაზე, ბავშვობის შთაბეჭდილებებსა და ეროვნულ ხასიათზე, ქართულ კულტურასა და ხელოვნებაზე, თეატრსა და სპორტზე, ნაწილობრივ პოლიტიკაზეც... თითქმის ყველაფერზე, რაც „სიტყვაშ მოიტანა“... და ვიფიქრეთ, იქნებ სხვათათვისაც საინტერესო გამოდგესო... ყოველ შემთხვევაში გულწრფელად ვახმოვნებთ ჩვენს აზრს...

და, ზემოთ რომ ახლობელთა საუბარი ვახსენეთ, სწორედ ისე აეწყო (ყოველ შემთხვევაში, გვინდოდა იმდაგვარი ხასიათი მიეღო...) და „ვიჯერეთ გული“... ორი ახლობელი ყოველდღე რომ შეხვდეს ერთმანეთს, სასაუბროს რა გამოულევთ!... მგონი, ასე მოგვივიდა ჩვენც... მაგრამ არნოლდ ჩიქო-

ბავას სიბრძნით ვისარგებლეთ: (პერიფრაზს გავაკეთებ) – მე-
გობართა საუბარი „არ მთავრდება, ოღონდ უნდა შევძლოთ
წერტილის დასმაო“... და ჩვენც დაგსვით წერტილი... რამდე-
ნად დროულად და რამდენად სწორად, მკითხველმა განსა-
ჯოს...

ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ „ყველაფერზე“ ვსაუბ-
რობთ; ნურც ის – თემიდან თემაზე რომ გადავხტებით; „წინა-
უგმოც“ რომ მიმოვდივართ; ნურც ის, თემა შეწყვეტილი თუ
მოგეწვენათ – ეს ხომ „საუბრებია“... სათაურიც ამიტომ შე-
ვარჩიეთ ამგვარი – „ეპოქა და მწერალი – სადღეისო საუბრე-
ბი“... დიახ, ესაა ჩვენი სადღეისო საუბრები, ოღონდ სახვა-
ლიო ინტერესებით ნაკარნახევი... რა თქმა უნდა, არც იმას
გაიკვირვებთ, მკითხველო, ჩვენი აზრები თქვენსას თუ არ და-
ემთხვა... ჩვენ ჩვენი ვთქვით...

გიორგი გოვოლაშვილი

გიორგი გოგოლაშვილი – დავით, მოგეხსენებათ, ენა და მწერალი იქნება ჩვენი საუბრის თემა. მოდით, ასე დავიწყოთ:

მიზეილ ჯავახიშვილი წერს: „უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს“... კლასიკოსი აქ ორ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას: „ენის დაწმენდასა“ და „მწერლის როლზე“ ამ საქმეში... რას იტყვით, დღევანდელ ვითარებაზე ამ თვალსაზრისით? უღერს სადღეისოდ ეს მოწოდება?

დავით შემოქმედელი – რადგანაც დიდმა მწერალმა ეს საკითხი ირ ნაწილად გაყო, თანმიმდევრობით, ჯერ თქვენი კითხვის პირველ ნაწილზე შევაჩერებ ყურადღებას; იმ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტის შესახებ, რასაც ქართული „ენის დაწმენდა“ ჰქვია. როგორ გითხრათ, საკმაოდ პესიმისტურად ვუფურებ ამ საკითხს: ვფიქრობ, ქართული ენის სიწმინდის დაცვა უფრო და უფრო გართულდება.

გ. გ. – მოდით, დავაკონკრეტოთ: რა საფრთხეებს ზე-დავთ, რა ქმნის პრობლემებს?

დ. შ. – ჩემს პესიმიზმს მრავალი მიზეზი განაპირობებს: მასშტაბურად თუ შევხედავთ ამ პრობლემას, ერთ-ერთი მიზეზი არის გლობალიზაციის სწრაფი ტექნიკი. საქართველო ყოველმხრივ მზად უნდა შეხვდეს ამ პროცესს. მისგან მხოლოდ კარგი უნდა აიღოს და ცუდი უარყოს. მაგრამ ამ თემაზე საუბარი ჩვენს ფორმატს გასცდება. თვალშისაცემია, საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე, მიგრაციის სიხშირეც... სოციალის-

ტურ სისტემას, მრავალი თანმდევი ჭირის გარდა, დადებითიც ჰქონდა. ჩაკეტილობას (რაც თავისთავად უარყოფითი მოვლენა იყო, რაკიდა იმ დროის მსოფლიო ცივილზაციისა და კულტურის მიღწევებს გვაშორებდა), რაღაც დოზით სიკეთეც ახლდა: ერთგვარ რეზერვაციულ მდგომარეობაში აყენებდა ეროვნულ ტრადიციებს, ქართულ კულტურას. ეს კი სულიერი ფასეულობების შენახვის მყარ გარანტიებს იძლეოდა და ქართული სახელმწიფო ენის დაცვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩენოს, მაშინდელი სახელმწიფო ენის პოლიტიკა გაცილებით უფრო ეროვნული იყო, ვიდრე დღესაა...

გ. გ. – რა დაგიმალოთ და, მეც ასე ვფიქრობ... თუმცა ამის ასე ზმამაღლა გაცხადების გამო შეიძლება „დაგვძრახონ“... მაგრამ სად გავექცევით ფაქტებს?.. მაპატიეთ, შეგაწყვეტინეთ...

დ. შ. – გასაგებია ოქვენი ფიქრი: მართლაც, იმ ჩეკისტურ-ათეისტური პერიოდისადმი ნოსტალგია რომ არ დაგვწამონ, ვიტყვი: სახელმწიფო ენის მიმართ ეს იყო საბჭოთა სისტემის მიერ ერთგვარი კულტურული დათბობის ვორონცოვული პოლიტიკა, რომელიც კარგად გამოვიყენეთ. აქვე დავძენ, რომ თავის დროზე ეშმაკური ვორონცოვული პოლიტიკის მიზანი იყო ქართული კულტურისადმი რბილი პოლიტიკით თავიანთი რუსული იმპერიული დაპყრობითი ხასიათის ზრახვები შეეფუთათ. ამიტომ 1978 წელიც უნდა გაგვახსენდეს, სერიოზული საფრთხე რომ შეექმნა ქართულ სახელმწიფო ენას... თუმცა ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უზარმაზარი იმპერიის პოლიტიკურ ნაწილს წარმოადგენდა, მაშინ ჩვენი საზოგადოებაც უფრო აქტიური იყო, მოძალებულ ბარბარიზმებს, სალიტერატურო ნორმების უხეშ დარღვევებს სა-

ხელმწიფო, ქართველი მწერლები და ენათმეცნიერები ერთიანი ძალით ებრძოდნენ.

გ. გ. – და, ცხადია, შედეგიც უკეთესი იყო... დღეს რა ხდება, დავით, საფრთხეებმა იმატა თუ მზრუნველობა მოაკლდა დედაენას?

დ. შ. – ერთიცა და მეორეც... დიახ, იმატა საფრთხეებმა. სამყარო, რომლის ნაწილი ჩვენცა ვართ, ჩართულია თანამედროვე ტექნიკურ-სამეცნიერო რევოლუციის სწრაფ ტემპში; ეგ ტემპი კიდევ უფრო გაიზრდება. ციფრული ტექნოლოგიების საუკუნეში ვცხოვორობთ. მიხეილ ჯავახიშვილი რომ წერდა, „ენის დაცვის საქმეში გაზეთს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მწერლობასო“, დღეს გაზეთის როლი ამ მხრივ საგრძნობლად შესუსტებულია. ყურადღება სხვა მიმართულებით გადანაწილდა. ორი დინოზავრი – ინტერნეტი და ტელევიზია – უტევს ქართულ სახელმწიფო ენას; ეს არის მთავარი საფრთხე ენის სიწმინდის დაცვის გზაზე...

ტემპი აჩქარებულია – ინტერნეტის საშუალებით ელვის სისტრაფით შემოდის ახალ-ახალი ციფრული ენა, რომელიც თანდათან იფართოებს სეგმენტს ჩვენს სამეტყველო ენაში, მათ შორის ბეჭდურშიც. ენათმეცნიერებს კოლოსალური ძალისხმევა დასჭირდებათ, ჩატარონ სელექციური სამუშაოები და ამ მოძალებული ციფრული ტერმინებიდან დაადგინონ, რა მიიღონ, რას უთხრან უარი, რას მოუძებნონ ქართული შესატყვისი ტერმინი. მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში საჭიროა შეიქმნეს სპეციფიკური, როგორც ბეჭდური, ასევე ონლაინ-ლექსიკონები. მერე კი ამას ყოველივეს პოპულარიზაცია სჭირდება, რათა თითოეულ ქართველამდე მივიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ისე გაითავისებს უცხოურ ტერმინებს, რომ მერე გარედან ქირურგიული ჩარევა შედეგს ვეღარ მოგვიტანს.

გ. გ. – ვერც ვიფიქრებდი, თავისმართლება თუ მოგვიწევდა: ენათმეცნიერებს მომრავლებულ და მოძალებულ პრობლემებთან შემცირებული და შესუსტებული ძალებით უჭირთ გამკლავება; გართულდა კოორდინაციაც... ვეღარ ვეწევით დროს... რაც მთავარია, ვინც უნდა გვედგეს გვერდით დედაენის მოვლა-პატრონობაში, ვისაც ევალება ეს იურიდიულად თუ მორალურად, იმან დაკარგა ინტერესი (მეტიც, ზოგჯერ სწორედ მისგან გვიწევს დედაენის დაცვა!)... ნურც ამას დავმალავთ: მეცნიერების იგნორირება ხდება საერთოდ... თუმცა ისევ „პირველსავე სიტყვასა აღვიდეთ“...

დ. შ. – ვისაც ევალებაო, ამბობთ... ავიღოთ თუნდაც ელექტრონული მედია – ტელევიზია. ნაცვლად იმისა, რომ იზრუნოს სახელმწიფო ენის სიწმინდეზე, პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, დიდი მონდომებით ყოველდღიურად ანაგვიანებს მას. მაგალითები უამრავია; ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

გ. გ. – გეთანხმებით, დედაენის წინაშე ყველა ვტყუით... ვერ გავითავისუთ, ვერ ვირწმუნეთ ბრძენკაცის შეგონება – „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“...

დ. შ. – ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ხარისხს სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს. თითქოსდა წინ მივდივართ. **უკვე** გვაქვს სახელმწიფო ენის კანონი (2015 წ.) და სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (2017 წლიდან), მაინც ასეა: საქართველოში სახელმწიფო ენის უფლებები ყოველ ნაბიჯზე იღლახება. ამგვარად გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია. ამით ქართული ენის მომავალს კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნება. ეს პრობლემა საგანგებო ყურადღებას მოითხოვს ხელისუფლებისაგან...

გ. გ. – განვაგრძოთ ჩვენი დიალოგი. ალბათ გახსოვთ მუხრან მაჭავარიანის ამაყი შეძახილი: „არა, სხვისი მისაბაძი

რა მჭირს, თვარა კი...“ დავით, თქვენ, „ქართული ენის პატ-რონს“, უცხოეთში ყოფნისას რა შეგშურებიათ სხვისი?

დ. შ. — უცხოეთში, საღაც კი ვყოფილვარ, ქუჩებში გამოკრული ბანერებით, რეკლამებითა და აბრებით უმაღლ იგრძნობა, რომელ ქვეყნაში ხარ; იგრძნობა იმ ქვეყნის სული, გარემო. ყველგან დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ წარწერები მათ მმობლიურ ენაზე იყოს, უცხოურზე კი — იშვიათად, ისიც მომცრო შრიფტით. ჩვენთან კი — პირიქითაა... ამისი ჩარჩოში მოქცევა სახელმწიფოს პრეროგატივაა და, ფაქტობრივად, სახელმწიფო ენის სწორი პოლიტიკის უქონლობის გამო ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული...

გ. გ. — გეთანხმებით. ჩვენ ერთად გვივლია თელ-ავივისა თუ იერუსალიმის ქუჩებში; თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებში... და, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში „მისაბაძად“ ყველა გამოდგება...

ახლა კი, დავით, თავში დასმულ შეკითხვას რომ დავუბრუნდეთ, ენის სიწმინდის დაცვაში „მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვესო“... ვთქვათ ორიოდე სიტყვა ამაზეც... განსოვთ, ამას წინათ მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით შეკრება რომ ჩავატარეთ, იქაც დავიჩივლე და მერე წერილიც დავბეჭდე — „სად არიან მწერლები, მწერლები სად არიან?“... მაშინ სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის ზემომოყვანილ მოწოდებას ვგულისხმობდი...

დ. შ. — თქვენი წერილი ძალზე დროული იყო. ვფიქრობ, ამ საკითხზე საუბრები კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ეს თემა ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, მეტად მგრძნობიარეა. ენა ერის სულის სარკეა; მწერალი ენაში სახლობს; ენა მწერლის სამოსახლოა! რატომ მოხდა, რომ ქართული სახელმწიფო ენის დაცვის მნიშვნელოვან საკითხს ქართველმა მწე-

რალმა გვერდი აუარა და დუშს? – ვფიქრობ, ამას განაპირობებს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები.

დავიწყოთ პირველით. პრობლემა რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, ცოტა შორიდან უნდა წამოვიდეთ: როგორი იყო მწერლის როლი ადრე და როგორი არის დღეს? მაშინ შემოქმედს უპირველესად „ერის წყლული აჩნდა თავის წყლულად“ (ილია ჭავჭავაძე), ანუ მუზის მსახურებასთან ერთად საზოგადო მოღვაწეც უნდა ყოფილიყო... დრო შეიცვალა. გლობალიზაციისა და მასკულტურის შემოტევასთან ერთად საზოგადო მოღვაწის ცნება, ხატი, ადგილი გაქრა... არადა არასდროს ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც დღეს... ერისკაცთა ადგილი სამოქალაქო სექტორმა, ე. წ. „ენჯერშინებმა“, დაუღვინებელმა, ცხოვრებაგამოუცდელმა გოგო-ბიჭებმა დაიკავეს (ოღონდ შეცვლილი ამოცანებით – მათთვის მთავარია ეროვნულის, ტრადიციულის ნაცვლად ფსევდოლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება!). დაუღვინებელმა გოგო-ბიჭებმაო, ვამბობთ, მაგრამ საპირწონედ ძნელია ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების მქონე მოღვაწეთა ძალის შექმნა (ვინც ენობრივ პოლიტიკას პრიორიტეტად მიიჩნევს), რადგან პოლიტიკაურებულ ახალგაზრდა აქტივისტთა მომბლავრებას, რიგ შემთხვევებში, ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის გავლენიანი და ფინანსური მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციები, არ არის გამორიცხული უცხოური სპეცსამსახურები, ქართული ოპოზიციური და სახელისუფლებო სპექტრი. ორ ათეულ წელზე მეტია ისინი პოლიტიკოსებთან ერთად ქვეყნაში საკუთარი აზრის დიქტატურას ამკვიდრებენ. სწორედ მათი ძალისხმევით, ტელე და ბეჭდური მედიის მათ გვერდით დგომით მეცნიერი და მწერალი დამცრობილი და გაყვანილი იქნა სააზროვნო სივრციდან, რათა მისი ხმა ფართო აუდიტორიასთან, ასი ათასებთან არ მისულიყო. ვფიქრობ, ესაა

ობიექტური მიზეზი იმისა, რომ მწერალი მოეშვა, ხელი ჩაიქნა და ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, როგორიც ქართული ენის სიწმინდის დაცვაა, სახელმწიფოსა და ენათმეცნიერებს შეატოვა ხელში...

გ. გ. — დავით, ჩაგეკითხებით: არასამთავრობოები, ეწ. „ენეჯეობი“, ახსენეთ, როგორც ჩანს მათ მიმართ თქვენი დამოკიდებულება უარყოფითია. სწორად გაგიგეთ?

დ. შ. — არა, ბატონო გიორგი; მიუხედავად იმისა, რაც ვთქვი, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა. ახალგაზრდობა მუდამ პროგრესთან და წინსკლასთან ასოცირდება, ასე რომ არ იყოს, სამყარო არსებობას შეწყვეტდა. ცნობილი გამოთქმა რომ გავიხსენოთ, მამულს, რა თქმა უნდა, ყოველთვის ურჩევნია, რომ შვილი მამას სჯობდეს. თუმცა ისტორიამ იცის გამონაკლისები, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ბრძოლა „მამების“ წინააღმდეგ და საუკუნის ბოლოს, ასე ვთქვათ, „შვილების“ (ახალი თაობის) დაპირისპირება ილიასთან... ილია ორივესთან მართალი იყო. საქართველოში არასამთავრობოებს სამი ძირითადი ამოცანა აქვთ: 1. რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკასა და მის გამტარებლებთან ბრძოლა. 2. ევროპული, დასავლური ლირებულებების დამკვიდრება. 3. ადამიანის უფლებების დაცვისათვის აქტიური საქმიანობა..

გ. გ. — დავით, აქ ვერ შევწყვეტთ საუბარს; იქნებ უფრო ვრცლად ისაუბროთ თითოეულ მათგანზე.

დ. შ. — მეც იმავე თანმიმდევრობით ვუპასუხებ. 1. ის, რომ ძველი თაობის რეტროგრადულ ნაწილში დარჩენილია რუსეთის იმპერიისადმი (ძირითადად საბჭოთა კავშირისადმი) ნოსტალგია, ეს ფაქტია, რამაც შეიძლება ახალგაზრდობის რაღაც ნაწილში პპოვოს გაგრძელება და სიმპათია დაბადოს. არასამთავროებს ამ ცნობიერების წინააღმდეგ აქტიურ ქმედებებში სრულ თანადგომას ვუცხადებ. ეს აუცილებელი ნაბიჯებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისაკენ გადადგმუ-

ლი. რადგან რუსი დამპყრობლის მიმართ ლოიალობა ჯერ საკუთარ თავში უნდა დაამარცხო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს ბრძოლა არ უნდა გავრცელდეს რუსული კულტურის წინააღმდეგ, რადგან კულტურა ისეთი რამ არის, მასთან დაპირისპირებაში ყოველთვის დამარცხდები. 2. ჩვენ კუნძულზე არ ვცხოვრობთ, აუცილებელია მსოფლიოს სხვა კულტურებთან, რელიგიებთან თანაცხოვრება, ჭეშმარიტი ევროპული და არა ქუჩური ღირებულებების მიმღებლობა, გაზიარება. ამასთან არ უნდა მოხდეს ევროპის გაფეტიშება, რასაც ავტომატურად მოსდევს საკუთარი კულტურისადმი ირონიული დამოკიდებულება, ნიპილიზმი. ეროვნული ეთნოგსიქოლოგია ისეთი ფაქიზი რამ არის, რომ მასში უხეში ქირურგიული ჩარევა მკვეთრ უკურეაქციას, აგრესიულ ნაციონალიზმს წარმოშობს. 3. სამყაროს მთავარი ღირებულება ადამიანია. ამიტომ ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა ბუნებრივია ჰუმანური აქტია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც უკიდურესობაში არ უნდა ჩავვარდეთ. არსებობს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, სადაც არაფერია ნათქვამი მოვალეობაზე, არადა ადამიანს მოვალებისაგან ვერ გავათვისუფლებთ. მოვალეობა, სამშობლის, მშობლების, წინაპრების ეროვნული ინტერესების წინაშე.

ჩემი დამოკიდებულება ე.წ. ენჯეოშნიკების, სამოქალაქო აქტივისტების მიმართ ამბივალენტური, არაერთმნიშვნელოვანია, არის თემები, სადაც სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ, არის რიგი საკითხებისა, რაც ჩემთვის პრინციპულად მოუღებელია.

გ. გ. – დავუბრუნდეთ ისევ ზემოშეწყვეტილ საუბარს. შეიძლება მთლად ვერ დაგეთანხმოთ, დავით; ამბობთ: „მაშინ შემოქმედს უპირველესად ერის წყლული მიაჩნდა თავის წყლულადო“; ვინ განუსაზღვრა მწერალს ეს? ხომ თავად იტვირთა ამგვარი მისია შემოქმედმა?... ან კიდევ, „მწერალი გაყვანილი იქნა სააზროვნო სივრციდან“... თუ მწერალი მოინ-

დომებდა ამ სივრცის ბატონპატრონბას, „ის ძალა“ მის გაყვანას „სააზროვნო სივრციდან?“... ორორ ფიქრობთ, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია დათმობდნენ ამ სივრცეს? მეეჭვება...

დ. შ. – გეთანხმებით, ჩვენი კლასიკოსები განსაკუთრებულად იაქტიურებდნენ, მაგრამ, თუ ტელევიზიები მათ არ გაიკარებდნენ, მათი ხმა ასი ათასებთან ვერ მიაღწევდა, ისინიც ჩაიკარგებოდნენ საერთო ქაოსში. ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორედაც შეძლებდა „ის ძალა“ ამას. თვალშისაცემია, რომ ხელშეწყობის ნაცვლად ქართული ტელევიზიები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ეროვნულად მოაზროვნე თანამედროვე დიდი მწერლის, მეცნიერისა და ხელოვანის ხმა დაუმალონ საქართველოს. გახსოვთ, რამდენი საჭირობოროტო ღონისძიება ჩავატარეთ რუსთაველის საზოგადოებაში ენის, კულტურის, განათლებისა თუ სხვა საკითხებზე, მოვიწვიეთ კულტურის, მეცნიერებისა და მწერლობის გამოჩენილი მოღვაწენი და, მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა, ზედმეტად პოლიტანგაჟირებული ქართული სატელევიზიო სივრცე ვერ გავარღვიეთ. სასურველი შედეგის მიღწევაც, შეიძლება ვთქვათ, ვერ შევძლით. ერთსაც დავამატებ: ცალკე თემაა ქართული მწერლობის ნეოლიბერალური, უფრო სწორად, ფსევდოლიბერალური, ფრთა, რომელსაც, მართალია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მეტად მიუწვდება ხელი, მაგრამ მათ ეროვნულის მიმართ უმთავრესად ნიპილისტური დამოკიდებულება აქვთ და არც ენობრივი სიწმინდის პრობლემებზე ფიქრით დაიღლიან გონებას...

გ. გ. – დავით, სუბიექტურ მიზეზად რას მიიჩნევთ?

დ. შ. – მოგეხსენებათ, განვითარებული სახელმწიფოების შემოქმედნი, მწერლები თავიანთი ქვეყნების მნიშვნელოვან საკითხებს გვერდს უვლიან და მხოლოდ წმინდა შემოქმედებითი

პროცესებით არიან დაკავებული; მათი მიბაძვით ქართული სიტყვის მსახურებმაც ჩათვალეს, რომ თავადაც უცხოელ მწერალთა დარად უნდა მოიქცნენ... ეს აზრი საფუძველშივე მცდარია: თუ დიდი, დალაგებული და გალაღებული ქვეყნის მესიტყვეს აქვს ფუფუნების უფლება, რომ მხოლოდ წმინდა შემოქმედებით ტკბობას მიეცეს, ქართველ მწერალს საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვის მორალური უფლება არ აქვს: მისი ქვეყნის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საფრთხე ყოფნა-არყოფნისა და ხვალ, შესაძლოა, მის სამშობლოში მშობლიურ ენაზე მოლაპარებეც აღარ დარჩეს, რომ მისი წიგნი წაიკითხოს... ესეც ხომ ფაქტია, რომ თანამედროვე ქართველი მწერლის წიგნის ტირაჟი კატასტროფულად მცირეა, 100-დან მაქსიმუმ 300-მდე (თბილისის ერთი საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებთა რაოდენობაზე ნაკლებია)... სიტყვის ოსტატმა, ვფიქრობ, ბეჭდური პუბლიკაციების გარდა, ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს, რომ საზოგადოებას ენობრივ პრობლემებზე ესაუბროს, თუნდაც სოციალური ქსელის საშუალებით დისკუსია გამართოს და სხვა. ქართველი მწერალი მუდმივად მშობლიური ენის სიწმინდის სადარაჯოზე უნდა იდგეს, ენისა, რომელ-საც ერთმა დიდმა წინაპარმა (იაკობ გოგებაშვილი) „ბურჯი ეროვნებისა“, ხოლო მეორემ (კონსტანტინე გამსახურდია) „ერის თავდაცვის იარაღი“ უწოდა.

გ. გ. – თქვენმა ლოგიკაშ მწარედ დამაფიქრა: გამოდის, რომ როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები დედაენის საწინააღმდეგოდ მომართულა... ეს სამწუხარო რეალობაა... და მაინც თქვენი პესიმისტური მოსაზრებების ფონზე როგორ გესახებათ ქართული ენის მომავალი.

დ. შ. – დიდი ომია ჩვენს გარემომცველ ენობრივ სინამდვილეში. ერთმანეთს ებრძვიან ქალაქური მეტყველება, დიალექტები, ბარბარიზმები, უარგონი, ვულგარიზმი, სალიტერა-

ტურო ენა, სამეცნიერო, სპეციფიკური – პროფესიების, უურნალისტური, პოლიტიკოსთა სამეტყველო და ციფრული ენა. ამ დაკა-დაკაში ხან ერთი იმარჯვებს და ხან – მეორე. თანდათან გლობალიზაციის ტემპების არნახული ზრდისა და სამყაროს ვირტუალიზაციისაკენ მიღრეკილებისა გამო, მოსალოდნელია რომ გაბატონდეს ციფრული ენა (დროსთან ხომ ყველა-ფერი უძლურია). ჩემი შვილის მეგობრები მეწვივნენ სტუმრად. გამოგიტყვდებით და ისეთ სპეციფიკურ ელექტრონულ-ვირტუალური სივრცისათვის დამახასიათებელ ციფრულ ენას იყენებდნენ, მათი საუბრის თითქმის მესამედი არ მესმოდა.

გ. გ. ახლა უფრო კონკრეტულ საკითხებზე ვისაუბროთ. მხატვრული ნაწარმოების (ლექსისა თუ მოთხრობის) ენობრივ სახეზე რამდენად ახდენს გავლენას ნაწარმოების თემა; განსაკუთრებით, მოთხრობაში; თუ ყოფილა შემთხვევა, რომ პერსონაჟს „არ დაუჯერებია“ თქვენთვის (რაც უნდოდა, ის თქვა) და თქვენც მის ჭკუაზე წასულხართ?

დ. შ. – რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს. ენა ნაწარმოების სულია. რა ეპოქაზეც წერს, სასურველია იმ ეპოქის ენა გამოიყენოს მწერალმა, რადგან ყველა ეპოქას თავის ლექსიკა აქვს. ისტორიულ მხატვრულ ტექსტზე მუშაობისას მწერლისთვის არქაული ფორმების გამოყენება დასაშვებია. თუ პროზაული ნაწარმოები თანამედროვე თემას ეხება, ამ დროს პერსონაჟთა საუბრისას ზომიერი ქარგონის გამოყენება შესაძლებელია. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს სამეტყველო ენაც განსხვავებული აქვთ. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ქვეყნის გასაჭირზე ექიმი და არქიტექტორი განსხვავებულად იმეტყველებს: ექიმი იტყვის, ქვეყანა რეანიმაციულ მდგომარეობაში არისო. არქიტექტორი კი დასმენს: ქვეყნის ფასადი უშნო და უსახური გახდაო. ასე რომ, ნაწარმოების ენობრივ სახეზე თემა, პერსონაჟები უმეტესწილად გავლენას ახდენენ. ზოგჯერ

არ დაგიჯერებს პერსონაჟი და მის ჭიუაზე უნდა იარო, მისი კარნახით ისაუბრო... ამიტომ მეც დავდივარ, დავყვები კიდევაც მათ ნებას, მათ არჩევანს...

გ. გ. – დავით, თქვენი წიგნები (პოეზიაც, პროზაც), ხშირად ითარგმნება უცხოურ ენგბზე. რას იტყვით მათ შესახებ; რასაც ქართულად ამბობთ, შეძლო მთარგმნელმა უცხო ენით მკითხველამდე მიტანა?

დ. შ. – სამწუხაროდ, იმ ენებს, რომლებზედაც ჩემი ნაწარმოებები ითარგმნება, არ ვფლობ. ამიტომაც ვერაფერს გეტყვით. რაც გამოხმაურებები არსებობს, ვფიქრობ, ურიგო არ უნდა იყოს.

ვიცი, მთარგმნელის წინაშე ურთულესი ამოცანა დგას... „პოეტი ენობრივი სამოსით იცნობაო“, – წერს კონსტანტინე გამსახურდია და სწორედ ამ ენობრივი სამოსის სხვა ენაზე მორგება უნდა იყოს ძალზე რთული, აღბათ, შეუძლებელიც. დამაფიქრებელია პაატა ჩხეიძის აზრი, თქვენს წიგნში – „ენა ულმობელი მსაჯული (დიალოგები)“ გამოთქმული: „მართებულია მოსაზრება, რომ ლექსი არ უნდა ითარგმნოს, ვერ ითარგმნება, არის მხოლოდ გამონაკლისები და ეს გამონაკლისები კვლავ და კვლავ გვაძევინებს ლექსის თარგმნას; ეგებ გამონაკლისი მივიღოთ“.

ქართული მთარგმნელობითი სკოლა მაღალი დონისაა, გვყავს გამორჩეული ოსტატები. წარმოუდგენლად ძნელია, რომ ლექსის შემთხვევაში განსხვავებულ ენაზე გადმოტანილი მასალა იყოს კონგრიალური; ქართველ მთარგმნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, საბედნიეროდ, მოგვეპოვება ასეთი გამონაკლისები.

გ. გ. – ბოლო ათწლეულებში საკმაოდ გახშირდა, განსაკუთრებით პოეზიაში, არქაულობის ილუზიის შექმნა არქაული ლექსიკის გამოყენებით (რამეთუ, ვითარმედ...). ამ ფორ-

მებს ხშირად არასწორადაც იყენებენ... საინტერესო დისკუსიაც გაიმართა სამოციან წლებში ამ თემაზე... თქვენი აზრი მაინტერესებს: როგორ უყურებთ თანამედროვე პოეზიაში ამგვარი ფორმების მომრავლებას. მით უმეტეს, როცა ზოგჯერ სიტყვათა მნიშვნელობა მთლად ზუსტად არაა გააზრებული...

დ. შ. – დროის ცვალებადობასა და ენის ცვლილებს შორის აშკარა კორელაციური ბმაა. ხელოვნებამ იმ ეპოქის სული უნდა მოიტანოს, რომელ დროზეც წერს ავტორი... მომძლავრებული „რამეთუ“ და ამგვარი ფორმები თანამედროვე ლექსებში მოხუცის დაკონკებული ტანსაცმელივით ჩანს. თანამედროვე პოეზიაში შეინიშნება ორი უკიდურესობა: ერთი მხრივ, ბარბარიზმები, ჟარგონი, სკაპრეზი; მეორე მხრივ, ძველი ქართულის ლექსიკიდან რამდენიმე ყავლგასული, ამოჩემული სიტყვის მომარჯვება. ერთიცა და მეორეც ლექსში ნაძლადევ, უცხო სხეულად ჩანს.

გ. გ. „პოეტი ენობრივი სამოსით იცნობაო“, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები მოიშველიეთ; შეგიძლიათ გვითხრათ, რა არის თქვენთვის ეს „ენობრივი სამოსი?“ შეიძლება ითქვას, რომ პოეტის ენობრივი სამოსი სწორედ პოეზია?

დ. შ. – ენობრივი სამოსი ის ენობრივი ქსოვილია, რომლითაც შემოქმედი თავის სათქმელს ამბობს; ან ენის წიაღიძან იღებს სიტყვას ან თავად ქმნის მას ენაში არსებული მოღელის მიხედვით ინტუიტიურად ან მრავალგზისი ძიების შედეგად. ამ შემოქმედებითი ძიების პროცესზე არაერთი ჩანაწერი შემოუნახავს გალაკტიონის დღიურებს. ენობრივი სამოსით პოეტური შეიძლება პროზაც იყოს და პოეზიაც, პოეზია, რომლის ზუსტი განმარტებაც არ არსებობს. გეორგ თრაქლი წერდა: „პოეზია არასრულყოფილი მონანიებააო“, უოდსვორთი: „სიმშვიდეში დაბრუნებული ემოციებიაო“. პოპი, რომელმაც ერთი ლექსის 99 ვარიანტი შექმნა – „პოეზია გაგიჟებული

პროზააო“. იქნებ სიმართლესთან ყველაზე ახლო ვაჟა ფშაველაა, „მემღერება და ვმღერიო“, რომ ამბობს...

რუსთაველი გვმოძლვრავდა: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი“. მართლაც რომ ასეა, „პირველადვე“ ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი პოეტური ნაწამოები თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 23 საუკუნით. ეს არის შუმერულ ენაზე დაწერილი აქადის პრინცესას და უმაღლესი ქურუმის ენხედუანას (მეცნიერები ძველი აღმოსავლეთის შექსპირს ეძახიან) მიერ შექმნილი ლექსები – პირები, რომლებსაც საღმრთო დანიშნულება ჰქონდა.

გ. გ. – „სიტყვის“ თემით მინდა განვაგრძოთ საუბარი, დავით: თქვენს პოეზიაში ძალიან ხშირად ფიგურირებს „სიტყვა“... რა არის თქვენთვის „სიტყვა“?

დ. შ. – თქვენი შეკითხვის შემდეგ დავაკვირდი, სწორად შეგიმჩნევიათ. ჩემს პოეზიაში, მართლაც, საკმაოდ ხშირად ფიგურირებს „სიტყვა“. წიგნებსაც გადავავლე თვალი და „აღმოვაჩინე“, სიტყვაზე თუ სიტყვის არსისადმი მიძღვნილი ლექსების რაოდენობა იმდენია, ერთი პატარა წიგნაკიც შეიძლება გამოიცეს... ეს დამოკიდებულება ჩემი წიგნების სათაურებშიც ასახულა... ჩემს რიგით მეორე ერთტომეულს ჰქვია „სიტყვებს მიღმა“, ხოლო ჩემი ბოლო, მეოთხე, ერთტომეულის სახელწოდებაა „სიტყვებსა და საგნებს შორის“. მწერლისათვის სიტყვები აგურებია, რომლითაც ის თავისი სულის შენობას, ნაწარმოებს აგებს. მწერლის ნიჭისა და უტყუარ ალღოზეა დამოკიდებული, სიტყვათა ოქროს მარაგიდან მოიძიოს, იუველირის სიზუსტით აწონოს სიტყვები, გაზომოს, აარჩიოს და ისე ააგოს თავისი სულის სახლი, რომელიც ან საუკუნეებს გაუდლებს, ან მეორე დღეს ხუხულასავით დაიშლება. კონსტანტინე გამსახურდია გავიხსენოთ: „დღედაღმ ებრძვის პოეტი სიტყვე-

ბის მასას, როგორც მოქანდაკე მარმარის ლოდებს“. ერთადერთი და საჭირო სიტყვის შერჩევა მწერლისათვის იგივეა, რაც ფერთა შერჩევა მხატვრისათვის, ტონი – კომპოზიტორისათვის. ფრაზაში სიტყვა ისევე ცოცხლდება, როგორც მუსიკალური ბგერა მელოდიაში. ერთგვარ მწერლურ შეგონებად დღემდე მომყვება ფლობერის სიტყვები: „რის თქმაც უნდა გინდოდეს, მხოლოდ ერთი სიტყვა არსებობს მის გამოსახატავად, მხოლოდ ერთი ზმნა – მის გასაციცხლებლად და ერთი ზედსართავი მის დასახასიათებლად“. ფიქრით, ძიებითა და ტანჯვით მისასვლელია იმ ერთ სიტყვამდე. ვისაც ერთადერთი და საჭირო სიტყვის ძებნაში თავზე დასთენებია, უპოვია და ქუჩაში ბედნიერს უვლია, ის გაიგებს ჩემსას. არა მარტო ვიბადები სიტყვაში, ვკეთვრობ სიტყვაში, ვკვდები სიტყვაში, ზოგჯერ ასე მგონია, რომ მეც სიტყვა ვარ. ერთ ლექსში ვამბობ კიდეც: „მეც სიტყვა ვარ დიდ დაფაზე, როგორ მშლიდნენ ხელაღებით“.

სიტყვა ჩემთვის უფალია, სამყაროა თავისი ანითა და პოეთი, ზოგჯერ ნიშანთა სისტემაა, რითაც გარემომცველ საგნებს ვიმეცნებ, ვასულიერებ. აქვე დავძენ, რომ ფრანგი ფილოსოფისი, შემეცნებათა სისტემების სპეციალისტი მიშელ ფუკო ნიშნებსა და სიტყვებს ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა. უპირველესად, სიტყვა ჩემთვის ჩემი ტკბილი დედაენაა, დედის ლოცვა და მამის ჩუმი ღიღინია. სიტყვა ისაა, რითაც პლანეტის შემზარავ, ნერვიულ ხმას ვუსმენ და რომლითაც მინდა, ჩემი სუსტი ხმა სამყაროს მივაწვდინო.

გ. გ. – „მხატვრული სიტყვა უცნაური რამაა, მხატვრული სიტყვა გზას გაიკაფავს; იკაფავს... მხატვრული და არამსატვრული არ გამოიკვრის ერთ ბოზჩაშია, არა, არ გამოიკვრის“ (ოთარ ჩხეიძე) ... ანუ, სიტყვა არსებობს მხატვრული, პლეტური და არამსატვრული ჩვეულებრივი სიტყვა. როგორ

ხედავს (თუკი ხედავს) ამ განსხვავებას პოეტი? სხვაგვარად რომ ვთქვათ: შეიძლება იყოს სიტყვა არაპოეტური, ისეთი, ლექსში რომ ვერ ჩასვამ? ანუ: პოეტურ ტექსტში სიტყვა სხვაგვარად უღერს, ვიდრე არაპოეტურ ტექსტში?

დ. შ. – პოეტური სიტყვა და ჩვეულებრივი სიტყვა – მათ შორის ასე მკაცრ სადემარკაციო ხაზს ვერ გავავლებდი; შეიძლება ჩვეულებრივი ყოფითი სიტყვა ლექსში ისე გემოვნებით იყოს გამოყენებული, რომ ტექსტს მხატვრულ ძალმოსილებას მატებდეს; ზოგჯერ პირიქით, პოეტური შეფერილობის სიტყვები ტექსტს აზიანებს. პოეტი მიხეილ ქვლივიძე იგონებს: როცა სიმონ ჩიქოვანმა დედაზე დაწერილი ჩემი ლექსი წაიკითხა, მირჩია, დედას ასე მაღალფარდოვანი სიტყვები არ სჭირდებაო. თუმცა ისიც ფაქტია, რომ პოეტური სიტყვების (მაგ. „მდუმარებით შემთხვეული შედამების ქნარი“...) გარეშე პოეზიის ენა არ იკვრება. პოეზია ხომ ოდითგან „სამეფო ხილად“ იყო მიჩნეული. დრო იცვლება და პოეზიას თანდათან საკრალური, ამაღლებულის სამოსი ეცლება, ჩვეულებრივი სიტყვები დომინირებენ. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, შემდეგია: ხელოვნება, კერძოდ, ლიტერატურა ყოველთვის იდეალს, ჰარმონიას ემსახურებოდა. ჯერ ღმერთი იყო ცენტრში და ის იყო იდეალი, მერე ადამიანი გააღმერთა და აიყვანა ცაში, შემდეგ ღმერთი გააადამიანა, მიწაზე ჩამოიყვანა. ასე თანდათანობით მოვედით პოსტ, უფრო სწორედ, უკვე პოსტპოსტმოდერნულ ეპოქამდე, ანუ უიდეალო სამყაროში, სადაც ლიტერატურამ იდეალი, ხოლო ფორმის თვალსაზრისით ჰარმონია დაკარგა. იწერება ნაწარმოებები (მაგ.: ოფელია მეძავთა სახლში მუშაობს, ჰამლეტი მთელი სპექტაკლის განმავლობაში მაცივარშია ჩაკეტილი და იქიდან წარმოთქვამს მონოლოგებს და სხვა), სადაც ძირითადი აქცენტი ნიპილიზმსა და ირონიაზე არის გადატანილი, რაც სიტყვათა განსხვავებულ ქსოვილს მოი-

თხოვს; ყოველგვარი ზღვარი პოეტურ სიტყვასა და ჩვეულებრივ სიტყვას მორის წაშლილია. ძირითადად, ეს უცხოურ პოეზიაზე ითქმის, თუმცა ჩვენშიც ეს ტენდენცია უკვე საკმაოდ იკრებს ავალას. ჩემთვის არსებობს სიტყვები, რომელთაც ლექსტი ვერასოდეს გამოვიყენებ. თუ აუცილებლობა მოითხოვს, კარგად შერჩეულ ევფემიზმს მეტი მხატვრული ძალა აქვს, ვიდრე უხეშ, სათაკილო სასაუბრო სიტყვას.

გ. გ. – დავაზუსტოთ, სიტყვა პოეტურ ტექსტში უფრო სხვაგვარად ჟღერს, ხომ? მუხრან მაჭავარიანი წერს: „ლექსტი მოქცეული სიტყვა უფრო მძაფრია, ვიდრე იგივე სიტყვა ცხოვრებაში!..“

დ. შ. – აგაშენა ღმერთმა!.. ჰო, ამაზე ვსაუბრობდი: კონტაციური ველი ფართოვდება. თვალსაჩინოებისათვის ერთ მცირე ამონარიდს მოვიყვან ლადო ასათიანის ცნობილი ლექსიდან „მანანა ორბელიანის სურათზე“. „შენ, შაოსანო შავთვალავ, შავ სამარეში გძინავს, ჯერ კარგად არც კი გამთბარა ჩემი პატარა ცირა“. სიტყვა „გამთბარაში“ იგულისხმება: 1. ჯერ ბოლომდე არ შემიგრძნია შვილის სიყვარული. 2. ჯერ კიდევ არ გამიცნობიერებია ბოლომდე, რომ მამა ვარ, არ შემიცვნია შვილი. 3. ჩემი შვილი ჯერ პატარაა, არ გაზრდილა. არც ერთ პასუხში სიტყვის განმსაზღვრული მნიშვნელობა „სითბო“ არ იგულისხმება. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან, თქვენ წარმოიდგინეთ და ახლა უკვე პროზიდან. გურამ დოჩანაშვილს მოუყოლია ჩემთვის – „ლვთისმშობელი ისეთი ლამაზი იყო, როგორც“ და გავიჭედეო!

როგორც...

როგორც...

ორი კვირა ვფიქრობდი და მერე მივხვდიო!

– როგორც თვითონ!!!

რადგან შეკითხვა ჩემდამი არის დასმული, ამანაც მაფიქ-რებინა, თუ უხერხული არ იქნება, საამრიგო მაგალითს ჩემი შემოქმედებიდანაც მოვიყვან. მწერალი და კრიტიკოსი მურმან ჯგუბურია წერილში, რომელიც ჩემი ლექსების წიგნშია დაბეჭდილი („ხსოვნის ანაბეჭდები“, 492-493 გვ., ერთტომეული, 2013 წ.) – „პოეტი, ანუ ურჩი გადამხდელი“ – ჩემს ერთ ლექსზე დაკვირვებისას საგულისხმო აზრს გვიზიარებს: „რატომ იცინის ნუში სულელი, რამ წამოჩიტა ასე ადრიან“. „სულელიო, ამბობს პოეტი და იკითხება – ძვირფასი, საყვარელი... ერთს ამბობს, მეორე იგულისხმება, რაც ნამდვილ პოეზიასთან გვაახლოებს“. ასე რომ, პოეტურ ტექსტში სიტყვა ზოგჯერ სხვაგვარად ჟღერს, ვიდრე – არაპოეტურში...

გ. გ. – იყო დრო, როცა მწერალი სიტყვებს ეძებდა, იმდიდრებდა ლექსიკურ მარაგს... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თანამედროვე პოეტების შემოქმედებაში ეს ინტერესი გაქრა; ლექსიკური მარაგის სიღარიბე შეიმჩნევა. მეჩვენება თუ დასტურ ასეა? თუ მეთანხმებით, რას მიიჩნევთ ამის მიზეზად?

დ. შ. – არასდროს არ ყოფილა სამყარო ისე პრაგმატული, როგორიც დღეს არის. ადამიანმა თითქოს მიანება თავი ოცნებას, რომანტიკისთვის ადგილი აღარ დაიტოვა. ადამიანი არა საგნებზე, არამედ თავად საგნები, ნივთები ბატონობენ ადამიანზე. მხოლოდ საჭირო ნივთებით არის შემოსაზღვრული მისი ინტერესის სფერო. საკომუნიკაციოდ მას მხოლოდ განსაზღვრული სიტყვები სჭირდება. პოეზია დროის ანასხლეტია. ამიტომაც იჩინა თავი პოეზიაში ლექსიკური მარაგის სინაკლულებ.

გ. გ. – რეზო ინანიშვილი წერს: „ვიღაც თუ რაღაც მკარნახობს წერის დროს. როცა არ მკარნახობს, ვიტანჯები, თავის მოკვლა მინდა, ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ. დღეს, 25 აგვისტოს, სულ რომ არ ვფიქრობდი ასეთი რამის დაწერას,

უცებ მექარნახა მოთხოვის „სულ ოდნავ მარჯვნივ“ („წრე“), ჩავიწერე იგი საათნახევარში.“ რა კომენტარს გააკეთებდით ამის თაობაზე?

დ. შ. – ძალიან ნაცნობი განცდაა. პოეზიის წყარო შთა-
გონებაა. ბატონი რეზო პოეტი იყო, პოეტური პროზის წარმო-
მადგენელი. შთაგონებასთან მიმართებით პროზაიკოსებთან ხში-
რად სხვაგვარადაა საქმე. გურამ გეგეშიძისაგან მომისმენია,
ყოველ დილით განსაზღვრულ დროს ვიწყებ წერას და ისიც
ვიცი, დაახლოებით, რამდენ საათს დავყოფ საწერ მაგიდასთა-
ნო. მსგავსი რამ წამიკითხავს თომას მანსა და ჰერმან ჰესეზე.
დავუძრუნდეთ პოეზიას. ლექსი უმეტესად იწერება სპონტანუ-
რად, ზოგჯერ სრულიად უხერხულ მდგომარეობაში – ქუჩაში,
ტრანსპორტში... უცბად შემოფრინდებიან სტრიქონები, სასწრა-
ფოდ ვიღებ ბლოკნოტს. ზოგჯერ ჩაწერასაც ვერ ვასწრებ.
ვფიქრობ, იყოს მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, ასე ნაუცბა-
თევი ეს უმნიშვნელო ჩანაწერი, იქნებ გამოდგეს. გადის დრო,
ჩავხედავ ჩანაწერს და მიკვირს, როგორ შევქმნი, რა ძალამ
დამაწერინა. ზოგჯერ პირიქითაც ხდება: გადავწყვეტ, მოდი,
დავწერო ლექსი; დავჯდები საწერ მაგიდასთან, შევარჩევ რა-
ღაც თემას, ვეძებ პოეტურ სახეებს, რითმებს და ხანგრძლივი
ფიქრისა და ჯახირის შემდეგ დავწერ ლექსი. ვფიქრობ, რა
კარგი გამოვიდა, გახარებული ვარ. გამოხდება ხანი, დავხედავ
ჩემს ნაწერს და – სრული იმედგაცრუება, შევრჩებით პირის-
პირ მე და სისულელე. სწორედ მაშინ შეველის ჩეხოვის სა-
სარგებლო შევონება: „მწერლობა წაშლის ხელოვნებააო“. აქ
ერთი ამბავი უნდა გავიხსნო. როცა გალაკტიონის ლექსებით
აღფრთოვანებულმა მიოზა გელოვანმა პოეტს უთხრა, მაგ ხე-
ლებმა დაწერეს „მე და ღამე“ და „ლურჯა ცხენებიო“ და ხე-
ლები დაუკოცნა, გალაკტიონმა უპასუხა: „ანგელოზები მკარ-
ნახობენ, ძამიკო, ანგელოზებიო“. ანგელოზებთან მიახლოება

კა ადვილი როდია! ხელოვნების, მუზიკის, პოეზიის ღმერთები მკაცრნი არიან, შეიძლება ღალატისთვის საყვარელმა ქალმა, მეგობარმა დაგინდოს, მაგრამ, თუ აზროვნებას პრაქტიკული, ყოფითი საფიქრალით აიმღვრევ, პოეზიას ზურგს შეაქცევ და გონიერას სხვა საქმიანობისაკენ მიმართავ, ამ დროს მუზა ღალატს არ გაპატიუბს. თუმცა არსებობენ გამონაკლისნიც, ნაწილი პოეტებისა, წინასწარ რომ იციან თემაცა და ფორმაც. ერთი ასეთი დიდი სახელია ედგარ ალან პო; თავადვე ხსნის ერთგან, როგორ დაწერა „ყორანი“ წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით.

გ. გ. – ერთ პასაჟს მოვიყვან შენი ლექსიდან;

,ვწერ: შევისახლე სხეულში სიტყვა,

ვწერ: შევრჩი ქალაქს მესიტყვე კაცი,

მე ვიღებ სიტყვებს სიტყვების ტყიდან,

მერე ყალბ სიტყვებს ლანცეტით ვაცლი“...

,„სიტყვების ტყეში“ კიდევ როგორი სიტყვებია, გყავს საყვარელი სიტყვები, შეგძულებია რომელიმე სიტყვა, რატომ, და, პირიქით, შეგყვარებია? რატომ?

დ. შ. – ცნობილი ლექსის პერიფრაზი უნდა მოვიხმო: „სიტყვების ტყეში ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმა!“ ვფიქრობ, თავისთავად, არც ერთი სიტყვა არ არის ყალბი. სიტყვა ყალბი რომ არ გახდეს, „სიტყვების ტყეში“, ანუ ტექსტში, ის ერთადერთ და მისთვის განკუთვნილ ადგილას უნდა იქნეს გამოყენებული. თუ ეს წესი ირღვევა, მიხდება მისი ფრაზიდან თუ სტრიქონიდან გამოყვანა. სიტყვებს აქვთ საკუთარი ფერი, გემო, სუნი და სხვა. სიტყვების აღქმა ამ მახასითებლების მიხედვით ძალზე სუბიექტურია, თუმცა რამდენად ზუსტია ეს აღქმა, ეს დამოკიდებულია მწერლის მხატვრულ გემოვნებაზე, სიტყვის ალლოს გრძნობაზე. სიტყვა შეიძლება მომწონდეს ბგერწერული თვალსაზრისით (როგორ უღერს) ან შინაარსის

გამო. სიტყვებისადმი ჩემი სიყვარული დროთა განმავლობაში იცვლება. მახსოვს, ერთხელ ჩემი წიგნების რედაქტორმა მარინა ნონიკაშვილმა მიმანიშნა, რომ ლექსებში ზედმეტი დოზით მქონდა გამოყენებული სიტყვა „სტატისტი“. გადავხედე ჩემს ნაწერებს და დავრწმუნდი, მართლა ასე იყო. რამდენიმე ხანში უკვე, მოძულებას ვერ ვიტყვი, მაგრამ ნამდვილად მომყირჭდა ეს სიტყვა და მას შემდეგ ლექსისთვის აღარც გამიკარებია.

გ. გ. – ენა უმთავრესი განმსაზღვრელია მწერლური სტილისა. რას იტყვით, სტილური თვალსაზრისით, უფრო გამრავალფეროვანდა ქართული მწერლობა თუ არა. ასევე საკუთარი სტილის შესახებაც საინტერესო მოსაზრება გექნებათ.

დ. შ. – მიჩნეულია, რომ ამ მიმართებით ძირითადად ორი ცნება არსებობს: ზოგადად „სტილი“ და „ავტორის სტილი“; მათ შორის დაპირისპირებაა: პირველი ზოგადკულტურული ფენომენია და მეორე ინდივიდუალური შემოქმედების შედეგი. დავძენ იმასაც, რომ მესამეც არსებობს, როგორც ერთგვარი შუამავალი ამ ორ ცნებას შორის, როცა ავტორი ცნობილი წესების, სოციალურ-კულტურული მასალის გამოყენებით ქმნის ახალს. მესამე გზა დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ხელოვნი, მოქანდაკე, მწერალი, ერთი სიტყვით, ნებისმიერი შემოქმედი მარტო არ არის. ის ცხოვრობს ეპოქაში, სადაც მისი კოლეგები მუშაობენ მის გვერდით. ისინი ჯგუფდებიან სკოლებად მათ შემოქმედებაში საერთო ნიშნების არსებობის მიხედვით: მაგალითად, შექსპირის ირგვლივ, რომელიც, ერთი შეხედვით, სრულიად ამოვარდნილი ჩანს იმდროინდელი საერთო ლიტერატურული სტილიდან. აღმოჩნდა, რომ მრავალი მეტად ღირებული დრამატურგი: მასინჯერი, მარლო, ბენ ჯონსონი, ფლეტჩერი და ბომონტი წერდნენ იმავე სტილითა და სულისკვეთებით, როგორითაც შექსპირი. თქვენი შეკითხვის

პასუხად ვიტყვი, რომ თანამედროვე პროზა ინდივიდუალური სტილური მრავალფეროვნებით ნაკლებად გამოირჩევა წინა საუკუნესთან შედარებით. გასული ეპოქიდან მკვეთრი ინდივიდუალობით გამოვყოფდი რამდენიმეს: კონსტანტინე გამსახურდია, ვასილ ბარნოვი, ოთარ ჩხეიძე...

რაც შეეხება ჩემს სტილურ მეთოდს, როგორც პოეზიაში, ისევე პროზაში გამოყენებულია სამივე სახის სტილური ხაზი. რომელ ნაწარმოებში, სად და როგორ – ეს, თუ ოდესმე დაინტერესდებიან ლიტერატურის მცოდნენი, მათ გაარკვიონ; ხოლო მე ამჟამად ამ საკითხით აღარ გადავდლი მკითხველის ფურადლებას.

გ. გ. – დავით, თქვენს ლექსებში ასეთი სიტყვები შემხვდა: გათეიმურაზხევისთავებული, მომგლინაბიჯობს, გაიმზეთბილა, გაგვიცუდლამდა, შეცრემლის სველდა, გაიმზეგანა, შეიმგლისფერებს... ეს თქვენი სიტყვათშემოქმედებაა; ეს სიტყვები წინასწარგამიზნულად იქმნება თუ სპონტანურად?... თქვენი აზრით, ისინი გაუძლებს დროს, დამკვიდრება ენაში?

დ. შ. – მესიტყვემ პოეტური აღლოს საშუალებით უნდა მიაგნოს და წარმოაჩინოს ენაში პოტენციურად არსებული სიახლის შეცველი სიტყვათერთულები თუ ბერათნაერთები. მასსენდება საყურადღებო გამონათქვამი: „პოეტი გამომგონებელი კი არ არის, პირველადმომჩენია ენაში არსებული შესაძლებლობისაო“ (ბესარიონ ჯორბენაძე). ამ საკითხზე ბევრი უფიქრიათ აღიარებულ ენათმეცნიერებს. სიტყვა მუდმივ ცვლილებას განიცდის, არ არის სტატიკური. ეფექტურად და გემოვებით მიღებული ახალი სიტყვების (კომპოზიტები, ნეოლოგიზმები, ოკაზიონიზმები) საშუალებით ენა ხდება უფრო მრავალფეროვანი, თანამედროვე და საინტერესო. ახალი სიტყვები, გარკვეულწილად, კავშირშია ლექსიკურ ფონდში გადანახულ საუკუნოვან სიტყვებთან. ვიცით, ნეოლოგიზმები

ორი სახისაა: უცხოური წარმოშობისა და ქართული ენის წიაღიდან წარმოქმნილი. ოკაზიონიზმები ხშირად მყისიერად იქმნებიან კომუნიკაციის პერიოდში მწერლების მიერ გამიზნულად, საგნის ან მოვლენის ესთეტიკურ-ემოციური მხარე რომ გაზარდონ. თავისთავად საინტერესოა, თუ როგორ მიძინარეობს სიტყვათქმნადობის პროცესი; ვფიქრობ, საკვლევია ახალი სიტყვების კავშირის მექანიზმი ნორმირებულ ენაში დამკვიდრებულ სიტყვებთან, ასევე მწერლის ენობრივი თავისუფლების ხარისხი, თუ სად არის ზღვარი, რის შემდეგაც უკვე ენობრივ დაუდევრობასთან გვაქვს საქმე. თუ არ ვცდები, შესასწავლია ასევე სიტყვათქმნადობების მოულოდნელობის ეფექტი და მხატვრული ფუნქცია. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი: ჩემი აზრით, სასურველია ასევე კვლევის საგანი გახდეს (უფრო ინტენსიურად) ქართველი კლასიკოსების როლი ქართული ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში. აქ უნებურად გვახსენდება პოლ ვალერის გამონათქვამი: „გენიალური შემოქმედება წესს კი არ ემყარება, არამედ ქმნის“. ენა ცოცხალი პროცესია და ის მუდმივად გვთავაზობს ენის ნორმიდან გადახვევის კონტაციური ფორმების მრავალნაირ სახეს.

ოკაზიონიზმებზე პოეზიაში არცისე ბევრი გამოკვლევა არსებობს.

როცა მწერალი ცდილობს მშობლიური ენის გამდიდრებას ახალი ცნებებითა და სიტყვათა ორიგინალური ფორმებით, ეს მწერლის ძალმოსილებაზე მეტყველებს. ჰაიდეგერი ამბობს: „ის ენა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, ხურდა ფულია, გაცვეთლი. ნამდვილ ენასთან კავშირს ინარჩუნებენ დიდი მოაზროვნები და პოეტები“.

ახალი სიტყვის შექმნა, შეიძლება, ახალი სიცოცხლის (ჩვილის) დაბადებას შევადაროთ.

ახალი სიტყვათქმნადობები ჩემთან არ იქმნება წინასწარ განზრახულად, ის იბადება თხზვის პროცესში, სტიქიურად, მისი რეალიზება ხდება სპონტანურად, არაცნობიერად.

გემოვნებით შერჩეული ახალი სიტყვა უმეტესად მხატვრულ ტექსტში ერთჯერადი მხატვრული ფუნქციის მატარებელია. ის შეიძლება ეფექტურადაც გამოიყენებოდეს თავის ადგილას, მაგრამ არ დამკვიდრდეს ენაში, თუმცა ამით მის მხატვრულ ეფექტს კონკრეტულ ნაწარმოებში არაფერი აკლდება. ახლად შერჩეული სიტყვათერთულებისგან მხოლოდ ძალზე მცირედნი იმკვიდრებენ მშობლიური ენის სიტყვიერ ქსოვილში ადგილს. ცხადია, ეს შეეხება ჩემ მიერ გამოყენებულ სიტყვებსაც.... ვერაფერს გეტყვით, მათი ბედი სამ მსაჯულს მივანდოთ: პირუთვნელ ლიტერატურულ კრიტიკას, გემოვნებიან მკითხველსა და დროს...

გ. გ. – ერთი მინიმა გაქვს ასეთი:

„პირველად იყო სიტყვა,

მეორედ?!“

საინტერესო კითხვას სვამთ... თავად თქვენ კი გაქვთ პასუხი? გიფიქრიათ ამ კითხვის პასუხზე, შეგიძლიათ გაგვიმჩილოთ?

დ. შ. – როგორ არ მიუიქრია, მაგრამ პასუხი დღემდე ვერ მიპოვია... უბრალოდ, ამ მინიმით ჩემი ფიქრი მკითხველსაც გავანდე...

გ. გ. – ორ მწერალს დავიმოწმებ. გიორგი შატბერაშვილი წერს: „უსათაურო ლექსები მოუნათლავ ბავშვებსა ჰგვანან. ისინი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევენ ჩემში, თითქოს დაუმთავრებელნი და უდღეურნი არიან, რაღაც დიდი აკლიათ. ამას ლექსებიც გრძნობენ თითქოს“. ლაშა გახარია: „უსათაურო ლექსებს ვერ ვიტან, ქუდი დაგხუროთ, იყონ კაცები!“ – მიმისვლით ალბათ: თქვენი ლექსების უმეტესი ნაწი-

ლი უსათაუროა... ცხადია, არ დაეთანხმები ამ მწერალთა აზრს. საინტერესოა თქვენი კომენტარი ამ თემაზე.

დ. შ. – ჩემი სამწერლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მოგახსენებთ, არასდროს ვფიქრობ იმაზე, დავასათაურო თუ არა ლექსი; როცა დასრულებულად ჩავთვლი და გადავიკითხავ, ლექსი თავადვე „მკარნახობს“, სათაური უნდა ჰქონდეს თუ არა...

ორი სახის პოეზია არსებობს: გრძნობად-კონკრეტული და არსობრივი. ორივე სახის პოეზიაში არიან დიდი პოეტები, შექმნილია შედევრები. გრძნობად-კონკრეტულში ძირითადია განწყობა, საგნისადმი პიროვნული, ემოციური დამოკიდებულება. ამ დროს წინ საგნის გარებნული მხარე მოიწევს. ხშირია მიძღვნითი ხასიათის ლექსი, ლირიკული გმირის პორტრეტს რომ გვიჩვენებს. ამ სახის ნაწარმოები ითხოვს დასათაურებას, რომ იდენტობა არ დაკარგოს, სხვაში არ აირიოს, ხელშესახები გახდეს. რაც შეეხება არსობრივ პოეზიას, ის საგნის არსში წვდომას გულისხმობს, ჭეშმარიტებასთან მიახლოებას, რაც არა მარტო პოეზიის, არამედ ფილოსოფიისთვისაც დღემდე გადაუჭრელი საკითხია. ამგვარი ლექსი, რომელიც, შეიძლება, სხვადასხვაგვარად წავიკითხოთ, სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ამ დროს, კონკრეტული სათაურის შეჩეჩება მკითხველისათვის, ჩემი აზრით, საჭირო არ არის. იგი ლექსის ვნებს, პროკრუსტეს საწოლზე აწვენს, თითქოსდა მკითხველს ნაწარმოების განსხვავებულად აღქმის უფლებას ართმევს. ამ თემასთან დაკავშირებით, საილუსტრაციოდ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ორი დიდი პოეტი – შოთა ნიშნიანიძე და ოთარ ჭილაძე – გავიხსენოთ. პირველი მათგანის ლექსებში უმეტესად გრაფიკული და ფერწერული სახეებით სავსე სურათები იხატება. ბევრი მიძღვნაა, ისტორიულ პიროვნებებს, ისტორიზმს რომ აცოცხლებს... ლექსების ასეთი სახე

სათაურს იხდენს და უმრავლეს შემთხვევაში შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში ასეცაა (აქევე ვიტყვი, ლაშა გახარიაც ძირითადად მხატვარია, ამდენად ლექსისათვის „ქუდის დახურვა“ მის შემოქმედებით მრწამსთან სრულ უნისონშია); ხოლო ოთარ ჭილაძე შედარებით უფრო არსობრივი სახის პოეტია, მის ლექსებში მხატვრის თვალს, ფერწერულ-გრაფიკულ სახე-ებს, სააზროვნო ნიშნით აგებული ასოციაციური მეტაფორები სჭარბობს, მოვლენის, საგნის არსში წვდომის მცდელობა იკვეთება. ამიტომაც მის შემოქმედებაში ნაკლებად გვხდება სათაურიანი ლექსები.

უცხოური ლიტერატურიდანაც მოვიყვან მაგალითებს: ნობელის პრემიის ლაურეატია შვედი პოეტი ტუმას ტრანსტრიომერი. მას ეკუთვნის ფილოსოფიური ლექსები; გოეთეს პრემიის ლაურეატია, საფრანგეთში მცხოვრები არაბი (სირიელი) პოეტი ახმად ადონისი. მის პოეზიაში, სუფიზმისა და სიურეალიზმის საოცარი სინთეზია. ორივე მწერლის შემოქმედებაში უსათაურო ლექსები სჭარბობს; ორივე არსობრივი პოეზიის წარმომადგენელია, ხოლო ნობელის პრემიის ლაურეატი, პოლონელი პოეტი ქალი ვისლავა შიმბორსკას ლექსები, ზოგჯერ მისტიკური პოეზიის, მაგრამ უმეტესად პროზაიზმებით სავსე სიუჟეტურ ხაზს ატარებს მკვეთრად აქცენტირებული სათქმელით. სენტ-ლუსიელი ნობელის პრემიის ლაურეატია პოეტი დერეკ უოლკოტი. მისი ნააზრევი მაღალი პოეზიის რანგში აყვანილი ყოფითი დეტალებისა და მითოლოგიური თემების ნაზავია. ორივე მათგანის შემოქმედებითი ნაკადის მეტი წილი სიუჟეტურ თხრობაზე აგებული გრძნობად-კონკრეტულია. უმრავლესობა ამ პოეტების ლექსებისა დასათაურებულია.

გამონაკლისებზეც ვთქვათ: არსობრივი პოეზიის წარმომადგენელთ (მაგ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფრიდრიხ პოლდერლინი და სხვა), მყარად ჩამოყალიბებული ფილოსოფიური

კრედო ან რელიგიური მრწამსი აქვთ მკვეთრად აქცენტირებული სათქმელით; ამგვარ ლექსებს, უმჯობესია, სათაური ჰქონდეთ და ასეც არის...

დავამატებდი: პოეზია ზუსტი მეცნიერება არაა. ერთეულ, ცალკეულ შემთხვევებში ლექსის დასათაურებასთან მიმართებით, შესაძლოა, ჩემს მოსაზრებებზე უარის თქმა სასურველიც იყოს. რაც პოეტის ალლოზეა დამოკიდებული.

გ. გ. – ანა კალანდაძის მოსაზრებით: „სათაური წერისას იბადება ხოლმე (ისევე, როგორც „უსათაურობა“)… სათაურიც და უსათაურობაც იმისგან გვეძლევა, „რაიც შთაგონებით გვწყალობსო“...

დ. შ. – დიახ, სათაური იქნება თუ უსათაურობა (უბრალო სამი წერტილი), ყოველივე ეს ლექსის შემადგენელი ნაწილია. პოეტები მას მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ. ხშირად მინახავს უგემოვნებოდ, არასწორად შერჩეული სათაური, რაც ლექსს ხეიბარსა ხდის, აგონჯებს. ყოფილა შემთხვევა, მოგვიანებით მივმსვდარვარ, რომ შევმცდარვარ. ასე მოხდა ჩემი ერთტომულის „სიტყვებს მიღმა“ (2006 წ.) გამოცემის დროს: აღმოჩნდა, რომ მანამდე დაბეჭდილი რამდენიმე ნაწარმოები ვერ იფერებდა სათაურს; მოვაშორე და ლექსები არტაზებისგან გათავისუფლდა, ხოლო ერთი ლექსი, პირიქით, დავასათაურე, „ქუდი დავხურე“ და ასე გავუშვი მკითხველთან შესახვედრად. სჯობს პოეტს გამოქვეყნებული ლექსის ასეთი სახის კორექტირება არ დასჭირდეს...

გ. გ. – გალაკტიონის ეს მოწოდებაც გეხსომება, რა თქმა უნდა... „დრო, დრო აღნიშნე და მიაწერე ეს წელიწადი, დღე და საათი“...

დ. შ. – გალაკტიონი გულისხმობდა, რომ მხატვრული ტექსტი არსებული ეპოქის სარკე უნდა იყოს, დროის სულისკვეთებას ასახავდეს. ამას მხოლოდ სათქმელის თვალსაზრი-

სით გულისხმობდა თუ ფორმითაც, ჩემთვის უცნობია; ჩემი ვარაუდით, ორივეს. ამით იმასაც გულისხმობდა, რომ თუნდაც ისტორიულ თემაზე იყოს შექმნილი ნაწარმოები, მაინც მასში მწერლის თანადროული ეპოქის სურათი უნდა იკითხებოდეს.

გ. გ. – აქ მე უფრო ლექსის დათარიღებაზე ვაკეთებ აქცენტს. მაინტერესებს, ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით, რა ცვლილებას განიცდის მწერლის ენა. მიფიქრია ამ თემაზე და გეტყვი, რომ ოთარ ჩხეიძის რომანების წაკითხვისას შემიძლია ვთქვა, რომელი დაახლოებით როდისაა დაწერილი, მწერლის მოღვაწეობის რა ეტაპზე... ყოველ შემთხვევაში, ეს გაჭირდება თარიღის მიუნიშნებლად. ვინმე რომ დაინტერესდეს, დავით შემოქმედელის ენობრივი სტილი როგორ ყალიბდებოდა, დროის აღნიშვნა აუცილებელი მგონია...

დ. შ. – ლიტერატურათმცოდნე პროფესორმა სოსო სიგუამ შენიშნა, რომ ჩემი ენობრივი სტილი სხვა იყო, როცა გურიაში ვცხოვრობდი, და შეიცვალა მას შემდეგ, რაც დედაქალაქში გადმოვედი საცხოვრებლად და უხეშ ურბანიზმს შევჯახე. ისე კი, ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით, მწერლის ენის ცვლილებაზე დაკვირვება და ანალიზი – ეგ თქვენი, ენათმეცნიერების, საქმეა და ვერ ჩავერევი. ზოგადად დროისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ ვიტყვი ორიოდე სიტყვას: მე, როგორც მწერალი, ვცხოვრობ ფიქრში, წამის უსწრაფესად მოვირბენ წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მე ერთდროულად სახელდაურქმეველ სამივე დროში ვცხოვრობ...

გ. გ. – მე კი, როგორც გრამატიკოსი, დროს „მარტივად“ ვუყურებ: გუშინ, დღეს, ხეალ წარსული, აწმყო და მომავალი... ვეღარ „გავითვალისწინე“, რომ პოეზიაზე ვსაუბრობ და თანაც პოეტთან... შეიძლება მთლად არ ავცდეთ თემას, ერთ რამეს გავიხსენებ დროსთან დაკავშირებით: ოთარ ჩხეიძე წერს: „დროს არც წარსული აქვს, არცა მყობადი, დრო აწ-

მყოა. დრო არის, არის, არის... დრო ცვალებადი და მარადიული, უცვალებელი და მარადიული“... ეს უკვე აღარაა რეალური დრო (როგორც გრამატიკოსები ვიტყვით), გრამატიკული დრო...

დ. შ. – რაც შეეხება ოთარ ჩხეიძეს, როცა ის ამბობს, „დრო მარტო აწმყოა“, დასაფიქრებელია, ეს ფსიქოლოგიური დროა. უაღრესად საინტერესოა დროისადმი მიმართება მარსელ პრუსტთან. „დაკარგული დროის ძიებაში“ შედევრია. მასში იდუმალი კავშირებია გაბმული წარსულსა და აწმყოს შორის. როცა ლამბაქზე კოვზის გაწკარუნების ხმა ესმის, პერსონაჟს ეს ხმა ბებიასთან მგზავრობის დროს მატარებლის შეკეთების ხმას ახსენებს. ეს ნიშანი მას წარსულთან კავშირს გააბმევინებს. ჩაიკეტება და მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ წერა დაიწყოს. ერთ მხარეს წერა, მეორე მხარეს – სხვა დანარჩენი. მის სიცოცხლეს წერით ეძლევა საზრისი. რომანში დრო ხელახლა ნაპოვნი, დრო დამარცხებულია. ნაპოვნი დრო ნაწარმოების მთავარი გმირია...

საპირისპირო მაგალითიც ვიცით, როცა მწერლისთვის დრო მხოლოდ მომავალია. არის ასეთი აღიარებული მწერალი – ტატიანა ტოლსტაია, დიდი მწერლის, ალექსეი ტოლსტოის შვილიშვილი, რომელსაც ლიტერატურის კრიტიკოსები ხან აქებენ, ხან აძაგებენ. ის არავის აძლევს პასუხს. უურნალისტი ეკითხება, ნუთუ თქვენ მწერლური ამბიცია არა გაქვთ, რომ კრიტიკაზე არასდროს ხმას არ იღებთო?!. ტატიანა ტოლსტაიამ უპასუხა: მე არა ამ წუთისოფლის, არამედ იმ წუთისოფლის ამბიცია მაქვსო.

გ. გ. – დავუბრუნდეთ ისევ გალაკტიონის მოწოდებას: ისევ ლექსების დათარიღებაზე ვისაუბროთ... თქვენს კრებულებში არ ჩანს ეს...

დ. შ. – მოგეხსენებათ, პოეტი კრებულს გარკვეული პრინციპით ადგენს: შეიძლება ეს იყოს თემატური, ქრონოლოგიური და სხვა. თუ მკითხველს ასეთი ინტერესი გაუჩნდება, ალბათ პოეტმა ამაზეც უნდა იფიქროს და ლექსის თავისი დაბადების დრო არ დაუკარგოს... თუმცა დროის აღნიშვნის საკითხი გალაკტიონთან ზოგჯერ გარკვეულ კითხვებს აღმრავს...

გ. გ. – დავით, მე მქონია შემთხვევა, რაღაც დასკვნა გამიკეთებია, ენათმეცნიერებაში რაღაცისათვის მიმიგნია, „აღმომიჩენია“; მერე ვიგებ, რომ ეს უკვე მიგნებულია, აღმოჩენილია... თუ გქონია შემთხვევა, რაღაც სახე, მეტაფორა, ფრაზა შეგიქმნია; შინაგანად კმაყოფილს, ბედნიერს მერე გაგიგია, რომ „ამერიკა უკვე აღმოჩენილია“. რა განცდაა?

დ. შ. – მქონია, გიორგი, რა თქმა უნდა. ვფიქრობ, ყველა მწერალს ექნება მსგავსი შემთხვევა. აქ ორი მომენტი შეიძლება გამოიყოს: 1. ადამიანი ცნობიერისა და არაცნობიერის ჯამია. წავიკითხე რაღაც მეტაფორა, სახე, მომეწონა, მეხსიერებამ მთლიანად წაშალა, მაგრამ მერე არაცნობიერში ჩაიკარგა და რამდენიმე წლის შემდეგ ცნობიერში ზედაპირზე ამოტივტივდა. ლაკანისეული ფსიქოანალიზის მიხედვით, არაცნობიერი ყველაფრის საფუძველია. ამ დროს ფიქრობ, რომ საკუთარი მიგნებაა. შემდგომ იმის გაცნობიერებას, რომ შენი არ არის, იმედგაცრუება მოჰყვება... 2. ერთნაირმა განცდამ, ტკივილმა, შესაძლოა, ორი ადამიანი ერთნაირ სათქმელამდე მიიყვანოს, ამისი მაგალითები მეცნიერებასა და ლიტერატურაშიც ცნობილია...

გ. გ. – დავით, მე, როგორც ენათმეცნიერი, ქართულ დიალექტებსაც ვიკვლევ... დიდი ზანია ეს კითხვა მაფიქრებს: ფშავ-ხევსურეთიდან გამოსულ მწერალთა პოეზიაში ფშავ-ხევსურული დიალექტი უთუოდ იჩენს თავს; თქვენი, გურიაში დაბადებული და გაზრდილი პოეტის, ლექსებში გურული მე-

ტყველების კვალი არ ჩანს... მაგრამ, როცა თემამ მოიტანა, შენც კი მთის კილოზე მოუქციე („ერთი ბელადი გირჩევნით, ათ ვაჟ რო ცხენზე მხედრდება“). არადა, მე ვიცი თქვენი და-მოკიდებულება გურიისადმი, გურულისადმი... გიფიქრიათ ამა-ზე?

დ. შ. — ვერ გეტყვით, რომ აქამდე მეფიქროს ამის შე-სახებ... არა მარტო ჩემთან, არამედ, ზოგადად, გურიის კუ-თხიდან გამოსულ პოეტთა შემოქმედებაში, ნაკლებად ჩანს გუ-რული დიალექტი. ეს მოვლენა შესწავლას, ახსნას საჭიროებს. პოეტური ენის ქსოვილი, სინტაქსი, სტრუქტურა საყოფა-ცხოვრებო ენისაგან რამდენამდე ამაღლებულია; უკეთესადაც უღერს, უფრო ბერძერულია. ამ მხრივ, გურული დიალექტუ-რი სასაუბრო ენა მეტაფორულია, მაგრამ ეს მეტაფორულობა გაშინაურებულია, გაუბრალოებულია ყოველდღიური გამოყენე-ბისაგან. ამიტომ პოეტური სიახლის ხიბლს ვერ ქმნის. რაც შეეხება ფშავ-ხევსურულ დიალექტს, მთის პოეზიას, დედო-ქართული ლიტერატურული მდინარების გვერდით მას თავისი ამაღლებული და ლეგენდური სამყარო გააჩნია, რაც მდ კუ-თხის შემოქმედთაც იზიდავთ, რომლებიც ფშავ-ხევსურეთიდან არ არიან... აქ იმის აღუნიშნაობაც არ ეგების, როცა მთიელი კაცი წერს საკუთარ დიალექტზე, სიტყვის განცდა ცოცხალია, ხელშესახებია. ბარის პოეტთათვის კი (მათ შორის ჩემთანაც) მაინც ლიტერატურიდან მიღებული მთის დიდი პოეზიის ანას-ხლეტია, მეორეულია.

რაც ამ მიმართებით ვთქვი, რა თქმა უნდა, სუბიექტური აზრია, ამ თემაზე საინტერესო იქნება დიალექტის მკვლევარ-თა მოსაზრება.

გ. გ. — გეთანხმები; თავისთავად საყურადღებო თემაა... თუნდაც ამ კუთხით: ფაქტია, ლექსი და სიმღერა განუყრელა-დაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიმჩნევა ასეთი კანონზო-

მიერება: ქართულ სინამდვილეში იქ, სადაც მაღალია პოეტური კულტურა, შედარებით დაბალია მუსიკალური კულტურა და – პირიქით. მაგ., ფშავ-ხევსურული პოეზია უმაღლესი ხელოვნებაა, ამ კუთხის მუსიკალური კულტურა შედარებით დაბალია; სამაგიეროდ, გურიაში უმაღლესი მუსიკალური კულტურაა, ხალხური პოეზია კი მასთან შედარებით – უფერული... როგორ ფიქრობთ, ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელია?

დ. შ. – როგორი კითხვაა. ჩემს სფეროს სცილდება, მე არც მუსიკოლოგი ვარ, არც ეთნოფსიქოლოგი. ვიმსჯელოთ მაინც (იქნებ სხვას მაინც მივცეთ დასკვნის გაკეთების საბაბი)... რადგან ლექსი და მუსიკა ურთიერთგადაჯაჭვულია, ვფიქრობ, ეს შემთხვევით არ უნდა იყოს. ჩემს მოსაზრებას ფრთხილად გამოვთქმა: პოეზიაში დიდი დოზით არის მუსიკა და სიმღერაში – პოეზია. იქ, სადაც ძლიერია მუსიკა, პოეზია დამხმარე ნაწილის როლს ირგებს; რადგანაც გურული სიმღერების ტექსტები შედარებით მარტივია, ზოგჯერ ერთსიტყვიანიც, ამიტომ მის გენიალურ სიმღერებზე მოდის დატვირთვა... ხოლო მთის (ფშავ-ხევსურეთის) პოეზიაში – პირიქით...

გ. გ. – გასაგებია თქვენი აზრი... დასკვნა?

დ. შ. – როგორცა ჩანს, ეს საკითხი ცაში წყდება, ამაში უთუოდ ღვთის ხელი ურევია... დიახ, ამ თქვენს ურთულეს კითხვაზე მაინც ეს პასუხი მგონია სწორი: უფალი ანაწილებს ასე, უზენაესის ნებას ვხედავ...

გ. გ. – დავით, ამბობთ, მე არც მუსიკოლოგი ვარ, არც ეთნოფსიქოლოგი; ვიცი, რომ არც ფილოლოგი ხართ და ეს კითხვაც ამან გააჩინა: ჩვეულებრივ ასეა: შემოქმედებითი ინტერესების მქონე ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში უფრო ჰუმანიტარულ სპეციალობას ირჩევს... შენ ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრე, სამშენებლო ფაკულტეტი... ახლა როგორ ფიქრობ, სწორი იყო ეგ არჩევანი?

დ. შ. – ბუნებით ამბივალენტური ვარ. ბავშვობიდანვე მათემატიკა, ფიზიკა და პოეზია თანაბარი ძალით მიყვარდა. სკოლა რომ დავამთავრე, ძალიან მიჭირდა მათ შორის არჩევანის გაკეთება. მაშინ კორუფცია ჰყვაოდა მისაღებ გამოცდებზე და ერთმა ჭეკვიანმა კაცმა გვირჩია, ტექნიკურ სპეციალისტების შემეტანა განცხადება, რადგან გამოცდების დროს ნიშნების დამწერ ტექნიკურ მოწყობილობასთან გექნებაო საქმე, თორემ წერით და ზეპირ გამოცდებში ქულებს დაგაკლებენ და უმაღლესი განათლების გარეშე დარჩებით... ასე აღმოვჩნდი ტექნიკურ უნივერსიტეტში. დაახლოებით ათი წელი ვიმუშავე საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში. უნდა გახსოვდეს, დისკუსიები იმართებოდა თემაზე „ფიზიკოსები და ლირიკოსები“. უმაღლეს საფეხურზე მთავარში, ისინი ერთმანეთს ჰყვანან. ყველა დიდი მათემატიკოსი და ფიზიკოსი მარტო ლოგიკურ, რაციონალურ აზროვნებასა და ალგორითმს კი არ ეყრდნობა, არამედ ფანტაზიის უნარს, ინტუიციას და ასე აღწევს მიზანს. ლიტერატურის ისტორიამ გენიოსების მაგალითზე იცის იმის უამრავი მაგალითი, როგორ ითავსებს ერთი და იგივე შემოქმედი ორ სრულიად განსხვავებულ სფეროს. ცნობილი ფაქტებია: ომარ ხაიამი თავისი დროის აღიარებული მათემატიკოსი იყო; აინშტაინი მშვენივრად უკრავდა ვიოლინოზე; პოლ ვალერიძი კარგად იცოდა აინშტაინის ფარდობითობის თეორია.

ახლა ჩემთვის როულია იმის თქმა, აკადემიური განათლება რომ მიმედო ფილოლოგიაში, რას მივაღწევდი მწერლობაში; მაგრამ ის, რომ მე ფუნდამენტური ცოდნა არ მქონდა მიღებული ჰუმანიტარულ სფეროში, ათმავად მიზრდიდა ინტერესს, ეს დანაკლისი შემევსო.

ახლა ამ გადასახედიდან ნამდვილად არ მწყდება გული, რომ ჩემი მეორე სიყვარული მთლიანად არ გავწირე და ჩემი ცხოვრების გარკვეული პერიოდი მას მიუუძღვენი.

გ. გ. — გაგვიგრძელდა სიტყვა, დავით... ცხალია, ერთი ასეთი საუბარი ვერ ამოწურავს სათქმელს, რადგან, აქაც კლასიკოსს მოვიშველიებ „ენა ურთულესი ფენომენია... რაც უფრო მეტს დაფიქრდები ამ უცნაური ფენომენის გამო, მით უფრო რწმუნდები, რომ დიდ და ძველ ტრადიციათა მატარებლის ენის შესასწავლად ადამიანის ერთჯერადი სიცოცხლე მოკლეა“ (კ. გამსახურდია)... მაგრამ, სანამ წერტილს დავსვამდეთ, ამ კითხვით შევაჯამოთ ჩვენი დიალოგი: პოეტი ამბობს დედაენის შესახებ: „ქართული ქართველთ რწმენაა, ღმერთია, ბედისწერაო... ეთანხმებით?

დ. შ. — ზუსტი ფორმულირებაა! მართალს ბრძანებს ბატონი მუხრანი: ღმერთია, ბედისწერაა!..

სავაზეთო ვარიანტი დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№6-7, 2022); სრულად გამოქვეყნდა წიგნში „ენა – ულმობელი მსაჯული“ (თბ., 2022).

ნაფილი მეორე

ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო და...

გ. გ. — უგზიუპერი ამბობს: ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო... და, ალბათ, შეიძლება ვთქვათ, მივდივართ... ბავშვობისაკენ!.. ესეც ჭეშმარიტებაა: ასაკის მატებასთან ერთად იქლებს ოცნებები და იმატებს მოგონებანი... ჰოდა, გადავიდეთ ჩვენს ბავშვობაში ... ვერც ამ სინამდვილეს გავექცევით — ბავშვობის შთაბეჭდილებები ყოველთვის ღრმა კვალს ტოვებს სულზე, რაც, გარკვეულწილად, განსაზღვრავს კიდეც ჩვენს პიროვნებას, ბუნებას, ხასიათს. გაიხსენებდით რაიმეს ისეთს, ბავშვობის დროინდელს, რამაც განსაკუთრებული კვალი დატოვა შენში... იყო თქვენს ცხოვრებაში ასეთი რამ?

დ. შ. — მართალს ამბობთ, სწორედაც რომ ასეა. ჩემი ცხოვრების დასამახსოვრებელ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, რომელიც ბავშვობას უკავშირდება. ჩემი ცნობიერება ყველაზე მკაფიოდ ამ ეპიზოდიდან იწყება. კარის მეზობელს ნადი ჰყავდა მოწვეული, სახლი უნდა გადაეხურათ. ვერ ასწრებდნენ. ბინდდებოდა. ზეცა საშინლად მოქუფრულიყო. ძლიერ თავს ხმას აპირებსო, შიშობდნენ, სახურავახდილ სახლში მოსალოდნელი კოკისპირული წვიმა ოჯახის ნივთებს დაგვიზიანებსო. ათი-თორმეტი წლის ბავშვი ვდგავარ ჭიშკართან და ჩემ თვალწინ ხდება ეს ყველაფერი. ამ დროს ერთმა მაღალმა, ჩემთვის უცნობმა კაცმა ჩამოიარა; დააკვირდა, ეზოში რა ხდებოდა. პირით შემოქმედის მაცხოვრის სახელობის ტაძრისკენ დადგა და ილოცა: ღმერთო, ამაღამ კარგი დარი მოიყვანეო!

მართლაც, მალე ცაზე საავდროდ შემართული ღრუბლები გა-
ქრა და ვარსკვლავები გამოჩნდა. ადამიანი სხვა არაფერია, თუ
არა სხვის ტკივილზე თანაგრძნობით მოფიქრალი. სხვა შე-
მთხვევაში ის ბიომასა და ინტელექტუალური ცხოველია. ამ
ამბავმა, გარგვეულწილად, განსაზღვრა კიდეც ჩემი ზნეობრივი
კრედო დ პიროვნებად ჩამოყალიბება.

გ. გ. – ბავშვობა ოქროს ხანაო, ამბობენ, და ათასნაირი
ეპითეტით ამკობენ, მაგრამ არას იტყვიან, როდის მთავრდება
(თუკი მთავრდება...) ჩვენში ის ხანა; ასეც ფიქრობენ, არც
არასოდესო, სადღაც მიიძინებს და გზადაგზა იღვიძებს ხოლ-
მეო... ესეც მახსოვს: ბებიას რომ მივაცილებდით სასაფლაოს-
კენ, აქვითინდა ჩემი სახლიკაცი: დამთავრდაო ბავშვობა... და-
ვით, როდის იგრძენით, რომ ბავშვობა დამთავრდა?

დ. შ. – ბავშვობა დასიზმრებულივით მახსოვს. ზამთრის
ერთ ცივ დღეს, მამაჩემის გარდაცვალებისას, მეზობლები რომ
მოვიდნენ და მოვგისამძიმრეს, რამდენიმე საათის შემდეგ გა-
მიყვანეს გვერდით და მეკითხებიან ქელებთან, დაკრძალვასთან
დაკავშირებულ საკითხებზე. გადაწყვეტილების მიღება უკვე მე
დამეკისრა... მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბავშვობის ასაკს
გაღწეული ვარ, ვდგავარ და აქეთ-იქით უაზროდ ვიყურები...
პასუხს არ ვიძლევი. მგონია, მოვა მამაჩემი და უპასუხებს,
რადგან მანამდე ოჯახის ყველა საკითხს ის წყვეტდა. ჩემში
მამის დრო, მამის ფსიქოლოგიური დრო ისევ გრძელდებოდა.
ვერაფერი ვუპასუხე. მთელი ღამე თეთრად გავათენე ფიქრებ-
ში. დილით უკვე ვიცოდი, რა და როგორ უნდა მემოქმედა,
გონებაში რეტროსპექტულად აღმიდგა, მსგავს შემთხვევებში
როგორ იქცეოდნენ თანასოფლელნი. მეორე დღეს მეზობლებს
გავაცანი ჩემი გადაწყვეტილება. იმ ერთ უძილო ღამეში და-
მთავრდა ჩემი ბავშვობა და გავხდი კაცი. როცა შშობლებს
ვიხსენებ, ვფიქრობ, დედაა ის, რითაც სამყაროს, გარემომცვე-

ლი საგნების პირველი აღქმა იწყება. მამები კი, როგორც ერთი პოეტი ამბობს, დედების ჩრდილში არიან. მამა გვიან მოდის, მამას მაშინ იგრძნობ, როცა გარდაცვლილის სურათს ხელს შეახებ. ისე კი ბავშვობა არასდროს ტოვებს ადამიანს, განსაკუთრებით პოეტებს. ერნესტ ჰემინგუეის გამონათქვამის პერეფრაზირება მოვახდინოთ, პარიზის შესახებ რომ ამბობს: „ბავშვობა დღესასწაულია, რომელიც მუდმივად თან გახლავს“.

გ. გ. — ასე ვთქვათ: დავტოვეთ ბავშვობა, მაგრამ მას არ დავმშვიდობებივართ... ბავშვობასთან შეხვედრები გრძელდება... მეგობარი ქუთაისელი პოეტის ლექსია:

„ჯაჭვის ზიდი, ჯაჭვის ზიდი,
დათოვლილი ვერხვები...
როცა ამ ზიდს გადავივლი,
ჩემს ბავშვობას შევხვდები...“
დავით, როცა გურიაში მიდიხართ, სად გეგებება ბავშვობა?

დ. შ. — ბავშვობა ჩემს ეზოში, ჩემი სახლის წინ მდგარი კახამბლის დიდი ხით მეგებებოდა. შევაღებდი თუ არა ჩემი ეზოს ჭიშკარს, ასე მეგონა, ხელს შემომზევდა და გულში ჩამიკრავდა. ისეთი განცდა მქონდა. რომ ცოცხალი არსება იყო. ნოდარ დუმბაძის ერთი მოთხრობა ასე იწყება: „ხეს რომ დაველაპარაკე პირველად, 14 წლისა ვიყავი“. ჩემი ოდის წინ მდგარი დიდი, ტოტებგანიერი ტკბილი ნაყოფის მქონე კახამბალი, ჩემი სიყმაწვილის ხე სიბერის გამო გახმა, მაგრამ ცულის დასარტყმელად ვერ ვიმეტებდი. არ შემეძლო, ჩემივ ხელით ხომ ვერ მოვჭრიდი საკუთარ ბავშვობას. ბოლოს მოვიდნენ, ვისაც შეშად სჭირდებოდა. ვიდექი სახლის აივანზე და ვუყურებდი, როგორ მიჰქონდათ. ასე მეგონა, მხრებზე გაიდეს და მიასვერებდნენ ჩემს ბავშვობას. წლებთან ერთად მშობლიური სანახების მიმართ ნოსტალგია გამიძლიერდა და ჩემი შე-

მგებებელი ახლა ჩემი სოფლის პატარა მდინარე „აკიშა“, რომელიც, დამინახავს თუ არა, ხელს ჩამავლებს და ბაგშვობასთან მიმაცილებს.

გ. გ. — არ გიბრაზდებათ აკიშა, ზშირად რომ ვერ ახერ-ხებთ მის ნახვას? თავს რომ აღარ უტოლებთ მას? მუხრანი გამახსენდა:

„გადიდგულდიო, აღარ გვეკადრულობ,
აღარ ბანაობ ლაშურაშია.
მე გავიზარდე, შენ პატარა ხარ,
გადიდგულება რა შუაშია?“
გესაუბრებათ ასე აკიშა?

დ. შ. — როცა სოფელში ჩავდივარ, ჩემი ტკბილი თანა-სოფლელები, ახლო მეზობლები, რომელთა ხელშიაც გავიზარ-დე (ისინი ახლა ჭარმავ ასაკში არიან), დანახვისთანავე მომა-ძახებები: რაფერ ხარ, დათოია ბიჭო! ამ დროს პატარა გურუ-ლი ბიჭი იღვიძებს ჩემში, რომელიც, ეტყობა, არც არასდროს წასულა ჩემგან. სოფელში ყოველი ჩასვლა, ჩემი, როგორც მისი უძლები შვილის, ფესვებთან მიბრუნებაა...

გ. გ. — გშვენიერი წიგნი აქვს კარელ ჩაპეკს — „როცა კვლავ პატარა გავხდები“... რა ნატვრაა ეს? პოეტში, იგი რა წარმოდგენას ქმნის?

დ. შ. — კარელ ჩაპეკი პროზაიკოსი იყო, შეიძლება, მას ჰქონდა ასეთი ნატვრა, რომ კვლავ ბაგშვი გამსდარიყო, მაგ-რამ პოეტს ამაზე ოცნება არ სჭირდება, ის ისედაც მარადიუ-ლი ბაგშვია, მუდამ საკუთარ თავში რომ ატარებს ბაგშვობას. სიყმაწვილე ხომ მოვლენების, საგნების პირველი აღმოჩენების განცდაა. პოეტიც სხვა არაფერია, მანაც სრულიად განსხვავე-ბული კუთხით პირველი აღმომჩენის თვალით ჯერ თავად უნ-და შეიგრძნოს და მერე ამგვარადვე დაანახოს მკითხველსაც გარემომცველი სამყარო, მოვლენები. ახლა წლების სინაკლუ-

ლეს რომ არ ვუჩივი, ასაკთან ერთად იზრდება ჩემში ბავშვი. ასეა ზოგადად, სიბერეში ადამიანი უბრუნდება სიყმაწვილეს. გარკვეულწილად ეს პარადიგმაა, ნიცშეანური „მარადიული დაბრუნების“ წრე იკვრება, დასასრული, სიბერე უბრუნდება ბავშვობას, საწყისს.

გ. გ. – ანუ, როგორც ვთქვით: მოვდივართ ბავშვობიდან და მივდივართ ბავშვობისაკენ...

დ. შ. – ასე გამოიდის...

გ. გ. – ისე, მაინც მეჩვენება, რომ ეს „ქალაქელი“ პოეტის ფიქრია. მოდი, ახლა ასე შევხედოთ მოვლენებს: მუხრანს აქვს ასეთი ლექსი:

„რომ არ ამეღო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა,

რომ არ გამეღგა ფეხი ჩემი კაკლის ჩეროდან“... –

გიფიქრიათ ამაზე? ვინ იქნებოდა დავით ტაკიძე? იქნებოდა დავით შემოქმედელი?

დ. შ. – მეც ხშირად მიფიქრია ამ საკითხზე, ჩემი კარის ზღურბლს იქით ფეხი რომ არ გადამებიჯებინა და არ წავსულიყავი დიდ ქალაქში სახეტიალოდ, ვინ ვიქნებოდი ახლა. 1989 წლის ბოლოს, როცა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ-რომანტიკული მოძრაობა პიკს აღწევდა, იმხანად ოზურგეთის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე ვიყვი. ეროვნული მოძრაობის იმუამინდელი აღიარებული ლიდერის აკაკი ბაქრაძის დაუინებული რჩევით არცთუ ისე ახალგაზრდამ, 37 წლის ასაკში, საბოლოოდ გადავწყვიტე დედაქალაქში გადმოვსულიყავი საცხოვრებლად. ო. ჰენრის აქვს მოთხრობა: „გზები, რომელთაც ჩვენ ვირჩევთ“. იქ გატარებულია აზრი, რომ მთავრი ის კი არ არის, რა გზას ავირჩევთ, არა-მედ ის, თუ შინაგანად ვინ ვართ, რა არის ჩვენი ცხოვრების მთავარი არსი. მწერლობა ბედისწერაა. სულზე ერთხელ თუ დაგედო ეს დამღა, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ მოიშორებ.

სოფელში რომ დავრჩენილიყავი, გაცილებით მეტი დრო მექნებოდა ჩემს ეზოში, სანისლებოს მთების წინ დარჩენილს, საკუთარ თავთან, სიტყვასთან, მარადიულზე ფიქრთან განმარტოებისათვის. საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა კი რა მოგახსენოთ... მოხდა ისე, რომ მუდამ საპასუხისმგებლო დატვირთვა მქონდა ქართულ სამწერლო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რასაც უამრავი დრო მიჰყონდა; როგორც მწერალი, ყოველივე ამას, არ შეიძლება, არ დავეზარალებინე. პოეტი ტარიელ ხარხელაური ხშირად მუებნება: „მიკვირს, ამდენი საქმით დატვირთული, ასე მოუცლელი, როგორ ახერხებ წერასო“. ამიტომ, რომ არ გამედგა ფეხი „ჩემი კაკლის ჩეროდან“, დავრჩებოდი მის უდიდესებულობა სიტყვასთან უფრო ახლოს და ერთი გლეხიკაცითაც მეტი ეყოლებოდა ქვეყანას.

გ. გ. – დავით, მოგეხსენებათ, ჩემი მშობლიური სოფელი იმერეთშია, კურსები პქვია. ძალიან დიდი ხნის წინათ წამოვედი ქალაქში. ჩემს სოფელში ჩემიანებთან სადღეგრელოში მითქმაში: ნახევარ საუკუნეზე მეტია წამოსული ვარ სოფლიდან და ფაქტობრივ ერთი დღეც არ მიცხოვრია კურსების გარეშე; ალბათ ვერც მოგახერხებ: მშობლები, და-ძმები, ნათესავ-მეგობრები, ბავშვობა... როგორ იქნება, ამათ დღეში ერთხელ მაინც არ შეგახსენონ თავი... რას იტყვით დავით, ნორმალურია, დამაჯერებელია თქვენთვის ეს ფიქრი, თუ გადაჭარბებული გეჩვენებათ?

დ. შ. – თქვენს დამოკიდებულებაში მისხალიც არ არის გადაჭარბებული. თავზარდამცემი გენიოსის პომეროსის „ოდისეაში“ არის ასეთი ეპიზოდი: ნიმუშა კალიფსო უუბნება ოდისეას, „დათმე სამშობლო – მშობლიური ითაკა და უკვდავებას მოგანიჭებო“. ოდისეასმა უპასუხა: „ითაკას კვამლი მირჩევია თქვენს უკვდავებას!“. ეს მცირე ეპიზოდი მიმაჩნდა მსოფლიო ლიტერატურაში ადგილის დედის, სამშობლოს სიყ-

ვარულის უმაღლეს გამოხატულებად. ერთ შემთხვევას გავიხსენებ, როცა ანზორ ერქომაიშვილს – აღიარებულს, მრავალი მაღალი წოდებებითა და ჯილდოებით დახუნძლულ კაცს – თავისი მშობლიური კუთხის – ოზურგეთის – საპატიო მოქალაქეობა მინიჭეს, აღლდა, სიტყვის წარმოთქმა გაუჭირდა. მაპატიოს მისმა სულმა, გამოვტყდები, მაშინ გავიფიქრე, გასაგებია, მშობლიური კუთხეა, მაგრამ რაღა უნდა უკვირდეს ამ კაცს, მის ქცევაში ცოტა ზედმეტი არტისტიში ხომ არ გამოერია-მეთქი. გამოხდა ხანი, ახლა უკვე მე მომანიჭეს საპატიო ოზურგეთელის წოდება. ვხედავ, ყელში ბურთი მაწვება, ხმა მებზარება, მიკროფონთან მისულმა ძლივს ამოვილულულება ორიოდე სამაღლობელი სიტყვა. ბატონი ანზორის, თქვენი, ჩემი არქეტიპი ერთია, ბიბლიური უძღვი შვილი. ქვეცნობიერში, ზოგჯერ ცნობიერშიც, გარკვეული სინანულის გრძნობა, ცოდვის განცდა თან გდევს კაცს მშობლიური სანახების მიმართ, რომ ერთ დღეს გადმოაბიჯე საკუთარი კარის ზღურბლს და მიატოვე. ამ დროს გაბუტვის ნაცვლად რომ დიდ სითბოს იგრძნობ მშობელი კუთხისაგან, ბუნებრივია, გული გიჩუყდება და ემოციებს ვეღარ მაღავ.

გ. გ. – „უცნაურ“, არაპოპულარულ, კითხვას დაგისვამ: ერთ ჩემს მეგობარს „თბილისელმა ბიჭებმა“ „სოფლელობა“ წამოაძხეს... ჩემმა მეგობარმა უპასუხა, ავიდეთ მთაწმინდაზე და იქ ვილაპარაკოთ ქალაქელობა-სოფლელობაზეო... კითხვა: რა არის შენთვის „თბილისელობა“, ქალაქელობა, და „სოფლელობა?“

დ. შ. – გეოგრაფილი ადგილმდებარეობა არ განსაზღვრავს ამა თუ იმ პიროვნების რაობას. შეიძლება, თბილისში, მეცნიერებათა აკადემიის წინ, დაბადებოს კაცი და იყოს ჭკუასუსტი, ხოლო რომელიმე მიყრუებულ სოფლელში გაჩნდეს გენიოსი, ან, პირიქით. არსით ჩვენ მიწათმოქმედთა ქვეყანა

ვართ, გენეტიკური მეცნიერებით თუ ქვეცნობიერად რაღაც ხარისხით ეს ყველა ქართველში დევს. „სოფლელი“ და „ქალაქელი“ – ეს „ადგილის დედიდან“ გამომდინარე პიროვნებისათვის დამახასიათებელი ეგზოტიკური ნიშან-თვისებები უფროა, ვიდრე აზროვნებისა და ნიჭის მახასიათებელი. მახსოვს, ადრე სატელევიზიო გადაცემა იყო ასეთი: „თბილისი და თბილისელები“. მასში მონაწილეობა მთხოვეს, თბილისელი კაცის მენტალიტეტი ჩემთვის უცხოა-მეთქი და უარი ვუთხარი. მეფე-პოეტი არჩილი ბრძანებს: „თუ დაეცეს გლეხიკაცი, საქართველო დამაბუნდეს“; ქვეყნის მარჩენალსა და გენიოსების სამჭედლო სოფელს ფასდაუდებელი დამსახურება აქვს საქართველოს წინაშე. უცხოეთში გამოთქმაც არსებობს ასეთი: „დიდი პოეტი იბადება სოფელში და კვდება პარიზში“. ისე კი, როგორც ქალაქი, ასევე სოფელი ქვეყნის ხერხემალი და გულია.

გ. გ. – ეს თემა ცოტა საჩოთიროც მგონია, ვფიქრობ, თბილისელობა უფრო მოვალეობაა, ვიდრე უფლება... ისე, აქ ალბათ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ გამოიკვეთა ტენდენცია, „სოფლელი“ ჩამორჩენილის, გამოუსვლელის სემანტიკით გაიაზრონ და „ქალაქელი“ – პირიქით... ამ მნიშვნელობით ტერმინი „გლეხიც“ აქტიურდება...

დ. შ. – ეს უპატივცემულობაა, პროვინციული აზროვნებაა, ჩვენ ყველანი ვალში ვართ გლეხის შრომისაგან დაკოურილი მაღლიანი ხელების წინაშე.

გ. გ. – თქვენს ბავშვობაზე, მშობლიურ სანახებზე ვისაუბრეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს თქვენს მშობლიურ სოფელზე, შემოქმედზე – თქვენი პოეტური ფსევდონიმის საფუძველზე.

დ. შ. – ჩემს სოფელს, ერთადერთს ამ უკიდევანო სამყაროში, ამავე სამყაროს შემქმნელის მამა ღმერთის სახელი ჰქვია – შემოქმედი. სოფლის ცენტრში, მთაზე, კრიმანჭული-

ვით მიხვეულ-მოხვეულ ძნელად ასავლელი აღმართის ზემოთ, მაცხოვრის სახელობის ტაძარია. მთის ძირში – პატარა მდინარეა, აკიშა, რომელსაც, როგორც აქაური უხუცესები ამბობენ, ძველად მისტიკური სახელი: „აქ იშვა“ ერქვა. ამავე მთაზე აღმოსავლეთის მხრით არის გამოქაბული, რომელში შესვლასაც ჩემი თანასოფლელნი ეკრძალვიან, საკრალულ საბურველში თუ გავეხვევით, ჩემში ჰიპერბოლიზებულად წმინდა მიწა, ამ საოცარი ადგილის წინასახეა. მე მაქვს ჩემი გოლგოთა, ჩემი იორდანეს მდინარე, ჩემი ბეთლემი. ხანდახან ისეთი განცდით დავდივარ, რომ სამყაროს შემოქმედის მიწიდან ვარ. ერთი მხრივ, რელიგიური გააზრებით ასეთი ფიქრი მკრეხელობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანი სადაც დაიბადება, იქიდან უმზერს სამყაროს. აქედან გამომდინარე, ქვეცნობიერში მაინც მას აღიქვამს სამყაროს ცენტრად. ამიტომ ერთგვარი სიამაყე მიპყრობს, რომ მე, ერთი ქართველი მწერალი, იმ საოცრად იღუმალ სამყაროში დავიბადე, შემოქმედი რომ ჰქვია.

* * *

გ. გ. – „პოეტი დავით შემოქმედელი“ – რა განცდას იწვევს თქვენში ეს სიტყვათშესამება? საკუთარი თავის აღქმა პოეტად ძნელია თუ ადვილია? როდის ხდება ეს?

დ. შ. – ანა კალანდაძე ერთგან ამბობს, მთარგმნელიც ისევე იბადება, როგორც პოეტი და პროზაიკოსიო... ანუ: პოეტი იბადება... სხვა საკითხია, როდის აღიქვამს კაცი თავს პოეტად და რამდენად ობიექტურია ის ამ შეფასებაში. ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „ღმერთო, მაპატიე პოეტობის სურვილი“. პოეტურ სიტყვასთან შეჭიდებას იმდენად ამაღლებულ, საკრალულ მნიშვნელობას ანიჭებდა გრანჯლი, რომ ერთგან თვით გალაკტიონ ტაბიძეზე ამბობს: „გალაკტიონმა დაიმსახურა პოეტის სახელი“. იაპონელი მხატვარი, უკიიოს სკოლის უდიდესი წარმომადგენელი კაცუსიკა პოკუსაი 89 წლის ასაკ-

ში წერდა: „ვკვდები და ხატვა ახლა ვისწავლეო“ . ერთ უკრა-ინელ პოეტს, სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს, იმდენად დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა წერის მიმართ, რომ საკუთარი ნაწერის შეხედვა აშინებდა, ამბობდნენ, სიბნელეში წერდათ. ლევ ტოლსტოის უთქვაში თავის იურისტ ძმაზე: „ჩემი ძმა ჩემზე ნიჭიერი იყო, მაგრამ თავხედობა არ ეყო მწერლობისთვის“.

ამდენი მაგალითი ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიდან იმიტომ მოვიყვანე, რომ ასეთივე საკრალურია ჩემთვის სიტყვა „პოეტი“. საკუთარ თავზე იმისი წარმოდგენა, რომ პოეტი ვარ, შესაძლოა, ილუზიური, ცრუ განცდა იყოს. მთავარია, მკითხველმა როდის იგრძნო, რომ პოეტი ვარ. ვფიქრობ: ცა, ვარსკვლავები, ბალაზი, კენჭი, ნამი... არის პოეზია და მე მისი უხეირო გადამწერი.

გ. გ. – როდის იგრძნით, ვიღაც თუ რაღაც ლექსის დაწერას რომ გთხოვდათ და გაიძულებდათ. ანა კალანდაძე ძალიან ლამაზად ჰყვება, როგორ დაიწერა პირველი ლექსი („ბადრი მთვარე“) ... დავით ტაკიძეს ახსოვს ასეთი დღე? ახსოვს პირველი ლექსი?

დ. შ. – სულ მუდამ ისეთი განცდა მაქვს, დავიბადე და ვწერ... ამიტომ ვერ გეტყვით, როდის დავწერე პირველი ლექსი. სამაგიეროდ მახსოვს, რა იყო მიზეზი, რამაც პირველად პოეზიასთან მიმიყვანა. ბავშვობაში მეზობლად ცხოვრობდა ას წელს მიტანებული ტკბილი მოხუცი გრიგოლ ჩიტაიშვილი. ეტყობა, მგრძნობიარე გული ჰქონდა და ჩვენთან, ბავშვებთან, უყვარდა მეგობრობა. ერთ დღეს მითხრეს, გარდაიცვალათ. დაკრძალვაზე ვარ მისული, შეიდგეს მხრებზე კუბო და მიჰყავთ. მანამდე არ ვიცოდი, რა იყო სიკვდილი, პირველად შევხვდი ასე ახლო. გაოცებული ვარ, ვკითხულობ: სად მიჰყავთ, რა არის იქ, ვისთან უნდა მივიდეს? პირველად ვტირი სხვის

გამო. სწორედ იმ დღეს დავწერე პირველი ლექსი. პოეზიაც ხომ თანალმობაა, სხვისი ბედის, სხვისი ტკივილის თანაგანცდაა. მესიერებას ეს ერთი სტროფი შემორჩა...

ვტირი. პირველად შევეფეთე
ამ უცნობ სიკვდილს,
სად მიჰყავთ, ბაბუ, რა არის იქ,
ან ვისთან მიდის...

გ. გ. —ანა კალანდაძე ვახსენე: იგი არასოდეს არ ამბობს, რომ ლექსი დავწერეო; „ეს ლექსები ასე გახმიანდა ჩემშიო“... „მხოლოდ ასე მეწერებოდაო“... რას იტყვის დავით შემოქმედელი ამ პროცესზე, რატომ წერს?

დ. შ. — ტერგზი გრანელი წერდა: „სურვილი მაქვს ვარსკვლავებთან ვცხოვრობდე და იქიდან ვუგზავნიდე წერილებს ჩემთვის საყვარელ ადამიანებსო“. ხანდახან, როცა მეკითხებიან, რატომ წერ, ალბათ იმიტომ, რომ მეც მინდა ჩემი ხმა მივაწვდინო ამ აფორიაქებული და აწრიალებული სამყაროს გვირგვინს – ადამიანს. იყო ასეთი მხატვარი პორტინარი, რომელიც მხოლოდ ცისფერს ხატავდა. სიცოცხლისათვის საშიში საღებავებით ხატავდა იგი ამ ცისფერს. ექიმები უშლიდნენ, ურჩევდნენ, რომ თავი დაეწებებინა, მაგრამ მაინც არ დაიშალა. იგი ერთობ ახალგაზრდა (28 წლისა) გარდაიცვალა, მაგრამ დარჩა პორტინარის განუმეორებელი „ცისფერი“. მე ბედნიერი ვიქნები, თუ ასი წლის შემდეგ ჩემი ერთი წიგნი, თუნდაც ერთი ლექსი მაინც დარჩება, რომელსაც ამ სამყაროში ჩემი საკუთარი ფერი, ჩემი ხმა ერქმევა.

მწერლობა ბედისწერაა.

მწერლობა ჯამია საკუთარი სულიერი ბიოგრაფიისა და სხვად ქცევის შედეგად დაგროვილ ემოციათა მიტანისა მკითხველამდე.

გ. გ. — საინტერესოა; შთაგონებასთან დაკავშირებით მწერლობასა და ხელოვნებაში იქნებ გვითხრათ დამატებით რა-იმე?

დ. ჰ. — შთაგონების სამი სახე არსებობს: 1. მუზა, 2. დუენდე, 3. ანგელოზური ხელოვნება. ეს კლასიფიკაცია მოგვცა ესპანელმა პოეტმა გარსია ლორკამ; მან ეს თვალსაზ-რისი ჩამოაყალიბა მოხსენებაში — „დუენდე — თეორია და თა-მაში“, რომელიც პავანაში 1930 წელს წაიკითხა. აი, ეს სა-მი სახეობა:

1. მუზა, რომელიც მოულოდნელად, ჩვენს დაუპატიჟებ-ლად გვეწვევა ხოლმე, და არავინ იცის, საიდან სად წაგიყ-ვანს. მითოლოგიურად — ესაა ზევსისა და მეზიერების ქალ-ღლერთის მწემოსინეს 9 ქალიშვილი — 9 მუზა. ეს მუზა — ქალღლერთები ყველა დროის პოეტების შთაგონების წყარო იყ-ვნენ. ისინი მოხსენებული არიან პომეროსის „ილიადა“ და „ოდისეაში“. ისინი ლიტერატურას, ხელოვნებასა და მეცნიე-რებას მფარველობდნენ. სხვათა შორის, მუზებს პქონდათ თა-ვიანთი ტაძრები, რომლებიც მუსეინებად იწოდებოდა (აქედან წამოვიდა სიტყვა „მუზუმი“).

2. დუენდე — ესპანურად ნიშნავს არაბოროტ დემონს, რომელიც მფარველობს ფუძეს (ჩვენებური „ფუძის ანგელოზი“ ან „ადგილის დედა“). ეს არის ერთგვარი სისხლის კულტუ-რა. ლორკა ამ ტერმინს ხმარობს ხელოვნების დიონისური სა-წყისის გამოსახატავად (აპოლონურის საპირისპიროდ). დუენ-დე არის „სული მიწისა“ (ლორკა). დუენდე არის ფუძის ან-გელოზის კულტურა; გასაგებად რომ ვთქვათ, ვერავინ იცეკ-ვებს ტანგოს იმ ენერგეტიკითა და ისე, როგორც ესპანელი ან არგენტინელი; ვერც ისე ექსპრესიულად — ლამბადას, რო-გორც ბრაზილიელი. ჩვენი მაგალითი რომ მოვიყვანო, ვერავინ იმღერებს მზის ღვთაების საგალობელ ჰიმნ „ლილეს“ სვანე-

ბის მსგავსად, „კრიმანჭულს“ – გურულივით და „ნანას“ – მე-გრელივით....

3. და ბოლოს, ანგელოზური კულტურა. ესაა კულტურა, რომელიც ამაღლებულთან, უფალთან ზიარებაა; ვთქვათ, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელისა და სხვა ასეთ ცისნაბადთა ხელოვნება.

ლორკას საინტერესო დაკვირვება აქვს სამივე მიმართებით: „ყოველგვარ ხელოვნებას და ყველა ქვეყანას ძალუშს ფლობდეს დუენდე-ს, ანგელოზურ კულტურასა და მუზას. ოუგერმანია (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ფლობს მუზას, ხოლო იტალია მარადის ინარჩუნებს ანგელოზს, ესპანეთს ყოველთვის ამოძრავებს და წარმართავს დუენდე“.

გ. გ. – დავით, ოუგიფიქრიათ, „გარსია ლორკას პრინციპი“ როგორ მოქმედებს ქართულ სინამდვილეში (გაკვრით ითქვა, მაგრამ...)?

დ. შ. – 1. მუზა (ოუშეიძლება ასე ითქვას, მუზის კულტურა). ლიტერატურა, ხელოვნება, რომელიც მყისიერ შთაგონებაზეა დამოკიდებული. ასეთია თითქმის მთელი ჩვენი საერო მწერლობა (მცირე გამონაკლისის გარდა). 2. რაც შეეხება დუენდე-ს, ადგილის დედის, ფუძის ანგელოზის ხელოვნებას, როგორც ზემოთ ვთქვით: გურული – „კრიმანჭული“, მეგრული – „ნანა“, სვანური „ლილე“, კახური – „ჩაკრულო“, აჭარული – „განდაგანა“ და სხვა მრავალი... 3. ხოლო ანგელოზურ კულტურასთან მიმართებით: ქართულ ტაძართა კედლის მხატვრობა – მთელი ჩვენი ფრესკული ხელოვნება „ყინწვისის ანგელოსით“ დაწყებული ნებისმიერი ფრესკული შედევრით დამთავრებული, უნიკალური უძველესი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლები, უძაღლესი სასიმღერო კულტურა – ქართული საგალობლები, არამიწიერი შემოქმედება – ჩვენი ჰიმნოგრაფია...

გ. გ. — დავით, წერის დროს პოეტი ფიქრობს მკითხველზე, ამ დროს მკითხველს აქვს თავისი როლი, ახსოვს პოეტს მკითხველი ლექსის წერის დროს, სხვაგვარად რომ ვთქვა, ლექსის წერისას მკითხველი ახდენს პოეტური აზრის „კორექტირებას“

დ. შ. — საგულისხმო მოსაზრებას გვთავაზობს, ლოგოცენტრისტული თეორიის მიხედვით, დეკოსტრუქტივიზმის ფუძემდებელი მეოცე საუკუნის დიდი ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ დერიდა, მისი აზრით, „წერა არის გარკვეული ტიპის არყოფნა, რადგან მკითხველთან არ ხარ. მკითხველს და მწერალს რომ ერთდროულად ეარსებათ, მაშინ მწერალი კონტაქტს მკითხველთან მეტყველებით დაამყარებდა. წერა არის მეტყველების შემცველი, და წერა არის მეტყველების არსებობა — აღდგენა“. არიან მწერლები, რომელთაგან მომისმენია, რომ თხზვის პროცესში მუდმივად არიან თავიანთ მაღალგემოვნებიან მკითხველთან, ერთგვარად მასზე ცდიან თავიანთ შემოქმედებით ნაღვაწს, მას აბარებენ ანგარიშს. მე პირადად წერის დროს მხოლოდ საკუთარ თავში ვარ ჩანთქმული.

გ. გ. — დავით, ნუ მიწყენთ, თქვენთვის საჩოთირო კითხვას თუ დაგისვამთ: რამდენად გჯერათ, რომ თქვენი შემოქმედება დროს გაუძლებს, როგორც იტყვიან, „მარადისობასთანაა წილნაყარი“. წერთ, კიდეც ერთგან: „ვწერ, მხრებით ვიჭერ სიტყვების ზვავს და დუელში ვიწვევ მარადისობას“.

დ. შ. — სიტყვებთან ბრძოლა, მარადისობასთან დუელია. ყველა შემოქმედი, რომელიც კალამს ხელში აიღებს და საწერ მაგიდასთან ჯდება, ამით მარადისობას ესვრის ხელთამანს, მას იწვევს დუელში, დუელში, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მწერლის მარცხით მთავრდება. ჩემს შემოქმედებით ნაღვაწთან დაკავშირებით წმინდად ამბივალენტური დამოკიდებულება მაქვს. ხან ვფიქრობ, მთელი ეს ჩემი ნაღვაწი, ავლადი-

დება, მთელი ეს ფართიფურთი და ფორიაქი, სულ ზედმეტია, გროშის ფასიც არა აქვს-მეთქი; ხან კი ისეთი მწერლური მკრეხელობა, თავდაჯერებულობა ამიტანს, რომ, ვფიქრობ, სამყაროს უკანასკნელ მკითხველსაც კი სულს შეურჩევს ჩემი სიტყვა. ისე კი შემოქმედების მარადისობის ცნება არასწორად ესმით. დიონისე არეოპაგელი განმარტავს: „მხოლოდ ღმერთებს შეიძლება ეწოდოს მარადიული, ხოლო შემოქმედების მარადისობა არის მარადისობა, რომელიც არის რაღაც შუალედური დროსა და მარადისობას შორის“.

მხოლოდ დიდი შემოქმედება არის არარადან ყოფიერში გადასვლა. ამისი გაცხადებაა ეს ნააზრევი: „მხოლოდ შემოქმედებას გადავყავართ არყოფნიდან ყოფნაში“ (პლატონი).

ვთქვათ ისიც, რომ მწერალს ხშირად გაზვადებული წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე; ეს, ერთი მხრივ, ცუდია, რადგან რეალობას აცდენილია, უცხოთა თვალში ის ირონის საგნად აღიქმება, მაგრამ, მეორე მხრივ, აუცილებელია... მწერალმა რომ ბოლომდე გაიაზროს, რა შედევრები დაწერილა მწერლობის გაჩენის დღიდან აქამომდე მსოფლიო ლიტერატურაში, შესაძლებელია კალამს ხელი საერთოდ არ მოჰკიდოს. გაზვადების თემასთან დაკავშირებით გეტყვით: სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო ვარდგეს პეტროსიანი. ერთხელ თბილისში უკითხავთ, თქვენ სომხეთში მერამდენე მწერალი ხართო. არც დაფიქრებულა ისე უპასუხია, მეორეო. „ეს რა თავხედი ყოფილა, რამხელა წარმოდგენა პქონია საკუთარ თავზეო“, – „აღმფოთებულან“ ქართველი მწერლები და უკითხავთ, პირველი ვინაა, შენ თუ მეორე ხარო. – „პირველები ბევრი არიანო“... მახვილგონივრულად მიუგია პეტროსიანს.

ისე კი სამი სახის მწერალი არსებობს. 1. პიროვნება მეტია, ვიდრე მისი შემოქმედება. 2. შემოქმედება ავტორზე დიდია. 3. მწერალი და შემოქმედება თანაბარია.

გ. გ. — ისე საინტერესოა, რა საზომით იზომება პიროვნება და მისი შემოქმედება, მაგრამ ნუ წავალთ ასე „შორს“... აქვე მაინც მინდა ჩაგეკთხო: დავით შემოქმედელი რომელია?

დ. შ. — თქვენ წარმოიდგინეთ და არ ვიცი. მე არც ჩემი საზოგადო საქმეების აწონვა შემიძლია, მით უფრო ჩემი შემოქმედების მნიშვნელობის განსაზღვრა.

გ. გ. — მკითხველი უპირატესად იცნობს პოეტ დავით შემოქმედელს; არსებობს პროზაიკოსი დავით შემოქმედელი... მიუხედავად იმისა, რომ მკითხველი უმეტესად პოეტს იცნობს, პროზაიკოსმა შემოქმედელმა თავისი ადგილი უკვე მოიპოვა სამწერლო სივრცეში; გამოდის წიგნები, ითარგმნება უცხო ენებზე... თქვენი ერთი მოთხრობა „ცოდვის ტირილი“ სასკოლო დამხმარე სახელმძღვანელოშიც კი არის შეტანილი... პროზაიკოს დავით შემოქმედელს ყველაზე მეტად რა პრობლემები აღელვებს?

დ. შ. — კი ბევრი თემა და პრობლემა მაწუხებს. გამოვყოფი არჩევანის პრობლემას. რა გზას ირჩევენ პერსონაჟები, ეს განსაზღვრავს კიდეც სამომავლოდ მათ ცხოვრებას. ამასთანავე, მაინტერესებს მოძალადისა და მსხვერპლის პრობლემა. რაც ორი სახისაა, ან პიროვნებაა მოძალადე და საზოგადოება — მსხვერპლი, ან, პირიქით, საზოგადოებაა მოძალადე და პიროვნება — მსხვერპლი.

გ. გ. — დავით, ისეთ საკითხებზე გადავედით, მოდით, ამ კითხვასაც დაგისვამთ, როგორც პოეტსა და პროზაიკოსს: თქვენი აზრით, რა არის მთავარი განსხვავება პოეზიასა და პროზას შორის?

დ. შ. – პოეზიაში რაზედაც ან ვისზედაც არ უნდა წერდეს ავტორი, მან საკუთარი „მე“ უნდა აჩვენოს, საკუთარი მსოფლგანცდა, მისეული სამყარო უნდა მიიტანოს მკითხველამდე. პროზაში კი, პირიქით, საკუთარი თავი უნდა გააქროს, გათქვიფოს იგი წმინდანსა თუ მომაკვდავ მოხუცმი, ქურდსა თუ ბერში და ა. შ. ... ყველგან უნდა შესახლდეს. მამაკაცმა მწერალმა მშობიარე ქალის ტკივილებიც იმავე განცდის სიმძაფრით უნდა გადმოსცეს, ქალი რომ განიცდის.

პროზის რიტმთან დაკავშირებით კი ვიტყვი ორიოდ სიტყვას. პროზაულ ტექსტს პოეზიისაგან განსხვავებული, მნელლად შესამჩნევი, მაგრამ საკუთარი რიტმი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. უცხოურ ლიტერატურულ კრიტიკაში ხშირად იწერება წერილები, მათ შორის მონოგრაფიებიც პროზის რიტმზე, ქართულ სალიტერატურო სივრცეში მსგავსი კვლევები ერთობ ცოტაა.

პროზასა და პოეზიას შორის განსხვავებაზე საინტერესო მოსახრება აქვს ინდოელ სულიერ მოძღვარსა და ფილოსოფოს შრი ნიმუშის (1931-2007 წ.წ.) – „პროზას ადამიანები წერენ, მაგრამ პოეზიას ღმერთი წერს ადამიანის მეშვეობით“.

გ. გ. – შევცვალოთ თემა... დავით, ჩვენი თაობა დიდი ისტორიული პროცესის მონაწილე გახდა: მე-20 საუკუნის ბოლოს დამთავრდა კომუნისტური დიქტატურის ეპოქა... და გადავედით სრულიად ახალ საბაზრო ეკონომიკაზე... ეს ცვლილებები შემოქმედებით ინტელიგენციასაც შეეხო... რას იტყვით, როგორ დაახასიათებდით ამ პროცესს?

დ. შ. – ო, ეს დიდი თემაა. ვეცდები, შედარებით მოკლედ გიპასუხოთ. ერთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაცია იდან მეორეში გადასვლა ყოველთვის მტკიცნეულია. ასე გახლდათ საქართველოს შემთხვევაშიც, რამაც გამოიწვია მძლავრი რყევები არა მარტო პოლიტიკური სტაბილურობის,

ეკონომიკური და სხვა კუთხით, არამედ განსაკუთრებით რთულად აისახა ეს ადამიანთა ცნობიერებაშიც. რომანტიკულ-ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყის ეტაპზე ჩვენ ვერ შევძელით მოჭარბებული ემოციური პატრიოტიზმი შეგვეცვალა რაციონალური პატრიოტიზმით. ჩვენი კულტურული ცნობიერების ცენტრი რუსეთი, მოსკოვი, გახლდათ. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან უნისონში უნდა იყო და არ შეიძლება, რა მაღალი კულტურის მატარებელიც უნდა იყოს, სხვა ქვეყნის კულტურულ სივრცეს, მსოფლმხედველობრივად, მხატვრულ-ესთეტიკური და სააზროვნო სისტემით მიება, მით უფრო, თუ იმ ქვეყნის მიერ ოკუპირებული ხარ. ჩვენში საზოგადოების ნაწილისათვის ევროპული და ამერიკული ღირებულებები – მხატვრული, სულიერი, ესთეტიკური ფასეულობები გოვთესა და თომას მანის, ფოლკნერისა და სტეინბეკის დასავლეთი კი არა, ქუჩური ევროპა და ქუჩური ამერიკა, რაც მასობრივი კულტურის თანმხვდრია; რასაც ელექტრონული თუ ბეჭდური მედიასაშუალებები ყოველდღიურად გვჩრიან და ფართო პოპულარიზაციას უწევენ. ჩვენ უნდა დავადგინოთ, რა არის ჩვენი ქვეყნის განვითარების ბუნებრივი გზა, სამოქმედო სტრატეგია. რომელიც ეროვნულ ტრადიციაზე დაყრდნობით მუდმივად სრულ თანხმობაში უნდა იყოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან. ტრადიცია-მეთქი, ვახსენე, მაგრამ, ამასთან ერთად, საქართველო მუდმივად მიმართული უნდა იყოს განახლებისაკენ. ეს საკითხი ყველაზე ზუსტად, მეტაფორულად ახსნა ქართველმა კლასიკოსმა გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგში“. გველი იცვლის პერანგს, მაგრამ გველი გველადვე რჩება. საქართველოც უნდა განახლდეს, მოხდეს მისი ექსტრაპოლაცია, თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს მხარი უნდა აუბას, მაგრამ არსით დარჩეს საქართველო.

გ. გ. — დავით, გვისაუბრია ამ თემაზეც: სამყარო დიდია; მსგავსი პროცესები, ცვლილებები, გარდატენები ყველგან ხდება... ნაცნობი პროგრესული სახელმწიფოებიდან, მაინც რომელ ქვეყანას გამოარჩევთ, რომელს მიიჩნევთ მისაბაძად, სანიმუშოდ?

დ. შ. — ზემოთაც გავიხსენეთ მუხრან მაჭავარიანის ამაყი შეძახილი: „არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა კი...“ მიბაძვა არა, ბატონო, მაგრამ ჩვენზე წინ წასული, დაწინაურებული ქვეყნის გამოცდილების გაზიარება არ გვაწყენდა. ჩემთვის ასეთი მისაბაძი მაგალითი არის იაპონია, რომელმაც შეინარჩუნა საკუთარი რელიგია სინტოზმი და მკვეთრად ორიგინალური ეროვნული ფორმის კულტურა, იქნება ეს იაპონური პროზა, კინო — გენიალური აკირა კუროსავა და სხვები, კაბუკის თეატრი და ა.შ. ხოლო შინაარსით, ტექნიციზმის განვითარების დონით იაპონია მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე, თანამედროვე სუპერსახელმწიფოა. ჩვენთან კი, პირიქით, ქართული კულტურა უმრავლეს შემთხვევაში უარს ამბობს საკუთარზე, თავისთვის ნიშანდობლივ ფერზე, ბერაზე, რითაც საინტერესოა დანარჩენი სამყაროსათვის, და ბაძავს დასავლურ კულტურას, ნელა და თანდათან ყალიბდება მეორეულ კულტურად, ხოლო მაღალი ტექნოლოგიების განვითარების ხანაში ისევ ფეოდალური ეპოქის ურმით მივჩანჩალებთ. ქართული პოლიტიკური ელიტის, საზოგადოების პრობლემა უპირველესად აზროვნებაშია. აუცილებელია, სინთეზურად ერთდროულად გვქონდეს, როგორც ეროვნული, ასევე სახელმწიფოებრივი ცნობიერება. დაკვირვებული ხართ, ალბათ, მე ხშირად ვხმარობ სიტყვა ცნობიერებას, რადგან მიმაჩნია, რომ მთავარი და პირველადი ცნობიერებაა.

გ. გ. — ჰოდა, შემდეგი კითხვაც ეს იქნება: საერთოდ ამ თემაზე ბევრს საუბრობენ, თუმცა მთლად ნათელი ყოველთვის

არაა მსჯელობა (პრობლემის სირთულე განაპირობებს ამას უპირველესად)... მოკლე კითხვა (ვრცელი პასუხის მოლოდინით): როგორ გესმით ეროვნული ცნობიერება?

დ. შ. – გასული საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ეროვნული სახელმწიფო გვქონდა. ეროვნული სახელმწიფო რომ გვქონდეს, საჭიროა რამდენიმე კარდინალური მიმართულებით ეროვნული სახელმწიფო დოქტრინა. მაგალითად: სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების ეროვნული დოქტრინა, ასევე განათლების, ჯანდაცვის, კულტურის და ასე შემდეგ დოქტრინები. ეს იქნება ქვეყნის განვითარების მთავარი მაგისტრალური ხაზი. ამაზე უნდა შეთანხმდნენ, ერი, ბერი, ხელისუფლება და ოპოზიცია, რაზე-დაც საკაცობრიო ღირებულებებთან უნისონში უნდა დაშენდეს ქართული სახელმწიფო. შესაძლოა, ამ დოქტრინებში დრო-დადრო მოხდეს ტაქტიკური სახის ცვლილებები, მაგრამ ძირი-თადი ხაზი, სტრატეგია, ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა იყოს უცვლელი. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: რომ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში რუსთაველის საზოგადოებამ შეიმუშავა ეკონომიკის განვითარების ეროვნული კონცეფცია, დოქტრინა. აქ ერთი აუცილებელი შენიშვნა უნდა გავაკეთო. მიუხედავად იმისა, რომ სამომავლო სტრატეგიული ხაზის მონიშვნა წინსვლის აუცილებელი პირობაა, ეს მანც არ არის საკმარისი. საჭიროა ურთიერთშე-თანხმებით ქვეყნის ყველა ძალამ იღვაწოს ამ მიმართულებით, ხოლო მთავარი მიზნის მისაღწევად ტაქტიკაში აზრთა სხვა-დასხვაობა დასაშვებია. წინა პასუხში ვთქვი და ისევ გავიმეორებ, საჭიროა ქართველი ერის ბუნებრივი განვითარების გზის პოვნა და იმ მიმართულებით სვლა სამომავლოდ.

გ. გ. — მაპატიეთ, ჩაგეკითხებით: ეს ახალი გზაა თუ დაკარგული გზის ძიებაზეა საუბარი?

დ. შ. — ჯერ კიდევ როდის შეგვახსენა გალაკტიონ ტაბიძემ: „დაკარგულია გზა მოხევესი“ ანუ წარსულთან ფესვები ჩაწყვეტილია. დღეს ჩვენ გვჭირდება გზა, რომელიც წარსულთან იქნება უნისონში, თან მთელი სიგრძე-სიგანით ითავისებს სადღეისო საფიქრალს და მონიშნულია სამომავლო გეზი.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ეროვნულ ცნობიერებადაკარგული ხალხი ქმნის იმ ნიადაგს, რომელზედაც სხვა ხალხები დამკვიდრდებიან.

აქ იმის აღუნიშნაობაც არ ეგების, რომ გასული საუკუნის ბოლოს, 1989 წელს, ქართულ ეროვნულ-რომანტიკულ განმათავისუფლებელი მოძრაობის პიკის დროს, ამ წმინდა საქმეში თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ლიდერს, რომელიც პროფესიით ჰუმანიტარი არ ყოფილიყოს. სამი სააზროვნო სისტემიდან — 1. სამართლებრივი, 2. ეკონომიკური, 3. კულტურული — პირველი ორი ჩამორჩა მესამეს. ეს ნაკლოვანი სახელმწიფოებრივი აზროვნებაა. თუ ხელოვნებასა და მწერლობაში კულტურული ცნობიერება აუცილებელია, პოლიტიკაში მარტო კულტურული ცნობიერებით ფონს ვერ გავალთ...

გ. გ. — სახელმწიფოებრივი ცნობიერება? რას იტყვით ჩვენს სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე.

დ. შ. — 1555 წლის ირან-თურქეთის ზავის შემდეგ, როცა ორმა მტაცებელმა სახელმწიფომ საქართველოში გავლენის სფეროები გადაინაწილა, ამან ჩვენი სახელმწიფოებრივი ცნობიერება დაკანინა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სახელმწიფოებრივი ცნობიერების მკაფიო ისტორიული მაგალითი: როცა სოკრატესთან მივიდნენ მისი მეგობრები იმ მიზნით, რათა იგი ციხიდან გაეპარებინათ, მან უარი განუცხადა შემდეგი მოტი-

ვით: „იქნებ გგონიათ, რომ არ შეიძლება შეირყეს სახელმწიფო, სადაც სასამართლოს განაჩენს არავითარი ძალა არა აქვს და სადაც მისი აღსრულება და გაუქმება კერძო პირთა ნებასურვილზეა დამოკიდებული“.¹ ისტორიაში სხვაც არაერთი მაგალითი არსებობს, სახელმწიფოებრივი ცნობიერების ნიმუშად რომ გამოგვადგება. ასეთია ეპიზოდი აბრამ ლინკოლნის ცხოვრებისა: მას მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე ჰყავდა ერთი ოპოზიციონერი, რომელიც თითქმის ყველა მის მოქმედებას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. როცა ლინკოლნი პრეზიდენტი გახდა, ყველა ელოდა, რომ ის ამ პიროვნებას თავიდან მოიცილებდა, მაგრამ ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა თავისი ოპონენტი ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრად დანიშნა. აბრამ ლინკოლნი კი თავის გადაწყვეტილებას ასე ასაბუთებდა: ის კაცი ჩემი ოპოზიციონერია, მაგრამ, ამავე დროს, პატრიოტია და სამსედრო საქმის საუკეთესო სპეციალისტიო. მართლაც, იმ პიროვნებამ უდიდესი ამაგი დასდო ამერიკის სამსედრო ძლიერების განმტკიცების საქმეს. ჩვენთან პირიქით მოხდებოდა, პრეზიდენტად მოსვლისთანავე ჩვენი მმართველი თავის დაუძინებელ ოპონენტს საპატიმროს გზას გაუყენებდა. ჩვენს სინამდვილეში სახელმწიფოებრივი ცნობიერების სინაკლულის მკაფიო მაგალითია ის, თუ რამსელა სხვაობაა, ერთი მხრივ, კერძო საკუთრებასა და, მეორე მხრივ, სახელმწიფო საკუთრებას შორის. გაწკრიალებული ბინების ფონზე დანაგვიანებულად გამოიყურება საერთო სადარბაზოები, სკვერები, ბაღები, ტყეები.

ჩვენი ისტორიიდან მინდა ერთი მტკიცნეული ფაქტი გავიხსენო: არცთუ ისე შორეულ წარსულში, მეხუთმეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში, სიტყვა ქართველი გულისხმობდა არა ზოგადად ქართველს, არამედ მის ერთ ნაწილს – ქართლელს.

ილია გულისტკივილით ამბობდა: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდაო“...

ამ ეროვნული კატასტროფის დროს ერის გამაერთიანებლის დროშით გამოდის ქართული ენა და ქართული ქრისტიანული სარწმუნოება; დიდი ქართული მწერლობა.

ავილოთ ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ზე-სახელმწიფოს, მაგალითი. იქ ვერ წარმოუდგენიათ, რომ წარმოშობით იტალიელს ეთქვას, მე ვარ იტალიელი; ის ამბობს, მე ვარ ამერიკის მოქალაქე. მათთვის ეთნიკური კუთვნილება მეორეხარისხოვანია, სახელმწიფოებრივი — პირველხარისხოვანი. ამიტომ არის დასავლეთში უფრო ძლიერი სახელმწიფოები. ჩვენთან ერი და ეთნოსი განუყოფელია.

გ. გ. — და მაინც, როგორ მიგაჩნიათ, ერისა და ეთნოსის ასეთი განუყოფლობა უარყოფითი მოვლენაა ჩვენთვის თუ დადებითი?

დ. შ. — ამგვარი ცნობიერება, ერთი მხრივ, ასუსტებს ჩვენს სახელმწიფოებრივ აზროვნებას, გვიშლის ხელს შეკვეთ ძლიერი სახელმწიფო; ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ ხომ სახითათო გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში მოქცეული ქვეყანა ვართ. მაგრამ აქვს დადებითი მხარეებიც. 1. ვართ მცირე ერი. 2. გლობალიზაციის პირობებში გვიწევს მასკულტურის შემოტევისაგან თავდაცვა. ამ დროს ეროვნულობისადმი მძაფრი ემოციური დამოკიდებულება ჩვენი დამცავი ფარია, რათა ეთნიკურმა ქართველებმა სულიერი იდენტობა შევინარჩუნოთ.

გ. გ. — და კიდევ, მიმართება ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა; რა შედეგს მოგვცემს ამათი „აცდენა“.

დ. შ. — ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების სინთეზი აუცილებელია, აქსიომაა და არაფრით მათი დანაწევ-

რება არ შეიძლება. ადამიანში ეს ორივე ცნობიერება თანაბარი დოზით უნდა იყოს შერწყმული. სახელმწიფოც უნდა ეყრდნობოდეს გათანაბრებულ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. თუ მხოლოდ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას დავყდნობით, მაშინ, შესაძლოა, მივიღოთ ზეძლიერი სახელმწიფო, მაგრამ ის არ იქნება ეროვნული, კარგი გაგებით, ნაციონალური ინტერესების გამომხატველი და ხელში შეგვრჩეს სახელმწიფო, როგორც ადამიანის ჩაგვრის, ადამიანის უფლებების დარღვევის მძლავრი სისტემა. სახელმწიფო მმართველობის ფორმის მიხედვით, 11 კატეგორიიდან საბოლოოდ მივიღებთ ან აბსოლუტურ მონარქიას, რომლის დროსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთადერთი მატარებელია სახელმწიფოს მეთაური – მონარქი, ან ავტოკრატიას, სადაც მთელი ძალაუფლება ერთ ადამიანს უკავია, ან დიქტატურას, სადაც დიქტატორი მართავს სახელმწიფოს, ან პლუტოკრატიას, რომლის დროსაც სახელმწიფოს მართავს გაბატონებული კლასის ყველაზე მდიდარ წარმომადგენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. დაახლოებით ამგვარივეა ოლიგარქიული სისტემა.

რაც შეეხება მარტო ეროვნულ ცნობიერებას, სახელმწიფოებრივი ცნობიერების უქონლად ის შეიძლება შევადაროთ დათვის სიყვარულს თავისი ბელისადმი, დათვისა, რომელსაც თავისი ნაშიერის მიმართ რაციონალური, გონისმიერი დამოკიდებულება არ გააჩნია. ზოოლოგები ადასტურებენ, რომ დათვს ისე ძლიერ უყვარს თავისი შვილი, რომ მოფერების დროს ვეღარ საზღვრავს, გუდავს და კლავს კიდეც საკუთარ შვილს.

ჩვენი მსჯელობისას მოხმობილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს: ამ ორი ცნობიერებიდან ერთ-ერთის აშკარა პრიმატი როგორც ქვეყნის, ასევე თითოეული მოქალაქისათვის ცუდ ნიშნებს შეიცავს..

გ. გ. — საერთოდ ვერიდები, არ მიყვარს პოლიტიკაზე საჯაროდ ლაპარაკი, მაგრამ, რადგანაც საუბარს მოჰყვა, ამა-საც გკითხავთ: დავით, რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ბოლო სამი ათეული წელია, თითქმის ერთ ად-გილზე დგას და არ იძვრის?

დ. შ. — დიდი ინგლისელი სოციოლოგი და ფილოსოფო-სი, ეპოქალური წიგნის „ლევიათანის“ ავტორი თომას პობსი სახელმწიფოს მანქანას ადარებს. ამ შედარების ახსნა ასე შეიძლება: მანქანის ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის ძრავი. თუ ძრავად გამოყენებული არ იქნება მაღალი ხარისხის ლითონი და იქნება სხვა რამ, მანქანა ვერ წავა. ასეა სახელმწიფოც. სახელმწიფოს ძრავი არის რეალური ძალის მქონე პოლიტიკური ლიდერები, ინტელიგენცია. ნამდვილი პოლიტიკური ძალის მქონე ერთეული გამონაკლისის გარდა, ჩვენ გვყვანან ფსევ-დოპოლიტიკოსები, ხოლო ჭეშმარიტი ინტელიგენციის სანაც-ვლოდ (აქაც რამდენიმე ღირსეული ინტელიგენტის გამოკლე-ბით) — ფსევდოინტელიგენცია. ფსევდოს არ შეუძლია ნამდვი-ლის შეცვლა. ამიტომაც გვაქვს ასეთი შენელებული დინამიკა სახელმწიფოს წინ მოძრაობისა. უფრო სწორად, ჩვენ გვიდგას ლექის აღზევების უამი, როცა ლექის დიდი ნაწილი თავშია მოქცეული, ხოლო ნაწილი ერის უმეტესი ჯანსაღი საუნჯისა, მისი ღირსეული ინტელიგენციისა ქვემოთ არის დატანილი.

გ. გ. — პუმანიტარები კი ვართ, მაგრამ ჩვენს საერთო გასაჭირზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ბოლო სამი ათეული წე-ლია, ვერ იქნა და ეკონომიკურად წელში ვერ გავიმართეთ. რა არის ამის მიზეზი?

დ. შ. — მიზეზი ბევრია, ძირითადად შიგაეკონომიკური პრობლემები, მე სხვა მხრივ გავამახვილებ ყურადღებას. გლო-ბალიზაციას, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს, მათ შორის ეკონომიკასაც, ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ჩვენი უახლოესი

ისტორიიდან ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებია – თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა იმ დროისათვის მეტად რეკლამირებული მსოფლიო სავალუტო ფონდის პრეზიდენტი შადმან ვალავი. ხალხი დიდი იმდებით ელოდა ამ მოვლენას. სავალუტო ფონდის თავმჯდომარემ მთავრობის წევრებთან, ოპოზიციასა და ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებთან დახურულ შეხვედრაზე პირდაპირ და დაუფარავად მოითხოვა: საქართველომ უარი უნდა თქვას სამამულო პროდუქციის წარმოებაზე, სანაცვლოდ ჩვენ მოგამარაგებთ უცხოეთიდანო. ფაქტობრივად გვეუბნებოდა, რა საჭიროა სხვადასხვა კულტურის განაშენიანება, მოყვანა, თუნდაც ვაზის, შეგიძლიათ აჩეხოთო. იქ მსხდომთაგან მხოლოდ გოგი თოფაძე გამოვიდა მცირე კრიტიკით, სხვას კრინტიც არ დაუძრავს. ამის შემდგომ სავალუტო ფონდის თავმჯდომარე სამუშაო ვიზიტით მეზობელ სომხეთში ჩავიდა. იქაც იმავენაირად მოიქცა, შეკრიბა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ელიტა და იმათაც იგივე განუცხადა. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მხცოვანმა აკადემიკოსმა ეგიზარიანმა თავი ვერ შეიკავა და სტუმარს საფერფლე ესროლა. შადმან ვალავს მალევე დაატოვებინეს სომხეთი. მიჰირს ამისი წმამაღლა თქმა, მაგრამ, მიუხედავად ქმედების მიუღებელი ფორმისა, სომები მეცნიერის საქციელი იყო ეროვნული, სახელმწიფო უნივერსიტეტის მოტივირებული ქმედება.

დასკვნის სახით მოვუსმინოთ ეკონომიკის სფეროში მსოფლიოში დიდ ავტორიტეტს – ჯოზეფ სტიგლიცს, ნობელის პრემიის ლაურეატს ეკონომიკის დარგში, აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკური კონსულტანტების საბჭოს თავმჯდომარესა (1995-1997 წ.წ.) და მსოფლიოს ბანკის ვიცე-პრეზიდენტს (1997-2000 წ.წ.): „გლობალიზაციის დოქტრინა არის ლამაზად შეღებილი ფასადი, რომლის საშუალებითაც იგი თა-

ვის ამა თუ იმ მსხვერპლს მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ამ-
შვიდებს და მისი ყურადღება გადააქვს სხვა თემებზე, მდიდა-
რი ქვეყნები დარიბ ქვეყნებს რესურსებისგან ფიტავენ და ისეთ
მდგომარეობაში აყენებენ, რომ ვერასოდეს შეძლონ იმპერიული
ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევა“.

**გ. გ. — დავით, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ვერ ავცდე-
ბით თანამედროვე მსოფლიოში ბოლო ხანს განვითარებულ
ყველაზე მძიმე, შემაშფოთებელ ავადმყოფობას — პანდემიას.**

დ. შ. — ბატონო, გიორგი, ეს ისეთი საკითხია, სადაც
ჩემი კომპეტენცია ნულს ქვემოთაა. არათუ ჩემთვის მედიცინის
სფეროში ნობელის პრემიის ლაურეატთა შორისაც არსებობს
ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა. ამიტომ ჩემი აზრით არ
გადავდლი მკითხველს. ერთს კი ვიტყვი: ყველაფერთან ერთად
რა უბედურებაც გავიარეთ ყველამ, ეს იყო ერთგვარი ტესტი.
გამოცდა იმისა, თუ როგორ შეუძლიათ იზოლირებულ ქვეყნებ-
სა თუ ურთიერთობაშე ზღუდულ ადამიანებს ერთმანეთთან ვირ-
ტუალური ურთიერთობა. ეს იყო მსოფლიოს ვირტუალიზაციი-
საკენ გახსნილი ახალი სივრცე. ჩემი შვილი, რომელიც პროგ-
რამისტია, რამდენიმე თვე სახლიდან ფეხგაუდგმელად ვირტუ-
ალური კავშირით ტუნისში მუშაობდა. ჩვენ ახლა წარმოდგე-
ნაც არ შეგვიძლია, რომ სულ რაღაც ოც-ოცდაათ წელიწადში
სულ სხვა ვირტუალური მსოფლიო გვექნება.

**გ. გ. — რუსეთ-უკრაინის ომი მძაფრი და შემზარავი რე-
ალობაა, რომელსაც, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით.**

დ. შ. — ყველაზე საშიში და დამაფიქრებელი ის არის,
რომ მას შემდეგ, რაც პალეოლითის ხანის პითეკანთროპი, მე-
ტი რომ მოეპოვებინა, ქვის წამახული იარაღით სხვას კლავ-
და, ადამიანი არ შეცვლილა. რუსეთ-უკრაინის ომის დროს
არსებობს საშიშროება იმისა, რომ ფატალური რეალობის წი-
ნაშე დავდგეთ. კერძოდ, გაეროს სამხედრო ექსპერტები ბირ-

თვული ომი კატასტროფასაც არ გამორიცხავენ. ამერიკის მთავარი ინტერესია, პოტენციური მეტოქის განადგურება, რუსეთის რიგით სახელმწიფოდ გადაქცევა. აშშ ცალსახად უკრაინის მოკავშირეა, მაგრამ ისე ჩანს, რომ აშშ-ს არ სურს ამ ომიდან გამოვიდეს უკრაინა, როგორც ტრიუმფატორი და ეპროპაში ახალი მოთამაშე, გავლენების თვალსაზრისით კიდევ ერთი ძლიერი სახელმწიფო მიიღოს. საკუთარი ძალებით რომ ეცადა რუსეთის განეტრალება, ამისთვის ტრილიონები დასჭირდებოდა. ახლა გაცილებით ნაკლები დანახარჯებით შეუძლია თავის ისტორიულ სანუკვარ მიზანს მიაღწიოს.

გ. გ. — დავით, გვერდს ვერ ავუვლით ჩვენი ისტორიული მტრის — რუსეთის იმპერიის — შესახებაც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.

დ. დ. — საუკუნეების მანძილზე ჰქონდა რუსეთს სამოქმედო დევიზად ატაცებული საშიში ცრუმესიანისტური სიტყვები: „ვლადიკავკაზ“, „ვლადივასტოკ“ „ვლდიმირ“. დაიპყარი კავკასია! დაიპყარი აღმოსავლეთი! დაიპყარი მსოფლიო! რუსეთის მზაკვრული სახის საქვენებლად ის დოკუმენტიც საკმარისია, ოდესლაც რომ საქართველოში გამოაგზავნა. მხედველობაში მაქვს რუსეთის მთავრობის საიდუმლო წერილი, რომელიც გრაფ ნ. პანინის ხელით საქართველოში მყოფ ტოტლებენს მიართვეს.

„უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, ყველაფერი ჩვენი ხელმძღვანელობით ხდებოდეს. თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომ ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებდნენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმნაირად კი, რომ სული აქაური, ე. ი. რუსული, იყოს, სხეული კი — ქართული“ (ივანე ჯავახიშვილი

ლი, წიგნიდან – „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“.

რუსეთი ხომ მესამე რომად არის სახელდებული. ეს სახელწოდება მეთექვსმეტე საუკუნის მოღვაწე ფსკოველ ბერს ფილოპასის ეკუთვნის. იგი რუსეთის დიდ მთავარ ვასილი მეორეს სწერდა: „ორი რომი თუ დაეცა, მესამე რომი დგას (მესამე რომი მოსკოვია), ხოლო მეოთხე აღარ იქნება“.

საქართველო რუსეთის ისტორიულ დამოკიდებულებას ერთნანეთთან შუმერისა და გუთიელის ტომის ურთიერთობას შევადარებდი. გადავისხდოთ უკან, პრეისტორიაში. სამყაროს უძველესი ერის, შავთავიანებად წოდებული შუმერის ისტორიულ ყოფაში. მაშინ, როცა შუმერი კულტურულად დაწინაურებული იყო, დაიპყრო კაცობრივ თვისებებს მოკლებულმა ტომმა გუთიელმა, რომელიც ისტორიკოსების მიერ ასე იწოდებოდა, „შხამიანი გველეშაპი ღმერთების წინააღმდეგომი, შუმერში მტრობის ჩამომგდები“აი, ასეთმა ტომმა იბატონა შუმერზე მთელი ორასი წლის მანძილზე, მოშალა ცხოვრების შინაგანი ყოფა, წარიტაცა მეფობა, მაგრამ მოხდა პარადოქსული რამ, არა კონფორმიზმი, არამედ უდიდესი შინაგანი გამოღვიძება და კულტურული აღმავლობა. ამ ორი ბნელი საუკუნის შემდეგ, კაცობრიობის სამყაროში გამოდის შუმერი ცალკე სახელმწიფოებრივად დაწინაურებული. აი, ასეთივე ძალმოსილება გვმართებს ჩვენც.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსოფლიოს „მესამე რომის“, ანუ კაცობრიობის ურჩხულის, დაცემას მოვესწრებით.

გ. გ. – გამოდის, რომ ჩვენს პლანეტაზე ძალადობა და სიძულვილი მძლავრობს სიყვარულსა და ზნეობაზე.

დ. შ. – დიახ. ამერიკელი ასტრონავტი ნილ არმსტრონგი წერდა: „მე რეალისტი ვარ და არ ვარ ზედმეტად მგრძნობიარე. როცა მამისეული სახლი დავტოვე, არ მიტირია. როცა

მამაც დავკარგე, არც მაშინ მიტირია. როდესაც პირველად ფეხი დავადგი მთვარეზე, არ მიტირია, მაგრამ, როცა ზემოდან გადმოვხედე დედამიწას, სული შემეკრა და ავტირდი.

როცა მთვარიდან გადმოვხედე დედამიწას და დავინახე პატარა ცისფერი ბუშტი, ავტირდი. მაშინ ვიგრძენი, რომ ეს ცისფერი ბუშტი იყო ჩვენი პატარა სახლი, სადაც ჩვენ, სიძულვილით დაბრმავებული ადამიანები, ერთმანეთის აუტანლობით გამუდმებულ ომებში ვიძირებით”.

* * *

გ. გ. — დავით, ამბობენ, პოეტი ერთგვარად წინასწარმეტყველიაო... შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი იქნება ჩვენ ირგვლივ მსოფლიო, რა მომავალი ელის მას?

დ. შ. — წინასწარმეტყველის ნიჭი არ იყო საჭირო წინა საუკუნეებში იმიტომ, რომ ისტორიის განვითარებას თავისი კანონზომიერებები ჰქონდა. დღეს ეს შეუძლებელია. მომავლის პროგნოზირებისა ვერაფერს გეტყვით. მე მხოლოდ ჩემს ფიქრებს გამოვთქმა აწმყოსა და მომავალზე. არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა სამყარო მსოფლიმხედველობრივად ისე პოლარიზებული და ურთიერთსაპირისპირო ორ ბანაკად გაყოფილი, როგორც დღეს. რადიკალური ნაციონალიზმი და უკიდურესი კოსმოპოლიტიზმი ერთმანეთს ეძიძგილავებიან. უცნაურია, მაგრამ მსოფლიოს მომავალი მოწყობის სტრატეგია ორი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ გზად წარმოუდგენიათ. ერთი მხრივ, კვლავ გრძელდება ცალკეულ სახელმწიფოებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები დამოუკიდებლობისა და თვითმყობადობის დამკვიდრებისათვის, ამავდროულად თანდათან ღრმავდება სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციის პროცესი ერთიანი ევროპისა თუ მსოფლიოს შესაქმნელად. საით მიღის მსოფლიო, რა მიზანი აქვს კაცობრიობას? აი, კითხვები, რომელიც ყველა მოაზროვნე ადამიანს აღელვებს. სა-

მწუხაროდ, კაცობრიობის ისტორია არ განვითარებულა სულიერი ჭვრეტითი ცოდნის გზით. ადამიანს ეგოზე და არა ღვთაებრივ გონზე დაყრდნობით სურს გაერკვეს იმ კითხვებში, რომლებიც მის წინაშე წარმოჩნდება. იქნებ სამყარო თავისი არსებობის ბოლო, მესამე, სიბერის ხანაში შევიდა – ან იქნებ მიმდინარე საუკუნე მისი განახლებისა და გაახალგაზრდავების საუკუნეა? ამას დრო გვიჩვენებს. მაგრამ აპოკალიფსიც რომ თავს გვახსენებს, ამ ნევროზულ ეპოქაში და ერთობ გვაშფოთებს?!

გ. გ. – რას იტყვით ამ დროს ხელოვნების ბედზე? აი-სახება თუ არა ყოველივე ეს მასში?

დ. შ. – ღვთაებრივის, ამაღლებულისა და დიადის რწმენის გარეშე ჯერ არც ერთი გენიალური ქმნილება არ შექმნილა. ბერდიავი დაასკვინს, რომ ხელოვნების კრიზისის საწყისად გენიალური პიკასოს ხელოვნება უნდა მივიჩნიოთ, რადგან მასთან ყველაზე ცხადად ჩანს დამიწებული, ცივი გეომეტრიული ფორმები, დაშლილი, დანაკუწებული სინამდვილე – სამყაროსეული აღსასრულის, ნერევის აღქმა. ყველაზე მკაფიოდ ამან ჯერ კიდევ როდის ნიდერლანდელი ფერმწერის პიერონიმუს ბოსხის შემოქმედებაში იჩინა თავი. კულტურა სრული სახეა იმისა, რაც სამყაროში ხდება. ღვთის თაყვანისცემიდან კაცთაყვანისცემამდე არის გზა პარმონიულობის, ამაღლებულობის განცდიდან ნერევამდე, აპათიამდე და ნიპილიზმამდე. დღევანდელ კინოინდუსტრიაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ფილმებს ვამპირებზე, სადისტებსა და ქილერებზე. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ხელოვნების მთავარი თემა პათოლოგიაა, რაც მედიცინის სფეროს უფრო განეკუთნება, ვიდრე – ხელოვნებისას. თუ შეძლებს კაცობრიობა სულიერი აპათიის დაძლევას, ახალი ზემაღალი იდეალის დამკვიდრებას, მაშინ ხელოვნების კრიზისი დაიძლევა, ადამიანი გადარჩება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, სამყაროს სულიერი კატასტროფა გარდაუვალია.

გ. გ. — დავით, მაინც ასე მგონია, რომ უფრო უიმედო სურათი დახატეთ... ნუთუ ასეა საქმე? გარდა ომებისა და სტიქიური უბედურებებისა, სხვა რაიმე საშიშროებას თუ ზე-დავთ სამომავლოდ?

დ. შ. — იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კაცობრიობა საკუ-
თარ თავს სასიკვდილო განაჩენს არ გამოუტანს. დედამიწა
ჩვენი საერთო სახლია და ამ სახლის მომავალზე ყველა
კულტურული ადამიანი უნდა ფიქრობდეს; არ შეიძლება, გან-
გაშის საფუძველი არ გახდეს ის, თუ თანდათან როგორ ნა-
დგურდება უფლის მიერ ადამიანისათვის ნაბოძები სასიცო-
ცხლო გარემო — „ბიოსფერო“ — იგი ადამიანმა, თავისი პრაგ-
მატული ინტერესებიდან გამომდინარე, სრულიად ახალ გარე-
მოდ, „ნოოსფეროდ“ აქცია. ე. ი. ადამიანი იწყებს შემოქმედის
ზელქმნილის რევიზიას — ბუნებაში ღვთიური წესრიგის რღვე-
ვას. ბუნებათან ჭიდილი წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით
ადამიანის დამარცხებით დამთავრდება. მოვუსმინოთ: „როდესაც
მოიჭრება უკანასკნელი ზე, როცა მოიწამლება უკანასკნელი
მდინარე, როცა დაჭრილი იქნება უკანასკნელი ჩიტი, თქვენ
მიზვდებით, რომ ფული არ იჭმევა“ (ტატანკა იოტაკე-ლაკო-
ტას, ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ბელადი).

ღრმავდება კონფლიქტი ბუნებასა და ადამიანს შორის,
რასაც არ შეიძლება დამანგრეველი შედეგები არ მოჰყეს.
ისახება სიტუაცია, თითქოს წსნა და საშველი არ არის. ერ-
ნესტ ჰემინგუეის რომანს — „ვის უხმობს ზარი“ — წამძღვა-
რებული აქვს ჯონ დონის სიტყვები: „ადამიანი კუნძული რო-
დია, მარტოდ გარიყელი, იგი მიწისა და ცის ნაწილია, ზღვაშ
რომ ერთი ბელტიც წალეკოს, სამყაროს ისიც დააკლდება,
როგორც კონცხს, ან როგორც შენი მეგობრის კარმიდამოს, ან

თვითონ შენსას... ამიტომ ნურასოდეს იკითხავ, ვის უხმობს ზარი?! იგი გიხმობს შენ!“

გ. გ. — მძიმე დასკვნაა... არ მინდა მსჯელობა შეგაწყვეტინოთ, მაგრამ ჩემდათავად მახსენდება ივანე მიჩურინის მოწოდება: „ნუ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან, ჩვენი ვალია, გამოვსტაცოთ იგი მას“... და იქვე დიდებული ვაჟას „პასუხი“ — „ბუნება მბრძანებელია!..“ თუმცა განვაგრძოთ საუბარი... დავით, მოდით, ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს მთავარ საფიქრალზე, საქართველოს მომავალზე ვისაუბროთ.

დ. შ. — მართლაც... რას მოიტანს ოცდამეტოუ საუკუნე სახიფათო გეოპოლიტიკურ სივრცეში მოქცეული ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის? ეს კითხვა შიშარევი პასუხებით არის სავსე. რა ადგილს დაიკავებს საქართველო ახალ მსოფლიოში, იქნება იგი მყარი სახელმწიფოებრივი ერთეული, საკუთარი, მისთვის ნიშანდობლივი ფუნქციის მქონე თუ უბრალო ეთნიკური ერთეული და მეტი არაფერი? ეს ერთდროულად ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: მსოფლიოს ნებასა და ჩვენს საერთო ძალისხმევაზე. მსოფლიო პროცესების რეგულირებას ჩვენ ვინ გვეკითხება, ჩვენი მზერის ორიენტირი უპირატესად შიგა პრობლემების მოძიებისა და ანალიზისაკენ რომ უნდა იყოს მიმართელი, ეს უცილობელია. გურამ რჩეულიშვილი ერთგან უზენაესს ასე მიმართავს: „ღმერთო, რატომ სტოკებ ჩრდილში რუსთაველსა და საქართველოს!“ მართლაცდა, რა არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ საქართველომ ერთხელ შეიძინა ისტორიული ფუნქცია — სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობა — და ისიც მცირე წნით — „ოქროს ხანად“ წოდებულ პერიოდში. იქნებ ქართველი საკუთარი ბუნების გამო ძნელად იგუებს სახელმწიფოებრივ აზროვნებას, იქნებ იგი უფრო ბუნტარული, ანარქიული ბუნებისაა. შესაძლოა, ასეც არის, მაგრამ თავიდათავი შიგა ღალატები, ჩვენი სახიფათო

გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ისტორიული მტრების გარემოცვაა. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ ლანგის სიტყვები – საქართველოს ისტორიას რომ გაეცნობი, ნამდვილად ღმერთს იწამებ, რადგან არნაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამ ერს აქამდე მოეღწია, უბრალოდ არ არსებობდათ. იმედია არც სამომავლოდ აგვაღებს უფალი ხელს.

გ. გ. – თქვენი პასუხიდან გამოდის, ჩვენი მთავარი ნაკლი ისაა, რომ ერთპირობა გვაკლია. რაც ჩვენვე გვიბრუნდება საზიანოდ...

დ. შ. – კი, ბატონო, მასეა სწორედ. საქართველოს დედაქალაქის ცენტრში მოქანდაკე მერაბ ბერძნიშვილის ძეგლის „დავით აღმაშენებლის“ ნაცვლად ფრანგი ჯაკ დუპას პოსტმოდერნისტული სკულპტურის „ველოსიპედის“ დადგმა არის ჩვენი ქვეყნის სინერგიის სიმბოლოს დისინერგიის სიმბოლოთი ჩანაცვლების აქტი. სიმბოლოთა ასეთი მონაცვლეობა გამოხატავს, ერთი მხრივ, ქვეყნის რეალურ მდგომარეობას, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის სამომავლო ორიენტირსაც. იგი სხვაგან, ცენტრიდან მოშორებით, შესაძლოა, დადგმულიყო, მაგრამ სტაგნაციის სიმბოლოს ძეგლი დაუდგა დედაქალაქის მთავარ მოედანზე, ვფიქრობ, დაუშვებელია. არსებობს გამოთქმა: „ამერიკის მუდმივი ინტერესები“, „დიდი ბრიტანეთის მუდმივი ინტერესები“. ეს გულისხმობს იმას, რომ ერთ და ბერი, პოზიცია თუ ოპოზიცია, სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფების დიდი უმრავლესობა შეთანხმებული არიან, რა არის მათთვის მთავარი სტრატეგიული გეზი და მხოლოდ ტაქტიკაში არის პოლარიზაცია. საქართველოს ასეთი ერთიანი სამოქმედო ხაზი ჯერ არ შეუმუშავებია. აქ, პირიქით, სრული აბრაკადაბრაა სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისას. ქრესტომათიული სტრიქონებიც მუდმივად თავს ამადაც გვახსენებს: „კახე-

ლების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“. ეს ისეთი, ლამის ცხოველური ეგოცენტრული ჯიბრია, რომ ორივე ძალას ერთმანეთის განადგურება ეოცნებება და ორივე მხარე ერთმანეთის დამარცხებებით ტკბება. ბოლო სამი ათეული წელია თავგამოდებით ვიბრძვით შინ ერთმანეთის წინააღმდეგ. არჩილ სულაკაურის სტრიქონებიც სწორედ ამ რეალობის ასახვაა: „ქართველები ზეიმობენ ქართველებზე გამარჯვებას“. გეტყვით რომ ამ მოვლენას შესაბამისი სახელიც აქვს შადენფრეიდი, რაც ასე განისაზღვრება: სიხარული, რომელიც სხვებისთვის ზიანის მიყენების შედეგად წარმოიქმნება. დიახ, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი მეორე ნაწილის მიმართ შადენფრეიდს მოუცავს.

გ. გ. — ვფიქრობ, ზუსტი ანალიზია მტკიცნეული თემი-სა... ძეგლების თემის შემოტანამ მძიმე ფიქრები განმიახლა... ცოტა ზნით ისევ დავუბრუნდეთ ძეგლებს... სამწუხაროდ, მე არ ვიცი, ვინ განსაზღვრავს, ვინ იღებს გადაწყვეტილებას, ვისი ან რისი ძეგლი უნდა დაიდგას და სად? საუკუნე-ნახევრის წინათ აკაცი წერდა: იაკობ გოგებაშვილს ქართველმა ხალხმა სიცოცხლეში ძეგლი უნდა დაუდგასო... ნუ ჩამოვთვლით, უხერხულია, ვისი ძეგლები დაიდგა თბილისში ბოლო ათწლეულებში... იაკობის ძეგლი კი საქართველოში ჯერაც არაა მაშინ, როცა „სტაგნაციის სიმბოლოს ძეგლს ვუდგამთ დედაქალაქის მთავარ მოედანზე“... როცა გურამ რჩეულიშვილის დარდი („ღმერთო, რატომ სტოვებ ჩრდილში რუსთაველსა და საქართველოს“) დარდად რჩება... და ჩვენ ვსაუბროთ ეროვნულ ცნობიერებაზე, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე...

დ. შ. — პასუხს თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილიდან დავიწყებ. არავის საქართველოში არ უფიქრია იაკობზე იმდენი და არ უზრუნია მისი სახელის უკვდავსაყოფად იმდენი, როგორც თქვენ. თქვენც მისი სულის ნატეხი ხართ, ბატონო გი-

ორგი, და ამიტომ ყველაზე კარგად მოგეხსენებათ, რომ იაკობ გოგებაშვილისათვის ძეგლის დადგმა საქართველოს მომავლი-სათვის დადგმული ძეგლია. მან ისეთი „ბურჯი ეროვნებისა“ ჩადგა ქართულ ნიადაგში, რომ საუკუნეთა მკაცრი ქარაშოტი ვერ წალეპავს.

გ. გ. — მაპატიეთ, შეგაწყვეტინებთ... გოგებაშვილის ძეგლი ჩვენი აჩემება კი არ არის... ილიას აზრს მოვიშველიებ (სხვა შემთხვევის გამო თქმულს): „ჩვენთვის, ადამიანებისა-თვის, საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მისი მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და გან-მტკიცება. ო, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ თავისი სახელის ხსენებითა-ცო!“ სწორედ ჩვენი სულისა და ხასიათის გაწვრთნისა და განმტკიცებისთვის არის საჭირო იაკობის, ილიასა და აკაკის გახსენება... თუმცა, დავუბრუნდეთ ისევ თემას: ვინ იღებს გადაწყვეტილებას?

დ. შ. — გეთანხმებით. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ვინ იღებს გადაწყვეტილებას ძეგლების დადგმასთან დაკავში-რებითო, გიპასუხებთ: დედაქალაქის მერიის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭო. მაგრამ ეს პასუხი არაფერს ნიშნავს, რომ გავიგოთ, თუ რატომ არის ძეგლების მიმართ ასეთი პოლიტი-კა. საქმე ის არის, რომ ორგანო, ვისაც მართლა ევალება ამი-სი გადაწყვეტა, არაფერს წყვეტს, ბუტაფორიულია. მგონი, სა-ბჭოს წევრებსაც არ ახსოვთ თავიანთი მოვალეობები. სამწუხ-როდ, საქმე წყდება „სხვაგან“, კულისებში; გადაწყვეტილებას „უჩინარი ხელი“ იღებს, ჩვენ ვერ ვხდებით, ვერ ვწვდებით, ვინ არის ის. ასეა თითქმის ყველა სფეროში, გახსოვთ, რამ-დენი ეროვნული საქმე წამოვიწყეთ და ყველგან ეს „უჩინარი ხელი“ გახდა ჩვენი პრობლემა. მეორე მიზეზი ამგვარი პოლი-ტიკისა არის ის, რომ ჩვენ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში

ვცხოვრობთ, უფრო მეტიც, პოსტ პოსტმოდერნიზმში, რომლისთვისაც, უმეტესწილად, დამახასიათებელია ირონიული დამოკიდებულება წარსული კულტურისადმი. საქართველო ამ მხრივაც „მოწინავეა“ და ამგვარ საკითხებში ჩვენ ისეთ უცხოურ ქვეყნებსაც ვუსწრებთ, საიდანაც ამგვარი მიღობა საკითხებისადმი ჩვენში შემოვიდა. სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც დავსძენ, რომ კლასიკური მემკვიდრეობისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ის შედეგი გამოიღო, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს ქართული კლასიკური მუსიკის კლასიკისის ზაქარია ფალიაშვილის სახელი ჩამოაცილეს, გაქრა იგი აფიშაზე, ბილეთზე და ოპერის ოფიციალურ სახელდებაზე. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა იყო ამისი მიზეზი, ორივე უწყებამ – ოპერის თეატრისა და კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობამ – აპურდული რამ გვიპასუხა: აფიშაზე ადგილი არ არის და იმიტომ აღარ ჰქვიაო. საბერინეროდ, ჩვენი, რუსთაველის საზოგადოების, დაუინებულმა მცდელობამ და ქმედებებმა ამ მიმართებით ნაყოფი გამოიღო და ქართულ ოპერას ზაქარია ფალიაშვილის სახელი დაუბრუნდა.

ამისი აღუნიშნაობაც არ ეგების, თამარ მეფე ქართველთათვის იმდენად ზეაწეული სახელი იყო, რომ სამების მეოთხე პიპოსტასადაც კი მონათლეს. შუა საუკუნეებში ერთადერთი ქალია მსოფლიოში, რომელიც მეფის ტიტულატურით მოიხსენიებოდა. ჩვენდა თავის მოსაწონებლად ჯერ კიდევ როდის ქალისა და მამაკაცის მაღალი დონის უფლებრივ თანასწორობასთან გვქონდა საქმე. მივიჩნიე, რომ თბილისის უნდა ჰქონოდა თამარ მეფის ძეგლი. 7-8 წლის წინათ შევიტანე კიდეც განცხადება თბილისის მერიაში რუსთაველის საზოგადოების სახელით, დღემდე მწერენ, რომ საკითხს ისევ იხილავენ. ასე რომ, ამ სფეროში მართლაც, ბევრია საწუხ-საფიქრალი.

გ. გ. — „დაუინებულმა მცდელობამ“ გამახსენა: უურ-ნალში „ბურჯი ეროვნებისა“ ასეთი რუბრიკა გვქონდა „დაუინებული შეკითხვა“; აღრესატს ვპირდებოდით, შეკითხვას გავი-მეორებდით მანამ, სანამ პასუხს არ მივიღებდით; წარმოიდგი-ნეთ, გაჭრა ამ დაუინებამ... ზომ არ გვეცადა ამგვარი რამ? ეს ნახევრად ლიმილით... ამ საკითხთან დაკავშირებით, ზედავთ, არ გეშვებით, განვაგრძოთ ქანდაკების თემა. საინტერესოა, თქმული როგორ მიესადაგება ქართული ქანდაკების ისტორიას, მისი განვითარების გზას?

დ. შ. — წამოჭრილი საკითხიდან გამომდინარე, ბუნებრი-ვია, რომ გაგიჩნდათ ეს კითხვა. ქრისტიანობა კერპების და-დგმას ეწინააღმდეგება. საუკუნეების განმავლობაში ქანდაკებაც ასე მიიჩნეოდა. შეხედულებათა ამ სისტემამ, მიუხედავად ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ჩვენი უდიდესი პატივის-ცემისა, უნდა ვთქვათ, ჩვენთან მრგვალი ფორმების ქანდაკებე-ბის განვითარება შეაჩერა. აქედან გამომდინარე, სკულპტურის, როგორც მატერიალური, სამგანზომილებიანი, სივრცით-მოცუ-ლობრივი დარგის ჩამოყალიბება მე-19-20 საუკუნეების მიჯნას უკავშირდება. ისე კი ქანდაკების შექმნა ზელოვნების ჩასახვის უძველეს ეპოქასთან არის დაკავშირებული. ჯერ კიდევ პირ-ველყოფილი ოემური წყობილების დროს პალეოლითისა და ნეოლიტის ხანაში შექმნა ცხოველებისა და ადამიანების სკულპტურული გამოსახულება (ქსე, ტ. 10. 452-43).

ქანდაკებას, ჩემი აზრით, გარდა იმისა, რომ უნდა ახასი-ათებდეს პლასტიკურობა და დინამიკურობა, სხვაც რამე მოეთხოვება: როცა ხელოვანს, მხედართმთავარსა და მეფეს გამოესახავთ, სკულპტორმა ერთდროულად უნდა გვიჩვენოს, როგორც ხელოვანი, ასევე პიროვნება, როგორც მხედართმთა-ვარი, ისე პიროვნება და ა. შ. ჩვენთან კი უმეტეს შემთხვევა-ში ასეა; ან მარტო მეფეს, ზოგადად მეფის სახეს, მის სიზვი-

ადეს აჩვენებენ. მისი პიროვნება კი გამქრალია; ან პიროვნება ჩანს, მაგრამ მეფედ ვერ აღიქვამ... იგივე ითქმის მწერლის, მხედართმთავრის სკულპტურაზეც...

ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელ იაკობ ნიკოლაძიდან მოყოლებული დღემდე, საბედნიეროდ, ჩვენ გვყანან დღი მოქანდაკები და გვაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი სკულპტურული ხელოვნება.

გ. გ. – იაკობ გოგებაშვილი როცა „ქართულ მიმართულებაზე“ ფიქრობდა და საგანმანათლებლო სისტემას აყალიბებდა, განმარტავდა: ყოველივე ეს უნდა დაემყაროს ორ მთავარ პრინციპს: ეროვნულობასა და ზნეობრიობასო... ეროვნულობას მეტ-ნაკლებად შევეხეთ; ვთქვათ ორიოდე სიტყვა ზნეობრიობაზეც... ვფიქრობ, ასე იყო: მწერალი, ზოგადად ზელოვანი, მაღალი ზნეობისა უნდა ყოფილიყო. ამით მის შემოქმედებასაც მეტი ფასი ედებოდა. რა ხდება, დავით, ასეთი წარმოდგენა, ხელოვანის ასეთი ხატი ინგრევა?

დ. შ. – სწორედ რომ ინგრევა. გრემის ჯილდოს ექვსგზის მფლობელი პოპ და როკ-მომღერალი ელტონ ჯონი მსოფლიო მუსიკის ვარსკვლავია, მისი 33 მილიონზე მეტი სინგლია გაყიდული. იგი აქტიური პოპულარიზატორია ლგბტ მოძრაობისა. მას, როგორც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს, 2005 წლიდან ჰყავს ოფიციალური მამაკაცი პარტნიორი დევიდ ფერნიში. ინგლისის დედოფამა ელისაბედ მეორემ მას რაინდის წოდება მიანიჭა. მესმის: მას, როგორც დიდ მომღერალს, ყველა მაღალი ჯილდო ეკუთვნის, მაგრამ იყოს რაინდის ტიტულატურის მატარებელი – ეს ყველა ზნეობრივი ღირებულების აღრევაა. კიდევ ერთი მკაფიო მაგალითი: 1999 წელს რუსეთში შეიქმნა მომღერალ გოგონათა პოპ-ჯგუფი „ტატუ“. რომელმაც მალევე მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა. კონცერტის დასაწყისიდანვე გოგონები სცენაზე გამოდიოდნენ

წელს ზემოთ შიშვლები, იწყებდნენ ერთმანეთის კოცნას და შემდეგ – სიმღერას. ყველას გვეგონა, რომ ისინი ლესბოსელები იყვნენ. წლების შემდეგ ამ ჯგუფის პროდიუსერმა საიდუმლო გათქვა: ისინი სინამდვილეში ტრადიციული ორიენტაციის მიმდევრები არიან, ოღონდ ასეთი დიდი წარმატებისათვის რომ მიეღწიათ, მან, პროდიუსერმა, მოიფიქრა, თითქოს ლესბოსელები გამოდიოდნენ სცენაზე. ანუ, თუ ადრე ხელოვნების მეტ ფასისა დებდა მაღალი ზნეობა, დრო შეიცვალა და ახლა პირიქითაა, ამორალობა ხელოვნების მასების თვალში მეტ ხიბლსა მატებს.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, მკაფიო მაგალითებია იმისა, რომ ხელოვნებაში იკვეთება საშიში, მიუღებელი ტენდენცია, ანტიმორალის მორალად გამოცხადება.

გ. გ. – დავით, ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია; თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ სახეზეც ვთქვათ იქნებ ორიოდ სიტყვა...

დ. შ. – სამწუხაროდ, ვერც რელიგიამ, ვერც ლიტერატურამ და ვერც ხელოვნებამ ადამიანის კაენურ ეგოს ლაგამი ვერ ამოსდო. იგი ისევ ღალატობს, ისევე კლავს, როგორც პრეისტორიულ წარსულში. ადამიანის მთავარი მიზანი ერთადერთი უნდა იყოს – სულის ზრდა. დღეს უფრო მეტად ზნეობრივი უნდა ვიყოთ, ვიდრე გუშინ, და ხვალ უფრო სრულყოფილი, ვიდრე დღეს. ძველ ჩინეთში როცა სტიქიური უბედურებები, წყალდიდობები იმატებდა, ხალხი მთავარი მმართველის სასახლესთან იკრიბებოდა და სთხოვდა, მეფეო, ქვეყანაში ცოდვებმა იმატეს და რაღაც უნდა ვიღონოთო!

მდინარეებს ჰგვანან ადამიანები: ზოგი სუფთა, ზოგი მღვრიე და ზოგიც ნაკლებად ამღვრეული ერთვის ზღვას. თუ ზნეობრივად სუფთად ვერ მივიტანთ თავს აღსასრულამდე, იმ-

დენი მაინც უნდა შევძლოთ, რომ ნაკლებამღვრულნი, ნაკლებ ცოდვილნი შევერთოთ ზესთასოფელს.

ერთმა უცხოელმა ეთნოფსიქოლოგმა საინტერესო ექსპერიმენტი მოაწყო ცივილიზაციისაგან შორს მდგომი აფრიკის ერთ-ერთი ტომის ბაგშვებთან. შეაგროვა ათი ყმაწვილი, მოშორებით ხის ძირში დაუდო საჩუქრებით საცსე კალათა და უთხრა. გაიქეცით, ვინც პირველი მიირბენს, იმისი იქნებაო. ნორჩებმა ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ყველანი ერთად მივიღნენ ხესთან და შესძახეს: უმბუტუ! რაც მათ ენაზე ნიშნავს: მე როგორ ვიქნები კარგად, როცა სხვას უჭირს!

ჩვენი ისტორია მუდამ ერთეული კაცების თავგანწირვაზე, მათ მხრებზე იდგა. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყანა გმირების ქვეყანაა. ასეა დღესაც, თანამედროვენი ვართ ჩვენი ეპოქის ზნეობრივი გმირებისა: მამა ილია კარტოზია, გიორგი ანწუხელიძე, არჩილ ტატუნაშვილი... ჩვენში არსებული ზნეობრივი კრიზისის გამო ჩვენ ვერ შევძელით მათი მაღალი სულიერი ფასეულობების შეცნობა, სათანადო პატივის მიგება. ერთ, რომელიც ასე იქცევა ქვეყნისათვის სიცოცხლეშეწირული გმირების მიმართ, იმ ერს ზნეობრივი ზნეობრივი კათარზისი სჭირდება.

გურამ დოჩანაშვილს „სამოსელ პირველში“ აქვს ასეთი პასაჟი:

დომენიკოს საწოლზე ანონიმური წერილი ხვდება: კადიმას, პოლკოვნიკ სეზარისა და მიჩინოსისა, ნუ გეშინია, დიდიდიდი მოგკლან; ედმონდო ბეტანკურს ერიდე, გაგრყვნისო.

* * *

გ. გ. — დავით, მახსოვეს: მეექვსე თუ მე-7 კლასში ვიყავი, ჩემს სკოლაში შეხვედრა მოვუწყვეთ იოსებ ნონეშვილს. დღემდე მახსოვეს ცნობისწადილი, ინტერესი ცოცხალი პოეტის ხილვისა... ზეიმი იყო სოფელში... შორს ნუ წავალთ (ვთქვათ,

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში...), გასული საუკუნის ბოლო ათწლეულები გავიხსენოთ... შეხვედრები მწერლებთან, მათი საყოველთაო პოპულარობა, მწერლის სახელისადმი პატივისცემა, თაყვანისცემა... მე მეჩვენება თუ პრინციპულად შეიცვალა ვითარება? საინტერესოა, როგორც მწერალი, თქვენც ასე ხედავთ ამ ვითარებას?

დ. შ. — სკოლაში ლიტერატურული ვიქტორინა მოაწყვეს. ჩემმა შვილმა სხვაზე მეტად გამოიჩინა თავი. შეკითხვაზე: — საიდან იცი ამდენიო? — უპასუხა: — მამაჩემი მწერალიაო. არ დაუჯერეს — მამაშენი ხომ ცოცხალიაო?!

ცნობილი ეპიზოდი: ეროვნულ-რომანტიკული მოძრაობის აღმავლობის დღეებში ერთ-ერთ მიტინგზე ვიღაცამ დაიძახა: სად არიან ქართველი მწერლები? თემურ ქორიძემ მოკლედ უპასუხა: მთაწმინდაზეო!. მომიტინგეთაგან არავინ შეპასუხებია...

გ. გ. — ეგ კითხვა მეც დავსვი, ოღონდ მე ქართული ენის ძნელბედობამ მათქმევინა ეს... ისე, ნუთუ ამ სფეროშიც „მთაწმინდის იმედზე ვართ?“...

დ. შ. — მახსოვს... კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ და ძირითად სათქმელზე გადავალ. მეგობრებმა მთხოვეს: გამომცემლობა „მერნის“ საწყობში წიგნები უნდა აღვწეროთ და დაგვეხმარეო. როცა გრძელ თაროებზე აკოკოლავებული ჩემი საყვარელი ქართველი და უცხოელი მწერლების წლების განმავლობაში გაუყიდავი, მტვრიანი წიგნების დასტა დავინახე, გული შემეკუმშა — გავიფიქრე, წიგნების სასაფლაოზე ვარ-მეთქი.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩვენთვის სამწუხარო დასკვნა გავაკეთოთ: მწერლობამ, ლიტერატურისადმი ინტერესმა, თანამედროვე, ყოველდღიური

ცხოვრებიდან წარსულში – მკვდარ რეალობაში – გადაინაც-
ვლა...

გ. გ. – საგალალო სურათი დახატეთ. ამის მიზეზებზე
თუ გიფიქრიათ? რა არის მიზეზი იმისა, რომ მკითხველმა
ზურგი აქცია წიგნს? რატომ „გაუფასურდა“ მწერალი ფართო
საზოგადოებისათვის?

დ. შ. – წიგნებისადმი ინტერესდაკარგულობა, მწერალსა
და მკითხველს შორის გაუცხოება, ეს პრობლემა, სამწუხა-
როდ, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ სერიოზული განხილვის სა-
განი არ გამხდარა. ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში
გაყიდული წიგნების რაოდენობა რომ კატასტროფულად შე-
მცირდა, ეს ფაქტია...

გ. გ. – მაპატიეთ, სიტყვას შემოგაწევთ: „შემცირდა გა-
ყიდული წიგნების რაოდენობაო“, გასაყიდისა? გასული საუკუ-
ნის ბოლოს წიგნი იძეჭდებოდა 20-30-50 და 100 ათასიანი
ტირაჟითაც კი; დღეს?...

დ. შ. – პოდა, ასე კატასტროფულად დაეცა, ანუ გაუ-
წიგნურდა, ქართველი ხალხი ამ ხნის განმავლობაში. ამის მი-
ზეზად მძიმე სოციალური მდგომარეობის მოტანა, ჩემი აზრით,
მხოლოდ ნაწილობრივი სიმართლეა. საქართველოში ძალიან
ცოტაა ოჯახი, წელიწადში დაახლოებით ხუთი წიგნის შეძენა
ვერ შეძლოს. ამ ანგარიშით ბოლო ორი ათეული წლის მან-
ძილზე ქართველ კაცს შეეძლო ასი ახალი წიგნით გაემდიდ-
რებინა საკუთარი სულიერი სამყარო. წიგნი თანდათან გადის
ქართველი კაცის ცნობიერების სივრციდან. ადრეც ვთქვი და
ახლაც გავიმეორებ: ამას აქვს ობიექტური მიზეზები – რო-
გორც ზემოთ ვთქვი, ორი დინოზავრის – ტელევიზიისა და
ინტერნეტის შემოტევა საყოველთაო მოვლენაა და მარტი ჩვენ
არ გვეხება. ჩვენს სინამდვილეში ამას ემატება სუბიექტური
მიზეზიც – ქართული ტელესივრცის მიერ ქართული მწერ-

ლობის სრული იგნორირება, უფრო მეტიც, მის მიმართ ირონიული დამოკიდებულება, რაც ავ მაგალითს აძლევს ახალგაზრდებს. ჩვენში სოკოებივით მომრავლებულ ლიტერატურულ საღამოებზე იშვიათად დაინახავთ მის უდიდებულესობას – მკითხველს. დარბაზი მხოლოდ მწერლებითა და მათი მეგობარ-ნათესავებით არის სავსე. თომას ელიოტი ამბობდა: „მკითხველი მწერლის ნახევარი ტალანტია“. ქართული კულტურის არასწორი პოლიტიკის გამო ჩვენ ამ „ტალანტს“ – ქართველ მკითხველს – ვკარგავთ. მწერალსა და სკოლას შორის ხიდი მთლიანად ჩატეხილია. მწერალს არ ეძლევა საშუალება, მომავალ თაობას შეხვდეს. ამგვარ ინიციატივას, სამწუხაროდ, ხშირად ბარიერი ექმნება. ვინც ამას ხელს უშლის, ის მომავალ მკითხველს კლავს.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, ყოველივე ამან და წიგნისადმი მკითხველის ზურგით დგომამ, ასახვა პოვა ტირაჟზე, და ის იმდენად კატასტროფულად ცოტაა, რომ ამდენი ნაფიქრ-ნაწვალევი, უძილო დამების ნაყოფი, მწერლის სულის ნაწილი ფაქტობრივად წაუკითხაობისთვისაა განწირული.

* * *

გ. გ. – სკოლა კიდევ ცალკე პრობლემაა ავადაც და კარგადაც... ახლა დაწყებული საუბარი რომ განვაგრძოთ, ჩემს ახალგაზრდობაში მწერლებთან შეხვედრას სხვა სახე ჰქონდა; ახლაც მახსოვეს დიდი აფიშები: „მურმანი, მუხრანი, ანა“... ანდა „ჭაბუა ამირეჯიბი და რეზო ინანიშვილი“... ვიცი ერთეული შემთხვევები, როცა ცალკეული მწერლები მაინც ახერხებენ სკოლებსა თუ უძალლეს სასწავლებლებში შეხვედრების ორგანიზებას, თუმცა ამას დღეს სხვა მასშტაბი და ხასიათი აქვს...

დ. შ. – საქართველოში მომრავლდნენ ხელისუფლების ფავორიტი მწერლები; ან როდის არ იყო ასე: ისინი მუდამ

ტირაუირებული და ფართოდ რეკლამირებული არიან. ჯერ კი-
დევ როდის, ვაჟა-ფშაველა გულისტკივილით წერდა: „ეს ინ-
ტელიგენცია ვიღაა, ყოველთვის იქ არის, საცა ფული და ძა-
ლაუფლება არისო“.

ყოველი მწერლის ცხოვრების ზნებრივი კრედო უნდა
იყოს გაბრიელ მარკესის, დიდი კოლუმბიელი მწერლის სი-
ტყვები: „მე ვემსახურები ჩემს სამშობლოს და არა ჩემი სა-
მშობლოს მთავრობას“.

დღეს რეკლამირებულნი მხოლოდ პოლიტანგაუირებული
მწერლები არიან – ცალკე ზელისუფლებისა და ცალკე ოპო-
ზიციის მომხრენი. მათ თავიანთი პარტიული ტელევიზიები
გზას უხსნიან. მნიშვნელოვან პროექტებშიც ისინი ხვდებიან
და სკოლებშიც გზა სხილი აქვთ.

გ. გ. – ისევ წიგნს დავუბრუნდეთ. ინფორმაციის სიზუს-
ტეზე თავს ვერ დავებ, მაგრამ წინა საუკუნის ბოლოს წიგნ-
თან მკითხველის გაუცხოებაზე ვსუბრობდი და „დამამშვი-
დეს“: 70-იან წლებში ასე იყო ინგლისშიც – კომპიუტერმა
ჩანაცვლა წიგნი, მაგრამ საუკუნის ბოლოს მკითხველი შემო-
ბრუნდა მისკენო... ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ უწიგნუ-
რობის შედეგს სამომავლოდ ძალიან ცუდად მოვიმკით....

დ. შ. – სწორედ რომ ასეა... შეიძლება, ვინმემ იკითხოს
– რა დროს წიგნია, როცა ქვეყანა ასე, მძიმე მდგომარეობაში
არისო? მიმაჩნია, იმ უთვალავ პრობლემათაგან, რომლებიც
დღეს ჩვენ წინაშეა, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური
თუ სხვა – ყველაზე დიდი უბედურება არის ის, რომ საქარ-
თველოში მიმდინარეობს აზროვნების ლიკვიდაცია. რამაც
ოტია იოსელიანს ათქმევინა: „ჩვენ გვჭირს ეროვნული გამო-
თაყვანება“: ყოველგვარ მატერიალურ სიდუხჭირეს შეიძლება
გაუძლოს კაცმა, მაგრამ გონიერივ სიდუხჭირეს – ვერა. მაგა-
ლითისათვის ავიღოთ პოზიცია-ოპოზიციის პოლიტიკური სპექ-

ტრი. არსებობს შაშის თამაშის ასეთი სახალისო ვარიანტი – ვინ ადრე წააგებს! პრინციპი ასეთია: რაც შეიძლება მეტი სულელური სვლა უნდა გააკეთო... რაც ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უმოკლეს ვადაში სისულელების კასკადი მოაწყო, გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი. მათ შემყურებს არ შეიძლება, შაშის ამგვარი სახეობა არ გაგახსნდეს. ძველი აღთქმის წიგნში, „მეოთხე მაკაბელთაში” (თ. III. 21-22), ვკითხულობთ: „როცა ღმერთმა გამოსახა კაცი, ჩაუნერგა მას ვნებანი და ჩვევანი და მაშინ ყოველი გრძნობის წმინდა წინამდღვრად გონება დასვა ტახტზე“. დღევანდელ საქართველოში (ყველას არ ვგულისხმობ) გონება აღარ ზის ტახტზე და მის ნაცვლად უწიგნურობა და უმეცრება არის გაბატონებული.

დიდი წნის წინათ, პამლეტ გონაშვილის ხსოვნის საღამოს შზადების დღეებში, ერთ-ერთ ცენტრალურ ტელევიზიაში დავრეკეთ: – იქნებ თქვენი წარმომადგენელი მობრძანდესო. იქიდან გვკითხეს, ბატონი პამლეტი თუ დაესწრებაო? პასუხზე – ის ხომ გარდაცვლილიაო, ახალი შეკითხვა მოაყოლეს: – ალბათ მისი წიგნის პრეზენტაციაზე გვეპატიურებითო...

გ. გ. – ორიოდე სახალისო მაგალითს მეც შემოგაშველებ (შეიძლება ვიღაცამ დაგვძრახოს კიდეც, ამის შემყურებს რა გეხალისებათო...): „დიდად ცნობილი“ ტელეწამყვანი თამაზ ჭილაძეს ესტუმრა თურმე ინტერვიუს ჩასაწერად. საუბარს ოთარ ჭილაძეც ესწრებოდა. ოთარი რამდენჯერმე ჩარეულა საუბარში; უურნალისტს უკითხავს, თქვენც მწერალი ზართო?... ამ ამბითაც „გავხალისდეთ“: ხანდაზმული მუხრან მაჭავარიანი გულს უჩიოდა და კლინიკაში მოხვდა (თანამედროვე კერძო კლინიკა იყო). რამდენიმე დღის შემდეგ შვილს დაურეკა: თუ ღმერთი გწამს, მიშველე, წამიყვანე აქედანო: ყოველ დილით შემოდის მედდა და ხმამაღლა კითხულობს, „მაჭავარიანი რომელიაო“... სამწუხაროდ, მსგავსი რამ აღარაა ერთე-

ული შემთხვევა, გამონაკლისი... ლამის „კანონზომიერ“ ხასი-ათს იძენს...

დამეთანხმებით, ცხადია: საბჭოთა ტელევიზია მეტ დროს უთმობდა მწერლობას; „პოეზიის 5 წუთიც“ გვახსოვსა და სხვაც... მოკლედ:

სატელევიზიო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს კულტურის მიმართ, თორემ უკვე მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა. თქვენც ასე ფიქრობთ?

დ. შ. – საქართველოს კულტურის მინისტრს (ახლა უკვე ყოფილს) ნიკა ვაჩერიშვილს ვეუბნები: – დაუსრულებელი მოსულელო სერიალებისა და უნიჭო, ვითომ იუმორისტული სატელევიზიო სანახაობების შემხედვარე ხალხი ლამის მასობრივ გამოთაყვანებამდე მივიდეს. ყველა თანამედროვე კულტურულ ერს აქვს სატელევიზიო არხი – „კულტურა“ და, იქნებ, ჩვენც შევქმნათ-მეთქი. მადლობა გადამიხადა, მთავრობის სხდომაზე აუცილებლად დავაყენებ ამ საკითხსო, – დამპირდა, მაგრამ საქმე დაპირების იქით აღარ წასულა. მე, პირადად, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, ამ აზრის საზოგადოებრივ მომწიფებას ხელს არ დავაკლებ, მაგრამ აქ ერთი საშიშროებაც არსებობს: თუ ეს არხიც ფსევდოკულტურისა და მასკულტურის პროპაგანდისტი გახდება, იქნებ, დღევანდელი მდგომარეობა სჯობდეს... დააკვირდით, რა ხდება – მაშინ, როცა რამდენიმე ასეულტირაჟიანი ლიტერატურული უურნალგაზეთები დახლზე თვლემენ, გაცილებით მაღალტირაჟიან მოსულელო ყვითელ პრესაზე მოთხოვნილებაა.

ფაქტია, რომ თანდათან ტელესახელმწიფოდ ჩამოვყალიბდით, ტელეჯარი, ტელეპოლიტიკოსი, ტელეექსპერტი, ტელემწერალი და ა. შ.

გ. გ. – აზროვნების ლიკვიდაცია ახსენეთ და მართლაც გაჭირდება ისეთი საეთერო გადაცემის დასახელება, თითო-

ოროლა გამონაკლისის გარდა, ლოგიკურ, მწყობრ, ანალიტიკურ აზროვნებას რომ მოისმენთ (კულტურულს).

დ. შ. – აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში საქართველომ სცადა ყველაფერი – უკიდურესი რადიკალიზმიცა და კომპრომისიც, რომ სახელმწიფოდ შევმდგარიყოვით, მაგრამ არ უცდია აზროვნება, დადგა დრო, რომ ესეც ვცადოთ. აკაკი ბაქრაძის დაკვირვებით, ნაცარქექიას სახე საქართველოსთან სიმბოლიზებულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ – რომ ის მასზე გაცილებით დიდ მტერს ჭირდოთ და მოხერხებულობით სძლევდა; სამწუხაროდ, დღეს სხვა რეალობის წინაშე ვდგავართ. დღევანდელი გავლენიანი პოლიტიკური სპექტრის სიმბოლო არის ნაცარქექიას ანტიპოდი – სულელი ნაცარქექია. როცა გორიდან მობილური ტელეფონით ხელში ხბოს აღტაცებით თვალებგაბრწყინებული ყოფილი კულტურის მინისტრი ტელევიზიით აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს ომი ჩვენი მოსაგებია და რუსულ ავიაციაზე ირონიულად ქირქილებს – ეს არის აზროვნების სიღუხჭირის კლასიკური მაგალითი. როცა განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი სკოლის მოსწავლეებთან დაფაზე სიტყვა „ბავშვს“ სწორად ვერ წერს, ერთ პარლამენტარის სალვადორ დალი ქალაქი ჰვინია, ხოლო მეორე გაეროს, თავისი ფიქრით, როგორც სახელმწიფოს, რუსაზე ეძებს, ვფიქრობ, ეს სასაცილო კი არა, დასაღონებელი, შემაშფოთებელი ფაქტია.

გ. გ. – სამწუხაროდ, ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რათა ამ დონემდე დავსულიყავით; განათლება, პროფესიონალიზმი გვერდზე გადავდეთ... ახლა კი გამოდის, რომ წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, რათა გონებაზე მოვიდეთ, ინტელექტს დავეყრდნოთ და ისე, შევხედოთ მოვლენებს და ვიმოქმედოთ...

დ. შ. – მთელი ჩვენი უბედურების სათავე, მტრული, გარეშე ძალების გარდა, არის ის, რომ დაგვეუფლა ჰალუცინაციურ-ილუზიური აზროვნება. არსებულ რეალობას ვერ ვაანალიზებთ. ემანუილ კანტი წერს: „მოვლენის არსის, იდეის გაუანალიზებლობას ეწოდება სისულელე და მისი წამალი არ არსებობს“. ბოლო ოცდათი წლის მანძილზე ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სრული ქაოსია. უმეტესად ეს დაგეგმილია ვიღაცის მიერ. საჭირო და აუცილებელია ამ ქაოსის კანონზომიერების დადგენა, ანალიზი, რათა მომავალშიც მსგავს აბსურდულ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ. ქაოსი ყველა გაუმართავ საზოგადოებრივ ფორმაციაზე უარესია. გენიალური მოჭადრაკე ხოსე რაულ კაპაბლანკა ჭადრაკთან მიმართებით საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს: „უგეგმოდ თამაშს არასწორი გეგმით თამაში სჯობს“. ეს ფორმულა შეგვიძლია ჩვენს ვითარებასაც მოვარგოთ. ხანგრძლივად ილუზიურ საზროვნო სივრცეში ყოფნა კი ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ეთნოსისათვის ძლიერ დამაზიანებელია, მით უფრო, რომ ეს გლობალური მოვლენაა. ურუგვაელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე ედუარდო გალენო წერს: „ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც დაკრძალვა მიცვალებულზე მნიშვნელოვანია, ქორწილი – სიყვარულზე, გარეგნობა კი – ჭკუაზე. ჩვენ ვცხოვრობთ შეფუთვის კულტურაში, რომელიც ვერ იტანს შიგთავს“. თვალშისაცემია, რომ ჩვენ უკვე სიმულაციის დასრულების ხანაში, სიმულაკრში ვცხოვრობთ. სიმულაკრი ფრანგი ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის უანბოდრიარის განმარტებით შლის ზღვარს რეალობასა და წარმოსახვითობას შორის. უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, ჩვენ ვცხოვრობთ მოდელირებულ სამყაროში, სადაც მთავარი დამახინჯებული აღქმებია, ანუ ის, თუ მასობრივი ინფორმაციის

საშუალებები რა ცრუ აღქმებს შეუქმნიან პუბლიკუმს და არა ის, თუ რა არის რეალობა.

გ. გ. — დავით, ირგვლივ და ჩვენთანაც პროცესები ზოგჯერ ისე ულოგიკოდ ვითარდება, ხანდახან მგონია, რა მაღალი ინტელექტისაც არ უნდა იყოს კაცი, მნელია შეუცდომლად იღვაწოს, ზუსტად განსაზღვროს მოსალოდნელი შედეგები.

დ. შ. — გეთანხმებით. ჩვენნაირ სახითვათო გეოპოლიტიკურ სიტუაციაში მყოფი ერისთვის აუცილებელია ინტუიტიური ჭვრეტაც. ლოგიკაზე დაფუძნებული მაღალი ინტუიციის დონეზე უნდა განვჭროს საქართველოსთვის გრძელვადიანი პერიოდით ხელსაყრელი პოლიტიკური პროცესები. საინტერესო პასუხს იძლევა იუნგის პარადოქსი: „ინსტინქტით შეგროვილ ცხოველებში იბადება კოლექტიური გონი, ხოლო, როცა იკრიბებიან ინტელექტით შემკული ადამიანები, იბადება ინტუიცია“. რომელ კოლექტიურ ინტუიციაზეა საუბარი, როცა ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ჟამს მიღებულ გადაწყვეტილებას ერთი დღის შემდეგ რა მოჰყვება, ვერ განვსაზღვრავთ.

* * *

გ. გ. — დავით, შევცვალოთ საუბრის მიმართულება; საკითხი უფრო დავაკონკრეტოთ! ავიღოთ თემა: ქართული კულტურის დღევანდელი პოლიტიკა... რას იტყვით?

დ. შ. — საქართველოს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკა უკვე მრავალი ათეული წელია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საქართველოში კულტურა ყოველთვის გერის როლში იყო. ყველა ხელისუფლება ყოველთვის თავს იმით იმართლებდა, ახლა ჩვენ პრობლემები გვაქვს, ქვეყანაში კრიზისული მდგომარეობაა და კულტურისათვის ვერ მოვიცლითო. როცა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრ უინსტონ ჩერჩილთან დასამტკიცებლად სახელმწიფო

ბიუჯეტი შეიტანეს, იკითხა თურმე, კულტურა სადააო? უთხრეს: ომია, ბატონო! ჩერჩილმა უპასუხა, რად გვინდა ომის იმგვარად მოგება, თუ კულტურა არ გვექნაო?! ოსლოს ოპერის თეატრის ბიუჯეტი იცით რამდენია? არ დაიჯერებთ 1 მილიარდი ლოდარი. იტალიელი რეჟისორი ბერტოლუ ბერტოლუჩი წერდა: „საკუთარი ქვეყნის კულტურა რომ მსოფლიოში გაიტანო, იგი დიდ ფულთან ერთად ზარბაზნებში უნდა ჩატენო და ისე უნდა გაისროლო“.¹ ჩვენ არც დიდი ფული გვაქვს, არც ზარბაზნები, მაგრამ სწორ სახელმწიფოებრივ კულტურულ პოლიტიკას და ჩვენს გულწრფელ ენთუზიაზმს ბევრი რამ შეუძლია. ადრეც მითქვამს და აქაც გავიმეორებ, მიმაჩნია – საწყისი და მთავარი სულიერებაა. სულ ოთხი სახის ცნობიერება არსებობს: რელიგიური, სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურული. რელიგიურს არ განვიხილავთ, ამჟამად ჩვენი თემა არ არის. სამწუხაროდ, საქართველომ ვერც სამართლებრივ და ვერც ეკონომიკურ ცნობიერებაში მსოფლიო სიმაღლეს ვერ მიაღწია, ხოლო ქართული კულტურა მსოფლიო კულტურის უმაღლესი მწვერვალების დონეზე გახლავთ. ამდენად, ასეთი ფორმულა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: საქართველო – ეს არის ქართული კულტურა. ამიტომ წიგნების სასაფლაოდან ქართველი მოქალაქეების ოში დაღუპული ამოუცნობი ცხედრების საერთო სასაფლაომდე ერთი ნაბიჯია. რამდენადაც ვიცი, ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ უმეცარ ხელისუფლებას არათუ მასზე ძლიერი, არამედ უფრო სუსტი მტერი დაემარცხებინოს. დიდგორი უპირველესად ქართული აზროვნების ტრიუმფია. საყოველთაოდ ცნობილია: დავით მეოთხე როცა საომრად მიდოდა, თან წიგნებით დატვირთულ ჯორ-აქლემებს წაიყოლიებდა და ბრძოლაში შესვენებისას კითხულობდა. ყველაზე მეტად მან იცოდა, რომ

სხვებზე გაცილებით პატარა ქვეყანას ღრმა განსწავლულობა და სიბრძნე თუ გადაარჩენდა.

პოეზიის ქვეყნიდან – ტელექვეყნამდე – ეს არის გზა ამაღლებული ესთეტიკურ-სულიერი სივრციდან – სააზროვნო აღქმადადამბლავებულ ცნობიერებამდე.

გ. გ. – გარდა შიგა პოლარიზაციისა, ასევე იკვეთება გარე პოლიტიკასთან დაკავშირებითაც სხვადასხვა შეხედულების ჭიდოლი, იქნება ეს დასავლური ორიენტაცია (მეტი მხარდამჭერით) თუ – რუსული (ნაკლები მომხრეებით).

დ. შ. – სამწუხაროდ, ყოველივე ეს არახალია, ჯერ კი-დევ მეექვსე საუკუნის ლაზიკაში მკვეთრი ორიენტაციული დაპარისპირება არსებობდა, ერთი მხრივ, აიტის მომხრეთა პროსპექტური არიენტაცია და, მეორე მხრივ, ფარგაზის მომხრეთა პრობიზანტიური ორიენტაცია.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ არა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების დიდი რუსული მწერლობის, არამედ ველური, მტაცებლური რუსული იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომელმაც, შეიძლება, ფიზიკურად გაგვანადგუროს.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ არა შერვუდ ანდერსონის, ფოლკნერისა და სტეინბეგის ამერიკის, არამედ ე. წ. ქუჩური ამერიკისა, ქუჩური ამერიკული მასობრივი კულტურისა, რომელმაც, შეიძლება, ქართული სულიერ-კულტურული ცნობიერება გაანადგუროს.

რამდენადაც ჩვენ კაცობრიობის ისტორიაში მესამე რომად წოდებული სისხლიანი იმპერიის – რუსეთის იმპერიის – აგრესიის, ანექსიისა და ოკუპაციის მსხვერპლი ვართ, ჩვენი ტერიტორიის ოცი პროცენტი ძალადობრივად რომ აქვს მიტაცებული, ამგვარ სიტუაციაში კვლავ რუსულ ორბიტაზე დარჩენის სურვილი ყოვლად გაუმართლებელია. რა თქმა უნდა, ევროპა და დასავლეთი; ევროპულ არჩევანს ალტერნატივა არ

აქვს. ისე ევროპული ოჯახის წევრობა ევროპის წინაშე ჩვენი ისტორიული დამსახურებითაც გვეკუთვნის: როცა გავეშებულ მტერს, საქართველოსთან ომით ენერგიაგამოცლილს, ევროპაზე გალაშქრების თავი აღარ ჰქონდა. ჩვენ საუკუნეთა წიაღ ერთგვარი დამცავი ბუფერი ვიყავით ევროპისათვის. ჩვენ შევაჩერეთ სპარსელთა თარეში ჩრდილოეთით და დასავლეთით, თურქებისა – ჩრდილოეთით, მონძოლებისა – დასავლეთით. ერთი ავსტრიელი პოეტი ამბობდა: „თბილისი რომ არ ყოფილიყო, ვენაში მოლა იყივლებდაო“. აქ ისიც მინდა დავსძინო, რომ ჩვენ არა ვართ მენტალურად მხოლოდ ევროპელები, ტყუილია ეს. გეოპოლიტიკურად ჩვენ ხომ ევროპა-აზიის გზაგასაყარზე ვართ, ჩვენ ევრო-აზიელები ვართ. სამყარო არ არის მარტო დასავლეთი. რაღა ვუყოთ მის უდიდებულესობას – მთვლემარე ლომს, აღმოსავლეთს – თავისი მისტიკური კულტურით, რომელიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ევროპისა.

გ. გ. – დავით, ისეთ შთაბეჭდილებას ხომ არ ვქმნით, რომ ამ თვალსზრისით მხოლოდ ქართველები ვართ გამონაკლისები... სხვა ქვეყნებშიც ხომ ხდება პოლარიზაცია.

დ. შ. – ხდება, როგორ არ ხდება, მაგრამ ჩვენ ამ მხრივაც განსაკუთრებული ვართ. ჩვენთან პოლარიზაციის გამოკვეთილი ხაზია. უკიდურესი კოსმოპოლიტები, იგივე ფსევდოლიბერალები და რადიკალური კონსერვატორები.

გ. გ. – იქნებ დავაკონკრეტოთ.

დ. შ. – კეთილი, დავიწყოთ პირველით. ჩვენში ნიპილისტურ აზროვნებას სათავე პოეტმა ნიკოლო მიწიშვილმა დაუდო თავისი იმ დროისათვის გახმაურებული წერილით „ფიქრები საქართველოზე“. ეს არის წერილი, რომელიც პოეტმა სტამბულიდან გამოუგზავნა „ცისფერყანწელებს“. ამონარიდები ამ „უსტარიდან: „საქართველო პასიური მოვლენაა“. „მისი (სა-

ქართველოს – დ. შ.) ენერგია გამოწვეული იყო მის გარეშე მოვლენებისაგან, ეს ენერგიაა ჭიის, როცა ფეხს აჭირებენ“, „მეტვება თვით რუსთაველიც, თუ ის ჩვენი ცხოვრებისგანაა, უსათუოდ გაუგებრობაა ის. თუ არადა, ან რუსთაველი არ არის ქართველი, ანდა მისი პოემა აღვიღლად ნაშოვნია საღმე“. „როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას, მე იქ ღვთის ხელს ვერ ვხედავ, ჩვენი არსებობა დაცინვაა“. ნიპილიზმი ცარიელ ნიადაგზე როდი ხეირობს: 1922 წელია, საქართველო სისხლიანი ბოლშევიკების მიერ ანექსირებულია. იდეალები დამსხვრეულია. ეს წერილი იწერება ერთ დროს ზედმეტად მესიანიზებულ ქვეყანაში. იბეჭდება, საპირისპიროც, გრიგოლ რობაქიძის „საქართველოს მისია“, სადაც საქართველოს წარსულიცა და აწმყოც ჰეროიზებულია, დიდების მანტიით მოსილია.

ყოველთვის ორ დიამეტრულად საწინააღმდეგო პოლუსებს ვეზეთქებოდით. ბოლო ათწლეულებში ელვის სისწრაფით გავიარეთ გზა ეთნომესიანიზმიდან ეთნონიპილიზმამდე, რამაც ერის ფიქიკას დიდი დარტყმა მიაყენა.

რაც შეეხება კონსერვატორებსა და კოსმოპოლიტებს, ამათი დაპირისპირების ერთ საილუსტრაციო ფაქტს გავიხსენებ, რომლის მოწმე თავად გავხდი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყის ეტაზე მოხდა ისე, რომ ქართული საოპერო ხელოვნება უნდა წარდგენილიყო მსოფლიო საოპერო ხელოვნების დიდ ფესტივალზე. რეპერტუარის განსაზღვრისას სერიოზული დაპირისპირება მოხდა ამ ორ ბანაკს შორის. ერთნი ითხოვდნენ, მხოლოდ ქართული რეპერტუარით წარვმდგარიყავით აღნიშნულ კონკურსზე. „ბახი, მახი, პუჩინი, მუჩინი არ ვიცი მე“ – ბრაზობდნენ. მეორე მხარეც გამოირჩეოდა უკიდურესობით: სირცხვილია, არაყიშვილის, ფალაშვილისა, დოლიძის ოპერების წარმოჩენა, ევროპული კლასიკური ოპერები უნდა წარვადგინოთ. ერთმანეთის წინააღმდეგ ორი

სრულიად განსხვავებული სიმბოლო დგას – ქართული ჩოხა და ელგაბედეს ჭრელი დროშა. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მხოლოდ ფეოდალური საქართველოს თვალით უყურებდე თანამედროვე სამყაროს, ვერ აღიქვამდე მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესს, მაგრამ, მეორე მხრივ, უკიდურესი ფსევდოლიბერალური ღირებულებები, ყველაფერზე ტაბუს მოხსნა ძალადობაა ეროვნულ ეთნოფ-სიქოლოგიაზე, უფრო უარესი, ზნეობრივ დეგრადაციამდე მი-გვიყვანს.

ჩვენი სულიერი ტრაგედია ის არის, რომ გვიჭირს მი-ვაღწიოთ სინთეზს. ერთიანობაში აღვიქვათ, გავამთლიანოთ ეროვნული და საკაცობრიო, როგორც სულიერი, ასევე მხატ-რულ-ესთეტიკური ღირებულებები. როგორც ჩვენი ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა, „ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპო-ლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია“. ისე კი ვაჟა-ფშაველას „კოსმო-პოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ყველა ქართველისათვის და-სასწავლი უნდა იყოს.

გ. გ. – მოდით, კითხვა ასე დავსვათ: რას იტყვით, ხომ არ ზის რაღაცწილად მაინც ქართულ ეროვნულ ხასიათში უცხოურის მიუღებლობა?

დ. შ. – არა, ბატონი გიორგი, პირიქით არის. თვალსა-ჩინო მაგალითი ავიღოთ ჰაგიოგრაფიიდან – „შუშანიკის წამე-ბა“. შუშანიკი არ არის ქართველი, სომეხი ქალის ცხოვრებას ასახავს. ამიტომ ჯერ კიდევ როდის ვიყავით ტოლერანტები. ოქვენ ენათმეცნიერი ხართ და კარგად იცით, ენაში როგორ იკითხება ერის ეთნოფსიქოლოგია. ჩვენ ყოველივე კარგსა და საუკეთესოს „საუცხოოს“ ვეძახით. როგორც კონსტანტინე გა-მსახურდია ბრძანებს, ყველაზე კარგ ქართულ ნაგაზს კავკასი-ურს ვეძახით, ყველაზე კარგ ქართულ თხილს – ბერძნულს,

ძველებურ თბილისურ სახლებს – იტალიურს... დაგსძენ, მსგავ-
სი რამ, როგორც ამბობენ, არც ერთ ერში არ შეინიშნება, პი-
რიქით კი ხდება; აკაკი ბაქრაძეს აქვს საყურადღებო წერილი
„მამელუკური ფსიქოლოგია“, სადაც უამრავი მაგალითია მო-
ხმობილი, რომ ქართველი სხვის ომში უფრო თავდადებულია,
ვიდრე თავისაში...

**გ. გ. – დავით, მოდით, ეს აზრიც კონკრეტული მაგა-
ლითებით შევამაგროთ!**

დ. შ. – მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ჩვენი ისტორიი-
დან, ქართველების შემწყნარებლობისა და ტოლერანტობისა
უცხოთა მიმართ. ბევრ ქვეყანაში იყო ებრაელების დევნა, გან-
საკუთრებით ევროპის ცენტრში, დიდად კულტურულ გერმანი-
აში; ავილოთ თუნდაც რუსეთში, მეოცე საუკუნის ოცდაათიან
წლებში გავრცელებულია ლოზუნგი: „Бей жидов“ (გალახე
ურიები) იგულისხმებოდა: „გაანადგურე „ჟიდები“ (ებრაელე-
ბი), დაიცავი რუსეთი!“ ჩვენთან კი უკვე ოცდამეშვიდე საუკე-
ნე დაიწყო, რაც ამ ხალხის ნაწილი ჩვენს მიწაზე ცხოვრობ-
და (ცხოვრობს) და ჩვენ შორის ეთნიკურ ნიადაგზე ერთი უმ-
ნიშვნელო გაუგებრობაც არ ყოფილა. ბატონო გიორგი, ჩვენ
ერთად ვიყავით ისრაელში, წმინდა მიწაზე, და ერთად ვნახეთ,
როგორ ისაკლისებენ და ცრემლებამდე როგორ უყვართ საქარ-
თველო. უფრო მეტიც, შეტანილია უკვე თხოვნა, რომ იუნეს-
კომ ქართულ-ებრაული ოცდაექვსაუკუნოვანი მეგობრობა
მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლად აღიაროს. ავილოთ ჩვენი ისტორიის უკანასკნელი მო-
ვლენები, სისხლიანი შეტაკებები საქართველოში რუსი,
აფხაზი და ოსი ეთნოსის წარმომადგენლებთან, რასაც ჩვენი
ტერიტორიული მთლიანობაც შეეწირა. მთელი ამ ხნის განმავ-
ლობაში არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რომ ქართველ
კაცს შურისძიების მიზნით ეთნიკურ ნიადაგზე თავის გვერდზე

მცხოვრები ამ ეთნოსების რომელიმე წარმომადგენელი დაერბია. ისტორიულ ქრესტომათიულ ფაქტზე აღარაფერს ვამბობ, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია მოუკიდილია სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის საკულტო შენობებით: მეჩეთებით, სინაგოგებით, კათოლიკური ტაძრებით, ბაპტისტური სალოცავებით და სხვა.

გ. გ. – დავით, მამელუქური ცნობიერება ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, ეს კარგად გვახსიათებს თუ ცუდად?

დ. შ. – ზოგჯერ კარგად და ზოგჯერ – ცუდად. ეს ჩვენი გენეტიკური თვისებაა. უბრალოდ, ასეთი ვართ და ეგ არის! მახსენდება, კინოფილმ „უძინართა მზეში“ შვილი რომ ამბობს მამაზე: „ეგეთია და რას იზამ“. ცნობილი მაგალითი ისტორიიდან: თორნიკე ერისთავი, ბერბაში იოანე-თორნიკე, საქართველოს ისტორიაში ცნობილია როგორც დავით კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, მან X საუკუნეში ბერის კაბა გაიძრო, ბიზანტიაში იბრძოდა და 12 ათასი ქართველი მხედრით დაამარცხა ამბოხებული ძლევამოსილი ბიზანტიელი სარდლის ბარდა სკლიაროსის ლაშქარი. თუმცა არსებობს ცუდი მაგალითიც, როცა მონგოლებისაგან დაპყრობილი ვიყავით, ჩვენი მტრის გაძლიერების მიზნით მონგოლებთან ერთად მისი მტრის წინააღმდეგ იბრძოდა ქართველთა ლაშქარი და ამ ბრძოლაში მონგოლებზე მეტად გამოიჩინა თავი...

დიდია ქართველ მამელუქთა როლი საფრანგეთისაგან ეგვიპტის განთავისუფლებაში. ნაპოლეონმაც კი ვერ შეძლო მათი დამორჩილება; ასევე დიდი როლი მიუძღვით წარმოშობით ქართველ ფაშებს ერაყის გაძლიერებაში.

გავიხსენოთ მხედრები საქართველოს გარეთ: გიორგი სააკაძე, პეტრე ბაგრატიონი, ნიკო ბური, შალვა მალლაკელიძე, ჯონ მალხაზ შალიკაშვილი...

გ. გ. — დავით, როგორც იქნა, მე-20 საუკუნის ბოლოს აღვიდგინეთ ნანატრი დამოუკიდებლობა; მოვიპოვეთ თავისუფლება... მოდით, ეჭვიანი კითხვა დავსვათ: არის ეს რეალური დამოუკიდებლობა, ნამდვილი თავისუფლება? რას იტყვით?

დ. შ. — დავით სარაჯიშვილი წერს: „ქართველს თავისუფლება ისა ჰგონია, ერთ ბატონს მეორე ბატონით თუ ჩაანაცვლებსო“. საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე ცნებებია. დიდ გერმანელ ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგ ერიხ ფრომს აქვს ფუნდამენტური ნაშრომი „გაქცევა თავისუფლებისაგან“. იქ იგი ამბობს, რომ ადამიანს უჭირს თავისუფლება და ცდილობს მისგან გაქცევას. ჯერ დამოუკიდებლობაზე ვთქვათ. დამოუკიდებლობა როულია, მძიმე ტვირთია, ის შეიძლება შევადაროთ პატარა ბავშვს, რომელსაც უჭირს პირველი ნაბიჯების გადადგმა. ამიტომ ან დედას ჩასჭიდებს ხელს, ან უცხო ბიძას. დედაზე როცა ვამბობთ, ამ შემთხვევაში უხეში შედარებით შეგვიძლია ვიგულისხმოთ რუსეთი, ხოლო ბიძა — დასავლეთი, ბავშვი კი ჩვენს დამოუკიდებელ საქართველოს შეიძლება შევადაროთ. მაპატიოს ერიხ ფრომის დიდმა ავტორიტეტმა, მაგრამ, ჩემი აზრით, ადამიანს თუ ქვეყანას თავისუფლებისაგან კი არ სურს გაქცევა, არამედ დამოუკიდებლობისაგან. თავისუფლება ხომ სულის, ზოგადად, საკუთარი მდგომარეობის კომფორტული ვითარებაა, რისგანაც დღეს ჩვენი ქვეყანა შორსაა.

არსებობით სიამაყე მხოლოდ მაშინაა სირცხვილი, როცა ქვეყანაში უცხოტომელი შემოგივარდება და შენ კი მას მონად დაუდგები.

სახელმწიფო იქნება თუ პიროვნება, თვალებში შესციცინებდე შენზე ძლიერს (შესაძლოა ის შენ მიმართ დამნაშავეც იყოს) იმ იმედით, დაგიცვას, გიმფარველოს — ეს არის კლასიკური პატერნალისტური აზროვნება. ეს უმეტეს შემთხვევა-

ში დამაზიანებელია იმისათვის, ვინც აქედან სიკეთეს მოელის. ეს საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვება და თავისუფალი მოქმედების არეალის წინასწარ შეზღუდვაა.

„შენ თვითონ გახდი შენი თავის მბრძანებელი და არ გეყოლება თავს ზემოთ მბრძანებელი“ ქადაგებს ბუდა. რეზიუ-მეს სახით, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ თა-ვისუფლებისაგან ჯერ შორსა დგას.

გ. გ. – ჩვენს საზოგადოებაში ბოლო სამი ათეული წე-ლია ჩამოყალიბდნენ ე.წ. „ისტები“, ანუ კონკრეტულად რომე-ლიმე ლიდერის თავგამოდებული, პოლიტიკურად ძლიერ ანგა-ჟირებული მხარდამჭერები... რა მოვლენაა ეს, რას იტყვით ამის შესახებ.

დ. შ. – „ისტობა“ (არა აქვს მნიშვნელობა, კერპი დადე-ბითი პირვენება თუ უარყოფითი) ზოგადად, როგორი მერტა-ლურ-ფსიქოლოგიური მოვლენაა. ეს ჩვენში დღეს არ დაწყე-ბულა. იგი ჯერ კიდევ მექქსე საუკუნიდან იღებს სათავეს. ისევ ლაზიკის მაგალითი: ორიენტაციათა დაპირისპირება იყო იმდროინდელ წარჩინებულ პოლიტიკოსებს – აიეტსა და ფარ-ტაზს – შორის. სპარსული ორიენტაციისა გახლდათ აიეტი, ხოლო ბიზანტიურისა – ფარტაზი. მკვეთრმა პოლარიზაციამ ხალხიც ორად გაყო, აიეტისა და ფარტაზის აქტიურ მოშრე-ებად. ანუ, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, პირველი „ისტები“ იყვნენ ფარტაზისტები და აიეტისტები. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს კი იღიასა და მაჩაბელს შორის მკვეთრმა მენტალურმა უთანხმოებამ იღიელები და მაჩაბლის-ტები წარმოშვა. „ამისტებად“ და „იმისტებად“ დაყოფა, რომე-ლიც ფანატიზმში გადადის, მეოცე საუკუნის მიწურულიდან უკვე ახალ ფაზაში გადავიდა და დღემდე არ დასრულებულა. ყოველივე ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1. ყალბად გაგებული მესიანიზმი. პატარა ქვეყნებში მესიანიზმის იდეა მძლავრობს,

რომელიც რელიგიურად მკრეხელურ ნიშნებს ატარებს (თამარ მეფის სამების მეოთხე ჰიპოსტასად გამოცხადება, სომხეთში – არარტის მთის კაცობრიობის არსებობის სათავედ აღქმა და სხვა), ეს გარკვეულწილად გადარჩენისათვის სჭირდებოდათ, მაგრამ ერთი მზსნელად მოსესავით ერთი კონკრეტული პოლიტიკის წარმოდგენა, ერთი ადამიანის გადამეტებულ შესაძლებლობებზე მცდარი დაყრდნობაა. 2. უღვთო საზოგადოებაში (და ჩენ სწორედ ასეთი ვართ) ღმრთის თაყვანისცემის ნაცვლად ვიღებთ კაცთაყვანისცემას. 3. იმპერიული პრინციპი – „დაყევი და იბატონე!“ – ჩვენნაირ პატარა ქვეყნებში იდეალურად ჭრის. იმპერია მუდამ იმას ლამობს, თუ როგორ გახლიჩოს, დააუპირისპიროს საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს. 4. ადამიანის ბუნებრივი თვისებაა, პასუხისმგებლობას გაექცეს; მისთვის კომფორტული მდგომარეობაა, ეს ტვირთი სხვას აპკიდოს, ის გაიჩინოს იდეალად. „ისტობა“ გონებრივ შესაძლებლობებზეც მოქმედებს. ის პიროვნებებსა და მოვლენებს აღიქვამს პრიმიტიულად, მხოლოდ ორ ფერად: თეთრად და შავად. პოლიტიკური პროცესისა თუ თავისი რჩეული ან მოძულე პოლიტიკური ლიდერის შეფასებისას ლამის დარაჯ „ისტსა“ და აკადემიკოს „ისტს“ შორის სხვაობა გამქრალია, იდენტური შეხედულებები აქვთ, ერთნაირ დასკვნებს აკეთებენ.

„ისტი“ საზოგადოება ფაქტობრივად აზროვნებაზე უარს აცხადებს, მისთვის ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია – გამონათქვამი მისი ბელადისა. გახსოვთ ალბათ მსოფლიო ისტორიის მაგალითი: კალიგულას წინადადებით პარლამენტში მისი ცხენი აირჩიეს.

ისტისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ფაქტს, ის აზროვნებს ფაქტს მიღმა. სამოქალაქო ომი ჯერ იწყება ცნობიერებაში და მერე გამოჩნდება იარაღი. „ისტობა“ მკვეთრად უარყოფითი მოვლენაა, იწვევს მკვეთრ პოლარიზაციას,

დაპირისპირებას ძმისა ძმასთან, დედისა შვილთან, ცოლისა ქმართან და ა. შ. ... ფსიქოლოგიურად ამზადებს ქვეყანაში ძმათა შორის ომის გაჩაღების ნიაღაგს.

გ. გ. — საქართველო ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს. როგორ ფიქრობთ, იმოქმედა ამან ქართულ მწერლობაზე, ხელოვნებაზე, ზოგადად ქართულ ცნობიერებაზე?

დ. შ. — ქართული ცნობიერება ხან პოეტ თეიმურაზ პირველისაკენ იხრებოდა, ხან ბარათიშვილისაკენ, მაგრამ ძირითადად ის ამ ორ ცნობიერებას, აღმოსავლურსა და დასავლურს, საკუთარ თავში ჰარმონიულად ატარებდა. ყველაზე შთამბეჭდავად ეს „ვეფხისტყაოსანში“ აისახა, რომელიც ფორმით აღმოსავლურია, ხოლო სააზროვნო სისტემით, ფილოსოფიით — დასავლური, ადრერენესანსული ძეგლი ნეოპლატონური იდეებით. გავიხსენოთ რადიარდ კიპლინგის ქრესტომათიული გამოთქმა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი — დასავლეთი და ისინი ერთმანეთს ვერასდროს შეხვდებან“. საქართველომ საკუთარი ისტორიული მაგალითებით დაამტკიცა, რომ შესაძლებელია, ეს ორი კულტურა, ორი მსოფლგანცდა, ორი ცნობიერება ჰარმონიულად შეითავსო. ამისი ილუსტრაციაა ლადო ასათანის სტრიქონები: „მე გავშლი ხელებს და შეერთდება აღმოსავლეთი და დასავლეთი“, ან თუნდაც ტიციან ტაბიძე: „გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში“. ამისი ილუსტრაციაა მთელი ჩვენი ისტორია. აღმოსავლეთი — ეს მძინარე ლომი მიიჩნევს, რომ დასავლეთისაგან უსამართლოდ არის გვერდზე მიწეული, დასავლეთი მასზე წინ წავიდა. მისი გენეტიკური სიამაყე ამ დროს დამცრობილია. პოლიტიკის ფილოსოფოსები, ეთნოფსიქოლოგები, კულტუროლოგები მიიჩნევენ, რომ 2011 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი ამერიკის შეერთებული შტატების დიდ საფინანსო ეკონომიკურ ცენტრზე — ეს იყო აღმოსავლეთის სივ-

რცის კულტურის აგრესია დასავლურ დროის პოსტმოდერნისტულ კულტურაზე. ერთი სიტყვით, კულტურათა აგრესია ფაქტია. ვიმეორებ, საქართველოში ეს არასოდეს მომხდარა. ამ მხრივ ჩვენ უნიკალურები ვართ. რამდენჯერ დავაყენე საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ გაგმართოთ აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა დაალოგი, საქართველოში ჩატარდეს მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა მშვიდობანი თანაარსებობის შესახებ“. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თემას გაგრძელება არ აქვს. მარტო ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტის მოხმობა რადა ღირს: მიუხედავად იმისა, რომ ირანთან მუდამ ხანგრძლივი და მომქანცველი ომები გაგვიმართავს, მისი დიდი კულტურა იმდენად შესისხლხორცებული გვქონდა, რომ საქართველოში ყმაწვილებს ფირდოუსის გენიალური „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟების სახელებს როსტომსა და ზურაბს ვარქმევდით.

გ. გ. – რამდენად და როგორ აისახა ეს თემა ლიტერატურაში (ჩვენთან თუ უცხოურში)?

დ. შ. – სამწუხაროდ, დაუფარავად უნდა ვთქვა, რომ თანამედროვე ქართული პროზა (მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული თვალსაზრისით ასე თუ ისე მოწესრიგებულია) წვრილთემიანობით გამოირჩევა. აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა საკითხს ეხება თურქი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ორპან ფამუკის რომანი „მოგონებანი მონასტერზე“. კონსპექტური ფაბულა ასეთია: იტალიიდან სტამბულში ჩადის ყმაწვილი, იქ გაიცნობს თურქ თანატოლს, დამევობრდებიან და მოელ დღეებს ერთად ატარებენ. ბოლოს ერთ ოთახში ჩაიკეტებიან და თვეების განმავლობაში იქიდან გარეთ აღარ გამოდიან. ბოლოს მწერალი იხმობს მისტიფიცირებას და აღმოჩნდება, ორივე ეს პერსონაჟი ერთი პიროვნებაა. ეს იმდენად მაღალი მხატვრული ძალით არის აღწერილი, რომ

მკითხველში მძაფრ ემოციას იწვევს. მწერლის აზრით, ეს ორი კულტურა ზურგით კი არ უნდა იდგეს ერთმანეთთან, არამედ ერთმანეთისაკენ უნდა იყოს მიბრუნებული. თუ სამართალია, მსგავს თემაზე რომანი საქართველოშიც უნდა დაწერილიყო.

ეს თემა გაცილებით აღრეც გვხვდება: ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა „პარციფალში“ – მეცე ხუცესი იოანე (ასე უწოდებდნენ ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს) არის პარციფალის ნახევარმმის, ფაირეფიცის, ძე. ფაირეფიცი ეტიმოლოგიურად ნიშნავს „შავ-თეთრს“, ქრისტოლოგიურად ფაირეფიცი არის – აღმოსავლური და დასავლური სიბრძნის შერწყმის სიმბოლო.

გ. გ. – დავით, ისევ ამ თემას რომ დავუძრუნდეთ, წმინდა ესთეტიკური ხედვის თვალსაზრისით, საინტერესოა რა განსხვავებას ხედავთ აღმოსავლურ და დასავლურ ხელოვნებას შორის?

დ. შ. – ისევ ორპან ფამუკს მოვუხმოთ, სხვა ნაწარმოებებზე ამ აზრს ვერ გავავრცელებ, მაგრამ მისი რომანი „მე წითელი მქვია“, ვფიქრობ, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი რომანია; საინტერესოა ფორმის თვალსაზრისითაც: ყველა პერსონაჟი პირველ პირში ჰყვება ერთსა და იმავე შემთხვევას, სხვადასხვა აღქმებით. სიუჟეტურადაც, ნაწარმოების დასაწყისში უცნობი გვამის პოვნა... ერთი სიტყვით, პოსტმოდერნული ნაწარმოებია, ალუზია რიუნოსკე აკუტაგავას მოთხრობისა „უსიერ ტყეში“. მთელი ნაწარმოები აღმოსავლურ ცნობიერებას ეხება და მასთან მიმართებით დასავლურს. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი წიგნში ჩახატული ხეა. აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანში, დიდ ყურადღებას აქცევენ წიგნის მხატვრობას. ხე ჰყვება: დასავლელ ქალებს სურთ, რომ მხატვარმა ისინი ნატურალურად გადაიტანოს ტილოზე

და ამითი თავი მოიწონონ. აღმოსავლეთში ასე არ ხდება, მე არ მინდა კონკრეტულ ხეს ვგავდე, ხომ შეიძლება, რომელიმე პირუტყვს რეალური ხე ვეგონ და მომაშარდოს კიდეც. მე კონკრეტული ხე კი არ მინდა ვიყო, არამედ – ხის იდეა, ისე-თი – ალაპი რომ პირველად ხედავდა.

აქ არ შეიძლება, არ გავავლოთ პარალელი პლატონის ფილოსოფიის ცენტრალურ ნაწილთან (მოძღვრება იდეების შესახებ). სადაც ასაბუთებდა, რომ უმაღლესი განგებულების ქვემოთ არის იდეათა ველი. პლატონი ფიქრობდა, რომ იდეა უდავოდ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საგანი. მიუხდავად იმის, რომ პლატონი დასავლური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელია, მისი მოძღვრება იდეათა ველის შესახებ პირდაპირ შეესაბამება აღმოსავლურ ცნობიერებას, საცა კონკრეტული საგნის აღწერასთან შედარებით არსის შეცნობას უპირატესობა ენიჭება.

გ. გ. – გამოდის, საქართველოს მძიმე მისია აკისრია: ვართ ევროპა-აზიის გზაგასაყარზე და ვიერთებთ ორივე კულტურას... სწორად გავივე თქვენი აზრი?

დ. შ. – დიახ. ჩვენ სანიმუშო ვართ იმით, რომ უკონფლიქტოდ ვატარებთ ამ ორ დიდ კულტურას; საქართველო ჩაუმქრალი რეგიონული დაპირისპირების წერტილიდან, თავისი ისტორიული ცხოვრებით, როგორც უნიკალური მაგალითი, უნდა იქცეს აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა მშვიდობანი თანაარსებობის ცენტრად.

* * *

გ. გ. – შევცვალოთ ჩვენი საუბრი თემა, ასე ვთქვათ, უფრო გავამსუბუქოთ. მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, სიცილი (იუმორი) უმთავრესი ადამიანური თვისებაა; ადამიანობის მახასიათებელი: „ადამიანი ტირის და იცინის. ცხოველიც ტირის, მაგრამ არ იცინისო“... ამის თქმა მწერალს ერთი „მოღვაწის“

დასახასიათებლად დასჭირდა („გაცინებული არავის უნახავ-სო“)...

მიფიქრია ამ თემაზე, იუმორის თემაზე... ამის თაობაზე თქმულა და დაწერილა კიდეც... მე სხვა კუთხით მაინტერე-სებს: ეთნოგრაფიული კუთხეებისა თუ ეთნიკური ჯგუფების თვალსაზრისით არავის უკლევია ეს თემა... არადა მეჩვენება: კახური იუმორი თავისი ბუნებით, გამოხატვის ფორმით, „სე-რიოზულობით“ სხვა ფენომენია... იმერულ იუმორს პილპილი აქვს ცოტა მეტი დოზით... რაჭული?... სვანური?... რამდენიმე ფილმი გადაიღეს „კუთხური იუმორის“ თემაზე („სიყვარული ყველას უნდა“, „იმერული ესკიზები“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, „მაიტა ნასოსი“...). კარგია, კინემატოგრაფი რომ დაინტერესდა ამ თემით... პო, ფშაური კაფია?... ფოლ-კლორისტებს, ენათმეცნიერებს, ეთნოგრაფებს ამ თემაზე მეტი ფიქრი გვმართებს; ეს ჩვენი ეროვნული ხასიათის მრავალფე-როვნების გამოვლენაა... ახლა რატომ შევჩერდი ამ საკითხზე:

გურიაში იუმორი სხვა კუთხეზე მეტად ფასობს... იუმო-რის გრძნობას გურულის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევენ... „უცნობში“ ვახტანგ ჯავახაძე იგონებს: ერთხელ გალაკტიონმა ანეკდოტი გვიამბო. ექიმმა ავადმყოფს გურიაში წასვლა გამოუწერა. შენს ავადმყოფობას სიცილი უხდებაო. გურიაში კი ნაბიჯს ვერ გადადგამ, რაიმე სასაცილო არ გაი-გონოო... – თუ გიფიქრიათ ამ თემაზე?

დ. შ. – ფაქტობრივად მიხეილ ჯავახიშვილი ავითარებს იმ აზრს, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში გამოოქვა არისტოკრატები: „სიცილი ადამიანის განმსაზღვრელი თვისე-ბაა“. სიცილთან დაკავშირებით ვისაც ყველაზე მეტად დაეჯე-რება, ის ამბობს: „დღე სიცილის გარეშე დაკარგული დღეაო“ (ჩარლი ჩაპლინი). პორაციუსი კი ბრძანებს: „სიცილი სერიო-ზულის ერთადერთი გამოცდაა და სერიოზულობა – სასა-

ცილოსი. საეჭვოა ის საგანი, რომელიც დაცინვას ვერ იტანს და ცრუა ის ხუმრობა, რომელიც სერიოზულ გამოცდას ვერ უძლებს“. არსებობს ასეთი გამოთქმა, – „გაუღიმარი ხელმწიფე“ – ადამიანი, რომელიც არ იცინის, საშიში ადამიანია, ცუდი კაცია. იუმორი გარკვეულწილად გამოხატავს აზროვნების ხარისხს, რაზე ხუმრობ, რაზე იცინი, რაზე არ გეცინება. დამაფიქრებელია, ამერიკელი მწერლის ელგარ პოუკის მოსაზრება: „თუ დღეს საკუთარ პრობლემებზე სიცილი არ ისწავლე, სიბერეში ველარაფერზე გაიცინებ“. ექიმები იმასაც გვიმტკიცებენ, რომ სიცილი ანელებს სიბერეს, ხელს უწყობს მეხსიერებისა და აზროვნების განვითარებას; მედიცინის დარგიც არსებობს ასეთი, გელოტოლოგია, მეცნიერება სიცილის თერაპიული გამოყენების შესახებ. ევროპასა თუ ამერიკაში უამავი სიცილის ცენტრია. ზოგჯერ ადამიანი იმიტომ იღიმის, რომ დაძლიოს შიში. მაგალთად ჯამბაზი თოკზე. მან პუბლიკუმს უნდა უჩვენოს, რომ არ ეშინია გადმოვარდნისა. ამ მაგალითზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას გურამ ასათიანი წიგნში „სათავეებთან“. ზოგი იღიმის იმიტომ, რომ სევდა, ტკივილი, პირადი უბედურება დამალოს, რაც დიდ სულიერ ძალას მოითხოვს. ბიბლიაში ვკითხულობთ: „სიცილის დროსაც კი წუხს გული“ (იგავნი სოლომონისა – 14. 13.). თქვენს კითხვაზე ფიქრმა ორი სტრიქონი გამახსენა ჩემი ლექ-სიდან „კლოუნის მონოლოგი“. „და მეც ვხარხარებ, სიცილი რადგან ტკივილს ცეცხლგამძლე სკივრში ინახავს, და მე მეგობარს ვუწოდებ იმ კაცს, ვინც ამ სიცილში ცრემლს დაინახავს“.

მიხეილ ჯავახიშვილი როგორც ბრძანებს, სიცილი მართლაც „ადამიანობის მახასიათებელია“. ცნობილია, როგორ განიცდიდა ჩვენი კლასიკოსი დავით კლდიაშვილი, როცა ეუბნებოდნენ, თქვენ აზნაურობას დასცინითო. პასუხს აძლევდა:

„მე არავისთვის დამიცინიაო“ სიცილის მეფე გენიალური ჩა-
რლი ჩაპლინი კი ამბობდა: „ჩემი გულის ტკივილი შეიძლება
იყოს ვინმეს სიცილის მიზეზი, მაგრამ ჩემი სიცილი არასო-
დეს იქნება ვინმეს გულის ტკივილის მიზეზი“.

გ. გ. – ანუ: სიცილი დარდის, ტკივილის ნიღაბია... ანდა
კლასიკური ფორმულა: „ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდა-
რია, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“...

დ. შ. – ნობელის პრემიის ლაურეატი ფილოსოფოსი ან-
რი ბერგსონი, „ფილოსოფოსი პოეტი“, როგორც მას უწოდებ-
დნენ, ავტორი ესეისტური წერილისა „სიცილი“, რომელიც
სიცილის ბუნებას ეხება, წერს: „სიცილს იწვევს გონებისა თუ
სხეულის ნებისმიერი მექანიკური ჩვევა, რომელიც ეწინააღ-
მდეგება ცხოვრების მდინარებას. კომედია კი ხელს უწყობს
პიროვნულ და საზოგადოებრივ პროგრესს“. გოეთე ამბობს:
„ირონია არის ის უნივერსალური მარილი, ურომლისოდაც
არც ერთი ესთეტიკური კერძი არ იჭირება“. ასე რომ, სიცილი
– ეს ის არის, რის შესახებაც კაცობრიობის დიდ მოაზროვნე-
ებს ბევრი უფიქრიათ და კულტუროლოგიაში ამ თემაზე ბევრი
ნაშრომი არის შექმნილი. ამ კუთხით ჩვენს ლიტერატურაში
აკაკი ბაქრაძეს აქვს ყურადსალები დაკვირვება: „ქართულ
მწერლობაში სიცილს სამი მიმართულება აქვს: პირველი –
ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის, მეორე – დავით
კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის, მესამე – ნოდარ
დუმბაძის. როცა ილია და მიხეილ ჯავახიშვილი ხარხარებნ,
გაწნული სილის ტკაცუნი ისმის. მამხილებელი ძალა სირ-
ცხვილით გწვავს და გდაგავს. როცა დ. კლდიაშვილი და
ნ. ლორთქიფანიძე იღიმებიან, სევდა გეუფლებათ და ადამიანის
მიმართ თანალობის სურვილი გიჩნდებათ. როცა ნ. დუმბაძე
იცინის, შხიარულების ძალით ივსებით. სიცილი გაჭირვების
დამთრგუნველი იარაღია“.

გ. გ. — შეიძლება გახსოვთ: ერთმა კრიტიკოსმა იუმორი დაუწუნა ნოდარ დუმბაძეს რომანში „ნუ გეშინია, დედა“: უადგილო ადგილას ხუმრობს, გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს რა ეხუმრებაო... თითქოს, მისი აზრით, ხუმრობის, მოსწრებული სიტყვის ადგილი მხოლოდ სალწინო, სალაღობო სიტუაციაშია?

დ. ჟ. — ვფიქრობ, ცალფა უალტერანატივო პასუხი თქვენს კითხვაზე არ არსებობს. უამრავი სიტუაცია არის, როცა გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის მიერ ხუმრობა არათუ დასაძრახია, არამედ, პირიქით, მოწონებას უნდა იმსახურებდეს, რადგან იმ პიროვნების დიდ სულიერ ძალაზე მეტყველებს, რომელმაც საკუთარ თავზე გაიძიმარჯვა; უიმედობა და დათრუუნვილობა იუმორის ძალით, სიცოცხლის ოპტიმიზმით შეცვალა. თუმცა არსებობს ტრაგედია, და არაერთი, სადაც იუმორის ადგილი ნამდვილად არ არის, უფრო მეტიც, სიტყვა უძლურდება, ერთი სიტყვაც კი ზედმეტია... საილუსტრაციოდ გიორგი ლეონიძის შედევრის „ნატვრის ხის“ ეკრანიზაციიდან ერთი ეპიზოდის გახსნებაც ქმარა, როცა ტალახში ამოთხვრილი მარიტა მიჰყავთ, როცა სათნოებას, ღირსებას, სიწმინდესა და სილამაზეს ასამართლებენ, სესილია თაყაიშვილის მიერ მიმიკის ენაზე გადმოცემული ეს ტრაგედია არის ერთადერთი და ფსიქოლოგიურად ზუსტი მოქმედება, რასაც ეს კონკრეტული სიტუაცია იწვევს.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ადამიანი ზოგჯერ იმგვარ უსამართლობაში ჩავარდება, რომ ბრაზსა და გაკირვებას სიცილით გამოხატავს, რასაც ხალხმა „სიმწრის სიცილი“ შეარქვა.

გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცის იუმორის ერთი მაგალითიც: მღვდელმა, რომელმაც გარდაცვალების წინ ედუარდ შევარდნაძე აზიარა, სთხოვა, თუ შეიძლება თქვენთან სურათი

რომ გადავიღოთ. შევარდნაძემ უპასუხა: გადაიღე, მამაო, ეს სურათი მე იქ გამომადგება და შენ აქო.

გ. გ. — რას იტყვით კაცზე, „დამშვიდება“ რომ სჭირდება, „არ გეწყინოს, ვიხუმრეო“... ისე არც ისეთი შემთხვევაა ცოტა, ზომიერებას რომ კარგავს იუმორის სურვილით ... ღიმილისმომგვრელია თუ მოსახეზრებელი არა, ასეთი „მცდელობანი“ ... (გამოთქმა რომაა „უკბილო ხუმრობა“...).

დ. შ. — მეკითხებით: რას იტყვით ადამიანზე, იუმორის მიღება რომ არ ძალუშსო. ასეთი ადამიანი ნაკლოვანია, ის მოვლენებს კრიტიკული თვალით ვერ აღიქვამს, ანალიტიკური უნარი დაჩლუნგებული აქვს. რეალობას აცდენილი, საკუთარ თავზე უკრიტიკო, ზედმეტად გაზვიადებული წარმოდგენა, ვიტყვი პირდაპირ, გარკვეულწილად იდიოტობის ნიშანია.

თქვენი კითხვის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, გადავინაცვლოთ გურიაში. მართალს ამბობთ, ჩემს მშობლიურ კუთხეში იუმორი ძალზე ფასობს. შეხუმრებები, იუმორი გურულისათვის ცხოვრების ჩვეულებრივი წესია. ისინი იუმორს, როგორც ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთგვარ სასიკეთო საშუალებას სხვადასხვა სიტუაციაში განსაცდელისა და ჭირის დროს იყენებენ, რათა იუმორის ძალით შეძლონ, გადაიტანონ განსაცდელი ან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნის დროს სიტუაციიდან გამოვიდნენ. სწორედ, იუმორია აქ ერთადერთი მაშველი რგოლი, გამოსავალი. ასევე დაძაბული მდგომარეობის დროს სიტუაციის განსაშუალებად იგი უებარი საშუალება! იუმორი გურულისათვის ზოგჯერ ჩვეულებრივი რუტინული ყოფის დასაძლევი, გამხალისებელი, სიცოცხლის არსის მიმცემი ძალაა. მახსოვს, სტუდენტობისას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ჩემი თანაკურსელები მსტუმრობდნენ და გურულების, ჩემი მეზობლების, ერთმანეთთან ჩვეულებრივი საუბრის დროს მიყურადებისას სიცილს

ვერ იკავებდნენ. ოზურგეთელმა კარიკატურისტმა რეზო ჯაშმა მიამბო, გაბროვოში, იუმორისა და სატირის დედაქალაქში, ვიყავი „სიცილის ფესტივალზე“ მიწვეული და გურულ იუმორთან შედარებით, რაც იქ მოვისმინე, იმდენად უქბილო მომეჩვნა, ერთხელაც არ გამოიძიაო. შეიძლება უტრირებული იყოს ეს მონათხობი, მაგრამ, თუ გადაჭარბებულად არ გამომივა ამ მოსაზრების გამოთქმა, ვიტყვი: გურულ იუმორს მსოფლიოში ბადალი მნელად თუ მოეპოვება...

ვთქვათ ისიც, გურიაში ფართოდ გავრცელებულია შეხუმრებების თავისებური სახე, რომელსაც „ყბისაქცევებს“ ეძახიან. ტერმინი „ყბისაქცევი“, როგორც ჩემთვის ცნობილია, ფოლკლორისტმა გიზო ჭელიძემ დაამკვიდრა. ყბისაქცევის დროს ერთი პიროვნება მეორეს ირონიულად, მაგრამ მსუბუქად მიანიშნებს მის საკუთარ ნაკლზე, ისე, რომ ეს იმ პიროვნებისათვის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი არ იყოს. ყბისაქცევებს მხოლოდ ცხოვრების რეალური სინამდვილე უდევს საფუძვლად და რეალური ავტორები ჰყავს. გურიაში განსაკუთრებული იუმორის ნიჭით ცნობილი არიან: ივაკი ხარატი, კოლია მექვაბიშვილი, მამული მახარაძე, უნარიე (ზედსახელი) ჩხაიძე, ხახუტა ღლონტი, ხახუტა თოთიბაძე. საინტერესოა, გურიაში ხალხი მართლაც იმდენად აფასებდა მახვილსიტყვაობას, რომ, რაკილა იუმორის განსაკუთრებული უნარით იყო დაჯილდოებული, პატივსაცემად უნარიე დაარქვეს და თავისი ნამდვილი სახელით აღარავინ მოიხსენიებდა.

გურულები უმეტეს შემთხვევაში კი არ ხუმრობენ, სერიოზულად საუბრობენ და იუმორი გამოსდით.

ასე რომ, გურია საკუთარ უნიკალურ სიმღერებთან ერთად, თავისი იუმორითაც განუმეორებელია...

გ. გ. — დავით, ნახევრად ზუმრობით, გურულები პოლიტიკურად აქტიური ხალხი ხართ... ნოე ჟორდანიას ხელისუფლება იქნება თუ საბჭოთა პერიოდი... რას იტყვით...

დ. შ. — ვერაფერს ახალს, ასეა, ეტყობა გურულის გენეტიკაში დევს ეს. მახსოვს მწერლობაში ახალ ფეხადგმული ვარ და მწერლები რაღაცის გამო მაკრიტიკებდნენ. ამ დროს მოგვიახლოვდა მწერალი ნოდარ წულეისკირი და იკითხა, რას ერჩით ამ ბიჭს, ამისი გაკრიტიკება როგორ შეიძლებაო? ვერ გაუგეს, რას ამბობდა, იფიქრეს: გამსახურდიასა და ჯავახიშვილს აკრიტიკებდნენ და ეს ვიღაა, მისი გაკრიტიკება რომ არ შეიძლებოდეს?! ნოდარმა განმარტა: რა გიკვირთ, ამის კრიტიკა როგორ შეიძლება, ეს ბიჭი გურიიდან ჩამოვიდა, ჩაუარა გვერდით მთავრობის სასახლეს, ცეკას, არსად არ ცდუნდა, არსად არ შევიდა, ჩვენთან მოვიდა და ამიტომო...

რადგან გურულების პოლიტიკისობაზე მიდგა საქმე, სიტყვამ მოიტანა და ახლა სერიოზულად ვიტყვი: ბევრმა, შესაძლოა, არც იცის, რომ, როცა 1905 წელს გურულებმა დროებით გააუქმეს რუსეთის იმპერიის მმართველობა და გურიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადეს... „გურიის რესპუბლიკის“ მთავრობამ ევროპაში ერთ-ერთმა პირველმა დეკრეტით მიანიჭა ხმის მიცემის უფლება გურულ ქალებს...

გ. გ. — გურულები პოლიტიკურად იმდენად აქტიური ხალხი ხართ, რომ ცოტაა მხოლოდ ამ ერთი ფაქტით დაკმაყოფილდეთ, სხვაც ბევრი გექნებათ სათქმელი.

დ. შ. — მე მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან გურულების პოლიტიკური აქტიურობისა, თანაც ისეთს, რომელიც უშუალოდ ჩემს მშობლიურ სოფელ შემოქმედს ეხება. წინარე ისტორია ასეთია: 1811 წელს რუსულმა ცარიზმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა გააუქმა. რუსული ხელისუფლების მიერ დანიშნულმა ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა

სიონის ტაძარში რუსული ღვთისმსახურება შემოიღო. ახალმა ეგზარქოსმა გამოაცხადა საეკლესიო მამულების ხაზინის გამგებლობაში გადასვლის შესახებ. რაც გამოიწვევდა საეკლესიო გლეხების გადასახადის გაზრდას. ამას წინ აღუდგა არა მარტო სამღვდელოება, არამედ თავადაზნაურობაც. აქ ხაზგასასმელია ერთი ფაქტიც: რადგან თავადაზნაურობამ გლეხთა სოციალური უფლებების დასაცავად შეიარაღებული აჯანყება მოაწყო, ეს კიდევ ერთი თვალშისაცემი მაგალითია იმისა, რომ ჩვენთან პატრიონების ინსტიტუტი უფრო მძლავრობდა, ვიდრე ბატონებისა. დავუბრუნდეთ ისევ მთავარ თემას. გურიაში ეროვნული მოძრაობა თანდათან მასობრივ ხასიათს იღებდა. საქართველოს მთავარმართებელმა ალექსი ერმოლოვმა და კავკასიოს შტაბის უფროსმა ალექსი ველიამინოვმა აჯანყების ჩასხობად გურიაში სისახტიკით განთქმული რუსეთის მიერ დანიშნული იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი გააგზავნეს. სოფელ შემოქმედთან ქაიხოსრო გურიელის ლაშქარმა დაამარცხა რუსთა რაზმი. სოფელ შემოქმედშივე იოთამ ბოლქვაძემ, ერთ-ერთმა მეთაურმა აჯანყებისა, პუზირევსკი სიცოცხლეს გამოასალმა. ამის შემდგომ გენერალმა ველიამინოვმა 3200 კაციანი ჯარით ააოხრა ჩემი მშობლიური სოფელი, ხოლო იოთამ ბოლქვაძე წამებით მოკლეს.

თბილისში კარგა ხანს არსებობდა ჯალათ ველიამინოვის სახელობის ქუჩა, ხოლო სოლოლაკში, შალვა დადიანის ქუჩაზე, დღემდე შემორჩენილია კაფე, რომელიც ველიამინოვის სახელს ატარებს (ადრე იქ ცნობილი სახინკლე იყო).

ეს არის ისტორიის ცინიზმი, საკუთარი ქვეყნის ტკივილიანი წარსულისადმი უპატივცემულობა.

გ. გ. – ერთ ტრაფარეტულ კითხვას დაგისვამთ, (ჟურნალისტებს რომ უყვართ...). გურიაში თქვენი ცხოვრების წლებიდან ერთ რაიმე კურიოზულ, იუმორისტულ ამბავს ხომ

არ გაიხსენებდით. ეს კითხვა უპრიანია მით უფრო, რომ საკმაო წანი ცხოვრობდით გურიაში, იუმორის ამ მხარეში.

დ. შ. – ერთიო, რომ მთხოვეთ, ამან საქმე ცოტათი გამირთულა – გურიაში ასეთი ამბები თავსაყრელადაა, მაგრამ გეტეგით ერთ-ერთს: სკოლის დამთავრების აღსანიშნავ ბან-კეტზე პირველად დავთვერი და, ეტყობა, ზომაზე მეტადაც. სახლში რომ მივედი, აღარ დამეძინა. მთელი დამე ვმღეროდი, ვყვიროდი, ოჯახის წევრები აღარ დავაძინე და, როგორც ჩანს, აღარც მეზობლები მოვასვენე. დილით დედაჩემი მსაყვე-დურობს ჩემი წუხანდელი საქციელის გამო და მეუბნება, ჩვე-ნი ახლო მეზობელი რომ არის, ხანდაზმული კაცი ირაკლი გიგიბერიძე, მიდი მასთან და წუხანდელის გამო ბოდიში მოუ-ხადეო. მივედი ჩემს მეზობელთან, ვეუბნები. ასე იყო, ირაკლი ბიძია, საქმე, გუშინ ცხოვრებაში პირველად დავლიე არაყი, გადავთვერი და შეგაწუხე-მეთქი. ველოდები რომ დამამშვი-დებს, რა მოხდა მერე, ვინ არ დამთვრალაო. მიპასუხა: აბა, რა იქნება, ბიძია, 100 გრამ ჭკუაზე 200 გრამ არაყს რომ დაასხამო....

გ. გ. – მომრავლებულ სატელევიზიო იუმორისტულ შო-უებში ასეთ „ტენდენცია“ გამოიკვეთა: ბილწისიტყვაობით ცდი-ლობენ მსმენელის გაღიმებას... როსტომ ჩხეიძის აზრით, ეს უნიჭობის გამოვლენაა...

დ. შ. – რა თქმა უნდა, საგულისხმოა, რაც თქვენ თქვით, და ისცი, ბატონი როსტომი რომ ბრძანებს, უნიჭობის გამო-ვლენააო... მაგრამ, ჩემი აზრით, ბილწისიტყვაობას იმისათვი-საც იყენებენ, რომ მათი მიზანია, საზოგადოებას უჩვენონ თა-ვიანთ უპირატესობა, რომ ისინი უკომპლექსონი არიან; რის თქმასაც სხვა ვერ ბედავს, მათ შეუძლიათ – თავისუფალი პი-როვნებები არიან და მათთვის ტაბუ არ არსებობს. ჩემი აზ-რით, ეს არ ეხება მარტო გასართობ სანახაობებს, არამედ

ამან თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ლიტერატურისა თუ ხელოვნების სხვადასხვა სფეროში შეაღწია. მე მას ფსევდოკულტურულ ექსპიბიციონიზმს დავარქმევდი. ისინი ამით ცდილობენ „მასებთან დაახლოებას“, ადვილად მისვლას, პოპულარობის მიღწევას. ამერიკელი პოეტი ჩარლზ ბუკოვსკი ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში, სანამ ინცესტსა და გაუპატიურებაზე არ დავწერე, ყურადღება არავინ მომაქციაო. თანაც უნდა აღვნიშნოთ, გაცილებით ესთეტიკურად და დახვეწილად სკაბრეზი ლიტერატურასა და ხელოვნებაში უხსოვარი დროიდან გამოიყენება. ამიტომ ტექნიკად მიაჩნიათ თავი ამ კუთხით ავანგარდისტებად, სიახლის შემომტანებად. ჯერ კიდევ ძვ. წ. მემვიდე საუკუნის აღიარებული ბერძნი პოეტი არქილოქე პაროსელი თავის ლექსებში სხვადასხვა თემებთან ერთად აღწერს გაბედულ ეროტიკულ სცენებს, სექსს. ინგლისელი ან-თროპოლოგი, კულტუროლოგი ჯეიმზ ჯორჯ ფრეზერი, ან-თროპოლოგიაში მნიშვნელოვანი გამოკვლევების – თორმეტტომეულის ავტორი, ევოლუციონიზმის თეორიის მიმღევარი, ასკვის, რომ სწორედ ტაბუ არის ის, რითაც ადამიანი განსხვავდება ცხოველისაგან. დიდი ხნის წინათ წავიკითხე ერთი საშინლად ამაზრზენი ამბავი: ერთი ნაკლებად ცნობილი გერმანელი მწერალი ქალი (სამწუხაროდ, გვარს ველარ ვიხსენებ) თავის მოგონებაში აღწერს სექსუალურ ორგიას რამდენიმე პიროვნებასა და საკუთარ მამასთან ერთად. ამ უსაზიზღუსი ამბის გაგრძელებაა იქვე დაბეჭდილი ინტერვიუ იმ ქალის ქმართან. მამაკაცი თავს იწონებს იმით, რომ მისმა ცოლმა გაბედა და დაარღვია ტაბუ, ის თავისუფალი ადამიანია და, თქვა ის, რის თქმასაც ვერც ერთი ქალი ვერ გაბედავდა. ძლიერ შემაშფოთებელი მდგომარეობაა! რა გამოდის? კაცობრიობამ უამრავი სირთულის დაძლევის გზით მოაღწია დღემდე და ახ-

ლა უკან, თავქევე, ისევ პითეკანთროპობისაკენ მიმავალ ბილიკზე უნდა დაეშვას?

გ. გ. — როგორც ოტია იოსელიანი იტყოდა, „გამოქვა-ბულისკენ მივყავართ“...

* * *

გ. გ. — დავით, ამ ტრადიციულ კითხვას, ეტყობა, ვერ ავცდებით. ლიტერატურისა და ხელოვნების იმ სამყაროში, რომელშიც ცხოვრობთ, უპირველესად ვის გამოარჩევდით? ვინაა თქვენი საყვარელი მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი, მსახიობი, რეჟისორი...

დ. შ. — „საყვარელი ხელოვანი“, როცა ამბობენ, ბევრი თავის წარმოდგენაში ჩვეულებრივ გულისხმობს გენიოსს, რაც უმრავლეს შემთხვევაში ასე არ არის... მაგალითად, იცი, რომ ესა თუ ის კომპოზიტორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვნია, იაზრებ და გრძნობ ამას, მაგრამ შენს სულთან, შენს ესთეტიკასთან, შენს განწყობასთან მასზე ნაკლები მასშტაბის სხვა კომპოზიტორის მუსიკა უფრო ახლოსაა. ეს იმასა პგავს, არ გიზიდავდეს, არ გსურდეს ოკეანეში შესვლა და ნაკადული გერჩიოს.

გამოგიტყვებით და ჩემთვის საყვარელ ხელოვანზე (მწერალზე, კომპოზიტორზე, მხატვარზე, რეჟისორზე, მსახიობზე...) გაცილებით უფრო მეტად ფასეულია საყვარელი ლექსი, მოთხოვბა, რომანი, ფერწერული ტილო, ფილმი, განსახიერებული როლი... რომლებიც ასაკისა და მხატვრულ-ესთეტიკური აღქმის ცვლილების შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს. შემოქმედნი, ქართულ თუ მსოფლიო ლიტერატურაში, რომელთა მიმართაც სიყვარული გამიჩნდა და მიჩნდება, საკმაოდ ბევრი არიან. შესაძლოა, სხვები ახერხებენ, მაგრამ ჩემთვის მათი რიცხვის ცალ ხელზე არსებული თითქბის რაოდენობაზე დაყვანა შეუძლებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ნებას დამრთავთ, თქვენს ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემისაგან თავს შევიკავებ.

აკაკი ბაქრაძე წერდა: „მწერალი ან თავისი ცხოვრებით უნდა ქმნიდეს ლეგენდას, ან შემოქმედებით“.

* * *

გ. გ. – დავით, ბიბლიური წარმოდგენით, სიტყვა ღმერთია („ღმერთი იყო სიტყუად იგი“)... ხომ არ ფიქრობთ, რომ ამის წყალობით ლექსში ერთგვარი წინასწარმეტყველური ელემენტები შეინიშნება?...

დ. შ. – ლიტერატურის ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის, მწერლის სიტყვა გარკვეული დროის (ზოგჯერ საუკუნეების) გასვლის შემდეგაც კი ახდენილა. მარინა ცვეტაევა ერთგან ამბობს: „ნიკია სტიхи писать, стихи сбываются“. მახსოვს, ახალგაზრდობაში ლექსში ხშირად ვახსენებდი სიტყვას „ვალი“, თუმცა მაშინ საამისო არაფერი გვჭირდა; გამოხდა ხანი, ეკონომიკურ კრიზისში ჩავცვივდით და ვალი დაგვედო. დედაჩემი მსაყვედურობდა: დაანებე, შვილო, თავი ლექსებში ვალის ხსენებას, ხომ ხედავ, საქმე რა ცუდად წაგვივიდაო...

კარგა ხნის მანძილზე მაწვალებდა სურვილი, მერაბ კოსტავასათვის ლექსი მიმეძღვნა და, აი, ერთ საღამოს დავწერე სტრიქონები: „ტანჯულ სხეულის უკვე დასრულდა გვემა, სული სანთლებად აღიმართება ცისკენ...“ როგორ წარმოვიდება, თუ ეს იქნებოდა წინათვრმნობა, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ ახდებოდა, მერაბის სული იმიერში გადასახლდებოდა...

გ. გ. – დავით, ცოტა „პროვოკაციულად“ რომ დავსვა კითხვა?... რას მეტყვით: შეგიძლიათ, არ წერთ?

დ. შ. — მწერლობა ბედისწერაა, მიწიერ განზომილებებს შორდება, გადაწყვეტილია ცაში. თქვენს ერთ-ერთ ადრინდელ შეკითხვაზე გიპასუხეთ და ახლაც გავიმეორებ: არ მახსოვს, როდის დავიწყე წერა, ასე მგონია, დავიბადე და ვწერ. წერა — ეს ისეთი დამღაა, დაბადებიდანვე რომ გერგო ადამიანს; როგორც კუზიანი ვერ მოიშორებს კუზს, ასევე პოეტი პოეტის დამღას, ძალიანაც რომ გინდოდეს, სულიდან ვერ ამოშლი. არსებობს ნამდვილი ამბავი თუ ლეგენდა: ერთხელ შამილმა გამოაცხადა, ვინც ლექსს დაწერს, ყველას სიკვდილით დაგსჯიო. შეშფოთებულებმა უთხრეს, ამით ხომ პოეზია გაქრება, აღარავინ ლექსს აღარ დაწერსო. უპასუხა, ვინც ნამდვილი პოეტია, მაინც დაწერსო. არ ვაჭარბებ, ჰიპერბოლიზაცია არ გევონოთ, ნამდვილად ასეა. უდაბნოში რომ იყო დაწერის საშუალება არ გქონდეს, ხომ მძიმე საქმეა, მაგრამ ქვაზე დაიწყებ საკუთარი სათქმელის ამოტვიფრას. ლეკარტეს ნათქვაში მე ასე გადავაკეთებდი: „ვწერ, ე. ი. ვარსებობ“. თუ რა მძიმეა, როცა მწერალს შთაგონება მთლიანად ეშრიტება, ამისი მკაფიო მაგალითია ერნესტ ჰემინგუეი. მან მსგავს სიტუაციაში თავი მოიკლა. ამასვე ასახელებენ ნობელის პრემიის ლაურეატ რიუნოსკე აკუტაგავასა და იასუნარი კავაბატას თვითმკვლელობის მიზეზადაც. ამ მაგალითების მოხმობა იმად დამჭირდა, რომ შეკითხვაზე, შემიძლია თუ არა, არ ვწერო, გიპასუხოთ: — არა!

გ. გ. — დავით, რადგან ისევ ენასთან მოვედით, თქვენი აზრი მაინტერესებს ორენოვანი მწერლების შესახებ; რას იტყვით ლიტერატურაში ამგვარი ორენოვნების თაობაზე?

დ. შ. — ამ თემაზე საბჭოთა პერიოდში დიდი კამათი გაიმართა. ძირითადად გულისხმობდნენ ყირგიზ ჩინგიზ აითმათოვსა და ბულგარელ პროზაიკოს პაველ ვეუინოვს. მათ მიერ რუსული ენის არჩევა და ამ ენაზე წერა პრაქტიკული მოსახრებიდან გამომდინარეობდა, რადგან რუსული ენის გავრცელე-

ბის არეალი გაცილებით ფართო იყო, ვიდრე მათი მშობლიური ენებისა. ბილიგვინიზმი ძალიან ბუნებრივი რამ არის სამხრეთა-მერიკელი დიქტატორული ქვეყნებიდან გამოსული მწერლებისა-თვის. ისინი იძულებული არიან დატოვონ თავიანთი სამშობლო, იცხოვრონ ევროპში და წერონ ევროპულ ენებზე. სწორედ ამ-გვარია თუნდაც გრიგოლ რობაქიძის მაგალითი. მანც მგონია, რომ მწერალი ყველაზე უკეთ მშობლიურ ენაზე დაწერს, რომ-ლის გენეტიკური მეხსიერება მის ცნობიერებაში საუკუნეებს ითვლის. პირადად ჩემთვის ნაწაროების სხვა ენაზე დაწერა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. სხვას რომ თავი დავანებოთ, „ენა ხომ ყოფიერების სახლია“ (მარტინ ჰაიდეგერი).

გ. გ. — ასე ფიქრობთ და, მე მგონია, სწორადაც ფიქ-რობთ, დავით. ჯერ კიდევ როდის ამბობდა იაკობ გოგებაშვი-ლი; სარწმუნოებრივ გრძნობაზე საუბრობდა და პოეტობა მოი-ტანა მაგალითად; „როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა. სარწმუნოება გულის სფერაა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო დედაენაო“.

* * *

გ. გ. — დავით, ვიცი, რომ თქვენს ნაწარმოებზე, რომელ-საც ეწოდება „ცოდვის ტირილი“, შეიქმნა ოპერა. არაა ეს პა-ტარა ამბავი და... მოდით, ცოტა ვრცლად ვისაუბროთ ამ ფაქ-ტის შესახებ; მიმდინარეობს მასზე მუშაობა, როდის უნდა ვე-ლოდოთ პრემიერას?

დ. შ. — რამდენიმე წლის წინათ, იმ დროს გერმანიაში მცხოვრებმა საკმაოდ წარმატებულმა კომპოზიტორმა ირაკლი ციინცაძემ, წლების განმავლობაში საქართველოს კომპოზიტორ-თა კავშირის მდივანმა, სახელოვანი კომპოზიტორის სულხან ციინცაძის შვილმა, მოსკოვში ყოფნის დროს შეიძინა რუსულ ენაზე გამოცემული ჩემი მოთხოვბების წიგნი „რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში?“ ერთ-ერთ მოთხოვბაზე („ცოდვის ტირი-

ლი“) შექმნა ოპერა. უკვე არსებობს ამ ოპერის ლიბრეტო (ავტორები: ქართულ ენაზე მარინა ნონიკაშვილი, დავით შემოქმედელი, რუსულ ენაზე ვლადიმერ სარიშვილი) და კლავირი. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ახალი ოპერა რომ დადგას, საჭიროა კომპოზიტორთა კავშირისა და კონსერვატორის სამხატვრო საბჭოების დადებითი დასკვნა და რეკომენდაცია. კონსერვატორის ვოკალის კათედრამ (კათედრის გამგე პროფესორი თენგიზ გუგუშვილი), სადირიჟორო კათედრამ (კათედრის გამგე დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე) და კომპოზიტორთა კავშირმა (თავმჯდომარე გოგა შავერზაშვილი) მოიწონეს ნაწარმოები და დადებითი დასკვნები დაწერეს. მიუხედავად ამისა, დღემდე ოპერის თეატრის რეპერტუარში არ შეუტანიათ. მიზეზი დაფინანსების არქონაა. გულისტკივილით უნდა ვთქვა, სამარცხვინო ფაქტია, რომ თითქმის ოთხი ათეული წელია, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ახალი ქართული ოპერა არ დადგმულა.

გ. გ. — დავით, რადგან მუსიკაზე ჩამოვარდა სიტყვა, ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ სიმღერებზეც, თქვენს ლექსებზე რომ დაიწერა. ბევრია, მოგწონ?

დ. შ. — ვერ ვიტყვი, მრავალია-მეთქი. მერაბ კოსტავაზე დაწერილ ჩემს ლექსზე კომპოზიტორმა რუსუდან ჩხაიძემ, რეზო ლალიძის საყვარელმა მოსწავლემ (მომღერალ ანრი ჯონაძის დედა), შექმნა სიმღერა, რომელიც ოპერის აღიარებულმა მომღერალმა მაია თომაძემ შეასრულა. მერაბის ორმოცისათვის მე და კომპოზიტორმა გადავწყვიტეთ, ლექსი სიმღერის ნოტებთან ერთად ცალკე ბუკლეტად გამოგვეცა. დრო ცოტა რჩებოდა და ლექსი ბატონ ზვიად გამსახურდიას მივაწვდინეთ. ბატონი ზვიადის დახმარებით ბუკლეტი რამდენიმე დღეში

დამზადდა. აღსანიშნავია, რომ სტამბის მუშებმა დამეები ათი-
ეს, რათა საქმე დათქმულ დროზე მოესწროთ.

მაშინ ხალხი დიდი იმედით შეჰყურებდა ეროვნული გმი-
რის სახელზე შექმნილ „საადგილმამულო საქველმოქმედო
ფონდს“ და ავტორებმა ბუკლეტის პონორარი, იმ დროისათვის
ძალზე სოლიდური თანხა – ათი ათასი მანეთი – აღნიშნულ
ფონდში შევიტანეთ.

გამოხდა ხანი – დატრიალდა ყველასათვის ცნობილი
მოვლენები, რომლებმაც მხოლოდ სისხლისა და ნგრევის კოშ-
მარული მოგონებები დაგვიტოვა. და ეს ფონდიც, როგორც იმ
პერიოდში სახელდახელოდ შექმნილი სხვა მსგავსი ორგანიზა-
ციები და ფონდები, თავის ძირითად მიზნებს ასცდა. მას შემ-
დეგ რამდენჯერაც არ ჩავუკლი ნახაძრალ, ტყვიებისაგან და-
ცხრილულ რუსთაველის პროსეკტს, ვიფიქრობ: ვინ იცის, იქ-
ნებ ჩემი პონორარის წილიც იდოს იმაში, რომ იმ თანხისაგან
შეძენილი იარაღით საქართველოს ესროლეს.

**გ. გ. – თქვენს ლექსებზე შექმნილ სხვა სიმღერებზეც
გეთქვათ ეგების რამდენიმე სიტყვა.**

დ. შ. – ქალბატონმა რუსუდან ჩხაიძემ დაწერა კიდევ
ერთი სიმღერა ჩემს ტექსტზე, „ორატორია საქართველოზე“,
რომელიც ნახევრად საოპერო და ნახევრად საესტრადო ნა-
წარმოებია. ასრულებდნენ ეთერ კაკულია და თემურ თათარაშ-
ვილი. ოპერის თეატრში სიმღერის რეპეტიციაზე რომ მივედი,
გავოცდი, „ბექვოკალს“ 80 კაციანი კაპელა მღეროდა, დირი-
ჟორი გივი აზმაიფარაშვილი გახლდათ. ჩემს ლექსებზე ასევე
სიმღერები დაუწერიათ: ჯუმბერ ჯანდიერს, რუსუდან ხორა-
ვას, მაყვალა ხორბალაძეს, მარინა კოლხიდაშვილს. ჯუმბერ
ჯანდიერის სიმღერა – „სიყვარულისთვის არასოდეს არ არის
გვიან“ – შლაგერი გახდა, სოციალურ ქსელში განვათავსე და
ორმოცი ათასამდე მოწონება ხვდა. კომპოზიტორმა რუსუდან

(მაცაცო) სეფისკვერაძემ მთხოვა წიგნი, შენს ლექსზე სიმღერა უნდა დავწერო. ერთხელაც მხვდება და მუუბნება: „გერაფერი დაგწერე, არ გაქვს სასიმღერო ტექსტები, ჩვენ უფრო მსუბუქი და სწორხაზოვანი ლექსები გვჭირდებაო“. ვფიქრობ, ქალბატონი რუსუდანი მართალი იყო, საკმაოდ ცოტა მაქვს ლექსი, რომლებიც სასიმღერო ტექსტებად გამოდგება. ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ: იმჟამად აფხაზეთის ტელევიზიის დირექტორმა, მოძრაობა „დაბრუნების“ თავმჯდომარე მალხაზ პატარაიამ მთხოვა, სიმღერისათვის მჭირდება, მუსიკას კომპოზიტორს დავაწერინებ და აფხაზეთზე პატარა 3-4 სტროფიანი ლექსი დამიწერეთ. პირობა მივეცი. გადის ხანი ვერა და ვერ ვწერ. დავდივარ ქუჩებში და სულ ამ თემაზე ვფიქრობ, ისეთი განცდა დამუუფლა, თითქოს მეც დევნილი ვიყო. ერთ დღეს მეწვია ისეთი შთაგონება, რომ ჩაწერასაც ძლივს ვასწრებდი. ასე შეიქმნა პოემა „ჩემს სამშობლოში — მე ემიგრანტი“. უცნაურია, რატომღაც ამ პოემის არც ერთ ამონარიდზე სიმღერა აღარ შექმნილა, მაგრამ, სამაგიეროდ, პოემა დარჩა.

გ. გ. — რას იტყვით თანამედროვე ქართულ სიმღერაზე?

დ. შ. — მუსიკალურ მხარეზე არაფერს გეტყვით, ეს ჩემს კომპეტენციას შორდება. რაც შეეხება ტექსტობრივ მხარეს თანამედროვე სიმღერებისა, ამ მხრივ სრულ კატასტროფასთან გვაქვს საქმე. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1. მართალია, სასიმღერო ლექსებს სირთულე და ფილოსოფიური სიღრმე არ სჭირდება, მაგრამ არც იმდენად პრიმიტიული ტექსტები უნდა იყოს, რომ ყოველგვარ აზროვნებასა და მხატვრულ ძალას იყოს მოკლებული. სიმღერების ტექსტებად ძირითადად გამოყენებულია, ან ე.წ. მეტეოროლიგიურ — წვიმასა, თოვლსა და ქარზე, ან ბანალურ სასიყვარულო ამბებზე დაწერილი ლექსები. 2. სიმღერის შექმნის პროცესი ხდება შებრუნებულად. ლექსის რიტმი და მხატვრულ-ემოცური მხა-

რე კი არ აძლევს კომპოზიტორს შთაგონებას, რომ მასზე სიმღერა შექმნას, არამედ, პირიქით, ჯერ მელოდიას ქმნის და მერე არგებს ამ მელოდიაზე მისადაგებულ ტექსტს. ამ დროს ირლვევა ქართული ენის ბუნება. თანამედროვე სიმღერების ტექსტების უმრავლესობაში მახვილები გადატანილია ბოლოში. ეს ფრანგული, ფინური ... ენისათვის დამახასიათებელი თვისებაა. ამისი მიხვედრა ჩვეულებრივი მსმენილისათვისაც ადვილია, თუ თქვენ შორიდან გესმით სიმღერა და ქართულ სიტყვებს ვერ იგებთ, გეგონებათ უცხოურ სიმღერას უსმენთ. ეს კი ძალადობაა ბუნებრივ ქართულზე. 3. ერთგვარ ცუდ ტენდენციად იქცა, რომ კომპოზიტორები თავიანთი სიმღერის ტექსტებს თავადვე თხზავენ, ანუ ე.წ. „ძალვანკებს“ იყენებენ. ეს დაუშვებელია, ეს იგივეა, ჩემს ლექსზე რომ რაღაცას წავიღილინებ, ის მელოდია სიმღერად გამოვაცხადო. ისე კი წინათ სამხატვრო საბჭოები იძლეოდნენ დასკვნას და ამის შემდეგ ეძლეოდა სიმღერას ვიზა, რათა საკონცერტო დარბაზებსა თუ ტელევიზიაში შესრულებულიყო. ვფიქრობ, ამგვარი ორგანო აღსაღენია. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას: კარგა წნის წინ ამ საკითხზე თავისი ბასრი კალამი კრიტიკოსმა თამაზ წივწივაძემაც მოიქნია; მწარედ გაკენწლა უბადრუეკი სასიმღერო ტექსტები. სამწუხაროდ, მას შემდეგ საქმე წინ არ წასულა, პირიქით, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ცუდად მიღის

გ. გ. — კითხვის დასმისას მეც სიმღერის ტექსტს ვგულისხმობდი... სამხატვრო საბჭოებიც მირითადად მუსიკალურ მხარეზე ამახვილებდნენ ყურადღებას, თორემ თ. წივწივაძის ის წერილი არ დაიწერებოდა... ისე, ეგ ფაქტი კარგად მახსოვს; შევესწარი: მაჩაბლის ქუჩაზე თამაზ წივწივაძე და ნიკა აგიაშვილი შესვლენ ერთმანეთს; ბატონმა ნიკამ უთხრა: „თა-

მაზ, კარგი წერილი დაწერე, მაგრამ რად გინდა, ხვალ გამო-
ვლენ და ისევ ისე იმღერებენო...“ ჰოდა, მღერიან ისევ ისე...

* * *

გ. გ. — დავით, თქვენ ხელმძღვანელობთ რუსთაველის
საზოგადოებას, რომელიც ქართული კულტურის ქომაგის
როლშიც არაერთგზის მოგვლენია... საზოგადოების საჯარო
სხდომებზე არაერთი პრობლემური საკითხი დასმულა; სხვა-
დასხვა პრობლემაზე გაგვიმახვილებია ქართული საზოგადოე-
ბისა თუ ხელისუფლების ყურადღება. შედეგები მაინტერესებს;
რეაქციები... ვისაუბროთ ეროვნული კულტურის საგანძურის
მითვისების გახშირებულ შემთხვევებზე; თუნდაც ერთი მათგა-
ნი ავიღოთ მაგალითად.

დ. შ. — თქვენ მიერ დასმული საკითხი უსერიოზულესი
პრობლემაა. რაზედაც უპირველესად სახელმწიფო უნდა ზრუ-
ნავდეს. ჩვენ მიმართ არა მარტო ტერიტორიულ, არამედ
კულტურულ ანექსიასაც აქვს ადგილი. ჩემი აზრით, საქარ-
თველოს კულტურის სამინისტროში უნდა იყოს შესაბამისი
სამსახური, რომელსაც მსგავს პრეცედენტებზე მყისიერი რეაქ-
ცია ექნება და აღმოფხვრის. ქართული კულტურის საგანძუ-
რის მითვისების საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს დაგისახე-
ლებთ. მსოფლიოში ცნობილ კომპოზიტორ გორან ბრეგოვიჩს,
აღიარებული რეჟისორის ემილ კუსტურიცას ფილმში გამოყე-
ნებული აქვს ქართული სიმღერები „სისა ტურა“ და „დაიგვი-
ანეს“. ამ ორ სიმღერას შორის „გადო“ საკუთარი მუსიკალუ-
რი ხიდი და ამ კომპოზიციას უწოდა „ბალკანური მელოდიე-
ბი“. რუსთაველის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე კომ-
პოზიტორ მარიკა კვალიაშვილთან ერთად ვიყავით საქართვე-
ლოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში. იმის გამო, რომ ამ
საქმის ბოლომდე მიყვანა საერთაშორისო სასამართლოს პრო-
ცესებით დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, უარი გვი-

თხრეს ამ საქმეში ჩართვაზე... ამის შემდგომ მივმართეთ საქართველოს კულტურის სამინისტროსაც, მაგრამ ვერავითარი მხარდაჭერა ვერ ვპოვეთ...

ასევე ზღვარს გადასულია, განსაკუთრებით ჩრდილოთ კავკასიაში, ისეთი ფაქტები, რომ გვპარავენ ქართულ ცეკვას, ამ ჩვენს უდიდეს საგანძურს და ისაკუთრებენ. ჩემი აზრით, აუცილებელია ქართული ცეკვების პასპორტიზაცია და მათთვის ეროვნული არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭება.

გ. გ. – როგორც ვიცი, ზოგ ქართულ ცეკვას აქვს არა-მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მაგრამ მხოლოდ ეს არ უშველის; უნდა ჩავრიოთ იუნესკო, კულტურის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო... მოკლედ, სახელმწიფო ამას მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს...

ყველაფერს კადრულობენ; ცნობილია, რომ რუსთაველ-საც შეეხნენ, „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ენაზე დაწერილი ორიგინალური ნაწარმოები არაა. გვახსოვს ალბათ ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟა-ფშაველას ბრძოლები ამ მიმართულებით ... ისევ გააცოცხლეს ეს თემა...

დ. შ. – კი, პქონდა ადგილი ასეთ აღმაშეფოთებელ პრეცედენტს. კოლოსალური რაოდენობის მკითხველს რომ იზიდავს, იმგვარ უცხოურ ელექტრონულ ჟურნალ „ქარავანში“ დაიბეჭდა ფელიქს კურცვაილის ვრცელი სტატია, სადაც შოთა რუსთაველი გამოყვანილია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი და არა ავტორი. მყისიერად ვიმოქმედეთ და იმავე ჟურნალში ამ ცრუ ბრალდებას საკადრისი მკვეთრი პასუხი გასცა რუსთაველის საზოგადოების სპეციალურმა წარმომადგენელმა გერმანიაში, მუსიკოლოგიის დოქტორმა, მწერალმა და კომპოზიტორმა მოსე ბოროდამ. შემდგომ ჩემი თხოვნით ამავე საკითხზე საგანგებო

წერილი დაწერა რუსთაველის საზოგადოების ქართულ-ირანული ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარებ, აღმოსავლეთმცოდნებ, პოეტმა ნომადი ბართაიამ. აღსანიშნავია, რომ ეს წერილები გამოვაქვეყნეთ სწორედ იმ პერიოდიკაში, სადაც ეს უტიფრობა დაიბეჭდა, და არა ისე, როგორც საქართველოში ხშირად ხდება, ჩვენი კულტურის დამცრობაზე აღმფოთებას ქართულ ბეჭდურ პერიოდიკაში გამოვთქვამთ ისე, რომ ეს უცხოელი მკითხველისათვის სრულიად უცნობი რჩება. დავსძენ, ამ სამწუხარო ლიტერატურული თავხედობისათვის ჟურნალის რედაქციამ იმავე ჟურნალში ბოდიში მოიხადა და რუსთაველის საზოგადოებაში ჩემს სახელზეც გამოგზავნა საბოდიშო წერილი. საპროტესტო წერილი დაწერა ასევე რუსთაველის საზოგადოების მრჩეველმა პროფესორმა ნოდარ ნათაძემ, ხოლო რუსთველოლოგ მურმან თავდიშვილის სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ „პარალელში“.

გ. გ. — დავით, პოეზია, წიგნი, ლიტერატურა — ეს ერთი სამყაროა; ძირითადად ამ სამყაროში ცხოვრობთ; თუმცა სხვა ინტერესებიც არსებობს ალბათ... (დავესესხები ჟურნალისტებს, რაკილა ორი შეკითხვა განსაკუთრებით „მომწონს“: რა არის თქვენი პობი და რაიმე კურიოზის ხომ არ გაიხსენებდით... მეორე ბოლოსთვის შემოვინახოთ, თუ დავდექით ამის ხასიათზე). მოკლედ, რა არის თქვენი პობი?

დ. შ. — ჭადრაკი.

გ. გ. — რამდენადაც ვიცი, ჭადრაკი თქვენთვის პობზე მეტია; ვიცი, გუნდურ ჩემპიონატში ორჯერ გახდით საქართველოს ჩემპიონი.

დ. შ. — ჭადრაკი სწორედ რომ ჩემი პობია. ვაზუსტებ, მე მოყვარულებს შორის გაეხდი საქართველოს ჩემპიონი და არა პროფესიონალებში.

გ. გ. — ვფიქრობ, სადაც ამდენი ითქვა, ვთქვათ ორიოდე სიტყვა იმ ტურნირებზეც, როგორ გახდით მისი მონაწილე, შემდეგ — გამარჯვებული.

დ. შ. — ერთ დღეს ნანა ალექსანდრია მირეკავს და მეუბნება, დავით, ვიცით, რომ ჭადრაკი ძალიან გიყვარს, ჩემპიონატი ტარდება და მონაწილეობა მიიღეო, სერიოზულად ვერც კი აღვიქვი, ვიფიქრე, რომელიმე სატელევიზო შოუს სჭირდება კურიოზისთვის-მეთქი. როცა დამარწმუნა, რომ არ ხუმრობდა, შევშინდი, უარი ვუთხარი. მოყვარულებს შორის არისო, დამამშვიდა და შემაგულიანა. დავთანხმდი. ვიფიქრე, მივალ, გავერთობი, თუ წავაგე, ვის რა გაუკვირდება-მეთქი.

ტურნირი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩატარდა. ვხედავ, ირგვლივ ყველაფერი საზეიმოდ მორთულია. ღონისძიებას ესწრებიან კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და რამდენიმე პარლამენტარი. დარბაზში შემოდიან ქართული სპორტის კორიფეები: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ორ მათგანს — ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას — კარგად ვიცნობდი, რომ წარმოვიდგინე, ამათ უნდა უცქირონ ჩემს თამაშს, ავღელდი. მეგობრებს ვუთხარი, ცოტა ხნით დაგტოვებთ-მეთქი. ფოიეში გავედი, რათა ყურადება სხვა რამეზე გადამეტანა, საკოცერტო ნომრებისათვის გამზადებულ ბავშვებს შევერიე. მათთან ისე გავხალისდი, ცოტა ხანში მიმავიწყდა კიდეც ტურნირის არსებობა. როცა გამოაცხადეს, შეჯიბრება იწყებაო, სრული სიმშვიდით გავემართე საჭადრაკო დაუისაკნ. ჩემთვის მოულოდნელად კარგი შედეგი ვაჩვენე. საბოლოოდ ჩვენი გუნდი ჩემპიონი გახდა, ასე მოხდა მეორედაც. სასიამოვნო მოსაგონებლად მრჩება, რომ გამარჯვებულის საპატიო დიპლომი და

ჩემპიონის თასი ლეგენდარულმა ნონა გაფრინდაშვილმა გადმო-
მცა.

* * *

გ. გ. — დავით, იყო დრო — „საქართველოში საქართვე-
ლოს ეძებდნენ“. ილია ბედნიერი იყო, როცა სამეგრელოში ჩა-
ვიდა; გახსოვთ, „სამეგრელოში საქართველო ვნახეო“... რო-
გორ ფიქრობთ, დამთავრდა „საქართველოში საქართველოს
ძებნა?“

დ. შ. — ის, რომ ერის მამა ბედნიერია იმით, საქართვე-
ლოს ერთ-ერთ გამორჩეულ კუთხეში საქართველო ნახა, ნიშ-
ნავს, რომ გარკვეულ პრობლემასა და საფრთხეს ხედავდა. ში-
შის გრძნობამ ათქმევინა ეს სიტყვები. აკაკისაც ეს ფიქრი აწ-
ვალებდა, „ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ველაო;
ერთი მათგანი რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო“. სიმებში
დიდი პოეტი საქართველოს ცალკეულ კუთხეებს გულისხმობ-
და. ვაი, რომ მთელი ჩვენი პოლიტიკა ამ სიმების დაწყვეტი-
საკენ არის მიმართული, რაც ჩვენი ქვეყნის მტერთა ინტერე-
სებში შედის, იქნება ეს KGB, GRU, სხვა ქვეწების სპეცსამ-
სახურები თუ ქართველი კოლაბორაციონისტები. საქართველო-
ში საქართველოს ძებნის პრობლემა არათუ მოიხსნა დღის
წესრიგიდან, არამედ ერის მთავარი საწუხარი გახდა. ამისი
მკაფიო მაგალითია მეოცე საუკუნის მიწურულის მოვლენები
საქართველოში, როცა რუსული იმპერიის ხელით ძირდველი
ორი მხარე: აფხაზეთი და შიდა ქართლის საკმაოდ დიდი მი-
წაწყალი დავკარგეთ. კლასიკოსის შევონება, „მაშინვე უნდა
შველაო“, ყურად არ ვიღეთ. აქ ამ ვრცელი თემის მეტად გა-
შლა შორს წაგვიყვანს... რაც შეეხება თანამედროვე სამეგრე-
ლოს, იქაც არის სიმის გაწყვეტის სუსტი მცდელობები; არის
ძალზე მცირე ჯგუფი, სულ რამდენიმე კაცი, რომელიც ავტო-
ნომიას ითხოვს... კარიკატურულად გამოიყურებიან, მაგრამ მა-

ინც მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება, ვისაც ეს ევალება. ვგულისხმობ ქართულ სპეცსამსახურებს...

* * *

გ. გ. – დავით, მე ვიცნობდი პოეტ დავით შემოქმედელს; მერე გავიცანი პროზაიკოსი დავით შემოქმედელი, მერე ესეისტიც... არ ვიცნობ დრამატურგ დავით შემოქმედელს... არსებობს ასეთი?

დ. შ. – მე ერთადერთი სამმოქმედებიანი პიესის ავტორი ვარ – რომლის სათაურია „გაბზარული პიესა“. 1988 წელს დაგამოთავრე მასზე მუშაობა. მოკლედ რომ გითხრათ, ფაბულა ასეთია: უპატრონო ბავშთა სახლი არის ავარიულ მდგომარეობაში; ერთნი ფიქრობენ, შენობა მთლიანად უნდა დაინგრეს და ახალი აშენდეს; მეორენი მიიჩნევენ, საფუძველი და კედლები შეიძლება შენარჩუნდეს და დანარჩენის რეკონსტრუქციაა საჭირო; არის მესამე მოსაზრებაც, – მხოლოდ ფასადი შეიღებოს... ადვილად მისახვედრია, რომ ბავშვთა სახლი მონსტრი საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მმიმე არჩევანის წინაშე მდგარი ახალი ქართული სახელმწიფოს მეტაფორაა. 1. საბჭოურ მენტალობასა და ცხოვრების წესთან ერთად მან უნდა უარყოს საკუთარი ისტორია, საკუთარი წარსული... ფაქტობრივად სრულიად ახალი საქართველო უნდა დაიბადოს. 2. ჯანსაღი რაც არის, შეინარჩუნოს; ხოლო ყოველივე მავნე და დახახესებული ჩამოიშოროს. 3. მოხდეს ქვეყნის იერსახის მოჩვენებითი, კოსმეტიკური შელამაზება. პიესის მოვლენათა განვითარების დინამიკა და კონფლიქტური ხაზიც ამ სამი სააზროვნო სისტემის ირგვლივ ვითარდება. მოგეხსენებათ, პროზასთან შედარებით საინტერესო, მაგრამ ამავდროულად რთულია პიესაზე მუშაობა, რადგან ტექსტში გარედან ვერ ჩაერევი; მხოლოდ დიალოგებზე ხარ დანდობილი. ადამიანი კი უმეტეს შემთხვევაში არ ფიქრობს იმას, რასაც ლაპარაკობს; ხში-

რად საუბრით ნიღბავს საკუთარ თავს. სპექტაკლის გმირის სათქმელი რომ ზუსტად გამოხატო, ნაღდი, ყალბნოტშეურეველი უნდა იყოს დიალოგი. მაგრამ, როცა სპექტაკლის გმირი ცრუ და ყალბია, სცენიდან მისი მეტყველებაც ისეთივე ყალბი უნდა იყოს. ამ დროს დრამატურგის წინაშე 180 გრადუსით შეცვლილი ამოცანაა, მან დიალოგში სიტყვები ისე უნდა დალაგოს, რომ ჩანდეს ეს სიყალბე.

გ. გ. — დავით, პიესის სიცოცხლე სცენიდან იწყება; რა ბედი ეწია ამ პიესას?

დ. შ. — ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში პიესის დადგმა გადაწყვიტა იმჟამად ზუგდიდის თეატრის მთავარმა რეჟისორმა და ოზურგეთის თეატრის წამყვანმა მსახიობმა სილოვან კიკვაძემ. რამდენიმე თვე ვიმუშავეთ პიესის გარკვეული დეტალების დასახვეწად. ის ის იყო, მსახიობებისათვის როლები უნდა გადაეწილებინა, რომ ამასობაში 9 აპრილიც მოვიდა — ქართული ეროვნული მოძრაობის პიკი. პიესაზე მუშაობა შეწყდა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა, პირველი ის, რომ ქვეყნის სახე იცვლებოდა, მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო. ამ დროს, როგორც ცნობილია, ხელოვნებისათვის აღარავის სცალია და მეორეც, რეჟისორმა საეკლესიო მსახურების გზა აირჩია — მღვდელი გახდა და თეატრალურ საქმიანობას ჩამოშორდა. ამასობაში მეც დავტოვე ჩემი რაიონი და თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. პიესა ცნობილ რეჟისორ ლერი პაქსაშვილს მივუტანე; ბატონი ლერი დამპირდა სპექტაკლის დადგმას... გავიდა ხანი და ერთ დღეს მატყობინებს, რომ პიესის ტექსტი დაკარგა. მივედი სახლში, სადღაც მეორე პირი მეგულებოდა და ჩემს გულდაწყვეტას საზღვარი არ ჰქონდა: ტექსტის დედანი ვეღარ ვიპოვე...

გ. გ. — ამ პიესის ბედმა ხომ არ განსაზღვრა ის, რომ სხვა პიესა აღარ დაგიწერიათ?

დ. შ. – ასე გამოვიდა; ამ ნაწარმოების დაკარგვა იმდე-ნად მტკიცნეული გამოდგა, იმ დღის შემდეგ პიესის დაწერას ფსიქოლოგიურად ვერ ვახერხებ. მოზარდ მაყურებელთა თე-ატრში მითხრეს (დასის წამყვანმა მსახიობმა ბატონმა პალიკო ნოზაძემ მირჩია), შენი მოთხრობები სცენური ხასიათისაა და იქნებ პიესად აქციონ. ჯერჯერობით ესაა მხოლოდ. ვნახოთ, რა იქნება მომავალში... ხუმრობასავით ვიტყვი: გამიგია, დიდ მწერლებს არ შეიძლება ერთი ნაწარმოები მაინც რომ არ და-ეკარგოსო. თუ მართლა ესაა დიდი მწერლობის გარანტი, და-ვამატებ დიმილით, მაშინ ეს იმდენად დიდი საპირწონე კომ-პენსაციაა, გული აღარ უნდა დამწყდეს...

გ. გ. – **სიტყვამ მოიტანა და ქართულ თეატრს გვერდს ვერ აცუვლით, რას იტყვით ქართული თეატრის გუშინდელსა და დღევანდელ დღეზე?**

დ. შ. – საქართველოს როგორც სარეჟისორო, ასევე დი-დი სამსახიობო თეატრალური სკოლა აქვს. მე თეატრმცოდნე არ გახლავართ, მაგრამ, რამდენადაც თეატრის ტრუიალი ვარ და ბევრი მიფიქრია მასზე, ჩემს მოსახრებებს სიფრთხილით შემოგთავაზებთ. ქართულ თეატრში სამი გამოკვეთილი მიმდი-ნარება იყო. 1. სანდრო ახმეტელის ჰეროიკულ-პატრიოტული თეატრი – დინამიკური, ბატალური სცენებით, საცა რეჟისორს ბეჭვის ზიდზე უნდა გაევლო, რათა ყალბ პათეტიკაში არ გადავარდნილიყო. ახმეტელის დიდმა ტალანტმა ეს სირთულე დაძლია. ეს გზა შემდგომში ვეღარ განვითარდა, პირიქით, ახ-მეტელის გარეშე, რაც ამ უანრის სპექტაკლები დაიდგა, უმე-ტეს შემთხვევაში კრიტიკას ვერ უძლებს. 2. ფსიქოლოგიური თეატრი, სადაც ტექსტია მთავარი და ფსიქოლოგიური ნიუან-სების წინ წამოწევა. ამგვარი თეატრის ფუძემდებელია კოტე მარჯანიშვილი. ეს გზა სახელოვნად გააგრძელა თემურ ჩხეი-ძემ. 3. ახალი თეატრალური მიმდინარეობის ფუძემდებელია

რობერტ სტურუა. ესაა გროტესკული ხერხებით თეატრის ბრესტისეული კონცეფციის გააზრება. ანტიმიმეტური თეატრი, სადაც ერთგვარი დისტანცირება ხდება მაყურებელსა და მსახიობს შორის. მაყურებელი უკვე აღარაა თანაგანმცდელი. ის გვერდიდან ანალიტიკურად იაზრებს სპექტაკლის არსს. სპექტაკლებში ჰარმონიულად თანაარსებობს ტრაგედია და კლოუნადა, პოლიტიკური ფარსი და კლასიკური კომიზმი, ფილოსოფიური მედიტაციები.

სამწუხაროდ, დღეს ამ სამი მიმართულებისაგან განსხვავებული ახალი გზა არ ჩანს. საით უნდა წავიდეს ქართული თეატრი, ბუნდოვანია. ვნახოთ, რას იტყვის ხვალინდელი დღე.

გ. გ. — დავით, ესაა მიზეზი, რომ წამყვან თეატრებში თითქმის აღარ იდგმება ახალი სპექტაკლები?

დ. შ. — ნაწილობრივ ესეცაა და ძირითადად ის, რომ სახელმწიფომ თეატრებს გარკვეულწილად შეუმცირდათ დაფინანსება, რის გამოც ერთდღოულად თეატრალური დასის შენარჩუნება და ახალი სპექტაკლისათვის ხარჯების გაღება ვეღარ ხერხდება. ამიტომ რეჟისორები ინარჩუნებენ დასს, რომ წამყვან მსახიობებთან ურთიერთობა არ გაიფუჭონ, რადგან, შესაძლოა, ამ კონფლიქტს მათი კარიერაც შეეწიროს. როცა მსახიობებსა და რეჟისორს შორის მწვავე დაპირისპირებაა, ყოველთვის რეჟისორს უწევს თეატრიდან წასვლა (ახმეტელი, მარჯანიშვილი, თუმანიშვილი...), რადგან ამ ვითარებაში ხელისუფლება ითვლის რაოდენობას და იხრება კოლექტივისაკენ. ეგაა პრაგმატული მოსაზრება, რადგან მთელ დასს ვერ გარიცხავენ. ამიტომ რეჟისორს ადვილად ელევიან და წირავენ. აქედან გამომდინარე, რეჟისორები სპექტაკლების დადგმაზე უარს ამბობენ. სახელმწიფოსაგან საქმისადმი ასეთი მიღვომა ქართულ თეატრს მოკლავს. ეს მდგომარეობა საცწრაფოდ გამოსასწორებელია...

* * *

გ. გ. — დავით, ტრაფარეტული სადღეგრძელოს თემად ქცეული ფრაზა მახსენდება: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო“... ეს, ცხადია, ზედმეტად პათეტიკურად და ზეამბიციურად უდერს. იაკობ გოგებაშვილმა თქვა: „საღი მამულიშვილობა ძვირფასი საუნჯეა, მაგრამ გადაჭარბება ასუსტებს და ამდარებსო“... მაგრამ ობიექტურად ხომ არსებობს ისიც, რითაც შეიძლება ვიამყოთ, რაც საკუთრივ ქართულია?

დ. შ. — „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ — როცა ამას რეალობის გრძნობადაუკარგავი ქართველი კაცი ამბობდა, ერთი მხრივ, ეს შეიძლება დადებითადაც იქნეს გააზრებული. ამით ის ამაყობდა თავისი დიდი წარსულით, თავისი კულტურით, გმირებითა და წმინდანებით. ამით მიიჩნევდა: სანიმუშო წინაპრებისათვის მიბაძვა კარგის მომტანია; მეორე მხრივ, როგორც დიდი იაკობი ბრძანებს, გაზვიადებულმა წარმოდგენებმა საკუთარ თავზე, როგორც პიროვნება, ასევე ერი, შეიძლება, პირიქით, მოადუნოს კიდეც, მეტიც, სხვა დამატებითი უარყოფითი თვისებებიც შესძინოს. საილუსტრაციოდ გავიხსენებ ერთ ეპიზოდს ჩემი ცხოვრებისა: სამოქალაქო ომია. თბილისში შეიარაღებულები დათარეშობენ. ავადყოფი შეიღის წამლისათვის გამოსული ვარ ჭრაში. ნავთლურის ბაზართან, ხალხმრავლობაში, ვიღაც ორმეტრიან აყლაყუდას დავეჯახე. მხარზე ავტომატი გადაუკიდია, ვხედავ, მთვრალია, აქეთ-იქით ირწევა. მოვუბოლიშე. შემაჩერა და მიყვირის, — „შენ ქართველი არა ხარო! ქართველმა როგორ შეიძლება ბოდიში მოიხადოს, ქართველი თავისას უნდა მიაწვეს, ქართველი ყოველთვის მართალია!“ ერთი სიტყვით, ძლივს დავიძვრინე თავი ამ აბსურდული, ცოტა კომიკური, მაგრამ ალბათ უფრო მეტად ტრაგიკული მდგომარეობიდან; (ძლივს გადავრჩი), რომ იქვე ავტომატი არ მომიშვირა და სული არ გამაცხებინა.

* * *

გ. გ. — დავით, ცოტა უცნაური კითხვა მინდა დაგისვათ.
რა გაოცებთ, რა გიკვირთ ყველაზე მეტად?

დ. შ. — ვიცი, ადამიანის ნიჭისა და შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს. ამიტომ თანამედროვე ცივილიზაციის ყველაზე დიდ უახლეს აღმოჩენებსაც ჩვეულებრივად ვიღებ. მიკვირს მხოლოდ უზნეობის ჭაობში ჩაძირულ სამყაროში დიდი ზნეობისა და სიკეთის მაგალითები. ერთ მათგანს გავიხსენებ: ლამის 10 საათია. ბათუმიდან ოზურგეთს მივდივარ სამარშრუტო ტაქსით. გავიარეთ რამდენიმე კილომეტრი თუ არა, მანქანას ცალი მაშუქარი გამოერთო, ხოლო მეორეც იმდენად დაზიანებული პქონდა, ფაქტობრივად გზის გაგრძელება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მძღოლმა მგზავრები ამის შესახებ გაგვაფრთხილა და თან დააყოლა, სჯობს გავჩერდეთო. მგზავრებმა დაუინებით მოითხოვეს, გზა გაგვეგრძელებინა. დავიძარით, გზაზე შემჩვედრი მანქანების გაღიზიანებული მძღოლები წმამაღლა გვისიგნალებდნენ. ვხედავთ: ერთი შემჩვედრი ტრანსპორტიდან ვიღაც ჩვენს მძღოლს ანიშნებს, მანქანა გააჩერეო! მოვიდა ჩვენთან, გაიგო, რაცა გვჭირდა და მძღოლს უთხრა: რადგან ასეთი მდგომარეობაა, ჩემს მანქანას მოვაბრუნებ, თქვენ წინ ვივლი და გზას უკანა მაშუქებით გაგინათებოთ. ასე ვიმგზავრეთ ოზურგეთამდე უხითათოდ. ამ მაღალზნეობრივი საქციელის გამო მეტად ავღელდი, იმ უცნობ მძღოლს ვეუბნები, სახელი და გვარი მაინც მითხარით, მწერალი ვარ, ამაზე აუცილებლად დავწერ, საჯაროდ მაღლობას გამოგიცხადებთ-მეთქი. უარი მითხრა, ეს რომ გავაკეთო, ჩემს დღევანდელ მოქმედებას რაღა ფასი ექნებაო?!

გ. გ. — საინტერესო მაგალითების მოხმობა იცით, დავით... მოდით, ქართულ ეროვნულ სასიათზეც ვთქვათ ორი სი-

ტყვა. თქვენი აზრით, რა თვისება (თვისებები) არის ის, რაც ქართველს სხვებისაგან გამოარჩევს?

დ. შ. – ქართულ ეროვნულ ხასიათზე ბევრი მიზიქრია. სხვათა შორის, სწორედ ამ თემაზე ფიქრია მთელი ქართული კლასიკური მწერლობა (განსაკუთრებით დავით კლდიაშვილის შემოქმედება), ქორეოგრაფია და სპორტი, ხელოვნების სხვა-დასხვა დარგი. მთავარ შტრიჩად, რაც თვალში საცემია, მე წარმომიდგენია არტისტიზმი, ქართველი კაცის არტისტული ბუნება და სტუმართმოყვარეობა. პირველად ამ არტისტიზმზე ყურადღება გაამახვილა გურამ ასათიანმა „სათავეებ-თან“. ჩემს ოჯახში შემორჩენილია ბაბუასა და ბებიას ფოტო. ბაბუაჩემს ხელი ჩაჭიდებული აქვს ხანჯალზე და ამაყი მეომ-რული მზერით იყურება, გეგონება შალვა ახალციხელი ან ბი-ძინა ჩოლოფაშვილიაო. საქმე ის არის, რომ ის ხანჯალი არ არის ნამდვილი ხანჯალი, დეკორატიულია, ხისაა, ეტყობა, ფოტოგრაფს გამოართვა. ეს ერთდროულად აჩვენებს იმას, რაც ეოცნებება და, მეორე მხრივ, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ფროიდისეული სუბლიმაციის გაგება რომ მოვიშველიოთ, სწო-რედ რომ სუბლიმაცია იმისი, რაც მის გენეტიკურ მეხსიერე-ბაში არის ჩაკირული და ქვეცნობიერმა გაამჟღავნა. გურამ ასათიანის საინტერესო დაკვირვებით, გარკვეული დოზით არ-ტისტიზმი კარგიც არის იმისთვის, რომ არ მოეშვა და მუდმი-ვად ფხიზლად იყო, ამასთანავე თუ ის ზედმეტი დოზით აქვს ადამიანს, მაშინ ის სრულ ილუზიაში ვარდება (ერიც, სხვათა შორის). ამას შეიძლება არასასიამოვნო შედეგები მოჰყვეს. ამ მსჯელობის საილუსტრაციოდ ერთ შემთხვევას გავიხსენებ: თანაჯგუფელი მყავდა ერთი, ლიტველ კალათბურთელ პაულა-უსკასსა ბაძავდა, ტანსაც იმისდაგვარად შემართავდა, ბურ-თსაც ისეთივე ტრაექტორიით აგზავნიდა კალათისკენ; მართა-ლია, ბურთს კალათში ვერ აგდებდა, მაგრამ ლამაზი საყურე-

ბელი კი იყო. კრიგშიც იგივე გაიმეორა: მიბამა მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონ კასიუს კლეის (მუჰამედ ალის), რომელიც არ იჯარებდა ხელთათმანებს და მეტოქეს შიშველ სახეს უჩვენებდა, რაკიდა თავისი სწრაფი რეაქციის იმედი ჰქონდა. მეტოქემ დაინახა დაუცველი სახე და ისც, რომ ჩვენს „მოკრივეს“ სწრაფი რეაქცია არ ჰქონდა, ისეთი დაარტყა, სამი დღე საავადმყოფოში დააწვინა...

დამატებით მინდა აღვნიშნო: ქართულ ეთნოფსიქოლოგიაში რასაც ვაკვირდები, დიამეტრულად განსხვავდება ქართველი კაცის დამოკიდებულება მთისა და ზღვისადმი. მთას ქართველი კაცის ცნობიერებაში განსაკუთრებულად ამაღლებული ადგილი უჭირავს. უყვარს ქართველ კაცს მთა, მთის ტრფიალია; მის ცნობიერებაში ჩაკირულია მთის პოეზია (ხალხური, ვაჟა-ფშაველას ფენომენი და სხვა.), საამაყოა ქართული ალბინიზმის დიდი სკოლა (ლეგენდარული მიხეილ ხერგიანი, ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, სხვებიც...)...

რაც შეეხება ზღვას, ქართველმა კაცმა მის მიმართ სიყვარული ნაკლებად გამოხატა. ზღვა მისთვის, მთისაგან განსხვავებით, რომანტიკისაგან დაცლილია. ძალიან ცოტას თუ იზიდავს შორეული ნაოსნობა, გემის კაპიტნობა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოს ერთი მარინისტი მხატვარიც კი არა ჰყავს. იშვიათად იქმნება მხატვრული ნაწარმოებები ზღვის თემაზე. მით უფრო გასაკვირია ეს ბათუმში, სოხუმსა და სხვა ზღვისპირა ქალაქებში მცხოვრები ხელოვნებისაგან.

გ. გ. – თქვენი პასუხის დასაწყისში სტუმართმოყვარება ახსენეთ. ერთი საინტერესო ამბავი მაგონდება: ახმეტაში ვიყავით. ძველი დროა. რაიონის ხელმძღვანელობა გვმასპინძლობდა. ჩოლოფაშვილების მამულებში გავედით და სუფრის მოლოდინში ვსაუბრობდით. გლეხმა ჩამოიარა, ოციოდე

ცხვარს მიერეკებოდა; ქუდი მოიხადა და ჩვენს მასპინძელს მიესალმა: „სტუმრიანობას გილოცავო“... გაოცებული დავრჩი ამ ლამაზი მისალმებით... დიახ, სტუმართმოყვარეობაც ქართული ხასიათის ერთი ლამაზი გამოვლენაა... ბევრი თქმულა, მაგრამ სათქმელს რა დალევს...“

დ. შ. – „სტუმრიანობას გილოცავო“ – თქვენმა მონაყოლმა მითოლოგიის ერთი მონაკვეთი გამახსენა: ბიბლიურ აბრამს, ქვეყანაზე რომ არაფერი აკლდა და უამრავი საქონელი დაუდიოდა, ერთ დღეს იქსო ქრისტე შეხვდა და სთხოვა: ერთი სადილი მაჭამეო. ვერ იცნო აბრამმა. სადილი რომ გაჭამო, მე რა მადლი მექნებაო? დაწყევლა აბრამი მაცხოვარმა, ორმოც დღეს სტუმარი არ გეღირსოს. ჩვენში კი სტუმართმოყვარეობის იმდენი სანიმუშო მაგალითია, მარტო ვაჟა-ფშაველა გვეყოფოდა სინამდვილის სრულად წარმოსახენად. ერთ მაგალითს მაინც მოვიყვან, გიგა ლორთქიფანიძის მონაყოლს: „რუსი მსახიობები გვყავს სტუმრად – კირილ ლავროვი, ოლეგ ტაბაკოვი და სხვები. იმერეთის ერთ-ერთ სოფელში მივდივართ გზაზე. სიცხეა, ერთმა სტუმარმა წყალი მოითხოვა. მანქანა ერთ სახლთან გავაჩერეთ. დავიძახეთ, პატარა, დაახლოებით 12 წლის, გოგო გამოვიდა; ვთხოვე, წყალი დაგვალევინე-მეთქი. ახლავე, ბატონორ, და გაიქცა. გადის ხანი, ველოდებით, გოგონა არ ჩანს. უხერხული ვითარება იქმნება. ცოტა ხანში გამოჩნდა ოჯახის დიასახლისი, მობრძანდით, ბატონორ, და სუფრასთან მიგვიპატიფა, თურმე ეს გოგონა ყანაში გაქცეულა, სადაც მისი მშობლები მუშაობდნენ, – სტუმრებია მოსული და წამოდითო; ოჯახის დიასახლისიც გამოქცეულა და ასე ხელდამშვენებული დაგვხვდნენ...“

გ. გ. – სხვათა შორის, მსგავსი ამბავი სერგო კლდიაშვილს აქვს აღწერილი ნოველაში „საქართველოს გზებზე“. ეგ

თვისება ამ ნაწარმოებში განაზოგადა მწერალმა... ქართველის კიდევ რა განსაკუთრებულ თვისებას გაუსვამდით ხაზს?

დ. შ. — როცა ქართულ ეთნოფსიქოლოგიაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება იმის აღუნიშნაობაც, რომ ქართველს კრიტიკულ სიტუაციაში სრული მობილიზება და გმირობის ჩადენა შეუძლია. ფორე მოსულიშვილის, გრიგოლ ფერაძის, მიხეილ თამარაშვილის, იოსებ ქორდანიას, მამა ილია კარტოზიასა და სხვათა მსგავსი მაგალითებით სავსეა ჩვენი ისტორია. სპორტული ტერმინით რომ ვთქვათ, მოკლე დისტანციაზე, სპრინტში, ქართველი გმირული ხასიათისაა, მაგრამ ყოველდღიურობაში, დროის ვრცელ მონაკვეთზე სტაირულ-გრძელ მანძილზე ის ეშვება, დუნდება და ზნეობრივი სიმაღლიდან დაბლა ჩამოდის. მაგალითი ისტორიიდან: სვიმონ მეფეს ბრძოლის წინ მაშველთა ჯარი მოუვიდა დასახმარებლად. ბრძოლის სტრატეგიიდან გამომდინარე, მოცდა სჯობს და შეტევა დავიწყოთ რამდენიმე დღის შემდეგო, — ურჩევს მაშველთა უფროსი. სვიმონ მეფე უარზეა; — არა, აუცილებლად დღეს უნდა შევუტიოთო. — რატომ? — ეკითხება დამხმარე ჯარის გაოცებული მეთაური, — რატომ და ჩვენი მეომრები ახლა ისეთ ემოციურ მდგომარეობაში არიან, იმგვარად იომებენ, რომ გმირობას ჩაიდგნენ. ამათ რომ მოვაცდევინო, ორ-სამ დღეში ქიიფს წამოიწყებენ, დათვრებიან, მტერი უბრძოლველად შემოვა და დაგვიპყრობსო. მსგავსი სიტუაციაა ნაჩვენები ფილმში „ხარება და გოგია“: ორი გმირი თავგანწირულად ებრძვის მტრებს, მაგრამ ბოლოს ერთ ქიიფს ყველაფერს გადააყოლებენ. შუა ნადიმის დროს თავს დაესხმებან და ორივე მათგანს სიცოცხლეს გამოასალმებენ. პირდაპირ ვთქვათ უარყოფით თვისებაზეც, ჩვენი თანმდევი გულუბრყვილო ხასიათით ბევრჯერ რომ დაგზარალებულვართ. ჩვენი განათლებული მეფე ვახტანგ მეექვსე ექვსჯერ რომ მოატყუა რუსეთის იმპერატორმა პეტრე

პირველმა. გონებაში უმაღლ ბესიკ ხარანაულის სტრიქონი წა-
მოტივტივდება: „მინდა სადმე დავჯდე და ვიტირო ჩემი მრა-
ვალსაუკუნოვანი გულუბრყვილობა“. ჩვენთან პატიოსნების ცნე-
ბა არის გულუბრყვილობის კორელატი. სათქმელია ესეც:
ზოგჯერ ზღვარგადასულ რომანტიზმში გადავარდნა ყველა-
ფერს გვავიწყებს, თავქარიანად ვიქცევთ. ეს ის თავქარიანო-
ბაა, რამაც ჩვენი ისტორიის გრძელ მონაკვეთზე ბევრჯერ წა-
გვატებინა კისერი.

მოჩვენებითობაზეც ვიტყვი რამდენიმე სიტყვას, უცხოს
თვალში რომ გვინდა, ყოველთვის უკეთესად წარმოვჩნდეთ.
დავით კლდიაშვილთან ეს თემა გამოკვეთილად ჩანს. ჩემი აზ-
რით, დავით კლდიაშვილი და ქართული ეთნოფსიქოლოგია
შესანიშნავი მონოგრაფიის თემაა. ერთ ამბავს გავიხსენებ დი-
დი საბჭოთა კავშირის მმართველი ნიკიტა ხრუშჩოვი როცა
საქართველოში ჩამოვიდა, თავი რომ მოეწონებინათ, ქართვე-
ლებმა ის მაღაზიები, რომლებიც უნდა ენახა მოსკოველ სტუ-
მარს, სანოვაგითა და ძვირფასი ნივთებით აავსეს. მეზობელ
სომხეთში კი სპეციალურად დააცარიელეს. აქედან წასულმა
ხრუშჩოვმა ბრძანა: უჭირს ხალხსო და, სომხებს დაფინანსება
საგრძნობლად გაუდიდა, ხოლო საქართველოს გაუნახევრა –
ამათ ისედაც ყველაფერი თავსაყრელად აქვთო.

ეთნოფსიქოლოგიურ დაკვირვებებს ყოველთვის შეუძლია
ჩვენი ზნეობრივი წარმოდგენების რელატიურობა გვიჩვენოს.

გ. გ. — ერთია, ჩვენ როგორ ვუყურებთ საკუთარ თავს
და მეორეა, როგორ აღგვიქვამს დანარჩენი სამყარო, უცხოე-
ლები, გარეშე თვალი?

დ. შ. — დანარჩენი სამყარო ჩვენ სხვადასხვანაირად აღ-
გვიქვამს, რა თქმა უნდა. ვინმე რომ დაინტერესდეს და გამოი-
ცეს ეს მასალები, ვფიქრობ, კარგი იქნება. ამ ბოლო დროს
წავიკითხე, ფრანგი კინოკომიკოსის პიერ რიშარის დაკვირვე-

ბები ქართულ ეროვნულ ხასიათზე. ვფიქრობ, ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება. მოვიყვან ამ ტექსტს ცოტაოდენი შემცირებით: „მქონდა ბედნიერება, სამი თვე მეცხოვრა თბილისში. ქართველები – ეს რაღაც განსაკუთრებულია! მე ისინი ძალიან მიყვარს. ისინი ნატუროთ მსახიობები არიან; შესანიშნავად მღერიან, თანაც სხვადასხვა ხმაზე; ბავშვივით სული აქვთ – ადრე მეგონა, რომ თავგადასავალი შეიძლება მხოლოდ ფიზიკური იყოს – ექსპერიცია ჯუნგლებში, ცურვა ჩანჩქერებიან მდინარეზე. მაგრამ აქ მივხვდი, რომ თავგადასავალი – ესაა მოგზაურობა სამყაროში, სადაც დრო და სივრცე აღრეულია. ცივილიზებული ადამიანისთვის ძნელია წარმოიდგინოს, რომ, როდესაც გეუბნებიან „9 საათზე“, ეს ნიშნავს შუადღეს. როდესაც გეუბნებიან, რომ მანძილი ერთი საათის სავალია, მაშასადამე, 3-4 საათიანი მგზავრობა უნდა ივარაუდო. ყველაზე სახალისო კი ის არის, როდესაც ადგილზე მიზვალ, აღმოჩნდება, თურმე სრულიად სხვა მხარეს მოხვდი. ყველაზე უცნაური ის არის, რომ ყველა პერიპეტიის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდება და გადაღებებიც იწყება. როდესაც გარე გადაღებები დავასრულეთ, პროდიუსერებმა ისეთი გამოსათხოვარი სადილი გამართეს, რომ მისი გადაღება ვთხოვე, რათა შემდეგ ჩვენი ძუნწებისათვის მეზენებინა“.

თბილისში გადაღებული ფილმის პრემიერის შემდეგ პიერ რიშარმა საფრანგეთის ტელევიზიით ასეთი ფრაზა წარმოთქმა: „მე საქართველოში გავიგე, როგორ უნდა იცხოვრო და დატკბე სიცოცხლით. ყველაფერი მახსოვს: როგორ ვმღეროდით, ვსვამდით, ვქეიფობდით! არასოდეს მქონია ისე ბედნიერი და ლამაზი დაბადების დღე, როგორიც იქ გადავისადეთ. ღმერთო ჩემო, იმასაც კი ვერ მივმხვდარვარ, როდისლა ვმუშაობდით?!“

გარეშე თვალის, უცხოთა მიერ ხშირად უფრო თვალსაჩინოდ ხდება ჩენი ფილოგენეტიკური გამოცდილების დანახვა.

გ. გ. – ეროვნულ ხასიათზე საუბრისას ერთგან სპორტი ახსენეთ... თქვენი აზრით, უფრო მეტად სპორტის ორმელ სახეობაში ჩანს, თუ როგორია ქართული ხასიათი?

დ. შ. – ლიტერატურაზე არანაკლებ, მეტად თუ არა, ქართული ეროვნული ხასიათი ჩანს სპორტში. ერთ მაგალითს მოვიყვან, რომელშიც ქართველი კაცის ბუნება იკვეთება. როცა იმპერიის ერთი შემადგენელი ნაწილი ვიყავით, საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატი ტარდებოდა. საქართველოდან მასში დებიუტანტი ზურაბ აზმაიფარაშვილი მონაწილეობდა. ამ ტურნირში მონაწილებას იღებდა ასევე იმ დროს უძლიერესი მოჭადრაკე მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი. ჩემპიონატი უჩვეულო შედეგით დამთავრდა: კარპოვმა მოიგო ყველა პარტია და წააგო მხოლოდ ერთი – ზურაბ აზმაიფარაშვილთან – და ჩემპიონი გახდა. ჩვენმა მოჭადრაკემ კი წააგო ყველა და მოიგო ერთი და ისიც მსოფლიო ჩემპიონთან. მომავალი ევროპის ჩემპიონის, ზურაბ აზმაიფარაშვილის ის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც აღიარებს: მთელი ჩემი ოცნება იყო ყველაზე ძლიერისათვის – მსოფლიო ჩემპიონისათვის – მომები, ხოლო სხვა დანარჩენი აღარ მანალვლებდაო. ამიტომ ამ ერთი საჭადრაკო პარტიისათვის ოთხი წელი ვემზადებოდიო. რაც შეეხება ჩვენს ეროვნულ ხასიათს, ამ ერთი პატარა მაგალითთაც ყველაფერი ნათელია. კიდევ ერთ მაგალითს გავიხსენებ, მხატვარ ელგუჯა ბერძენიშვილის მონათხრობს: „მოსკოვში სტადიონზე ვართ, თბილისის „დინამო“ ეთამაშება მოსკოვის „დინამოს“. მოსკოველთა კარისაკენ დაინიშნა საჯარიძო დარტყმა, საკმაოდ შორი მანძილია კარამდე; ბურთოან მივიდა მიხეილ მესხი. ვიღაცამ სტადიონზე დამცინავი ხმით დაიძახა: მიშა, დაარტყი „ხმელი ფოთოლი“!. სტადიონმა ხარ-

ხარი დაიწყო. სტადიონზე მყოფი ქართველები დაგითრგუნეთ, თავმოყვარეობა შეგველახა. ხმელ ფოთოლს მსოფლიოში მხოლოდ ერთეულები არტყამდნენ – გარიბეა, დირსეუ, რობერტო კარლოსი და ერთი-ორიც სხვაც. იცით ალბათ, ასეთი დარტყმის დროს ბურთი მიმართულებას მოძრაობისას იცვლის. მიხეილ მესხი დინჯად მივიდა ბურთთან... გამოექანა, დაარტყა. ბურთმა შეა გზაზე შეიცვალა მიმართულება და მარცხენა მხრის ნაცვლად საპირისპირო მარჯვენა კუთხის ცხრიანში გაეხვია. სტადიონი თითქოს მოკვდა, წამში დადუძმდა ასიათას-კაციანი „ლუჟნიკი“. ჩემ გვერდით იჯდა ნანი ბრეგვაძე და ემოციისაგან გული წაუვიდა. კრიტიკულ სიტუაციაში აი, ასეთი მობილიზება შეუძლია ქართველს“.

რადგან ქართველისათვის უპირატესია პირადი ეგო, საკუთარი ინდივიდუალობის განცდა, აქედან გამომდინარე, ქართველები გუნდურ ჩემპიონატებში უფრო სუსტად გამოდიან, ვიდრე ერთეულთა შერკინებებში.

გ. გ. – ერთ მაგალითს მეც გავიხსენებ, დავით: ჩვენი რაგბის ნაკრების უცხოელმა მწვრთნელმა ჰეიგმა ახსნა, რატომ არიან ქართველები ძალიან ძლიერები „ხუთმეტრიან ზონაში“: ეს მათ ხასიათშია, მთელი ცხოვრება საკუთარი მიწის დასაცავად იბრძოდნენო.

ეს ქართული ხასიათი... სული? ქართული სული რაღაა? როცა ამას ამბობენ, რა წარმოდგენა გექმნება?

დ. შ. – ქართული სული, ეროვნული სული, ის შეუცნობი ძალაა, რომელიც კოდირებულია ჩვენში, რომელიც ზოგჯერ აღზევდება, ზოგჯერ დაიმცრობა კიდეც, მაგრამ ესაა ის მთავარი ღერძი, რომელმაც პრეისტორიდან დღევანდელობამდე მოგვიყვანა ასე მრისხანე და სასტიკი მტრებით გარშემორტყმულ ამ ჩვენთვის სახიფათო გეოპოლიტიკურ სიტუაციაში. ერის სული სულისმიერ-გონისეული ცნობიერების, ერის

ისტორიულ-გენეტიკური მეხსიერებისა და შეუცნობ მისტიკურ ძალთა მფარველობის ჯამია. როგორც ერთი წევეთი თაფლით შეგიძლია გაიგო მთელი კასრი თაფლის გემო, ზოგჯერ ასევე ერთი მაგალითი ზუსტ ანალიზს გვაძლევს ისტორიის მთელი ეპოქის შეცნობისა. ეს ისტორია, შესაძლოა, ბევრისათვის ცნობილი არ იყოს. ამიტომ თავს მოვალედ მივიჩნევ, რომ ჩვენს მკითხველს მოვუთხრო. მწვერვალი უშბა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნელად დასალაშქრავი ადგილია. მის და-პყრობას ართულებს ისიც, რომ მას აქვს რამდენიმე ათეულ-მეტრიანი გლევი ზედაპირი, რომელსაც „უშბის სარკეს“ ეძა-ხიან, რის გამოც ბევრი ალპინისტი სიცოცხლეს გამოესალ-მა... ლეგენდარულმა მიხეილ ხერგიანმა გადაწყვიტა ამ მწვერ-ვალის დაბყრობა. შეკრიბა თავისი თანასოფლელნი, ერთად შე-ზრდილნი და დაადგნენ მწვერვალისაკენ მიმავალ გზას. მეწი-ნავე მიხეილ ხერგიანია. უშბის სარკეს რომ მიადგნენ, მიხე-ილმა უცბად იგრძნო, როცა ხელი ლოდსა და ლოდს შორის ჩასჭიდა, თავს ვეღარ იმაგრებდა, წამიც და ხევში გადაეშვე-ბოდა, მასზე თოკით გადაბმულ თანაგუნდელებსაც გადაიყო-ლებდა. თავის მეგობრებს ჩამოჰყვირა: ჩასჭერით თოკიო! რაც იმას ნიშნავდა, რომ თვითონ დაიღუპებოდა და მეგობრები გადარჩებოდნენ. თანამოლაშქრებმა უარი განაცხადეს. მაშინ მეორედ ჩასძახა: ჩაჭერით თოკიო! ისევ უარი. მესამედაც რომ მიაყვირა, ჩაჭერით უმალ თოკიო, მეგობრებმა სვანური სიმღე-რა „ლილე“ შემოსძახეს. მიხეილი უცბად არაამქვეყნიურ ძა-ლას მოიკრებს.... მწვერვალის თავზე მოექცევა და მეგობრებ-საც აიყოლიებს. სპეციალისტებმა ამას „ვეფხვის ნახტომი“ შეარქეს, ხოლო მიხეილ ხერგიანს „კლდის ვეფხვი“ უწოდეს. ლილე – მზე ან მზის ღვთაებაა ქართულ მითოლოგიაში. ამავდროულად „რა“ ძველეგვიპტურად მზეს ნიშნავს. „რა“ – ღვთაებათა მამა ღმერთია. ანუ ქართულ სიმღერაში ჩა-

რწყმულმა დვთიურმა საკრალურმა ძალამ, ქართულმა სულმა მისცა მას ეს არამიწიერი ძალა. უდიდესი ინდოელი მოაზროვნე ვივე-კანანდა ამბობს: „ყოველ ერს, ისევე, როგორც ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო პარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკრიბება. თუკი ერი მას უკუაგდებს, იგი უკუაგდებს საკუთარი ცხოველმყოფელობის პრინციპს“. ასეთი ცენტრალური ბგერა ჩვენთვის არის ქართული კულტურა – ქართული სული.

* * *

გ. გ. — დღეს შეიძლება უხერხულობას იწვევდეს ის ამბავი, რომ საქართველოში არა გვაქვს ქართული კულტურის ცენტრი პირობითი სახელდებით „რუსთაველის სასახლე“ ან „საქართველო – რუსთაველის სახლი“.

დ. შ. — კი, ბატონო, გეთანხმებით, ეგ მართლაც წარმოუდგენელია. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წესდებაში ჩაწერილია, რომ ამ საზოგადოების მიზანია „რუსთაველის მუზეუმის“ დაარსება, რომელიც მხოლოდ რუსთაველთან იქნება დაკავშირებული. ხოლო ის, რომ დაარსებულიყო „რუსთაველის სასახლე“, ზოგადად ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრი, როგორიც არის, მაგალითად, „გოეთეს სახლი“ გერმანიაში, „პომპიდუს ცენტრი“ საფრანგეთში, „იაპონიის სახლი“ ოსაკაში, „ჰელსინკის სახლი“ ფინეთში და სხვა, ეს იდეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაგვებადა ცნობილ არქიტექტორს, შემდგომში რუსთაველის საზოგადოების მრჩეველს, აკადემიკოს გიგა ბათიაშვილსა და თქვენს მონა-მორჩილს. აღმოჩნდა, რომ ბატონ გიგასა და მე ამ საკითხის ერთნაირი ხედგა გვქონია.

აქ ამისი უთქმელობაც არ ეგების: რუსთაველის მოედანზე „მაკდონალდსის“ აგება რომ დაიწყეს, გურამ შარაძემ

პროტესტი განაცხადა: ამ მოედანზე რუსთაველის ძეგლის გვერდით „რუსთაველის მუზეუმი“ უნდა შეიქმნესო...

გ. გ. — დავით, ცნობილია, რომ თქვენ და არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა საქართველოს მთავრობის წინაშე დააყენეთ ქართული კულტურისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, საქართველოში, კერძოდ თბლისში, ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრის – „რუსთაველის სასახლის“ – დაარსების შესახებ. ამ იდეას სათავეში პირადად თქვენ ჩაუდექით. მკითხველისათვის საინტერესო იქნება, იქნებ მოგვითხროთ ამ საქმის ამბავი და ისიც, რა ეტაპზეა ის დღეს.

დ. შ. — თქვენს კითხვაზე რომ გიბაუხოთ, ეს საკმაოდ ვრცელი ოდისეა გამოვა. თუმცა ძალზე სერიოზული თემაა, მაგრამ ხუმრობაგარევით ასე დავარქებული: „აქა ამბავი რუსთაველის სასახლისა“. 2015 წელს ბატონი გიგა ბათიაშვილი და მე ორჯერ გახლდით საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან. პირველ შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. მიგაწოდეთ სამი წინადადება, რომელთა გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო. 1. ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრის „რუსთაველის სასახლის“ დაარსება. 2. რუსთაველის 850 წლის იუბილეს მსოფლიოს კულტული მოვლენის რანგში აყვანა და 2016 წელს იმ მასშტაბით ჩატარება, როგორც 1966 წელს ჩატარდა. 3. „რუსთაველის დღის“ დაარსება. სამივე წინადადება მოიწონა და აღგვითქვა სრული მხარდაჭერა. დავიწყოთ პირველით, სწორედ იმით, რასაც თქვენი კითხვა გულისხმობდა.

გ. გ. — კონცეფციის დაწერა, როგორც ვიცი, ბატონ გიგასა და თქვენ შემოგთავაზეს.

დ. შ. — დიახ, ასე იყო. კულტურის ცენტრთან დაკავშირებით გვითხრა, რომ კონცეფცია დაგვეწერა და მისთვის გა-

გვეცნო. ნივთიერი კულტურის: ტაძრები, ფრესკული ხელოვნება, გამოყენებითი ხელოვნება, ფლორა, ფაუნა, ენდემური ჯიშები, საფორტიფიკაციო ნაგებობები და მრავალ სხვათა შესახებ დაწერა გიგა ბათიაშვილმა. ხოლო კულტურის, ისტორიის, რელიგიის, მეცნიერების, მწერლობის, სპორტის და სხვათა შესახებ – თქვენმა მონა-მორჩილმა. ათი დღის შემდეგ ისევ შევხვდით და გავაცანით „რუსთაველის სასახლის“ მოწყობასთან დაკავშირებით ჩვენი კონცეფცია, რაც მოიწონა. ერთობლივად მივედით იმ აზრამდე, რომ ამისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს „პრეზიდენტის სასახლის“ სივრცე. ხოლო თავად პრეზიდენტი თავისი ადმინისტრაციით განთავსდებოდა იმუამად უკვე საპრეზიდენტო სასახლედ მოაზრებულ რეკონსტრუირებულ ორბელიანის სასახლეში.

გ. გ. – დავით, აქ ურიგო არ იქნება, მკითხველს შევახსენოთ: ავლაპარში იდგა ძველი შენობა, რომელშიც ავტოინსაექცია იყო განთავსებული. ეს ნაგებობა ძველ თბილისს გადმოჰყურებდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა გააკეთა ამ შენობის რეკონსტრუირების შესანიშნავი პროექტი პირობითი სახელწოდებით „რუსთაველი – საქართველოს სახლი“...

დ. შ. – მართალს ბრძანებთ. ეს შენობა გათვალისწინებული იყო სწორედ ქართული კულტურის ცენტრისათვის. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაიგო რა ამ პროექტის შესახებ, ბატონი გიგა ბათიაშვილი ჩამოაშორა აღნიშნული პროექტის დაგეგმარებას და პროექტი გააგრძელებინა იტალიიდან სპეციალურად ჩამოყვანილ არქიტექტორ მიკე ლე ლუკის, რომელმაც შენობას საბოლოოდ განსხვავებული სახე მისცა. გადააკეთა იგი პრეზიდენტის სასახლედ, სადაც გადავიდა კიდეც საპრეზიდენტო რეზიდენცია.

გ. გ. — დავით, რა იყო თქვენი კონცეფციის მთავარი პრინციპი.

დ. შ. — მსოფლიო ცივილიზაცია და საქართველო, ანუ რა შევმატეთ ჩვენ მსოფლიოს, რა გაგვაჩნია საკაცობრიო მნიშვნელობისა, რითაც გავმიღიდრეთ დანარჩენი სამყარო. ჩამოვთვლით მცირე ნაწილს. ეს იქნებოდა ქართული ცივილიზაციის სათავეებიდან დაწყებული ზეზვა და მზია, მედეას მითი, ოქროს საწმისი, ქართული ანბანი, ქართული დამწერლობა — უძველესი ხელნაწერები, გამოყოფილად ხაზგასმულად — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (რუსთაველის ეპოქა), ჰიმნოგრაფია, საერო მწერლობის მწვერვალები მისი არსებობიდან დღემდე, პოლიფონიური მუსიკა, მხატვრობა, ცეკვა, თეატრი, კინო და მრავალი სხვა... ყველას ვერ ჩამოვთვლით. გამორჩეულად ამ სფეროთაგან ყველაფერი ის, რასაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. კონცეფციაში გათვალისწინებული იყო: საქართველოს პრეზიდენტი „რუსთაველის სასახლეში“ მიიღებდა უცხო ქვეყნების პრეზიდენტებსა და მაღალი რანგის ოფიციალურ სტუმრებს, რათა გასცნობონენ ქართული კულტურის ცენტრს, როგორც საქართველოს მთავარ სავიზიტო ბარათს.

გ. გ. — დავით, გავაგრძელოთ, შემდეგ რა მოხდა?

დ. შ. — ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მაია ცქიტიშვილისა და მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის გაგვეცნო აღნიშნული კონცეფცია. კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი და მე შევხვდით ქალბატონ მაია ცქიტიშვილსა და აპარატის თანამშრომლებს. მათ მოიწონეს ბატონ გიგასა და ჩემ მიერ დაწერილი კულტურის ცენტრის მოწყობის კონცეფცია. შემდეგ დაიწყო ბატონი გიგასა და ჩემი მრავალწლიანი მომქანცელი ოდისეა. მოკლედ ვიტყვი, მკითხველი რომ არ

გადავდალო: არ დარჩენილა მთავრობის მაღალ ეშელონებში თითქმის არავინ უმაღლეს ხელისუფალთაგან, რომელთაც ჩვენ არ შევხვედროდით და მათგან მხარდაჭერა არ მოგვესმინა, მაგრამ შედევი არ ჩანდა. გამოვიყენე პირადი კონტაქტები და საქართველოს პარლამენტის იმუამინდელ თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძეს შევაქმნევინე საპარლამენტო ჯგუფი (და არა კომისია) „რუსთაველის სასახლის“ საკითხზე სამუშაოდ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მარიამ ჯაში (ჯგუფის ხელმძღვანელი, პარლამენტის კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე), არჩილ თალაკვაძე (პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე), დავით ზალკალიანი (საგარეო საქმეთა მინისტრი), მიხეილ ბატიაშვილი (განათლებისა და მეცნიერების მინისტრი), მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარე, მიხეილ გიორგაძე (კულტურის მინისტრის მოადგილე), მიხეილ ჩხენკველი (პრემიერ მინისტრის მრჩეველი კულტურისა და მეცნიერების დარგში), აკადემიკოსი გიგა ბათიაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი გიორგი ბეგაძე, პარლამენტარები: რატი იონათამაშვილი, დავით მათიგაშვილი, ენძელა მაჭავარიანი, ბექა ოდიშარია, ირაკლი ტრიპოლსკი, ნინო წილოსანი და მე.

გ. გ. — როგორც მახსოვს, ამ იდეას ერთი-ორი მოწინააღმდეგეცა ჰყავდა. კრიტიკული მოსაზრებაც გამოითქვა...

დ. შ. — ზუსტად გახსოვთ, ამ მოვლენებმა ხომ თქვენ თვალწინ ჩაიარა. კი, გაჩნდა განსხვავებული მოსაზრებები, რაც უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათისა იყო. კერძოდ ის, რომ ამით მოხდებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტის დამცრობა, ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოს შურაცხვოფა. ეს მოსაზრება საფუძველშივე მცდარია, რადგან სახელმწიფო სიმბოლოები არის: დროშა, ჰიმნი და გერბი. შენობა არ შეძლება იყოს

ქვეყნის სიმბოლო. წლების წინ ბერლინში გახლდით, მსოფლიოს ერთ-ერთი სუპერსახელმწიფოს – გერმანიის – კანცლერის რეზიდენცია მოცულობით ორბელიანის სასახლეზე მცირეა.

გ. გ. – რა გადაწყვეტილება მიღღო აღნიშნულმა საპარლამენტო კომისიამ?

დ. შ. – ამ შემთხვევაში საპარლამენტო ჯგუფმა (და არა კომისიამ) რამდენიმე სხდომა გამართა. მოისმინეს ბატონი გიგა ბათიაშვილისა და ჩემი მოხსენებები კულტურის ცენტრის მოწყობის შესახებ. საბოლოოდ საპარლამენტო ჯგუფმა საქართველოს მთავრობას მისცა რეკომენდაცია ასეთი სათაურით – „საქართველოს კულტურის ციფრული მუზეუმი“ – პრეზიდენტის ავლაპრის ადმინისტრაციულ კორპუსში დაარსებულიყო ქართული კულტურისა და ციფრიზაციის ცენტრი. იგი სამ ეტაპს ითვალისწინებდა.

1-ლი ეტაპი 2019 წლის აპრილიდან 26 მაისის ჩათვლით.

14 აპრილი – პირველი ღონისძიება და დროებითი თემატური გამოფენა ქართული ენის დღეს.

26 მაისი – პირველი მუდმივი ექსპოზიციები, რუსთაველის, ქართული ეკლესიისა და საქართველოს რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობის წარმოსაჩენად.

მე-2 ეტაპი – 2019 წელი

საკონფერენციო კორპუსის გახსნა საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში საგანმანათლებლო და საპრეზენტაციო შეხვედრებისათვის.

კულტურის ციფრული მუზეუმის პროექტის დასრულება, რეკონსტრუქცია. აღჭურვა და პროგრამული უზრუნველყოფა.

მე-3 ეტაპი – 2020 წელი.

საქართველოს კულტურის ციფრული მუზეუმის გახსნა.

ყოველწლიურად სულ მცირე 500 000 მნახველის პროგნოზი – საქართველოს მოქალაქეები და ტურისტები.

გ. გ. – საქმე კულტურის ცენტრის დაარსებამდე მისულა. მაშინ რა გახდა შემაფერხებელი მიზეზი იმისა, რომ „რუსთაველის სასახლე“ დღემდე არ გვაქვს.

დ. შ. – როდესაც საქართველოს პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი აირჩიეს, გიგა ბათიაშვილმა და მე საჭიროდ მივიჩნიეთ, ჩვენი ეს გადაწყვეტილება ქალბატონ სალომესათვის გვეცნობებინა. ხომ არ ჰქონდა მას ამ საკითხზე რაიმე განსხვავებული მოსაზრება. ქალბატონმა სალომემ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა ჟვანიას პირით შემოგვითვალა, რომ ეს შენობა მთავრობის ბალანსზე ირიცხებოდა, მას ჰქონდა სხვა რეზიდენცია და მის ინტერესს ავლაბრის ყოფილი საპრეზიდენტო სასახლე აღარ წარმოადგენდა. ერთ დღეს ტელევიზიით მოვისმინე, რომ პრეზიდენტის ყოფილ სასახლეში ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა მიიღო უცხო ქვეყნის პრეზიდენტი და განაცხადა, რომ ეს შენობა დღეიდან მაღალი რანგის საპატიო სტუმრების მიღებების რეზიდენცია, ანუ ცერემონიალების სასახლე, იქნებაო. მარიამ ჯაშმა, საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ჩემს სატელეფონო კითხვაზე, რა ხდება-მეთქი? მიპასუხა, არ ვიცი, ეს ყველაფერი ჩემთვისაც მოულოდნელიაო. ამ დღის შემდეგ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯი წინ არ წადგმულა. დავსძენ, ამჟამად, მარტი 2022 წელს დამატებით კონკრეტულად მხოლოდ „რუსთაველის სასახლის“ საკითხზე შვხვდი თბილისის მერს, კახი კალაძეს, კულტურისა მინისტრს თვაწულუკიანსა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძეს, მაგრამ მათგან რაიმე დამაიმედებელი პასუხი არ ჩახს.

რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ არ მივიდა ეს საქმე ბოლომდე, ჩემთვის უცნობია.

ხაზგასმით ვიმეორებ: ის, რომ ამჟამად არსებული შენობა ცერემონიალების სასახლეა, სრულიად არ უშლის ხელს, რომ იქ ქართული კულტურის ცენტრი განთავსდეს. პირიქით, როგორც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი, ეს უფრო მეტ შინაარსს შესძენდა ამ შენობას.

აქ პრაქტიკული თვალსაზრისიც იჩენს თავს: სხვა ქვეყნებში მსგავსი ცენტრები საკმაოდ შემოსავლიანია. კულტურის ცენტრის დათვალიერება ფასიანი იქნებოდა. შეიძლება იგი ქცეულიყო მძღვანელ ტურისტულ ცენტრად, რომელიც უცხოელ თუ ქართველ დამთვალიერებელს შესთავაზებდა საქართველოს სხვადასხვა კულტურული ღირშესანიშნაობის მოსანაზულებლად მოსახურებას, ამოღებული თანხები კი „რუსთაველის სასახლის“ შენახვას მოხმარდებოდა.

გ. გ. — დავით, ვიცი, რომ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, ახლა ამბობენ, დავარქვათ „ქართული კულტურის ციფრული მუზეუმიო“, ბოლო-ბოლო რა უნდა დაერქვას აღნიშნულ ცენტრს?

დ. შ. — ეს ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია. მასსოვს: ამ რამდენიმე წლის წინათ როდესაც ეს ამბავი სოციალურ ქსელში განვისაჯაროე, დიდი პოლემიკა მოჰყვა იმას, თუ რა სახელი უნდა დარქმეოდა. ვფიქრობ ეგ კომიკურია, ჯერ გადავიდეს ცენტრი იქ, სადაც ჩვენ ვითხოვთ, და მერე... ახლა ეს იმას ნიშნავს, ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და სახელს არქმევენ.

გ. გ. — რადგან უცხოეთში არსებობს მსგავსი ცენტრები და მათ აქვთ გამოცდილება ეროვნული კულტურის ცენტრის ექსპოზიციონერობაში, ალბათ საქმეში უცხოელ სპეციალისტებსაც ჩართავდით.

დ. შ. – სავსებით სწორად ამბობთ. ეს საკითხი მარტივად გადაწყდებოდა. არსებობენ მაღალი ხარისხის მსოფლიო დონის დიზაინერები და სამუზეუმო ექსპოზიციონერები, რომელთაც გამოცდილებაც აქვთ და ეს საქმე ხელეწიფებათ. მათი მოწვევა მიღებული პრაქტიკაა. ჩვენ მათ მივაწოდებდით კულტურის სასახლის კონცეფციას, კულტურის ცალკეულ სფეროებს ბლოკების სახით, ვთქვათ, მწერლობა, სახვითი ხელოვნება, ქართული უნიკალური ხუროთმოძღვრული ძეგლები, უძველესი ქართული ხელნაწერები და ა. შ. და ამაზე დაყრდნობით გააკეთებდნენ სასახლის ექსპოზიციონირებას.

გ. გ. – თქვენი კონცეფციის მიხედვით, რამდენად შეეხებოდა ეს რუსთაველის საზოგადოებას. მგონი რუსთაველის საზოგადოების განთავსებაც იქ ივარაუდებოდა. სხვათა შორის, ერთი თქმა ისიც ითქვა, „ჰუმანიტარული ცენტრი“ განთავსდეს იმ შენობაშიო...

როგორც გამიგია, გარდა ხელისუფლების ინერტულობისა, „რუსთაველის სასახლეში“ რომ კულტურის ცენტრის ფუნქციონირება ემართა, ეს გარკვეული გავლენიანი პერსონების გაღიზიანებას გამოიწვევდა. ხომ გახსოვთ სულხან-საბაორბელიანი: „შური არს ბოროტებაი სხვისა კეთილსა ზედა“. იქნებ ესეც იყო იმის ხელისშემსლელი მიზეზი, რომ აღნიშნულ პროექტს მოწინააღმდეგენიც გაუჩნდნენ შემდეგი, პრინციპით: „უჩემოდ ვით იმღერეთა!“ იყო ასეთი შემთხვევა; როცა აკადემია იშლებოდა, თითქმის გადაწყვეტილი იყო, ენათმეცნიერების ინსტიტუტი პარლამენტის დაქვემდებარებაში გადასულიყო. იჩივლა „მეგობარმა“ ინსტიტუტმა, ჩვენ კი რატომ არ გადაგვეავსართო და... არც ერთი აღარ გადაუყვანიათ...

დ. შ. – ის აზრი, რომ რუსთაველის საზოგადოებას ემართა „რუსთაველის სასახლის“ კულტურული პოლიტიკა, საქართველოს ყოფილ პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილს

ეკუთვნის. მან ასე მიიჩნია საჭიროდ, მაგრამ ვიგრძენით, რომ ეს ხელისშემსლელი ფაქტორი გახდებოდა, პროცესს დააზიანებდა. საპარლამენტო ჯგუფთან მუშაობის დროს ჩვენ ეს საკითხი პროექტში არ გაგვითვალისწინებია. საპარლამენტო ჯგუფის საბოლოო დასკვნაში ამ კუთხით არაფერია ნათქვამი. ასე რომ, კითხვის ნიშნები ამ მხრივ უნდა გამოვრიცხოთ. კი, იყო ძალზე პატივცემულ და მნიშვნელოვან მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც „ჰუმანიტარული ცენტრის“ გახსნას მოითხოვდა. შეიძლებოდა და სასურველიც იყო მათთან გარკვეულ საკითხებზე აზრთა შეჯერება, სამწუხაროდ, მათ ჩვენგან დამოუკიდებელი მოქმედება არჩიეს. ჩვენსა და მათ შორის კოორდინაციის უქონლობამ, რბილად რომ ვთქვათ, პროცესს გარკვეული ზიანი მიაყენა.

გ. გ. – როგორ ფიქრობთ, ამ საკითხზე საბოლოო უარია თუ კიდევ გაქვთ რაიმეს იმედი?

დ. შ. – ხომ გაგიგონიათ ცნობილი გამოთქმა, ყველაზე ბოლოს იმედი კვდება. აქაც იგივე მდგომარეობაა. პრინციპით, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ამ საქმის ბოლომდე მიყვანისათვის ნაკლები იმედით, მაგრამ დღესაც ვაგრძელებ საქმიანობას. ისე კი, როცა ჩაუვლი პრეზიდენტის ფუნქცია და სიცოცხლედაკრგულ რეზიდენციას – ავლაბრის ყოფილ სასახლეს – ყურში რეფრენივით ჩამესმის თბილისელი აშული პოეტის სიტყვები: „რომელ მსაჯულს ვკითხო სამართალია, ვის შექმნავლო, რუსთაველი მკვდარია“.

გ. გ. – რას გვეტყვით რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ეგ საკითხიც თქვენ დააყენეთ ყოფილი პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის წინაშე და რომელიც 2016 წელს უნდა ჩატარებულიყო.

დ. შ. – მარტო მე არა, ეს საკითხიც ბატონ გიგა ბათიაშვილთან ერთად დავსვი უმაღლესი ხელისუფლების წინაშე.

მოკლედ ვიტყვი, აქაც ანალოგიური მდგომარეობა იყო, რაც „რუსთაველის სასახლესთან“ დაკავშირებით. რუსთაველის ოუბილეს უმაღლეს დონეზე ჩატარებისათვის შეიქმნა სამთავრობო კომისია: საქართველოს პრემიერ-მინისტრი (კომისიის თავმჯდომარე), საგარეო საქმეთა მინისტრი, ქალაქ თბილისის მერი, ეკონომიკის მინისტრი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. ეს იყო საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო უმაღლესი დონის სამთავრობო კომისია, ხოლო კოორდინატორად კი ნავარაუდევი იყო, ვყოფილიყვავი მე, ანუ ერთგვარი მაკოორდინებელი მთავრობასა და ღონისძიებაში მონაწილე ქართველ და უცხოელ კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ცდა და ენერგია არ დაგვიკლია, აღნიშნულ საკითხზე სამთავრობო კომისიის ერთი სხდომაც კი არ ჩატარებულა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს იმუამინდელი პრემიერ მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადება იუბილეს ჩაშლის გამო: საარჩევნო წელი იყო და ვერ მოვიცალეთო. საქართველოში არავინ, მხოლოდ ჩვენ, რუსთაველის საზოგადოებამ, შევძელით რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩაგვეტარებინა. ასევე ჩავატარეთ რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები ისრაელსა და ბერლინში. სწორედ რომ საღამო და არა იუბილე, იუბილე, როგორც მსოფლიო კულტურული მოვლენა, სახელმწიფოს უნდა ჩაეტარებინა იმ მასშტაბითა და რეზონანსით, როგორც ეს 1966 წელს მოხდა. ჩვენ, უბრალოდ, სირცხვილი მოვწმინდეთ საქართველოს.

გ. გ. — დავით, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე (1966 წელი) კარგად მახსოვს — იმ წელს სკოლა დავამთავრე და სტუდენტი გავხდი. მთელი ქვეყანა რუსთაველით ცხოვრობდა — სკოლა, უნივერსიტეტი, ქალაქი თუ სოფელი...

უზომოდ დიდი მასშტაბები ჰქონდა იმ იუბილეს... ნახევარი საუკუნის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში 2016 წელი გამოცხადდა რუსთაველის საიუბილეო წლად, მაგრამ... წლის ბოლოს, როგორც აღნიშნეთ, პრემიერ-მინისტრმა (გ. კვირიკაშვილმა) საჯაროდ ბოლიში მოიხადა, იუბილეს ვერ მივხედეთ, არჩევნებმა შეგვიშალა ხელიო... მაშინაც აღვნიშნე, ამის თქმას დუმილი სჯობდა, მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა... გამოვიდა, რომ ეს იუბილე მხოლოდ რუსთაველის საზოგადოებამ აღნიშნა... ვუთხრათ მკითხველს ორიოდე სიტყვა, რა გააკეთა საზოგადოებამ საიუბილეოდ.

დ. შ. – კი, ბატონო, ჩვენს მკითხველს რამდენიმე ინფორმაცია მივაწოდოთ. საიუბილეოდ გამოვეცით გამოჩენილი ქართველი და უცხოელი რუსთველოლოგების შრომების წიგნი რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ უცხოეთში, კერძოდ ნიუიორკში; წიგნის იდეის ავტორი, პროექტის ხელმძღვანელი, შემდგენელი და შესავალი სიტყვის ავტორი მე ვიყავი; რედაქტორები იყვნენ აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე და პროფესორი მაკა ელბაქიძე. ინგლისურად თარგმნა მანანა დუმბაძემ. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „Nova Publishers“, რომელიც მხოლოდ ახალ, დაუბეჭდავ ტექსტებს გამოსცემს. ჩემი თხოვნით სპეციალურად ამ წიგნისათვის წერილები დაწერეს მსოფლიო დონის უცხოელმა მეცნიერებმა, ლუიჯი მაგაროტომ, სალი ნეველმა, ბერტ ბეინენმა, პროფესორებმა: გრივერ ფარულავამ, ნოდარ ნათაძემ, ლევან გიგინეშვილმა, როინ მეტრეველმა, მარიამ კარბელაშვილმა, ირმა რატიანმა, ნესტან სულავამ – სულ ჩვიდებმა მეცნიერმა. წიგნი სასაჩუქრედ დაურიგდათ საქართველოს მეცნიერი ქვეყნების პრეზიდენტებს, ნობელის პრემიების ლაურეატებს. წიგნი შეიძინა მსოფლიოს თითქმის ყველა დიდმა ბიბლიოთეკამ. BOOKS AMAZON.com-ზე

ჩვენი წიგნის – „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრი – ამჟამინდელი ღირებულება არის 230 ლოლარი.

მოვაწყვეთ „ვეფხისტყაოსანის“ საჯარო კითხვა მწერალთა სასახლეში.

მწერალთა სასახლეში მოვაწყვეთ შეხვედრა „ვეფხისტყაოსანის“ ზეპირ მცოდნეებთან. ჩავატარეთ საღამოები მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესა და მწერალთა სახლში. ვუზვენეთ, საქართველოში მცხოვრები არაქართველები თავიანთ ენებზე როგორ კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს“. ამ ღონისძიების ამსახველი მასალები გადავუგზავნეთ იუნესკოს...

საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ახალციხის უნივერსიტეტთან ერთად ახალციხეში ჩავატარეთ „ვეფხისტყაოსანის“ ზეპირმცოდნებთა კონკურსი.

როგორც ზემოთ ვთქვი, რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები ჩავატარეთ გერმანიაში, ბერლინსა და ისრაელში. პირველად საქართველოს ისტორიაში გამოიცა პირველი სრული „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველის საზოგადოების წევრის, პროფესორ მურმან თავდიშვილის რედაქცია.

გ. გ. – ისრაელის დელეგაციაში მეც ვიყავი. ღირს ამ თემაზე ცალკე საუბარი.... ეს ყველაფერი კარგი... ახლა ისა ვთქვათ, რა მდგომარეობა „ვეფხისტყაოსანის“ პოპულარიზაციის კუთხით საქართველოსა და უცხოეთში; ამ საქმეს დიდი ტრადიცია აქვს და დღეს რა ხდება? როგორ გესახებათ ამ საქმის პერსპექტივა და რუსთაველის საზოგადოების როლი?

დ. შ. – დღეს უცხოეთში ასეთი ტენდენციაა: ადამიანები ნაკლებად ინტერესდებან სხვა ქვეყნების შუა საუკუნეების მწერალთა მხატვრული სამყაროთი, მათი ესთეტიკით, მაგრამ გატაცებული არიან იმ პერიოდის სიბრძნით, ფილოსოფოსებით, იმ ეპოქის ცოდნით. „ვეფხისტყაოსანში“ ეგ ყველაფერია. ამიტომ, როცა უცხოეთში გაგვაქვს რუსთაველი და ჩვენი მი-

ზანია მათი დაინტერესება, ჯერ ის უნდა მივაწოდოთ, როგორც მოაზროვნე, როგორც ადრეული რენესანსული მსოფლმხედველობის მქონე მოაზროვნე. ამის შემდგომ პოემის ტექსტთანაც ბუნებრივად მივლენ და დაინტერესდებიან მწერლითაც. სწორედ ამ მიზნით გამოვეცი უცხოეთში თქვენ მიერ დასახელებული წიგნი – „ვეფხისტყაოსანი მსოფლიო ლიტერატურის შედევრი“. სიტყვამ მოიტანა და აქვე გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ უცხოეთში ჩვენი დიდი ქართველოლოგიური ცენტრების საქმიანობა მიღევად რეჟიმშია. ქართულმა სახელმწიფომ მათ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს, იქნება ეს ფინანსური ინექცია თუ სხვა. ეს საქმე აუცილებელია, რათა არ ჩაქრეს ქართული კულტურის მაცოცხლებელი კერძი საზღვარგარეთ. ჩვენ გვაქვს უცხოელ აღიარებულ კორიფეებთან (ლუიჯი მაგაროტო, დონალდ რეიფილდი, ბერნარდ უტიე, სალი ნეველი, ბერტ ბეინი, ლინ კოფინი და სხვები) კონტაქტები, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის შეცვლაა ამ კუთხით საჭირო. უცხოეთში ქართველოლოგიური კვლევების ტრადიციას გაგრძელება სჭირდება. ამ მიმართულებით მომავალი თაობის ინტერესის გაღვივებას უნდა ვეცადოთ.

გ. გ. – ჩვენთან, საქართველოში?

დ. შ. – რაც შეხება საქართველოს, თუ როგორ დგას პოპულარიზაციის საქმე, ვთქვათ, როგორ იციან ახალგაზრდებმა „ვეფხისტყაოსანი“, ეს ალბათ ყველაზე უკეთ თქვენიცით; თქვენი, როგორც რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის თავმჯდომარის, იდეა იყო, თქვენ მიერვე შედგენილი კითხვარების საშუალებით თბილისის საჯარო სკოლებსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოგვეკვლია, თუ როგორ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ „ვეფხისტყაოსანი“. მიუხედავად იმისა, რომ მარტივი კითხვები იყო შერჩეული,

შედეგები შემაშფოთებელი გახდლდათ: მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სრული უკიცობა გამოავლინა... განათლების სისტემაში რადიკალურად შესაცვლელი და გამოსასწორებელია მდგომარეობა. სხვა მხრივაც მინდა შევხდო საკითხს. „ვეფხისტყაოსნის“ ზემოქმედ საკრალიზებას, ლამის მითოლოგიზებას თავისი უარყოფითი მხარე აქვს, კერძოდ ის, რომ ჩვენ მას ქვემოდან შევყურებთ, შემოვდეთ ისეთი სიმაღლის თაროზე, რომ ამჟამად ვეღარ ვწვდებით. ამით ჩვენ ის წაუკითხაობისათვის გავიმეტეთ, მკვდარ წიგნად ვაქციეთ. სინამდვილეში ის ცოცხალზე უფრო ცოცხალი წიგნია. გამოკითხვა რომ ჩავატაროთ, აღმოჩნდება, ასი კაციდან ერთ-ორს თუ ეწება ბოლომდე წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“...

გ. გ. — გვინდა — არ გვინდა, მაინც სკოლასა და განათლებასთან მივდივართ...

დ. შ. — არაა გასაკვირი. ხშირად ვიმეორებთ აკაკის ნათქვამს: „ჩვენი ბედისწერა განათლებაზე არისო დამოკიდებული“... დავუბრუნდეთ შეწყვეტილ საუბარს.

გ. გ. — თქვენ ზევით ჩვენი კვლევა ახსენეთ. ამგვარი კვლევის შემდეგ იმასაც ვწერდი, რომ ამ უბედურების სათავე, ერთი მხრივ, სკოლაა და, მეორე მხრივ, ეროვნული გამოცდები-მეთქი... მთავარი პრობლემა მაინც სასკოლო განათლებაა...

დ. შ. — იმის აღნიშვნაც არ იქნება უადგილო, რომ ამ ჩვენს კვლევებს გარკვეულწილად დაემყარა „სახელმწიფო ენის სტრატეგია“, რომელიც მთავრობამ 2022 წელს დაამტკიცა.

გ. გ. — დიახ, ასე ჩაიწერა სამთავრობო დოკუმენტში: „სტრატეგიაზე მუშაობისას გაანალიზებულ იქნა რუსთაველის საზოგადოების მიერ ჩატარებული მოკვლევის მასალები, რომლებიც ცხადად აჩვენებენ საუნივერსიტეტო საფეხურზე ქარ-

თული ენის ფლობისა და წიგნიერების დაბალ დონეს“; თუ არ გადავღლით მკითხველს, მოკლედ წარმოვადგენ კვლევის შედეგებს:...

დ. შ. – მგონი, საჭიროცაა ამ შემაშფოთებელი მასალის გასაჯაროება.

გ. გ. – გამოკითხვა ჩავატარეთ ორი გამორჩეული სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ სპეციალობებზე. პირველკურსელ სტუდენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში კითხვარი შევთავაზეთ.

დ. შ. – ისიც განვმარტოთ, პირველკურსელებში რატომ ჩატარდა ეს გამოკითხვა?

გ. გ. – პირველკურსელებთან იმიტომ მოვისურვეთ გასაუბრება, რომ სულ რაღაც ორიოდე თვით ადრე მათ გადალახეს ორი სერიოზული ბარიერი ამ საგანში ცოდნის შემოწმებისა: სკოლის გამოსაშვები გამოცდები და ეროვნული გამოცდები; ფაქტია, მათ წარმატებით დაძლიერ ეს ბარიერები და ჩაირიცხნენ პრესტიჟული უნივერსიტეტების პრესტიჟულ სპეციალობებზე... ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ, წესით, მათი ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე უკეთესი უნდა იყოს... ვიტყვი იმასაც, რომ ამ გამოკითხვის შედეგები თავის დროზე გავაცანით საზოგადოებას – ამის თაობაზე რამდენჯერმე სატელევიზიო გადაცემაში ვისაუბრეთ, დაგბეჭდეთ წერილები, მასალები მივაწოდეთ განათლების სამინისტროსაც, შევხვდით დარგობრივ მინისტრს... თუმცა... ჩემი ღრმა რწმენით, ვითარება დღითი დღე უარესდება...

დ. შ. – უფრო ცხადი წარმოდგენა რომ შევუქმნათ მკითხველს, ეგების უფრო კონკრეტული მაგალითები მოგვეყვანა.

გ. გ. – კეთილი. ვთქვით: გამოკითხვის შედეგები იყო სავალალო (ალბათ უმჯობესი იქნებოდა, გვეხმარა სიტყვა „კატასტროფული“).

ქართულ ენაში სამი სახის კითხვა დავსვით: 1. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სახელი? 2. რომელ რიცხვშია ხაზგასმული სიტყვა? 3. რომელ მწკრივშია ხაზგასმული ზმნა? სტუდენტებს მიეცათ ამ ჭიპის 16 შეკითხვა.

ქართულ ლიტერატურაში დასმული კითხვები ასეთი იყო: 1. რომელი ნაწარმოებიდან არის ეს ციტატა? 2. დაასრულე სტროფი. 3. სად ზდება მოქმედება ამ ნაწარმოებში, რომელ მხარეში...? 4. რომელი საუკუნის ლიტერატურული ძეგლია...? 5. „ვეფხისტყაოსნიდან“: რომელი ქვეყნიდან არის ეს პერსონაჟი...? რომელი პერსონაჟი ამბობს ამას? ამ ნაწილში 25 შეკითხვა დავსვით... შევეცადეთ კითხვები ყოფილიყო იოლად ამოსაცნობი...

სულ გამოვკითხეთ 151 პირველკურსელი.

ქართულ ენაში დასმულ კითხვებზე სწორი პასუხი გასცა 40%-მა; (ვერ ამოიცნეს სწორად: სახელის ბრუნვა 54%-მა, სახელის რიცხვი 36%-მა, ზმნის მწკრივი 90%-მა)...

ქართული ლიტერატურის კითხვებს სწორად უპასუხა 55%-მა. ისეთ კითხვაზე, მაგალითად, როგორიცაა „რომელი საუკუნის ლიტერატურული ძეგლია ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი“? ვერ უპასუხა 43%-მა. უცნაური ის არის, რომ დასახელდა მე-7-დან მე-20 საუკუნის ჩათვლით ყველა საუკუნე!.. დამეთანხმებით, უმძიმესი შედეგია...

ღ. შ. – ნამდვილად არასახარბიელო სურათია... ისიც ხომ ფაქტია, სტუდენტთა უმრავლესობა რეპეტიტორებთან შეძენილი ცოდნით მოდის უნივერსიტეტში...

გ. გ. – ამიტომაც მსგავსი კვლევა სექტემბერში (სანამ რეპეტიტორთა ინსტიტუტი „ამუშავდებოდა“) სკოლებშიც ჩავატარეთ. როგორც მოველოდით, შედეგები უარესი იყო...

ღ. შ. – ზემოთ თქვით, რომ პრიბლება ეროვნული გამოცდებიცაა.

გ. გ. — რამდენიმე წელია, ეროვნული გამოცდების მო-
დელია ისეთი, პრინციპია ისეთი, აბიტურიენტმა შეიძლება სა-
ერთოდ არ წაიკითხოს „ვეფხისტყაოსანი“ (ასევე ილია, აკაკი,
ვაჟა-ფშაველა...) და მიიღოს მაღალი შეფასება... სამწუხაროდ,
ასეთი რეალობაა: გამოცდა არის ბარიერი; უმეტესად ამ ბარი-
ერის გადალაზვის ინტერესს მიჰყავს ბავშვი წიგნთან; მოხსნი
ამ ბარიერს, ანდა გააიოლებ მის გადალაზვას, აღარ მივა
წიგნთან... ვიმეორებ: ეროვნული გამოცდების დღევანდელი მო-
დელის დამკვიდრებით თაობები დაღუპეს... იყვირე რამდენიც
გინდა; პოლემიკა გავუმართე საგამოცდო ცენტრის მესვეურებს
პრესაში; ვერ დაიცვეს თავიანთი ინიციატივები, არ ეყოთ ლო-
გიკა... „წისქვილი კი ისევ ისე ფქვავს“... საბოლოო შედეგი კი
სავალალოა... მასობრივი უვიცობა, ეროვნული გამოთაყვანება...
ეს პრობლემა არახალია, მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემის
ხანდაზმულობა საქმეს კიდევ უფრო ამძიმებს...

ცხადია, დაფიქრდება კაცი: თუკი ყოველივე ეს ცნობი-
ლია, რა ხდება, რატომ არ იცვლება ვითარებაო?

დ. შ. — თქვენი შეკითხვა გარკვეულწილად რიტორიკუ-
ლი ხასიათისაა, სწორად არის დასმული აქცენტები, არ შეიძ-
ლება, არ დაგეთანხმოთ. ყოველივე ამის ერთი მთავარი მიზე-
ზი, ვფიქრობ, ისიც არის, რომ „განვითარებადი ქვეყნის“ სტა-
ტუსი ჩვენთვის მრავალმხრივ დამაზიანებელია და მათ შორის
განათლების სისტემის კუთხითაც. აბა, რად უნდა ჩამორჩე-
ნილ, მაჩანჩალა ქვეყნას განათლების მაღალი სტანდარტები.
ამიტომ არის, რომ შეფასებების კრიტერიუმები, გადასალახავი
ქულები დაბლა დაწიეს. ამან შეუწყო ხელი მიზნის მიღწევის
გაიოლებას, მოსწავლეთა (სინანულით ვამბობ) უწიგნურობას.

გ. გ. — გეთანხმებით: „განვითარებადი ქვეყნის“ სტატუსი
რომ მიიღოს ქვეყანამ, განათლებისა და მეცნიერების დონე
ეკონომიკის დონის შესაბამისი უნდა იყოს... „განვითარებადი

ქვეყნის“ სტატუსი კი საჭიროა იმისთვის, გრანტები და დახმარებები რომ შემოვიდეს უცხოეთიდან... გრანტები და დახმარებები კიდევ ყოველთვის არ მიდის საჭირო მიმართულებით... ნულარ გავაგრძელებთ... ასე გაიწირა განათლება...

* * *

გ. გ. — დავით, იყო დრო, როცა სერიოზული და მწვავე კამათის საგანი გახდა ხელოვნებასა და ლიტერატურაში ფორმისა და შინაარსის საკითხი; ლოზუნგი იყო „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტურიო“... პრინციპი იყო, ე.წ. „სოციალისტური რეალიზმი“. რას იტყვის პოეტი დავით შემოქმედელი ამის შესახებ დღევანდელი გადასახედიდნ?

დ. შ. — სისტემას, ვგულისხმობ კომუნისტურს — საბჭოურს, სურდა ხელოვნება, ლიტერატურა, ზოგადად კულტურა თავისი იდეოლოგიის, შიგა თუ გარე პოლიტიკის შიშველი, სწორხაზოვანი პროპაგანდის საგნად ექცია. თანაც ეს მოეტანა „რეალისტურად“, ანუ ნატურალურად. გავიხსენებ ერთ ამბავს: გალაკტიონ ტაბიძეს ერთი სოცრეალისტი მხატვარი ხატავდა. შუბლთან, საღაც პოეტს ომა აკლდა, შეთხელებული თმით დახატა. გალაკტიონმა შუბლზე ხელი მიიღო და უთხრა: თქვენი სოცრეალიზმი კარგია, ძამიკო, მაგრამ აქ ომა მაინც დამიმატეო.

სერიოზულად თუ ვიტყვით კულტურის იდეოლოგიად ქცევის მთავარი ნაკლი სულიერ დირებულებათა კრიზისი, ჰეშმარიტების გარეთ დგომაა. აქ თავს იჩენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში დადებითი გმირის პრობლემა. იდეოლოგიზებული პოლიტიკის პირობებში დადებითი გმირია ის, ვინც არ-სებული პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით იქცევა და არა ის, რომელიც ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ემსახურება. ვთქვათ, მიიღო პარტიამ გადაწყვეტილება საყოველთაო ინდუსტრიალიზაციისა, მოწოდებაა — ყველანი ქალაქში. იღებენ

კონიუნქტურულ ფილმს „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, ფილმის მთავარი გმირი ტოვებს საკუთარ მამულს და ქალაქში მეტა-ლურგად იწყებს მუშაობას; ის არის დადებით გმირი. მსგავსი კონიუნქტურული ფილმია „საბუდარელი ჭაბუკიც“. შემდეგ მმართველმა პარტიამ შეცვალა პოლიტიკა და ახლა უკვე ვე-ფხია ხალიბაური უარყოფითი პიროვნებაა და აქცენტი სო-ფელში მსახურებაზეა გადატანილი. ასე დაიწყო უკუპროცესი, გაგახსენდებათ „მთას დაუბრუნდა მთიელი“... დავსძენ, არაფე-რი შეცვლილა, ასეა ეს ახლაც, გლობალიზაციისა და მას-კულტურის დროსაც: გენდერული თანახურობა, პომოფობა, ლგბტ-ს უფლებაზე წერა მოგებიანია.

გ. გ. – წავიდა „სოციალისტური შინაარსის“ დრო, მაგ-რამ ფორმისა და შინაარსის პრობლემა მაინც რჩება ... გიფიქ-რიათ აღბათ ამაზე: პოეზიაში რა უფრო მნიშვნელოვანად მი-გაჩნია: ფორმა თუ შინაარსი – სათქმელი?

დ. შ. – რადგან პოეზია ჩვეულებრივი ტექსტისაგან დი-დად განსხვავდება მხატვრული სამოსით, ამიტომ ამგვარ კი-თხვაზე უმრავლესობა, მათ შორის ლიტერატორებიც, ასე უპასუხებენ: ფორმა და მხოლოდ ფორმა. ამ აზრს ასაბუთებენ იმით, რომ, თუ ფილოსოფია სურდა, რა უნდოდა ავტორს პო-ეზიაში, წასულიყო ფილოსოფიაში. ამგვარ გამონათქვაშს მე სანახევროდ ვეთანხმები. არსებობს „პოეტური ფილოსოფია“ და არსებობს „ფილოსოფიური პოეზია“. პირველი ანტიპოე-ზიაა და ანტიფილოსოფიაც, მეორე – დიდი პოეზია. პირველ შემთხვევაში იღებენ რომელიმე ფილოსოფოსის ნააზრევს, თე-ზას და გალექსავენ, ხოლო მეორე შემთხვევაში ავტორის გრძნობად-კონკრეტული განცდა რაიმე მოვლენის მიმართ დი-დი შთაგონების შედეგად იქცევა პოეზიის საგნად და მერე განზოგადდება, აღმოაჩნდება ფილოსოფიური სიღრმე. არის ნა-წარმოებები, სადაც ფორმის პრიმატია, ფორმისეული ფოიერ-

ვერკები გვაოგნებს, სათქმელი კი მასთან შედარებით ჩრდილოშია მოქცეული. ასეთია გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ნაწილი. არის პირიქითაც, სათქმელია უმთავრესი თავისი სიდიადითა და სიღრმით და ფორმა – მეორეხარისხოვანი. საილუსტრაციო მაგალითია ვაჟა-ფშაველას პოემა შედევრი „გველის მჭამელი“. პოეტებს რომ ფილოსოფიაში არაფერი ესაქმებოდეთ, რა დარჩებოდა რილკესა, ელიოტისა და მრავალი სხვა დიდი პოეტისაგან?!“

გ. გ. – და მაინც, ფორმაა მთავარი თუ შინაარსი?

დ. შ. – მსგავს შეკითხვაზე პოეტმა ბესიკ ზარანაულმა უპასუხა: „პოეზიაში სათქმელია მთავარი“. პასუხიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მან თავისი შემოქმედებითი კრედო დაიცვა, შეიძლება ეს ასეც არის, მაგრამ სინამდვილეში ვერ შევედავებით ბატონ ბესიკს, რადგან მის უკან გვირგვინად დგას რუსთაველი: „პოეზია პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: ეს ფრაზა რუსთაველის მთელ პოემაზე ვრცელდება, მაგრამ „ავთანდილის ანდერძის“ მსგავსი პოეტური სიდიადე ჯერ ადამიანის ხელით არ შექმნილა.

ჩემი საბოლოო პასუხი ასეთი იქნება: მე იდეალურად მეჩვენება, როცა ფორმაცა და შინაარსიც პარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს.

გ. გ. – მოდი, კითხვას ასე შევაბრუნებ: რას იტყვი, არსებობს „უშინაარსო ფორმა“ ან „უფორმო შინაარსი?“

დ. შ. – რაც შეეხება „უფორმო შინაარსა“ და „უშინაარსო ფორმას“, „უფორმო შინაარსი ლიტერატურა არ არის. რაც შეეხება უშინაარსო ფორმას, არის ხელოვნება. ზუსტად ვერ ვიხსენებ, ათანას ფეტი თუ თედორე ტიუტჩევი ამბობდა (ფრაზის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ), პოეზია არის წერა არაფერზე, რაც ბევრწილად სადავოა, თუმცა არსებობს ისეთი

ნაწარმოებები, რომლებიც სათქმელისაგან გაცლილია, მაგრამ ფორმისეული ფორმებია, მხატვრული ეფექტებია და ესენი, ქმნიან კიდევაც პოეზიის განცდას...

გ. გ. — რა ვქნა, მთლად კარგად ვერ ვიგებ: „პოეზია არის წერა არაფერზეო“... გემახსოვრება, „უზარმაზარ არაფერს აკეთებდა არავინ“ (მგონი ვ. ჯავახაძისაა)... ხუმრობა მგონია ორივე... თქვენ სხვაგვარად გესმით?

დ. შ. — ვახტანგ ჯავახაძესთან ირონიაა, მაგრამ წერა არაფერზე, თუ ის მაღალი ესთეტიკით არის მოტანილი, შეიძლება ითქვას, პოეზიაა. აქ ხალხური პოეზიდან გამახსენდა ერთი უცნაური სტროფი: „არაფერი არ მინდოდა, არაფერის-თვის ვიყავ ცადო, არაფერი უნდა შევქმნა, არაფერი უნდა ვცადო“. მსოფლიოს ყველაზე პესიმისტი და მწუხარე ფილო-სოფოსი არტურ შოპენჰაუერი წერს: „დაკარგე მთელი ქვეყანა? არ იდარდო, არაფერია. მოიხვეჭე მთელი ქვეყანა? ნუ გი-ხარია, ესეც არაფერია. მწუხარებაც ჩაივლის და სიხარულიც. შენც გვერდი აუარე ამ ქვეყანას. იგი არაფერია!“

გ. გ. — „არაფრის კეთების“ თემა რთულ თემად მესახება... „უზარმაზარ არაფერზე“ პოეტის ხუმრობა არ მგონია შემთხვევითი... მაშინ, როცა ძალიან მომრავლდნენ „უზარმაზარი არაფრის“ მკეთებელნი... თუმცა ამაზე შორს ნუ წავალთ; და-ვლლით, აღარ გამოგვყება მკითხველი...

დ. შ. — ისე, კაცმა რომ თქვას, სასაუბროდ მაცდური თემაა...

* * *

გ. გ. — მწერალთან ვსაუბრობ და ისევ მომიწევს თქვენს ლიტერატურულ ბიოგრაფიასთან მიბრუნება. როგორ გაიხსენებთ პირველ ნაბიჯებს მწერლობაში. ძნელი იყო ეს პროცესი?

დ. შ. – ამ კუთხით გასახსენებელი ბევრია. ჩემი პირველი ლექსი 1976 წელს დაიბეჭდა. ძველი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ, იყო ასეთი გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. პარტიული სახელი კი ერქვა, მაგრამ შედარებით თავისუფალი იყო და ლიტერატურასა და ხელოვნებას ყურადღებას უთმობდა. გაზეთს დებიუტანტი ავტორებისათვის ჰქონდა საგანგებო რუბრიკა „ვსინჯავ კალაშს“. დავიბეჭდე ჩემს მეგობარ მწერალ გოდერძი ჩოხელთან ერთად. ჩვენ ორი შეგვარჩიეს, გოდერძი ჩოხელის მცირე ნოველა და ჩემი რამდენიმე ლექსი გამოქვეყნდა. ჩემი ხელდამსხმელი მწერლობაში გახლდათ მრავალმხრივი მოღვაწე, შემოქმედი (დოკუმენტური პროზა, მთარგმნელი, ისტორიკოსი, რედაქტორი) ბატონი ვახტანგ ჭელიძე. მან შეამჩნია ჩემი ლექსები და სრულიად ახალგაზრდას გზა გამიხსნა მკითხველთან მისასვლელად მეტად პრესტიულ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, რომლის რედაქტორიც თავად გახლდათ. მახსოვს, აჭარაში მცხოვრები დიდებული პოეტი ზურაბ გორგილაძე დანანებით წერდა: „საქართველოში ისე ვბერდები, რომ თბილისს ლექსი ვერ წავუკითხე“. ამ მხრივაც შეიძლება ითქვას, რომ ფეხბედნიერი იყო ჩემი შემოსვლა ქართულ მწერლობაში. 1994 წელს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა ჩემი პოეზიის პირველი საღამო. რომელიც მიჰყავდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძეს. ღონისძიებას უფროსი თაობის რამდენიმე აღიარებული მწერალი ესწრებოდა. მეუხერხულება ამისი აღნიშვნა, მაგრამ მათი თბილი სიტყვები ჩემს ლექსებთან დაკავშირებით დღემდე მახსოვს. ერთხელ თბილისის ოპერის მომღერლებთან ერთად ჩემი პოეზიისა და კლასიკური სიმღერის საღამო გაიმართა. ღონისძიების იდეის ავტორი და ორგანიზატორი იყო ოპერის მომღერალი ნონა ბერაძე. შემდეგაც ბევრჯერ გამართულა ჩემი პოე-

ზის საღამო, მაგრამ განსაკუთრებით, 2014 წელს რუსთაველის სახელმწიფო თეატრში ჩემი 60 წლის იუბილე მასშივრის. იმ საღამოს სცენარი და ღონისძიების რეჟისურა ეკუთვნოდა კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილს.

გ. გ. — ლიტერატურულ ასპარეზზე ფეხის მოკიდებისა და დამკვიდრებისთვის რა არის საჭირო? ნიჭი თავისთავად; სხვა: სითამამე, ძველი „მოთამაშეების“ თანადგომა, ბედისწერა თუ რა?...

დ. შ. — ნიჭი, რა თქმა უნდა, თავშია. და ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოთვალეთ. დავიწყოთ მწერლური სითამამით. მაიაკოვსკი გაგვახსენდება უმაღლ, დაჯერებით რომ ამბობდა: „ეს მე მოვდივარ, 22 წლის მშვინიერი“. სითამამესთან დაკავშირებით, საინტერესო გამონათქვამი აქვს მწერალ თამაზ ჭილაძეს: „მწერლობა ავტობუსი არ არის, რომ ადგილი უფროსებს დაუთმოო“. რაც შეეხება უფროსი კოლეგებისაგან, აღიარებული მწერლებისაგან თანადგომას, მეოცე საუკუნის სამოციანი წლების აღიარებულ ლიტერატურულ თაობას ვგულისხმობ, მიუხედავად მათ მიმართ ჩემი დიდი პატივისცემისა, მაინც გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენზე, ჩვენი თაობის რამდენიმე გამორჩეულ მწერალზე საჯაროდ, იქნებოდა ეს ლიტერატურულ პერიოდიკაში თუ ტელევიზიით, საქებარ შეფასებას ერიდებოდნენ. რამაც გარკვეულწილად დააზარალა კიდეც ჩემი თაობის მწერლობა.

გ. გ. — მაპატიი, ჩაგრევი. რეზო ინანიშვილს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ნუთუ არაფერს არ კითხულობენ ჩვენს სამმოში“. ამას რომ წაიკითხავ, აღარ გაგიკვირდება მათვან, რომ მომდევნო თაობის ნაწერებისათვის ყურადღება რომ არ დაუთმიათ.

დ. შ. — ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ შიში იპყრობდათ, თითქოსდა ლიტერატურულ კვარცხლბეგზე მათ

ადგილს სხვა დაიკავებდა. სინამდვილეში ეს მწერლობაში გამორიცხულია. ვერავის ვერავის ადგილს ვერ დაიჭერს. ცნობილია, გიორგი ლეონიძემ ერთხელ მათ ასეთი რამ უთხრა: „თქვენ გაგიმართლათ, რომ ჩვენ დაგხვდით, ვაი, მათ, ვისაც თქვენ დახვდებით“. აქ როგორ არ გაგვახსენდეს ილას სანიმუშო მაგალითი, ქართულ ლიტერატურულ თანავარსკვლავედში ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა რომ შემოიყვანა. რაც შეეხება თქვენ მიერ მოხმობილ ბედისწერას, ესეც ძალზე მნიშვნელოვანია. მაშინ, როცა ოთხმოციანელებად მონათლული ჩემი თაობა მიწაზე მყარად უნდა დამდგარიყო, ვგულისხმობ გასული საუკუნის ოთხმოცდათიან წლებს და იქიდან მოყოლებულ სამ ათეულ წელიწადს, ქვეყანაში დაიწყო კატაკლიზმი: სამოქალაქო ომი, ომი რუსეთთან, დიდი ეროვნული ტრაგედიები: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა... ასეთ დროს კი, მოგეხსენებათ, ლიტერატურისათვის აღარავის სცხელა.

გ. გ. — ფაქტია: ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა გარკვეულწილად განსაზღვრავს კულტურის დონეს (ბედს)...

დ. შ. — და ამიტომაც ლიტერატურისადმი ინტერესი განელდა, მკითხველმა წიგნს ზურგი შეაქცია. რამაც ჩემი თაობის მწერლობაზე დამღუპველად იმოქმედა. ლექსი ცოცხალი არსებაა, მას მუდმივად სჭირდება წყლის დასხმა, რომ არ გახმეს; ლექსი თუ მკითხველამდე ვერ მივიდა, სცენიდან ან ტელევიზიდან არ წაიკითხეს, სასკოლო სახელმძღვანელოში არ შეიტანეს, იგი ზუფში საგულდაგულოდ გადამალვისათვის არის განწირული.

გ. გ. — დავით, თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაზე არ არსებობს ერთიანი აზრი; ზოგს მოსწონს, ზოგს არა; ზოგი ეჭვით უყურებს საერთოდ კრიტიკის არსებობას... თქვენ

რას იტყვით თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაზე?

დ. შ. – ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული სკოლა დიდი და საამაყოა, კონკრეტული სახელების წარმოთქმა შორს წაგვიყვანს. კრიზისი ამ მხრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისიდანვე დაიწყო, თანამდევ კატაკლიზმებთან ერთად ქვეყანა იერს, ეკონომიკურ-საზოგადოებრივ ფორმაციას იცვლიდა. ადამიანები დაფიქრდნენ, თუ რა ელოდათ მომავალში. საზოგადოებაში იმატა ანალიტიკურმა აზროვნებამ. გახსოვთ ალბათ, პრესაში პუბლიცისტური წერილების ბუმი იდგა. ლიტერატურის კრიტიკოსებმაც უმაღ პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში გადაინაცვლეს. ამას დაერთო შედეგიც: ქვეყანაში როცა მკვეთრი რყევებია, ლიტერატურისადმი ინტერესი ნელდება. ლიტერატურული კრიტიკა – ეს ისეთი სფეროა, ნაკლებ დაფასებულია ლიტერატურის სხვა უანრთა-გან განსხვავებით. ამასთანავე, თუ გურამიშვილისეულ „მართლის თქმის“ პრინციპს არ უდალატებ, მოკეთეს შეიმცირებ და მომტერეს გაიმრავლებ. ამას ბევრი კრიტიკოსი ერიდება. ბესარინ უღენტს უსაყვედურა ერთმა მწერალმა, რატომ გამაკრიტიკეო?! ბატონმა ბესომ უპასუხა: – რომ შემექე, 50 მწერალს ეწყინებოდა და შენ ერთს გაგიხარდებოდა. ახლა მარტო შენ გეწყინა და 50 მწერალს გაუხარდაო... პოდა, აბა, ჩემთვის რომელი სჯობიაო? კიდევ ერთი, ბესარიონ უღენტს რომ ეხება. ერთი მაღალჩინოსანი მწერლის საყვედურზე, არ უნდა გაგეკრიტიკებინეთ. უპასუხა, – შე დალოცვილო, გაზეთში შეგაქე, ტრიბუნიდან შეგაქე, ტელევიზიიდან შეგაქე და ჩემს ოჯახში მაინც მათქმევინე სიმართლე!

გამოხდა ხანი. დღეს რამდენადმე ყინული გალღვა. იშვიათად, მაგრამ დღესაც იწერება მაღალი ხარისხის ლიტერატურული წერილები, მაგრამ ისეთივე დიდი ზეგავლენა, როგორც

გასული საუკუნის 50-60-70-იან წლებში პქონდა ლიტერატურულ პროცესზე, ლიტერატურულ კრიტიკას აღარ აქვს. წინა საუკუნის მეორე ნახევრის აღიარებული პროზაიკოსი და პუბლიცისტი გახდდათ რევაზ ჯაფარიძე. მწვავე კრიტიკული წერილებით თამაზ წიგწივაძემ მისი ლიტერატურული ავტორიტეტი საგრძნობლად შეარყია.

თანამედროვე ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების პროცესში ბოლო ორი-სამი ათაეული წელია, შეინიშნება ერთი ცუდი ტენდენცია. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ლიტერატურული კრიტიკა ჩაანაცვლა, ერთი მხრივ, რეკლამამ, ხოლო, მეორე მხრივ – ძაგებამ. აქვე, სასიამოვნო გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ როსტომ ჩხეიძისა და მისი გუნდის საქმიანობა ლიტერატურულ-ანალიტიკური პროცესის გამოცოცხლების საქმეში.

გ. გ. – დავით, რამდენადაც ვიცნობ თქვენზე დაწერილ ლიტერატურულ წერილებს, თქვენ ამ მხრივ კრიტიკისადმი საყვედური არ უნდა გეთქმოდეთ... ასეა, არა?

დ. შ. – ჩემი პირველი ცრემლისხელა წიგნი რომ გამოვიდა, დადებითი გამოხმაურებებიც მოჰყვა. ისე კი, თუ არ ვცდები, ოცზე მეტი წერილი დაიწერა ჩემს შემოქმედებაზე. მათ შორის: სოსო სიგუასი, როსტომ ჩხეიძის, რევაზ მიშველაძის, ავთანდილ არაბულის, მურმან თავდიშვილის, დალილა ბედიანიძის, მურმან ჯვეუბურიასი და სხვების. ჩემთვის სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ლიტერატურის ანალიტიკოსის პროფესორ გულნაზ გვალიას ვრცელი მონოგრაფია გამოიცა ჩემს პოეზიაზე, სადაც ეპოქასთან კონტექსტში სკრუპულოზულად არის მიმოხილული ჩემი შემოქმედება. ათასი მადლობა მას ამ დიდი შრომისათვის. მეამაყება ისიც, რომ წიგნის ავტორის აზრს იზიარებდნენ და აღნიშნული წიგნის რედაქტორები და კონსულტანტები იყვნენ ლიტერატურის აღიარებული

სპეციალისტები: ავთანდილ არაბული, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, სოსო სიგუა, დავით ანდრიაძე.

გ. გ. — დავით, საინტერესო მთხოვბელი ხართ. მან-სოვს, რამდენიმე წლის წინათ რაღაც სახალისო ამბებს ჰყვებოდით ცნობილ პიროვნებებზე და მაშინ გითხარით კიდეც, რატომ მოგონებებს არ წერთ-მეთქი. გირჩიეთ, ისეთი გზა გაქვთ გამოვლილი, ისეთ ადამიანებთან მოგიწიათ საქმიანობა, აუცილებლად უნდა მოჰკიდოთ ამ საქმეს ხელი-მეთქი.

დ. შ. — მაღლობა რჩევისა და შეგულიანებისათვის. სპეციალურად ამ საქმისთვის ლამაზყდიანი დიდი ბლოკნოტიც მაჩუქეთ, აი, ამაში დაწერეთ, დააყოლეთ. ნახევრად სერიოზულად, გნებავთ, ხუმრობად მიიღეთ და ერთი უცნაური ამბის გახსენებაც არ გვაწყენდა. კონსტანტინე გამსახურდიამ ტიციან ტაბიძეს პარიზიდან საჩუქრად მაღალი ხარისხის საწერი ფურცლები ჩამოუტანა, — საჩუქრად გაძლევ და ამაზე ლექსები დაწერეთ! მერე კი, ის ლექსები რომ წაიკითხა, არ მოეწონა, ბრაზობდა, ტიციან ტაბიძემ ფურცლები გამიფუჭა და სასწრაფოდ უკან დამიბრუნოსო. მოგონებების წიგნი თითქმის დავამთავრე, ტექსტს მხატვრულ-სტილისტური დამუშავება სჭირდება. ამ წიგნის რედაქტორობა თქვენ უნდა მოგანდოთ და ვმიშობ, რომ წაიკითხავთ, კონსტანტინე გამსახურდიასავით არ მომოხოვთ იმ ბლოკნოტის უკან დაბრუნებას!

გ. გ. — დიდი იმედი მაქვს, ასე არ მოხდება!.. (ისე, მთლად მტკიცე პირობის მოცემაც გამიჭირდება)...

დ. შ. — ახლა უფრო სერიოზულად: კარგა ხნის წინათ, დაახლოებით 25 წელი იქნება გასული, აკაკი ბაქრაძემ მირჩია, დაიწყე მოგონებების წერაო. გამეცინა, ჯერ ახალგაზრდა ვარ, რა დროს ჩემი მოგონებებია-მეთქი. — მერე დაგავიწყდება და ინანებო. რა დამავიწყებს-მეთქი, — გავიფიქრე. მართალი ყოფილა ის ბრძნი კაცი, ახლა ვხვდები, გონების ეკ-

რანზე ბევრი რამ წამლილი ან გაფერმკრთალებულია. ფრიდ-რის ნიცშესთან ვკითხულობთ: „შეიძლება იცოცხლო მოგონებების გარეშე და მეტიც, იცხოვრო ბედნიერად, როგორც ამას ადასტურებენ ცხოველები, მაგრამ სავსებით შეუძლებელია იცხოვრო დავიწყების გარეშე“. ლიტერატურის ეს უანრი „ნონ-ფიქშენს“ რომ ეძახიან, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოდური დარგია დღეს მსოფლიოში. მკითხველი მის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს. ზოგიერთი მკლევრის მიერ გამოითქვა მოსაზრება, ნონფიქშენი მალე რომანს ჩანაცვლებსო.

გ. გ. — ვაკვირდები და მართლაც ასეა, ძალიან მომრავლდა. მოგონებებს წერენ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები, მსახიობები, სპორტსმენები... სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ამას წინათ სატელევიზიო გადაცემაში „დღის კოდი“ პატარი ჩხეიძემ საინტერესოდ ისაუბრა ამ თემაზე; ზოგი მემუარებს იმისთვის წერს, რომ შთამომავლობის წინაშე თავი იმართლოსო... ვიცით ასეთებიც... თქვენ იმის გამოც გირჩიეთ, რომ ვფიქრობდი, მწერალი კაცისთვის ადვილი იქნებოდა მოგონებების წიგნის დაწერა... რაც მთავარია, თქვენგან მომისმენია ისეთი ამბები, რომელთა დავიწყებაც არ ივარგებდა.

დ. შ. — მხატვრული ტექსტის დროს შთაგონება გაიდვილებს საქმეს, პერსონაჟებმა, მათ შორის ჩემ მიერ გამოგონილებმა, თავად იციან, რა და როგორ აკეთონ. ზოგჯერ უბრალო გადამწერი ხარ მათი ცხოვრების. აქ კი საკმაო სირთულეებს წავაწყდი. პირველი, ცხოვრებამ ბევრჯერ ისეთ სიტუაციებში მომახვედრა, მკითხველმა, შესაძლოა, გამონაგონად ჩამითვალოს და არც დამიჯეროს. გაბრიელ მარკესს ეკითხებიან: თქვენის რომანებში ძალიან ბევრია გამოგონილი ამბები, ფანტაზიაო. მწერალმა უპასუხა: სინამდვილე, ცხოვრება გაცილებით დაუჯერებელია. დავსძენ, რომ ძალიან დიდი შინაგანი კულტურა და ზომიერება არის საჭირო, რომ მოგონებების წიგნში

ეგოცენტრულობა, საკუთარი თავის განდიდება არ გამოგივიდეს. ამ მხრივ სანიმუშოა ქართველი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის მოგონებათა წიგნი: „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

* * *

გ. გ. — დავით, დიალოგში მწერალ თამაზ ზმალაძეს ვკითხე: „სახელებს შენი პერსონაჟები თავად „ირქმევენ“, თუ შენ არქმევ მათი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე-მე-თქი“. საინტერესო პასუხი მივიღე; მოვიყვან ერთ მონაკვეთს: „სანამ წერას დავიწყებდე, გმირების უმტესობა თავისი სახე-ლითა და გვარით მოღის და არ მაწვალებს; მაგრამ, როცა პერსონაჟს შენ მიერ დარქმეულ სახელს დაუძახებ და არ მო-გხედავს, თავსაც კი არ შემოაბრუნებს, უნდა მიხვდე, რომ ნა-თლიად ვერ ივარგე. ამ დროს სახელის გამოცვლა აუცილებე-ლია.“ ამ თემაზე რას იტყვის პროზაიკოსი დავით შემოქმედე-ლი?

დ. შ. — მახვილგონივრული პასუხია. პერსონაჟთა სახე-ლები საინტერესო საკვლევი თემაა არა მარტო ქართულ, არა-მედ შსოფლიო ლიტერატურაში. შუა საუკუნეებში რაინდულ-მისტიკურ ქმნილებებში გმირების, ანუ პერსონაჟების სახელე-ბი სიმბოლურად აღნიშნავდნენ რაიმე მაღალ იდეას, სულიერი ინიციაციისას. ავიღოთ ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა „პარ-ციფალი“. პარციფალი წარმოადგენს დასავლური ეზოთერიზ-მის გზას, რომელიც ეძებს „გრალს“, ხოლო ფაირეფიცი — აღმოსავლური და დასავლური სიბრძნის შერწყმის გზას, იმავ-დროულად, თეთრი და შავი რასების შერევას“ — მეფე-ხუცესი იოანე არის პარციფალის ნახევარმმის ფაირეფიცის ძე. ჯვა-როსნები დავით აღმაშენებელს უწოდებდნენ მეფე-ხუცეს იოა-ნეს. ფაირეფიცი ეტიმოლოგიურად ნიშნავს „შავ-თეთრს“.

კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი სამზითვე „ვეფხისტყაოსნი-დან“: მკვლევრები მიიჩნევენ, რომ სახელი „ნესტან-დარეჯანი“

(ნისთ ანდარ-ე-ჯეპან) სპარსულიდან მოდის, კომპოზიტია, ეტიმოლოგიურად ნიშნავს „არ არის ამქვეყნად“. იგულისხმება: მისი მსგავსი არავინაა ამქვეყნად. ეს კი ზუსტად გამოხატავს ამ პერსონაჟის სიტყვებს საკუთარ თავზე: „სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აპყო“: ამირანიც ასეთივე კომპოზიტია: ნიკო მარის აზრით „ამირ ანდარ-ე-ჯეპან“ ითარგმნება, როგორც „მმართველი ქვეყანასა შინა“.

საუკუნეების განმავლობაში პერსონაჟთა სახელებისადმი ასე ღრმა აზრობრივი დამოკიდებულება შენელდა. ბოლოს სახელებთან დამოკიდებულება ამ მხრივ სწორხაზოვანი, რამდენამდე, კარიკატურულიც კი გახდა. თუ პერსონაჟი ფიზიკურად ძლიერი იყო, გვარად „ძალაძე“ უნდა ყოფილიყო, ხოლო სუსტი, ჩია ტანის კაცი გვარად – „მცირიშვილი“. „პერსონაჟი საკუთარ სახელს უნდა იხდენდეს“, ცამდე მართალია ბატონი თამაზ ხმალაძე. ეს ლიტერატურის არსებობიდან დღემდე დაუწერელი კანონია. ნათქვამის დასტურად ჩემი სამწერლო პრაქტიკიდანაც მოვიყვან მაგალითს. ჩემი მოთხრობის „ძალაგაცლილი მზის“ პერსონაჟი, ლიტერატურის მოყვარული კი არის, მაგრამ სკოლაში მუდამ შფოთისთავია, ერთი აცვენილი ბიჭია. ასე ვთქვათ, გარკვეულწილად, სახასიათო გმირია; სახელიც ანალოგიური შევარქვი – გიგია. გამოხდა ხანი; ამ ბიჭში ხდება შინაგანი მეტამორფოზა, სულიერი ზრდა. ერთ დღეს კონკრეტულ სიტუაციაში მაღალზნეობრივ საქციელს ჩაიდენს, რაც ნაწარმოების მთავარი შეკვრელი მაგისტრალური ხაზია. ვხედავ, ჩემი პერსონაჟი სახელ გიგიას ვერ იგუებს, გიგია ამას ვერ ჩაიდენს. პერსონაჟი გამიუცხოვდა, მისმა საქციელმა დამაჯერებლობა დაკარგა. ისეთი განცდა მქონდა, მოვიდა ჩემთან და უფრო სოლიდური შეცვლილი სახელით გამომეცხადა. დაირქვა ზუსტად ის სახელი, რომელსაც მოიხდენდა.

ვფიქრობ, ქართულ ონომასტიკაში ჯერ კიდევ ბევრი ყა-
მირია აუთვისებელი.

გ. გ. — მე თქვენი ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ
რამდენიმე მონოსპექტაკლს დავსწრებივარ. ყოველთვის დიდი
იყო ინტერესი. გამომისატავს კიდეც ჩემი მოწონება საჯაროდ.
რამდენადაც ვიცი, არც ერთი ქართველი მწერლის ამდენი მო-
ნოსპექტაკლი არ გამართულა... რას იტყვით?

დ. შ. — ვერაფერს ვიტყვი, გარდა მაღლიერებისა იმ
ადამიანების მიმართ, ვის გულთანაც ახლოს მივიდა ჩემი
შემოქმედება და ესოდენ სერიოზულად იმუშავეს, რათა ჩემს
სულში გამოტარებული სიტყვა მაყურებლამდე მიეტანათ. ამ
მხრივ ერთგვარი ქუდბედიანობა დამებედა. პირველი, ვინც ჩემს
ლექსებზე შექმნილი მონოსპექტაკლი წარმოადგინა, განლავთ
ხარაგაულის ერთი მსახიობის თეატრის სამხატვრო ხელ-
მძღვანელი, მსახიობი იზა ვეფხვაძე. სპექტაკლს ჩემი ერთ-ერ-
თი პოემის სათაური — „ჩემს სამშობლოში — მე ემიგრანტი“
ჰქვია. მანამდე ამ ხელოვანის რეპერტუარში მხოლოდ კლასი-
კოსთა ნაწარმოებები იყო. ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელო-
ბა გახლდათ, რომ ჩემი ნაწარმოებებიც გახდა მისი ინტერესის
საგანი. ამის შემდგომ კინოსა და თეატრის ცნობილ მსახიობს
ზურაბ ცინცქილაძეს გაუჩნდა მსგავსი სურვილი. მაყურებელს
ვუჩენეთ სპექტაკლი სახელწოდებით „გადამირჩინეთ, სიყვა-
რული“, რაც ასევე ჩემი ერთ-ერთი პოემის სათაური. მასსოვს:
სპექტაკლის შემდეგ თავის გამოსვლაში აკადემიკოსმა ავთან-
დილ ნიკოლეიშვილმა თქვა: სიყვარულზე ასეთი სიმბაფრით
საუბარი ნამდვილი პროტესტია სიძულვილით საფსე ჩვენი ყო-
ფის მიმართო. და ბოლოს ჩემი მხრის ქალბატონის, ვერიკო
ანჯაფარიძის სახელობის მედლის მფლობელის, ბელა კიკვაძის
მონოსპექტაკლები: „პეპელას ფრთებზე დაწერილი თავისუფ-
ლება“ და „გზა ჩემი ცხოვრებისა“. მალე პრემიერა გაიმართე-

ბა ჩემი ნოველებისა და ლექსების მიხედვით შექმნილი მონოს-პექტაკლისა – „ხსოვნის ანაბეჭდები“. მას წარმოადგენს კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მსახიობი პალიკო ნოზაძე. საქართველოში საკმაოდ დიდი ტრადიციის სკოლა გვაქვს ერთი მსახიობის თეატრისა: თათია ხაინდრავა, გურამ საღარაძე, კოტე მახარაძე, მურმან ჯინორია, ელდინო საღარაძე. ვფიქრობ, ამ ტრადიციას ღირსეული გამგრძელებელი ჰყავთ. ჩვეულებრივ სპექტაკლში მსახიობის მიერ წარმოთქმული რამდენიმეწუთიანი მონოლოგი დიდ დატვირთვად მიიჩნევა. ამ მხრივ ერთი მსახიობის თეატრი ერთობ რთული ჟანრია, მსახიობი დაახლოებით ერთი საათის მანძილზე მარტო დგას მაყურებლის წინაშე, რაც მსახიობისაგან ფაქტობრივად მწერლის თანაავტორობას, დიდ დატვირთვასა და მაღალ სამსახიობო ოსტატობას გულისხმობს.

გ. გ. – ქართული ლიტერატურული სამყაროსა და ჩემთვისაც მოულოდნელობა იყო, რომ თქვენს შემოქმედებაზე დაიწერა სოლიდური მონოგრაფია – „დავით შემოქმედელის პოეტური სამყარო“. მსგავსი მოცულობის ნაშრომი, თუ არ ვცდები, ავტორის სიცოცხლეში არც ერთ ცოცხალ მწერალზე არ დაწერილა. ბევრისთვის ეს სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა, მაგრამ არ დაგიძალავთ და კულისებში იყო ერთი-ორი ისეთიც, რომლებიც გააღიზიანა ამ ფაქტმა. შესაძლოა, ლიტერატურული შურით, შესაძლოა, სხვა რამის გამოც. რას იტყვით ზოგადად ამ წიგნის შესახებ.

დ. შ. – როდესაც პროფესორი გულნაზ გვალია გამოცხადდა ჩემ წინ და ამხელა მონოგრაფია წარმომიდგინა, მართალი გითხრათ, გაოცება მეტი იყო თუ სიხარული, ვერ გეტყვით. ჩემი პოეზიის რა მოყვარული და ერთგული მკითხველი ყოფილა, რომ ამდენი უმუშავია... რა ვიცი, სხვა რა ვთქვა...

გ. გ. — ზემოთ ლიტერატურული შური ვახსენეთ. ეგების გაგვევრცო ეს თემა

დ. შ. — ლიტერატურული შური არსებობს ორი: 1. თეთრი შური, როცა სხვისა შემოქმედებით აღფრთოვანებულს გული დაგწყდება, როგორ დამასწრო, ნეტა, მე დამეწერაო! 2. შავი შური, როცა ფასეული, ღირებული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ შურით იწყებს ნაწარმოებისა და მისი ავტორის განქიქებას...

ლიტერატურული ცხოვრებიდან ამოღებული ერთი ამბავი: ანტონ ჩეხოვი და ივანე ბუნინი ეწვივნენ ლევ ტოლსტოის. რა თქმა უნდა, ლიტერატურაზე ისაუბრეს. ტოლსტოიმ შექსპირი გააკრიტიკა, ჩეხოვი და ბუნინი შეაქო. გარეთ რომ გამოვიდნენ, გახარებული ბუნინი ეუბნება ჩეხოვს: ტოლსტოიმ ჩვენ შეგვაქო, შექსპირი კი გააკრიტიკაო. — ჩვენ ის თავისი დონის მწერლებად არ მიგვიჩნევს, ამიტომ შეგვაქო, შექსპირი კი თავის კონკურენტად მიაჩნია და ამიტომ გააკრიტიკაო, — უპასუხა ჩეხოვმა. კიდევ ერთი ამბავი ქართული სინამდვილიდან: ერთ-ერთ შეკრებაზე კომპოზიტორ ზაქარია ფალაძემვილს მკაცრად აკრიტიკებდნენ კოლეგები. მოულოდნელად სიტყვით გამოვიდა უცნობი ახალგაზრდა კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე და თქვა: თქვენ ყველას მისი „თავო ჩემოთი“ გაგასვენებენო.

არსებობს განსხვავებული შემთხვევაც: ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და დისიდენტი საშა მიქელაძე იგონებს: მივდივარ ქუჩაში, ვხედავ, ტერენტი გრანელი მოდის. მომიახლოვდა თუ არა, მარჯვენა ხელი მაღლა შემართა და დამიყვირა: მე უფრო დიდი პოეტი ვარ თუ გალაკტიონიო? გამეგონა, თავი გალაკტიონზე უპირატესად წარმოედგინა. მე ასე არ მიმაჩნდა, მაგრამ ვიფიქრე, ვასიამოვნებ-მეთქი, და ვუთხარი: — თქვენ,

ბატონი ტერენტი. — ფუუ, შენ მე პატიოსანი კაცი მეგონეო, — მომაძახა და წავიდა.

გ. გ. — საინტერესო ამბებია, მაგრამ, ისევ დავუბრუნდეთ თქვენს შემოქმედებაზე დაწერილ მონოგრაფიას. ამ წიგნის წარდგინების პროცესი მე მიმყავდა და ვთქვი კიდეც მაშინ: ამან გამაოცა სწორედ — რა სკრუპულოზურად შეუსწავლია თქვენი პოეზია, თანაც წიგნისთვის ბოლოში დაურთავს თქვენს ლექსებსა და პოემებში გამოყენებული მითოლოგიურ, რელიგიურ, ისტორიულ, ლიტერატურულ და სხვა პირთა საკმაოდ დიდი მოცულობის (40 გვერდიანი) საძიებელი...

დ. შ. — გეთანხმებით. ეს და მრავალი სხვაც. პირველი გრძნობა, რაც წიგნის ხელში აღებისას გამიჩნდა, გამოგიტყდებით და იყო შიში, ვათუ პოეტისა და მისი პოეზისადმი ასეთი დიდი პატივისცემის გამო წიგნის ავტორს კალამი გაექცა და წიგნში ჩემი პანეგირიკია, აღმატებული, გაზვიადებული ეპითეტებია დახვავებული, პათეტიკურ სტილში გადასულა-მეთქი. საბედნიეროდ, ამის ერთი შემთხვევაც კი ვერ აღმოვაჩინე. რაც შეეხება გაღიზიანებას, რამდენადაც კარგად ვიცნობ ქართული ლიტერატურის კულისურ ცხოვრებას, გაცილებით მეტ გაღიზიანებას მოველოდი. როგორც მითხრეს, რამდენიმე პიროვნებას ჩასაფრებულის თვალით წაუკითხავს ეს წიგნი, მაგრამ, საკბილო რომ ვერ უნახავს, დადუმებულა....

* * *

გ. გ. — დავით, ვიცით, რომ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა ეროვნული მოძრაობის აღმავლობა დაიწყო, თქვენ იმუამად გურიაში ცხოვრობდით და საქმიანობდით. გურია პოლიტიკურად სხვაზე მეტად მგრძნობიარე კუთხეა... ვიცი, რომ ამ პროცესებისადმი არ იყავით გულგრილი. გავიხსენოთ ის წლები, თუნდაც ის 9 აპრილი, მძიმე 9 აპრილი...

დ. შ. – 1989 წლის აპრილის ცნობილი მოვლენების დროს, როცა საქართველოს დედაქალაქში მრავალათასიანი მიტინგები და საპროტესტო გამოსვლები იმართებოდა, „დედაენის დღეს“, 14 აპრილს, გადაწყვეტილი იყო დიდი მიტინგის ჩატარება, რათა საპროტესტო გამოსვლებს უმაღლესი ფაზის-თვის მიეღწია. ვინც ოზურგეთში არაფორმალურ ორგანიზაციებში აქტიურად ვიყავით ჩამბული, თბილისიდან გაგვაფრთხილეს, ჯერ მანდ დარჩით, საჭირო ხართ მაქვე და 14-თვის ჩამოდით თბილისში და ხალხიც ჩამოიყვანეთო. 9 აპრილს, ადრე დილით, ოზურგეთის სატელეფონო სადგურში მივედი, თბილისში რომ ნაცნობთან დამერეკა და ახალი ამბები გამეგო. ვხედავ, ხალხი ჭირის, შეშფოთებული სახეებით ტელეფონებთან მირბიან. ცნობა თბილისიდან ყველასათვის თავზარდამცემი გამოდგა: იმ ლამით, 4 საათზე, მშვიდობიანი მომიტინგენი რუსულმა სპეცრაზმმა დაარბიაო. აღელვებული გამოვედი შენობიდან თუ არა, ქუჩაში ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი, შემდგომში საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე, ჩემი მეგობარი გია თავაძე შემხვდა. გავუზიარე ეს მძიმე ინფორმაცია და იქვე გადავწყვიტეთ, რომ ქალაქის ცენტრში, თეატრის წინ, მოედანზე, ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი გაგვემართა. სასწრაფოდ დავუკავშირდით ოზურგეთში ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს: იმუამად ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დირექტორს, მხატვარ ვახტანგ მამეიშვილსა და ვახტანგ თოხაძეს, რომელიც დღეს გურიაში მღვდელმსახურია. შემდეგ მივედით ოზურგეთის რაიკომის პირველ მდივან თამაზ კუნჭულიასთან და ვთხოვეთ ქალაქის ცენტრში სანქცირებული მიტინგის გამართვის ნებართვა მოეცა. მან გვაცნობა: საქართველოს ხელისუფლებას დროებით ჩამორთმეული აქვს ძალაუფლება, ქვეყანაში კომენდანტის საათია გამოცხადებული და მთავარ კომენ-

დანტად რუსი გენერალი იგორ როდიონოვი დანიშნესო. ამასთან ერთად, დაამატა საჯარო შეკრებები, მით უფრო საპროტესტო აქციები – მიტინგები საგანგებო ბრძანებით აკრძალულია და ორგანიზატორებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა – პატიმრობა – ემუქრებათო. იმდენად გაზრდილი იყო ემოციური ფონი, რომ რაიონის ხელმძღვანელის ეს გაფრთხილება ყურად არ ვიღეთ და იმავე დღისათვის დიდი მიტინგი დაწინშნეთ.

ოზურგეთის თეატრის წინ უამრავი ხალხი შეიკრიბა. ადგილობრივი ეროვნული მოძრაობის ლიდერების საერთო გადაწყვეტილებით მიტინგის წაყვანა მე დამევალა. მომიტინგებთან მოულოდნელად მოვიდნენ ოზურგეთის რაიალმასკომის თავმჯდომარე მაყვალა უღენტი და მილიციის უფროსი გერმანე თალაკვაძე. მკაცრად გაგვაფრთხილეს, რომ აკრძალული, არასანქცირებულ მიტინგის ჩატარებისათვის მონაწილეებს სისხლის სამართლის პატიმრობა გველოდა. დაამატეს, სოფელ მერიაში სამხედრო გარნიზონი დგას და მიტინგის ორგანიზატორებსა და მომიტინგებს დაარბევსო. ულტიმატუმი წამოგვიყენეს: ახლავე გამოდით და ხალხს მიტინგის დაშლისაკენ მოუწოდეთო. თეატრის წინ, დამოუკიდებელი საქართველოს 1918-21 წლების შავწითელფეროვანი დროშების ტყე აღმართულიყო, ოზურგეთის ვრცელი მოედანი გადაჭედილი ჩანდა. ხალხი ისტერიკაში იყო, თითქმის ყველა ტიროდა, ადგილიდან ფეხის დაძვრას არავინ აპირებდა.

მიუხედავად დედაქალაქში დატრიალებული სისხლიანი კალოსი, შინაგანი ხმა მკარნახობდა, არავითარი დარბევა არ იქნებოდა. მიტინგის ორგანიზატორთა ნაწილი მტკიცედ ვიდექით ჩვენს აზრზე, რომ უნდა ჩატარებულიყო, ნაწილი კი ხელისუფლების წარმომადგენლების მოთხოვნას დაემორჩილა. ის, რომ რამდენიმე წუთში მიტინგის ჩატარების გადაწყვეტი-

ლება მივიღე, ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე და რთული ნაბიჯი იყო. იმდენად აღელვებული ვიყავი, მიტინგი როგორ გავხსენი და რა ვთქვი, აღარ მახსოვს.

გ. გ. — თქვენ ოზურეთში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდით, რაიმეს ზომ არ გაიხენებდით.

დ. შ. — მოგონებათა სკივრიდან ამჟამად ამ ერთს ამოვიღებ: საბჭოთა პერიოდში კრემლის ბოსების სტუმრობა მოკავშირე რესპუბლიკების პატარა ქალაქებში იშვიათი მოვლენა გახლდათ. ერთი ასეთი გამონაკლისი ის იყო, როცა ოზურგეთს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ გორბაჩოვი ეწვია. მას თან მეუღლე, სოციოლოგი და ფინანსონის რაისა ტიტარენკო ახლდა, რომელსაც, მეუღლის გვარიდან გამომდინარე რაისა გორბაჩოვათი მოიხსენიებდნენ. „პროტოკოლით“ გათვალისწინებული წესის მიხედვით, მაღალჩინოსანმა სტუმარმა ოზურგეთის ღირშესანიშნაობები დაათვალიერა. გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე, რომელიც დაბა ანასეულში გაიმართა, თამადა ოზურგეთის რაიკომის პირველი მდივანი ოთარ თენეიშვილი იყო. შეა სადღეგრძელოს დროს გორბაჩოვმა უესტით ანიშნა თამადას, გაჩუმდიო, და სადღეგრძელო თავად გააგრძელა. ამ დროს რაისა გორბაჩოვა მეუღლეს უუნება: — მიხაილ სერგეევიჩ, საქართველოში ასეთი წესია, ქართულ სუფრასთან თამადა, აქაური ტრადიციით, ყველაზე დიდი თანამდებობის პირი არის და არ შეიძლება მისთვის სიტყვის შეწყვეტინებაო. მიხეილ გორბაჩოვმა გადაიხარხა: — რაისა მაქსიმოვნა ყოველთვის მართალიაო და თამადას სოხოვა, გააგრძელეთ სადღეგრძელო!

გ. გ. — ახლა ისევ თბილისის მოვლენებს დაუუბრუნდეთ! იმ დროს, როცა თბილისში იქმნება არაფორმალური ორგანიზაციები; აღდგა გაზეთი „ივერია“; ასპარეზზე არიან: აკაკი

ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე, ირაკლი წერეთელი... ეს სახელები ბევრისმთქმელია ეროვნული მოძრაობის ისტორიის მცოდნისათვის... ჩამოდისართ თბილისში და ამ წრეში ხვდები; თანარედაქტორი ხარ გაზეთ „ივერიის“... რა მოგცათ ამ წლებმა? ამ გადასახედიდან სწორი იყო თქვენი არჩევანი, როცა ამ გზას დაადექით? მაინტერესებს, როგორ გაიხსენებთ იმ პერიოდს.

დ. შ. – გაზეთი „ივერია“ ზურაბ ჭავჭავაძემ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზენიტში, 1989 წელს, აღადგინა. სამწუხაოოდ, ამ გაზეთმა მიზეზებისა გამო 1997 წელს არსებობა შეწყვიტა. გაზეთს რედაქტორი არ ჰყავდა. 4 წელი დავყავი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ თამარ ჩხეიძესთან ერთად ამ გაზეთის თანარედაქტორად. გაზეთი მკეთრად ოპოზიციური იყო, სადაც დაიბეჭდა ჩემი წერილი „კლუარდ შევარდნაძის ინტელიგენცია და მისი წარმოშობის მიზეზები“. მაშინ ეს საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო. მახსოვს, „რადიო თავისუფლებამ“ ეს წერილი თავის ეთერში ორჯერ გააცნო რადიომსმენელს. თამარ ჩხეიძე მეუბნება, მე ამ გაზეთს, იმ გვერდზე გადაშლილს, სადაც შენი წერილია დაბეჭდილი, პარლამენტის სხდომაზე შევარდნაძეს გადავცემო. ტელევიზორს ვუსმენ, პარლამენტის სხდომაა, ვხედავ სიტყვა მოითხოვა; დასრულების შემდეგ თამარ ჩხეიძე მივიდა ქვეყნის მეთაურთან და ჩვენი გაზეთი გადასცა. შევარდნაძემ მყისიერად ჩარგო თავი გაზეთში და კითხვა დაიწყო. კიდევ ბევრი რამის თქმა და გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად ამით დაკმაყოფილდეთ. აქვე ამ გადასახედიდან, ახლა უკვე ამდენი წლის შემდეგ, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ბედნიერი ვარ, რომ სწორი გამოდგა მაშინდელი ჩემი არჩევანი. შეიძლება ხმამაღალი ნათქვამი გამომდის და ვიბოდიშებ კიდეც მკითხველის წინაშე, ამას რომ ვამბობ...

გ. გ. — დავით, პოლიტიკაში შესვლის მცდელობა თუ გქონიათ.

დ. შ. — ორჯერ. 1990 წელს რუსთაველის საზოგადოების სახელითა და მეორედ 1995 წელს გაერთიანებული საარჩევნო ბლოკის (რუსთაველის საზოგადოება, სახალხო ფრონტი, ილია ჭავჭავაძის) სით. ორივეჯერ პარლამენტს მიღმა დავრჩი. მეც ჩემი დიდი წინაპრების — ქართველი კლასიკოსების — ბედი გავიზიარე. პირველი გაოცება მსგავს სიტუაციაში გრიგოლ ორბელიანმა გამოიტქვა: „საქართველო მაშინ დაიღუპა, მე და წვიმიტიძე ერთმანეთს რომ შეგვატოლესო“. გათანაბრებას ვინ ჩივა, მერე მოხდა, თუ მოხდა: ილია ჭავჭავაძე ორჯერ არ აირჩიეს თბილისის საქალაქო საბჭოში. მისთვის თბილისელმა ამომრჩევლებმა 80 მანდატიდან ერთიც ვერ გაიმეტეს.

ივანე ჯავახიშვილი კენჭს იყრიდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ არჩევნებში, მაგრამ ქართველებმა ის არ აირჩიეს.

აკაკი წერეთელი არჩევნებში მონაწილეობდა და კენჭს იყრიდა მშობლიურ საჩხერეში. მან არჩევნები წააგო მეღვინე ხუსკივაძესთან, რომელმაც ამომრჩევლებს ღვინო უფასოდ დაურიგა. ღვინო უფასოდ დაურიგაო — რა ნაცადი, გამოცდილი მეთოდია, თანაც გამართლებული. ამიტომ ჩვენს „პოლიტიკოსებს“ დღესაც ამომრჩევლის გულის მოსაგებად არჩევნების წინ ახალი ველოსიპედის გამოგონება აღარ სჭირდებათ.

ისე კი ორივეჯერ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე დავთანხმდი იმიტომ, რომ მუდამ გერის მდგომარეობაში მყოფი ქართული კულტურის ლობისტი ვყოფილიყავი. მსურდა, კულტურის გამართული კანონი გვქონდა. დავსძენ იმასც, რომ ორივეჯერ ჩემი დეპუტატობის კანდიდატად პრო-

პორციულ სიაში შეყვანა და მაჟორიტარობაზე ბედის ცდა ბატონი აკაკი ბაქრაძის გადაწყვეტილება იყო.

ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა და დაინტერესებულ მკითხველთათვის მოგაწოდებთ ინფორმაციას: 1990 წლის პირველ საპარლამენტო არჩევნებში ოუსთაველის საზოგადოების 250 კაციან სიაში პირველი ნომერი გახლდათ ქართველი კლასიკოსი ოთარ ჭილაძე, თქვენი მონა-მორჩილი მეთხუთმეტე იყო. ასევე ცნობისათვის: მოუხედავად იმისა, რომ ამ სიაში ქართული კულტურისა და მეცნიერების აღიარებული მოღვაწენი, პოლიტილოგის, ეკონომიკის, იურისპრუდენციის დიდი სპეციალისტები იყვნენ, უცნაური უნდა იყოს, ჩვენი საპარლამენტო სიდან ერთიც კი ვერ მოხვდა პარლამენტში.

* * *

გ. გ. — დავით, ოუსთაველის საზოგადოება არის ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა საბჭოთა პერიოდში. ფაქტია, ამ საზოგადოების როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში განუზომელია. ეს საზოგადოება არის, ჩემი აზრით, დღესაც ერთ-ერთი, თუ ერთა-დერთი არა, ორგანიზაცია, აქტიურ საზოგადო, კუტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას რომ ეწევა... სხვა ამგვარი საზოგადოების დასახელება გამიჭირდება... ვფიქრობ, საჭიროა ამგვარი ორგანიზაციის საქმიანობის აღწერა, თუნდაც მაგალითად და ნიმუშად სხვათათვის...

თქვენ რუსთაველის საზოგადოების წევრი ზართ დღიდან მისი დაარსებისა; ირაკლი აბაშიძის, აკაკი ბაქრაძის, მურმანლებანიძისა და მიხეილ ქურდიანის შემდეგ დღეს უკვე პირველი პირი. ამასთან ერთად, აკაკი ბაქრაძესა და მურმანლებანიძესთან ერთად მეორე რეგისტრაციის დროიდან რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი. მკითხველისთვისაც არ იქნება

უინტერესო, თვალი გადავავლოთ რუსთაველის საზოგადოების მიერ განვლილ გზას...

დ. შ. – ჩვენი საზოგადოება არის ერთადერთი საზოგადოება საქართველოდან, რომელიც შევიდა მსოფლიოს მსგავსი საზოგადოებების ჩამონათვალში – Who is who? (ვინ ვინ არის?). რუსთაველის საზოგადოებას საქმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს; მასალები მისი ჩამოყალიბებისა და საქმიანობის შესახებ ისტორიულ არქივებში რატომღაც ძალზე მწირად არის შემორჩენილი, თანაც ეს ცნობები ურთიერთგამომრიცხავია. სავარაუდოდ, საზოგადოება დაარსდა 1902 წელს და მისი თავმჯდომარე მეოცე საუკუნის ოციან წლებში იყო გრიგოლ რობაქიძე. საზოგადოების მიზანი იმთავითვე ქართველ მწერალთა და ხელოვანთა გაერთიანება, რუსთაველისა და ქართული კულტურის პოპულარიზაცია იყო. აღსანიშნავია, რომ 1923 წელს რუსთაველის საზოგადოების პირველი ფილიალი გერმანიაში დაარსდა. მისი საპატიო თავმჯდომარე იყო დიდი პოეტი, ქართულიდან რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი კონსტანტინე ბალმონტი. განსხვავებით მწერალთა კავშირისაგან, რუსთაველის საზოგადოებას არსებობის უწყვეტი ისტორია არ გააჩნია. იმ ჩეკისტურ-ათეისტურ პერიოდში, როცა რეპრესიების სუსტი მატულობდა, ეს საზოგადოება ბოლშევკიების სამსახურზე უარს აცხადებდა და თვითოლიკვიდაციას ახდენდა. მეოცე საუკუნის ბოლოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რეურაუზე, რუსთაველის საზოგადოებამ მოღვაწეობა განაახლა. ამ პერიოდიდან სხვადასხვა დროს საზოგადოების პრეზიდენტები იყვნენ: ირაკლი აბაშიძე, აკაკი ბაქრაძე, მურმან ლებანიძე, მიხეილ ქურდიანი. რუსთაველის საზოგადოებამ პოპულარობის ზედა ნიშნულს აკაკი ბაქრაძის პრეზიდენტობის დროს მიაღწია. მაშინ რუსთაველის საზოგადოების რელიგიის კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ

საქართველოს პატრიარქი ილია მეორე, ხოლო რუსთაველო-ლოგიის კომიტეტისა – საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ამავე საზოგადოების საორგანიზაციო საკითხებში იყვნენ ჩართული აგრეთვე საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა და დისიდენტური აზროვნების მწერალი ნოდარ წულეისკირი.

ამჟამად, ჩემი ხელმძღვანელობისას, რუსთაველის საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარეები და წევრები არიან ქართული კულტურის, მწერლობის, მეცნიერებისა და სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლები: მარიკა კვალიაშვილი, ავთანდილ არაბული, გიორგი გოგოლაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ომარ მხეიძე, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ უთმელიძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, დავით ანდრიაძე. გამოგვაკლდნენ: ნოდარ ნათაძე, გიგა ბათიაშვილი.

თუ ქართული პოლიტიკის დამახასიათებელი განმსაზღვრელი სტრატეგია არის მაკიაველის თეზა „მიზანი ამართლებს საშუალებას“, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სამოქმედო კრედო გახლავთ პავლე მოციქულის მოწაფის დიონისე არეოპაველის შეგონება – „წმინდა მიზანი, წმინდა საგანი, წმინდა საშუალება“.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველის საზოგადოებას აქვს ფილიალები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ან რეგიონში. ისინი რუსთაველისა და ზოგადად ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის თავდაუზოგავად იღვწიან.

რუსთაველის საზოგადოება ბევრი საშვილიშვილო საქმის ინიციატორი და განმახორციელებელია. გავიხსენებ მხოლოდ ერთს: გასული საუკუნის ოთხმოცდათიან წლებში სვანეთში მცხოვრები სტიქიურად დაზარალებული ადამიანებისათვის შე-

ვქმენით საგანგებო ფონდი და სამასამდე ოჯახი დაგასახლეთ ქართველებით მწირად დასახლებულ ბოლნისში.

გ. გ. — რუსთაველის საზოგადოების ბედის წიგნში ასე ჩაწერილა, რომ ამ პერიოდში საზოგადოების პრეზიდენტის მძიმე და საპასუხისმგებლო ტვირთი ათ წელზე მეტწანს თქვენ უნდა გეტარებინათ... ვისაუბროთ ამ ბოლო წლების საქმიანობაზეც.

დ. შ. — საკუთარ თავზე ლაპარაკს გროშის ფასიც არა აქვს, ამდენად სჯობს, ამ თემაზე სხვებმა თქვან, თუკი საჭირო გახდება...

გ. გ. — კი, ბატონო, მოვა ამის დროც...

დავით, დიდი ზანია, ვიცნობთ ერთმანეთს; ბევრი გვივლია ერთად; ბევრი დრო გაგვიტარებია მსჯელობასა და საუბარში. ვიცი თქვენი აზრი მრავალი საინტერესო საკითხის შესახებ. ზოგი მომწონს, გეთანხმები, ზოგი საკამათოდ მეჩვენება... როცა ჩვენი დიალოგის გაგრძელება გადავწყვიტე, მიზანი ისიც მქონდა, რომ მკითხველისათვის ეპოქასთან კონტექსტში ეს აზრები გამეცნო, თქვენი სულიერი პორტრეტის დანახვა-საც შევეცდები.. ამიტომ საკუთარ თავზე საუბარს მომდევნო კითხვებში მაინც ვერ ასცდებით. რადგან თქვენზე უკეთ ვერავინ გასცემს პასუხს ჩემს შეკითხვებს. ამდენად, ამ შემთხვევაში ნამდვილად არ გამოდგება რუსთაველის აფორიზმი: „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

მოდით, ამჯერად საზოგადოების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ნუსხა შევთავაზოთ ზალხს; ასე ვთქვათ, ანგარიშით წარვდგეთ მკითხველის წინაშე.

დ. შ. — გასაგებია, კარგი, ბატონო: ჩავატარეთ ქართული ხელოვნების ფესტივალი საჯარო სკოლებში დევიზით: „ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან!“ უიურის (მარიკა კვალიაშვილი თავმჯდომარე) წევრები: ვაჟა აზარაშვილი, ომარ მხე-

იმე, თენგიზ უთმელიძე, გიორგი უშიკიშვილი, დავით შემოქმედელი). აღნიშნული ფესტივალი ჩატარდა ქუთაისის ოპერის თეატრში. მონაწილეობდნენ თბილისისა და იმერეთის რეგიონის სკოლები.

სპეციალურად შედგენილი ტესტების საშუალებით თბილისის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა დონის შეფასება: „როგორ ვიცით ვეფხისტყაოსანი“. იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი ბრძანდებოდით თქვენ. შედეგები მოხსენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხერიძეს.

ჩავატარეთ მასშტაბური სახის ღონისძიება – საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მსოფლიოს 17 ენაზე ზეპირად კითხულობდნენ ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“. ამ სახის საღამოები გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესა და მწერალთა სახლში. ღონისძიების ამსახველი მასალები გადაეგზავნა იუნესკოს.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემიდან 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა წიგნი „ყოველ ქართველში შენი გენია“, რომელშიც შესულია რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსები, დაწყებული არჩილ მეფიდან პოეზიის თანამედროვე აღიარებული ოსტატების ჩათვლით. იდეის ავტორი და წიგნის შემდგენელი გახლდათ თქვენი მონა-მორჩილი, ხოლო რედაქტორი – მაყვალა გონაშვილი. წიგნში გამოყენებულია მიხაი ზიჩის, ფიროსმანის, ლადო გუდაშვილის, მერაბ ბერძენიშვილის, სერგო ქობულაძის, ირაკლი თოიძის, უჩა ჯაფარიძის, თამარ აბაკელიას, ლევან ცუცქირიძის, ნათელა იანქოშვილის, გია გუგუშვილის, ჯემალ კუხალაშვილისა და რუსულან ფეტვიაშვილის ნახატები.

ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო პანტომიმის თეატრის სცენაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლის საიუბილეო საღამო რუსთაველის სახელმწიფო თეატრში.

რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო რუსთაველის სახელმწიფო თეატრში.

რუსთაველის საზოგადოების ფილიალების გახსნა ბერლინსა და ბორში. თავმჯდომარეები: სილვა ქემერტელიძე და ნინო მიუტნიში.

ქართული კლასიკური მუსიკის დღეების გამართვა მიუნისტები (კოორდინატორი: რუსთაველის საზოგადოების სპეციალური წარმომადგენელი გერმანიაში, მუსიკოლოგიის დოქტორი, კომპოზიტორი, მწერალი მოსე ბოროდა).

ბერლინში, გერმანიის საელჩოში, ქართულ-გერმანული მეგობრობის საღამოს გამართვა. კოორდინატორი გახლდათ, ბერლინის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი და მთარგმნელი სილვა ქემერტელიძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ გერმანიის კულტურისა და მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, გერმანიაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და სხვ.

რუსთაველის ძეგლის გახსნა სანქტ-პეტერბურგში. ძეგლის ავტორია ზურაბ წერეთელი (კოორდინატორი სანქტ-პეტერბურგის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე ავთანდილ ბუთხაშვილი).

ქართული საკვირაო სკოლის გახსნა სანქტ-პეტერბურგში (კოორდინატორი ავთანდილ ბუთხაშვილი).

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში (გამოცემლობა „Nova Science Publishers“, საგამოცემლო საბჭოს პრეზიდენტი ნადია კულუმბუსი) გამოვეცით წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია გამოჩენილი უცხოელი და ქართველი მეცნი-

ერების წერილები „ვეფხისტყაოსანსა“ და რუსთაველზე. მისი სახელწოდებაა „ვეფხისტყაოსანი – მსოფლიო ლიტერატურის შედევრი“. წიგნის შემდგენელი, იდეისა და წინასიტყვაობის ავტორი გახლავთ თქვენი მონა-მორჩილი.

აქვე იმის აღუნიშნაობაც არ ეგბის, რომ წლების განმავლობაში რუსთაველის საზოგადოებას ერთგულად ემსახურნენ: რუსთაველის საზოგადოების აპარატის უფროსი ელისაბედ შავდია და საორგანიზაციო განყოფილების გამგე ჯიმშერ წიკლაური.

დ. შ. – ბატონო გიორგი, მგონი მკითხველი გადავდალეთ ამ მშრალი ინფორმაციით, სჯობს, აქ შევწყვიტოთ.

გ. გ. – განვაგრძოთ, დავით, ვფიქრობ, ეს ქართული კულტურის ისტორიისათვის არის საჭირო. ამიტომ გააგრძელეთ.

რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები ქუთაისისა და ხაშურში (კოორდინატორები ქუთაისისა და ხაშურის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარები: პროფესორები ავთანდილ ნიკოლეიშვილი და მურად მთვარელიძე).

რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები ისრაელში (კოორდინატორები: რუსთაველის საზოგადოების ქართულ-ებრაული ურთიერთობების ხელმძღვანელი ლეილა ნოდია, რუსთაველის საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი ისრაელში იაკობ ოფირი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ჩრდილოეთ ისრაელის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე შოთა წვენიაშვილი, ისრაელის ხელისუფლების პასუხისმგებელი პირი მურად ფიზიცი).

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირმცოდნეთა კონკურსების ჩატარება ახალციხეში საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად.

დიდი საერთო სახალხო დღესასწაულის „შოთაობის“ ჩატარება ახალციხეში საქართველოს კულტურის სამინისტროს, ახალციხის მერის, ახალციხის უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის რუსთაველის საზოგადოებასთან ერთად,

მწერალთა სახლში ჩატარდა სახალხო საღამო „ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“.

ბორჯომში ჩატარდა ვეფხისტყაოსნის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი სპეციალური საღამო (კოორდინატორი ბორჯომის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე მაკა ბლიაძე).

ტაო-კლარჯეთზე დოკუმენტური ფილმის „ტაო – შემაძრწუნებელი ბედნიერება“ გადაღება, რომელმაც გაიმარჯვა მსოფლიო მართლმადიდებლური დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე. ფილმის პროდიუსერი და სცენარის ავტორი დავით შემოქმედელი; იდეის ავტორი გიორგი გოგოლაშვილი; რეჟისორი, ოპერატორი, მუსიკალური გამფორმებელი, მონტაჟის ავტორი მარინა კოლხიძაშვილი.

ცნობილ ქართველ ენათმეცნიერებთან (ავთანდილ არაბული, გიორგი გოგოლაშვილი...) ერთად რუსთაველის საზოგადოების მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ნიადაგის მომზადება სახელმწიფო ენის კანონის მიღებასა და ქართული ენის დეპარტამენტის აღდგენაში.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრისათვის ჩამორთმეული ზაქარია ფალიაშვილის სახელის დაბრუნება (კოორდინატორი კინოდოკუმენტალისტი, ზაქარია ფალიაშვილის ძმისშვილი პროფესორი ნოდარ ფალიაშვილი).

ბალდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ობჩას მუსიკა-ლური სკოლისათვის კომპოზიტორ რევაზ ლალიძის სახელის მიკუთვნება.

15 მაისის რუსთაველის დღედ გამოცხადება. რიცხვი 15, „თამარობის“ დღესასწაულის მეორე დღე, შეირჩა საქართველოს პატრიარქის წინადადებით.

მწერალთა სასახლეში ჩატარდა დისპუტები:

განათლების,

ქართული ენის სიტმინდის,

ხუდონკესის,

თბილისის იერსახის დამახინჯების პრობლემებზე.

ღონისძიებებზე მოწვეულნი იყვნენ დარგის მაღალი რანგის სპეციალისტები, მთავრობის წარმომადგენლები.

ქართული კულტურისა და სპორტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, ფილარმონიის, რუსთაველის, მარჯანიშვილის თეატრების სცენებზე და მწერალთა სასახლეში პრემიებითა და საპატიო წოდებებით დააჯილდოვდნენ თენგიზ არჩვაძე, ნინო ანანიაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, პაატა ბურჭულაძე, ჯემალ ღალანიძე, ომარ მხეიძე, ჯემალ ჭკუასელი, ეთერ კაკულია, თამარ სხირტლაძე, თემურ გუგუშვილი, მურმან ჯინორია, ნანა ალექსანდრია, ჯემალ აჯიაშვილი (გარდაცვალების შემდეგ).

რუსთაველის საზოგადოებამ კულტურული სახის ექსპერიციები მოაწყო ისრაელში, ბერლინში, ტაო-კლარჯეთში, კაპადოკიაში, ანისში, ჰერეთში, დავით-გარეჯაში, ცამეტი ასურელი მამის ნაკალევზე, მარნეულსა და ბოლნისში.

საქართველოს მწერალთა სასახლესა და ეროვნული ბიბლიოთეკის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში მოეწყო ნონა გაფრინდაშვილის, ოტა იოსელიანის, ვაჟა აზარაშვილის ორჯერ, თემურ გუგუშვილის, ნინო ანანიაშვილის, ზურაბ სოჭ-

კილავას, მაყვალა ქასრაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, პამლეტ გონაშვილის, აკაკი ხორავას, მედეა ამირანაშვილის, იპოლიტე ხვიჩიას, ზურაბ ანჯაფარიძის, პაატა ბურჭულაძის, ომარ მხე-იძის, ფრიდონ სულაბერიძის, თენგიზ უთმელიძის, ჯემალ ჭკუასელის, რამაზ პატარიძის, ჯემალ აჯაშვილის, თამარ სხირტლაძის, მურმან ჯინორიასა და სხვათა შემოქმედებითი საღამოები.

საქართველოს ოუსტიციის სამინისტროსთან ერთად რე-სოციალიზაციის კუთხით სასჯელაღსრულების დაწესებულე-ბებში მოეწყო შეხვედრა მსჯავრდებულებთან. სტუმრები იყვნენ ნონა გაფრინდაშვილი, ავთანდილ არაბული, დავით გურგენიძე, მანუჩარ მაჩაიძე, რევაზ ძოძეუშვილი, ტარიელ ხარხელაური. საქართველოს ოუსტიციის სამინისტროსთან ერთად მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრში მსჯავრდებულ ქალთა სპექტაკლი გავმართეთ (კოორდინატორი ოუსტიციის სამინისტროსა და რუსთაველის საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი ნატალია ზაქარეიშვილი).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად წარმა-ტებით ჩატარდა მურმან ლებანიძის დაბადების ასი წლისთავი-საღმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ტრადიციულად წელიწადში ერთხელ ვმართავთ „ვეფხის-ტყაოსნის დღეს“.

გ. გ. – დავით, საზოგადოების ისტორიისთვის ეს ჩამო-ნათვალი მართლაც ფასეულია... და, საერთოდ, საქმისთვის მგონია დიდად მნიშვნელოვანი.

დ. შ. – აგაშენათ ღმერთმა, მაგრამ ზოგჯერ სკეპტიკუ-რად ვარ განწყობილი და ასე არ ვფიქრობ. განსაკუთრებით მაშინ, როცა საშოვარზე გამოსული ბორბლებზე შემდგარი ქა-ლაქი სხვაგან მიდის და მე სულ სხვა მიმართულებით ამიღია გეზი. როცა მთელ მსოფლიოსა და ჩემს სამშობლოში კატაკ-

ლიზმები, პანდემიები, ომები არის, თავი ხანდახან ჰიჩკოკის საშინელებათა ფილმის პერსონაჟი მგონია. საკუთარი საქმის პასუხისმგებლობის ყველაზე დიდ მაგალითად მიმაჩნია ეს შემთხვევა: ვეზუვის ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ ნახეს ჯარისკაცის ჩონჩხი შაშხანასთან ერთად, რომელიც ამ საშინელ ვითარებაშიც კი დასაცავ ობიექტზე თავის მოვალეობას ბოლომდე ასრულებდა.

გ. გ. – დღევანდელ დღეს, საოცრად მომრავლებული ბეჭდური თუ ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების პირობებში, კულტურულ ღონისძიებათა გაშუქება პრობლემად იქცა... ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი, ამბავი ვერ მიღის საზოგადოების ფართო ფენებამდე... შევავსოთ ეს სივრცე და ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილ, მაგრამ, ჩემი აზრით, საინტერესო მოვლენებზეც კარგი იქნება, გვესაუბროთ. თქვენ მოგიწიათ უცხოეთში რამდენიმე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში მონაწილეობა; ამათგან გამოვყოფი გერმანიაში, კერძოდ ბონში, წიგნის საერთაშორისო ფესტივალსა და ერევანში გამართული პოეზიის მსოფლიო ფესტივალს. ჩვენი მეზობელი სომხეთით დავიწყოთ. ვიცით, რომ იქვე გაიმართა სომხურ ენაზე თარგმნილი თქვენი მოთხრობების წიგნის „რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში“ წარდგენა.

დ. შ. – ეს იყო 2013 წელი, პოეზიის მსოფლიო ფესტივალი, რომელშიც 27 ქვეყნის 50-მდე სახელგანთქმული პოეტი მონაწილეობდა. ჩემთვის სასიამოვნო იყო, რომ იმათ გვერდით აღმოვჩნდი, ვინც თანამედროვე მსოფლიოში ლიტერატურულ ამინდს ქმნის. იქვე გავიცანი და თბილი ურთიერთობა დავამყარე საფრანგეთში მცხოვრებ ლიბანელ არაბ პოეტ ახმად ადონისისთან. ადონისი ნობელის პრემიის სამგზის ნომინანტია, რომელიც თავის შემოქმედებაში ჰარმონიულად აერთიანებს სუფიზმსა და სიურეალიზმს. ვფიქრობ, ეს და მსგავსი

კონტაქტები დღდ ლიტერატურასთან არის მაცნე იმისა, რომ კადგვ უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს ლიტერატურული საზღვრები, რომ მთარგმნელობითმა საქმიანობამ ახალი მიმართულებები გაჭრას და ახალი პლასტები მოიცვას. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: ეს საქმე ამჟამად მთარგმნელთა პირად მონდომებასა და ენთუზიაზმება დამყარებული. ადრე სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო. წინათ საქართველოში იყო მწერალთა კავშირთან არსებული მთარგმნელობითი კოლეგია, რომელიც ამზადებდა ბწყარედებს, ქართველ ავტორებს უცხოურ ენებზე თარგმნიდა და, პირიქით, უცხოულ მწერლებს – ქართულად. სამწუხაროდ, ეს კოლეგია გაუქმდა. ამას წინათ დამჭირდა არქივი, მინდოდა რაღაც მენახა, გაუბედურებულია ყველაფერი. დაუბრუნდეთ ისევ თქვენს კითხვას.

ფესტივალი მასშტაბური და გრანდიოზული გამოვიდა. ერევანში გაიხსნა პოეზიის ბალი. წილად მხვდა პატივი, რომ საქართველოს სახელით პოეზიის ხე დამერგო. ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო, რომ სომხეთში გამოქვეყნდა ჩემი მოთხოვობების კრებული. „რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში“ თარგმნა მაყვალა გეურჯოვამ. რედაქტორები არიან სომხეთის მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე ლევონ ანანიანი და აღიარებული სომეხი პოეტი გაგიგ დავთიანი. სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ჩემი წიგნის წარდგენა, სადაც საქმაოდ თბილი შეხვედრა მომიწყვეს. აქვე ვიტყვი, სომხეთში არსებობს რუსთველოლოგიური კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს სომეხი მეცნიერი გრაჩია ბაირამიანი. იგი დაბადებული და გაზრდილია თბილისში. სომხეთის ქართულმა საელჩომ დასამახსოვრებელი შეხვედრა მომიწყო (ორგანიზატორი იმჟამინდელი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში თენგიზ შარმინაშვილი).

ფესტივალის დღეებში ინგლისურ და სომხურ ენებზე გამოვიდა მსოფლიო პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც ჩემი ლექსებიც გამოქვეყნდა.

გ. გ. – დავით, რადგან სომხეთი ახსენე, ცოტა წანს სამეზობლოში შევიხედოთ..., ვიცით, როგორია კულტურის პოლიტიკა საქართველოში... საინტერესოა, ამ მხრივ რა ვითარებაა სომხეთში?

დ. შ. – სომხეთში კულტურის პოლიტიკა არის პრიორიტეტული მიმართულება: საქართველოში კი კულტურა, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, გერის როლშია. კულტურისადმი ისეთ ყურადღებაზე, რასაც სომხეთში იჩენენ, ჩვენ ვერც ვიოცნებებთ. იუნესკოს მონაცემებით, საქართველო წიგნიერების მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთ ჩამორჩენილ ქვეყნად არის მიჩნეული, ხოლო 2012 წელს იმავე იუნესკომ ერევანი მსოფლიო წიგნის დედაქალაქად აღიარა, მგონია, ამით ყველაფერია ნათქვამი. ფესტივალის დახურვის დღეს სპეციალურად გამართულ ბანკეტზე სომხეთის ვიცე-პრემიერს ვუთხარი: თქვენ კულტურა პრიორიტეტულ მდგომარეობაში გყავთ, როგორ ახერხეთ ამას? მიასუხა: ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, სხვა არჩევანი არა გვაქვს, ეროვნული კულტურა ჩვენი გადარჩენის გზააო. თუ ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს ხელოვნებას, მწერლობას არ ავიღებთ პრიორიტეტად, მაშინ გავქრებითო. უნდა ვთქვა, რომ ამ მხრივ სომხეთის სახელმწიფო ნამდვილად მისაბაძია. მურმან ლებანიძე ამბობს: „იცნობ მეზობელს, ჩასწვდომიხარ სიკეთეს მისას, ოფლს ღვრის? ღვრიდე! ფხიზლობს? ფხიზლობდე! და ძილგამკრთალი გარს უვლიდე სამშობოლოს მიწას!“

გ. გ. – 2008 წელს მოსკოვში გაიმართა მწერალთა დიდი საერთაშორისო ფორუმი. თქვენ იყავით მონაწილე ამ ფორუმისა; ამ შთაბეჭდილებების შესახებაც გვიამბეთ!

დ. შ. – ეს ფორუმი 2008 წლის მაისში, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომამდე ორი თვით ადრე გაიმართა. ის დროა, რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური დაძაბულობა მაქსიმალურ ზღვარს აღწევს, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს. ფორუმი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. იმის გამო, რომ კონფლიქტური ზონიდან გახლდით, სადაც გამოვჩნდებოდი, ყურადღება ჩემკენ იყო მიმართული. როცა ღონისძიებათა პროგრამა გამაცნეს, ვნახე, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის მწერა-ლთა ორგანიზაცია მისი თავმჯდომარის სახით ფორუმზე დამოუკიდებლად უნდა წარმოდგენილიყო. უმაღლ გავაპროტესტე და განვაცხადე: თუ ეს არ შეიცვლებოდა, ამ თემაზე ბრიფინგს გავმართავდი და პროტესტის ნიშნად ფორუმს დავტოვებდი. ჩემი განცხადების შემდეგ, როგორც „დამოუკიდებელი“ სტრუქტული ორგანიზაციის ე.წ. „აფხაზეთის მწერალთა კავშირის“, ხელმძღვანელის გამოსვლა ამოიღეს ღონისძიებათა პროგრამიდან. გულუბრყვილობა იქნება იმაზე ფიქრი, რომ ჩემი პროტესტისა შეეშინდათ, უბრალოდ ჩათვალეს, ეს საკითხი არ იყო იმუამად იმდენად მნიშვნელოვანი და ზედმეტ ხმაურს მოერიდნენ. დასკვნით ღონისძიებას, რომელიც ძალზე მასშტაბური იყო, რუსეთის მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარე ვლადიმერ პუტინი დაუსწრო. ჩემი სიტყვა, წარმოთქმული აღნიშნულ ფორუმზე, დაბეჭდილია ჩემი ესეისტური და პუბლიცისტური წერილების წიგნში „თანმდევი ფიქრი“, 2014 წელი, გამომცემლობა „დავითი“.

გ. გ. – დავით, ბარემ გერმანიაში, ბონში გამართული წიგნების საერთაშორისო ფესტივალის შესახებაც გვიამბე მოკლედ და ამით მოვილიოთ უცხოური შთაბეჭდილებები.

დ. შ. – ეს ლიტერატურული ფესტივალიც დიდი რეზონანსით გამოირჩეოდა. საქართველოდან მხოლოდ მე გახლდით მიწვეული. ღონისძიების დღეებში ჩემი შემოქმედებითი საღამო გაიმართა ბონში. მას გერმანიაში მცხოვრები ქართული დიას-

პორის რამდენიმე წარმომადგენელი და ბონში მცხოვრები ქართველი პოეტი ირმა შიოლაშვილი დაქსწრენენ. ერთია, რომ უდავოდ დასამახსოვრებელი დღეები იყო. ამით დავგმაყოფილდეთ, ფესტივალის წმინდა ლიტერატურულ პერიპეტიებზე საუბრით მკითხველს აღარ გადავდლი.

გ. გ. — დავით, ზემორე მომრავლებული საინფორმაციო საშუალებები ვახსენე. რაღაც არ მახსოვს (გამომრჩა ვითომ?), ქართული ტელევიზიები რომ დაინტერესებულიყვნენ ამ საერთაშორისო ლიტერატურული მოვლენებით.

დ. შ. — აღნიშნულისათვის არც ერთ მათგანს ერთი წამიც კი არ დაუთმია.

* * *

გ. გ. — დავით, რადგან ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვყევით თქვენს ნათელ გზას, მწერალთა კავშირშიც „შევიაროთ“; წლების განმავლობაში თქვენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე იყავით; ვისაუბროთ ამ პერიოდზეც, ცხადია, გასახსენებელი ბევრი გექნებათ.

დ. შ. — დიახ, გასახსენებელი მართლაც ბევრია, მაგრამ შევეცდები მოკლედ გიპასუხოთ. მახსოვს, ყმაწვილობისას, ახალგაზრდა მწერლები რომ ვიყავით, მწერალთა სასახლეში ისე შევდილით, როგორც ხატებით მორთულ ტაძარში. მაშინ მწერლობა და მწერალთა სასახლე ლეგენდური და წმინდა იყო ჩვენთვის. სასახლის დარბაზში, წინა რიგებში, კლასიკოსები ისხდნენ — უკან — ჩვენ მოკრძალებით, მაშინ ვერც წარმოვიდგენდით, რომ გავიდოდა ხანი და ის დიდი პასუხისმგებლობა, ქართული მწერლობის თავკაცობა რომ პქვია, ჩვენს თაობას დააწევებოდა მხრებზე...

გ. გ. — არადა, რა ისტორია აქვს ამ კავშირსა და ამ სასახლეს!

დ. შ. – მეც მიჩნდება სურვილი, კონსპექტურად ძალ-ზედ მოკლედ გავიხსენო მწერალთა კავშირის შექმნის ისტო-რია. პირველად აკაკი წერეთელმა გაამჟღავნა თავისი ნაფიქრი, საჭიროა მწერლებმა „გულთა კავშირი“ შევქმნათო.

ქართველ მწერალთა საზოგადოების შექმნის საკითხი XX საუკუნის დასაწყისშივე დადგა დღის წესრიგში. მიზანი მწერალთა ნაწარმოებების გამოცემაზე, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა იყო. 1908 წელს და-არსდა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“. გარდა ამისა, არსებობდა ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, რომელიც კითხულობდა და განიხილავდა მწე-რალთა ახალ ნაწარმოებებს, ისმენდა მწერალთა ლექცია-მო-სენებებს. მწერლობის პროფესიული საკითხების მოსაგვარებ-ლად საჭირო გახდა ყველა ამ ორგანიზაციის გაერთიანება ერთ კავშირში. 1917 წელს გადაწყდა მწერალთა კავშირის ჩამოყალიბება.. მწერალთა კავშირის შექმნის სათავეებთან იდ-გნენ: მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე კოტე მა-ყაშილი,, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტი-ციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, პავ-ლე ინგოროვა, ლეო ქიაჩელი. იმ წლებში ტიციან ტაბიძე მწერალთა გაერთიანების აუცილებლობაზე მსჯელობდა: „ერის სული მწერლობაში ლაპარაკობსო“. შემდეგ, სამწუხაროდ, ჩე-კისტურ-ათეისტური სისტემა, კომუნისტური რეჟიმი ცდილობ-და მწერალთა კავშირის სადაცების ხელში აღებას. და გაიყო მწერლობა ორ ნაწილად, აკაკი ბაქრაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი იყო კონფორმისტული – „მოთვინიერებული მწერლობა“ და მეორე – ღირსეული – „გადარჩენილი მწერ-ლობა“.

მწერალთა კავშირში შემოქმედებით – ორგანიზაციულ მხარესა და ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობას ვხელმძღვა-

ნელობდი. ჩავატარეთ არაერთი მნიშვნელოვანი საღამო, ანა კალანდაძისა და მუხრან მაჭავარიანის იუბილეები რუსთაველის სახელმწიფო თეატრში, შოთა ნიშნიანიძისა და მარიკა ბარათაშვილისა — მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრში და სხვა არაერთი. მკითხველი რომ არ გადავდალოთ, ფრაგმენტულად ვიტყვი: იმ წლებში დავამყარეთ კულტურულ-შემოქმედებითი კავშირი რამდენიმე უცხოურ სამწერლო ორგანიზაციასთან, გახლდით მათთან სტუმრად და საპასუხოდ ჩვენი მეგობარი უცხოელი მწერლები საქართველოში მოვიწვიეთ. ეს ამაღლელგაბეჭდი დღემდე ტკბილ მოსაგონებლად რჩება.

გ. გ. — დავით, უაღრესად საინტერესო, კოლორიტულ პიროვნებებთან მოგიწიათ თანამშრომლობა. გასახსენებელიც ბევრი გექნება; სამახსოვრო ამბები მოგონებებში აისახება, მაგრამ აქაც ხომ არ გაიხსენებდი რამეს?

დ. შ. — მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: რაღაც საკითხზე სასახლის დარბაზში შეკრება იყო დანიშნული, ვერ ვიხსენებ, თუ რა თემას ეძღვნებოდა. ზვიად გამსახურდიამ უკვე ღრმად მოხუცი ბატონი კონსტანტინე მოიყვანა. ქართველ კლასიკოსს ასე ახლოს პირველად ვხედავდი. ვუცქერდი მის ფერმკრთალ, გაცრუეცილ სახეს, უპეებში ჩავარდნილ, მაგრამ ჯერ ისევ გამჭოლ მზერას. ვუცერებდი და თვალწინ მიღვებოდა გახუნებული, ფერდაკარგული, გაცრუეცილი ფოლიანტები, დიდი ბელეტრისტ-მემატიანის მიერ მხატვრულად გაცოცხლებული ისტორიული სურათები. სხდომამ საკმაო ხანს გასტანა. ზაფხულის ხვატი იდგა, რაც დარბაზში ყოფნას აუტანელს ხდიდა. სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიას გადასცეს. საუბრობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, პაუზებით, ხმა უკვე გაბზარვოდა, ისე რომ, ირგვლივ მყოფთ გვიჭირდა წარმოთქმულის გაგება. იგრძნო ყველაფერი ეს ზვიადმა და მან დაიწყო ბატონი კონსტანტინეს ფრაზების დამსწრეთათვის „თარგმნა“. დრო საკმა-

ოდ გაიწელა. ბოლოს ვეღარ მოითმინა ნოდარ დუმბაძემ და ზვიად გამსახურდიას ეუბნება: „რას გერჩოდი, ზვიადა ძამა, ეს მთაწმინდიდან „პერერივზე“ გამოსული კაცი რომ მოგვიყვანე აქო“. დარბაზში სიცილმა იფეთქა...

სჯობს აქ შემაჩეროთ თორუმ იმდენი მაქვს საამბობი, წიგნის ფორმატს გავცდებით.

გ. გ. – თქვენს ბიოგრაფიულ ცნობარში ამოვიკითხე, გამომცემლობა „დავითის“ დირექტორიც ყოფილხართ...

დ. შ. – ეს სფერო, რასაც საგამომცემლო საქმე ჰქვია, უნდა ვთქვა, ერთობ მაინტერესებდა. გადავწყვიტე, გამომცემლობა დამეარსებინა. პირველი ის, რომ მინდოდა ძალები ამ ასპარეზზეც მომესინჯა და, მეორე, ჩემმა ფინანსურმა პრობლემებმა მიიძიგა; ვიფიქრე, კერძო კომერციული გამომცემლობით ეკონომიურ მდგომარეობას გავიუმჯობესებ-მეთქი. შევიძინე მინისასტამბო დანადგარების გარკვეული ნაწილი...

გ. გ. – ფინანსური პრობლემები მქონდაო, ამბობთ და ამ დროს სასტამბო დანადგარები შევიძინეო... ინტერესი გამიჩნდა, როგორ მოახერხეთ?

დ. შ. – იმ პერიოდში ნოდარ წულეისკირთან, და მანანა ჩიტიშვილთან ერთად დავით ალმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი გავხდი. პონორარიც სოლიდური იყო იმ დროისათვის – 10 000 ლარი. ვიცოდი, ეს თანხა ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩემს პრობლემებს ვერ გადაწყვეტდა და, რომ იტყვიან, ე.წ. „საქმეში“ დავაბანდე. მუშაობას ენერგიულად შევუდექი. დავბეჭდე ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვებულ ახალგაზრდა პოეტთა კრებული „მერანი“, რევაზ მიშველაძის მოგონებები, მარინე ნონიკაშვილის „საგამოცდო ტესტები აბიტურიენტთათვის“ და სხვა. წიგნების პოლიგრაფიული დონით ავტორები კმაყოფილი დარჩნენ, მაგრამ მალევე გაირკვა, ჩემს საგამომცემლო-კომერციულ საქმიანობას დიდი

დღე არ ეწერა. კოლეგა მწერლებმა გაიგეს თუ არა, რომ სა-გამომცემლო საქმიანობას შევუდექი, ყველას ჩემთან მოუნდა წიგნის გამოცემა. პირდაპირ ბუმი იყო. მერე როგორც ხდება ხოლმე, ყველა ცდილობდა განვადებითა თუ სხვა გამომცემ-ლობებთან შედარებით საგრძნობლად იაფად საკუთარი წიგნის დაბეჭდვას. იყო შემთხვევები, გამოვცემდი წიგნს და ავტორი ვეღარ ახერხებდა შემოსატანი თანხის გადახდას. ვატყობდი, ვალებისკენ მივიწევდი. დროულად მოვახერხე თავდახსნა და საგამომცემლო საქმიანობა შევწყვიტე...

* * *

გ. გ. – დავით, ჩვენს სადღეისო აქტუალურ საუბარში არ მინდა გვერდი ავუაროთ სოციალურ ქსელებზე საუბარს, რო-მელმაც ჩვენც ჩაგვითრია, თანამედროვე ცხოვრების წესადაც კი იქცა...

დ. შ. – სოციალური ქსელი გლობალიზაციის შვილია. მისი მასშტაბები დღითი დღე კოლოსალურად იზრდება. მსოფ-ლიოში ცნობილი სოციალური ქსელებია: Facebook, WhatsApp, Youtube, Instagram, Wechat, TikTok, Mesenger და ა.შ. ამ ეტაპზე განვიხილოთ facebook – როგორც ყველაზე პო-პულარული, რომლის მომხმარებელმაც თითქმის 2 მილიარდს გადააჭარბა. ბოლო მონაცემებით (2010 წელი) მსოფლიოს მოსახლეობა 7 მილიარდამდეა. ამ სტატისტიკით ადვილი წარ-მოსადგენია, რომ დედამიწის მოსახლეობის თუ რა დიდ სეგ-მენტს, თითქმის მესამედს, მოიცავს ის. ტერმინმა „სოციალუ-რი ქსელი“ ანალიტიკური სოციოლოგიიდან ინტერნეტში გა-დაინაცვლა. „ფეისბუქთან“ დაკავშირებით გეტყვით, აბა, ვინ წარმოიღვენდა, რომ 2004 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტის მარკ ცუკერბერგის მიერ თავის სამ მეგობართან ერთად შექმნილი ეს ინტერნეტ-სივრცე ასე გრანდიოზულ მას-შტაბებს შეიძენდა. ვირტუალური სამყარო თანდათანობით ისე-

თივე მნიშვნელობას იძენს (თუ უფრო მეტს არა), როგორც რეალური.

ბენ მეზრიჩის ნაწარმოების მიხედვით და აარონ სორკინის სცენარით რეჟისორმა დევიდ ფინჩერიმ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გადაიღო მხატვრული ფილმი – „სოციალური ქსელი“, რომელმაც არნახულ წარმატებას მიაღწია და მსოფლიოს საუკეთესო ფილმების სიაში შეიტანეს.

1955 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ მაკარტნიმ პირველად გამოიყენა ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“. მან ეს უკანასკნელი განმარტა, როგორც პროგრამა ან კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია იაზროვნოს, როგორც ადამიანმა, და მიიღოს ლოგიკური გადაწყვეტილებები. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ახალ დარგს, რომელსაც განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და შეუძლია მნიშვნელოვნად დაეხმაროს კაცობრიობას განვითარებაში. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ რომ „ხელოვნური ინტელექტის“ განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ მისმა ფართო გამოყენებამ საწარმოო პროცესებში ადამიანი შეცვალოს და ასე მივიღოთ მსოფლიოში მასობრივი უმუშევრობა.

გ. გ. — დავით, როგორ ფიქრობ, რა მოიტანა სოციალურმა ქსელებმა დადებითი.

დ. შ. — 1. წამის უსწრაფესად არის შესაძლებელი ინფორმაციის მიღება, რასაც სხვა შემთხვევაში უამრავი დრო უნდა წაედო. 2. ძველი ნაცნობების მოძიება, ახლების გაცნობა, მათთან საქმიანი თუ პირადი კონტაქტების დამყარება. 3. მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბების გაცნობა და სხვათათვის გაზიარება. 4. შესაძლებელია ნაირგვარი ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვა.

გ. გ. — გეთანხმებით, მაგრამ უარყოფითზეც ხომ უნდა თქვათ რაიმე?

დ. შ. – 1. ინტერნეტთან მიჯაჭვულობის, რეალურ ცხოვრებასთან მოწყვეტის გამო ახალი დაავადება გააჩნდა. მას კიბერდაავადებას ეძახიან. ბევრ ქვეყანაში ამგვარ დაავადებულთა მეუღლებს ოფიციალურად ეძლევა ცნობა, რომ ისინი არიან „კიბერქვრივები“. 2. კომპიუტერთან ხანგრძლივი დროით ჯდომა ჯანმრთელობისთვის საზიანოა, იწვევს თვალისა და ნერგული სისტემის დაზიანებას. 4. გაჩნდა ახალი ფსიქიატრიული დაავადება „ინფორმაციული შოკი“, რომელიც ინტერნეტთან მუდმივად მყოფთა ნერგულ სისტემას საფრთხეს უქმნის.

გ. გ. – დავით, ესეც სადღეისო კითხვა მგონია, ვაკეირდები და სრულიად ახალი ტენდენცია ჩნდება მხატვრულ ლიტერატურასთან მიმართებით. ავტორები, არა მხოლოდ დამწერები, თანამედროვე მნიშვნელოვანი მწერლებიც კი რეგულარულად აქვეყნებენ ნაწარმოებებს სოციალურ ქსელში... როგორ უყურებთ ამ პროცესს?

დ. შ. – ეს უფრო მეტად დადებითი მოვლენაა, ვიდრე უარყოფითი. არა მარტო მწერლები, არამედ სახელმწიფოთა პირველი პირებიც კი, რომელთაც ბეჭდურ და ელექტრონულ მედიასთან წვდომა გაადვილებული აქვთ, სოციალურ ქსელს იყენებენ. მაშინ, როცა ჩვენი წიგნების ტირაჟი რამდენიმე ასეულით განისაზღვრება, ინტერნეტი გამარტივებული საშუალებაა იმისა, რომ ათასებთან მიხვიდე და გააცნო საკუთარი შემოქმედება. უკვე არსებობენ ე.წ. ონლაინმწერლები, განსაკუთრებით საზღვარგარეთ, რომლებიც კატეგორიულად უარს აცხადებენ პუბლიკაციაზე, წიგნების გამოცემაზე. ინტერნეტიზაცია, სოციალური ქსელები მასკულტურის შემადგენელი ნაწილია. ჩვენც თავისთავად, ვინც მასში ჩართული ვართ, თანამონაწილენ ვხდებით ამ პროცესისა.

გ. გ. — დავით, სადღაც საკითხის ასე დასმასაც მოვკარი ყური: პოეზია და სოციალური ქსელი... ეს რაღაა?

დ. შ. — რასაც ჩვენ სოციალურ ქსელში გკითხულობთ, იმას რომ პოეზია ვუწოდოთ, ძალზე ხმამაღალი ნათქვამი გამოვა; აქვეყნებს კი უამრავი ავტორი. უმრავლესობის მასალას პოეზიასთან კავშირი არ აქვს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნიჭიერ ავტორს, რომელსაც წიგნის გამოცემის ფინანსური საშუალება არ გააჩნია, კარგი შესაძლებლობა ეძლევა, რომ თავისი ნაღვაწი ათასობით მკითხველს გააცნოს. სოციალურ ქსელებს აქვს თავისი ფინქოლოგიური ნიუანსები, მხოლოდ ერთზე შევჩერდები. უფრო მეტი გასავალი აქვს სიტუაციურ პოეზიას. თუ ზამთარია და თოვლზე დაწერილ საშუალო ლექსს გამოაქვეყნებ, მას უფრო მეტი მოწონება ხვდება წილად, ვიდრე ზაფხულზე დაწერილ უკეთეს ლექსს.

გ. გ. — რას იტყვი თანამედროვე ინფორმაციის საშუალებებზე, ელექტრონულ მედიაზე, ტელევიზიებზე?

დ. შ. — ტელევიზიებს, რომელთა გავრცელების არეალი კოლოსალურად დიდია, უზარმაზარი ზეგავლენა აქვთ პოლიტიკურ პროცესებზე და მასების ცნობიერებაზე. პრინციპი მათი საქმიანობისა უნდა იყოს: 1. ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობა. 2. ობიექტურობა. რაც შეეხება ოპერატიულობას, თანამედროვე სუპერტექნიკური საშუალებების პირობებში ისინი ამას კარგად ასრულებენ, აუგს ვერ ვიტყვით. ხოლო ის, რასაც ეწოდება სიმართლის თქმა, ობიექტურობა, ამ მხრივ, ვიტყვი პირდაპირ, სრული კატასტროფაა. ჩემი ნათქვამი რომ მკითხველს გადაჭარბებულად არ მოეჩვენოს, გეტყვით, ჩვენში ტელეურნალისტიკა არის მხოლოდ ორი სახისა: ადვოკატური და ბრალდებითი. მიზეზი ამისა გახლავთ ის, რომ ყველა დიდი ტექნიკური და ფინანსური საშუალებების მქონე ტელევიზია რომელიმე პარტიის საკუთრება, ფილიალი და მისი

იდეოლოგიური რუპორია. ადვოკატური და პროკურორულია ჩვენი ინფორმაციის საშუალებებია-მეთქი, წელან ვთქვი და ახლა შევეცდები განვმარტო. თუ რომელიმე პარტიის მიერ დაქირავებულ თავისუფლებააყრილ უურნალისტს ეთერში ჰყავს თავისი პარტიის რომელიმე კორუმპირებული, მედროვე სალახანა, უურნალისტი იქცევა როგორც აღვოკატი, ყოველმხრივ ცდილობს რესპონდენტის შავი წარსული გაათეთროს. ადვოკატისათვის კი, მოგეხსენებათ, თუნდაც მკვლელისა და სახელმწიფო დამნაშავის სხვადასხვა საშუალებით დაცვა პროფესიაა, ხოლო, თუ უურნალისტი მისი პარტიის ოპონენტს ესაუბრება, უკვე ბრალმდებელია, სტუმარს როგორც დაკითხვაზე მოსულს, ისე ექცევა. სინამდვილეში მედია ისეთივე უნდა იყოს, როგორც მიუკერძოებული სასამართლო ან პატიოსანი ნაფიცი მსაჯული. მან მხოლოდ ერთ ფერად – ან შავად ან თეთრად კი არ უნდა დაინახოს მოვლენა, არამედ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კუთხით წარმოაჩინოს. დავამატებდი, როცა ქართული ტელევიზიები აცხადებენ, დასავლურ კურსს ვადგავართო, სრული სიცრუეა. სად არის ეს დასავლური კურსი? მთელი დღის განმავლობაში კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყნების მდარე სერიალებს აჩვენებენ. ტელეეკრანზე ვერც ერთ მაღალი დონის ევროპულ ფილმს ვერ ნახავთ.

გ. გ. – ჩვენ იმ რეალობაში ვცხოვრობთ, რომ მკვეთრ პოლარიზაციას მოუცავს ირგვლივ ყველაფერი, დაპირისპირებამ, საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში შეაღწია; ეს არ ეხება მხოლოდ პოლიტიკას... რას იტყვით, თქვენს კოლეგებზე, მწერლებში როგორ არის ამ მხრივ საქმე?

დ. შ. – მწერლებობა ჩვენი საზოგადოების ნაწილია, ოღონდ ამას ემატება ის, რომ მწერლები ეგოგაზრდილი მკვეთრი ინდივიდუალისტები არიან, ემოციური ბუნებისა გამო ყველა მოვლენას მძაფრად რომ განიცდიან. ჯერ კიდევ კომუ-

ნისტების პერიოდიდან მახსოვს, რედაქციაში ერთმანეთის გვერდით მომუშავენი ერთურთს პრესის ფურცლებზე სასტიკად ებრძოდნენ მაშინ, როცა ადგილად შეეძლოთ ოფისშივე გაერკვიათ ყველაფერი... ამ ათიოდე წლის წინათ გადავწყვიტე, ჩემი უფროსი გარდაცლილი მეგობრის პოეტ გიგი მნელაძის საღამო ჩამეტარებინა რუსთაველის საზოგადოებაში. მის შვილს ვუთხარი: სანამ მე მათ დავუკავშირდებოდე, სჯობს, სამოციანი წლების აღიარებულ თაობას, მამათქვენის მეგობრებს, რომელთა ხელშიც გაიზარდე, შეატყობინო ამ ღონისძიების შესახებ-თქო. ორი დღის შემდეგ მოდის და მეუბნება: – სამწუხაროდ, ეს საღამო არ შედგებაო. – რატომ-მეთქი? – ვკითხე გაკვირვებულმა. – იმიტომ, რომ, როცა ერთს დავურებე, მითხრა, ის თუ იქნება (ყოფილ მეგობარ პოეტს გულისხმობდა), იქ ჩემი ფეხი არ იქნებაო. ყველამ ანალოგიური პასუხი გამცა. გამოდის, საღამოს მისი თაობის ვერც ერთი მწერალი ვერ დაესწრება. ასეთი საღამო კი არ მინდა, ჩატარდესო. მახსოვს, მაშინ გაბრაზებულმა „მწერლის გაზეთში“ დავწურე: რა ასეთმა ეგო-ამპარტავნებამ შეგიაყროთ, რომ გარდაცლილი მეგობრის საფლავმაც კი ვერ გაგაერთიანათ-მეთქი.

სამწუხაროდ, დაირღვა და განადგურდა პოლემიკის ის მაღალი კულტურა, რაც მეცხრამეტე საუკუნეში იყო საქართველოში. არადა რა ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან ქართველ კლასიკოსებს! რამდენი ასეთი მაგალითი, ზოგი ჩემთვისაც უცნობი, მოხმობილია თქვენს საყურადღებო წიგნში „მეოხედ ჩვენდა... – ილია და აკაკი, იაკობი!“. დღეს დაპირისპირებული მხარეები პირდაპირ ეთერებში ერთმანეთის ცემა-ტყეპაზე გადადიან. ვფიქრობ, ეს საკითხი საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რა არის ამისი მიზეზი? გაზრდილი ნევროტონული მდგომარეობა ხომ არა? სითავხედეში გადაზრდილი მორალის დეფიციტი ხომ არა? სკანდალებით

საკუთარი სატელევიზიო რეიტინგის გაზრდის სურვილი ხომ არა?

გ. გ. — ოტია იოსელიანს აქვს რომანები „იყო ერთი ქალი“ და „ქალი გამოვიდა საღალატოდ“; რამდენიმე მოთხოვბაც, რომლებშიც ქალის ფსიქოლოგია საოცარი სიღრმითაა ასახული. ერთმა იხუმრა, ბატონი ოტია წინა ცხოვრებაში, მგონი, ქალი იყოო... ეს ხუმრობა თქვენმა პოემაშ გამახსენა — „გადამირჩინეთ სიყვარული“, რომელიც ქალის აპოლოგიაა... რას იტყვით ამ თემაზე?

დ. შ. — ქართულ ეთნოფსიქოლოგიაში, ქართულ კულტურაში, ეროვნულ ცნობიერებაში დედა ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალური ხაზია. არც ერთ ერს, ქვეყანას ალბათ არ ახასიათებს დედისადმი ისე ზემიწიერი, ლამის საკრალური დამოკიდებულება, როგორც საქართველოს. ყველა ქართველმა იცის და მით უფრო თქვენ, ენათმეცნიერმა, რომ ეს სიტყვა-შიც განივთდა: დედასამყარო, დედაენა, დედამიწა, დედაბუნება, დედაარსი, დედააზრი და სხვა. ე. ი. ქართველისათვის დედაენა, ბუნება, სამყარო დედასთან იგივედებოდა. საქართველოს უწოდებენ სიმღერის ქვეყანას, ვაზის ქვეყანას, მაგრამ, მე რომ მკითხოო, საქართველო უპირველესად არის „დედის ქვეყანა“.

ქალის ბუნებაში ჩაწერობა როული საქმეა. შეიძლება კვანტურ მექანიკაში გაერკევ ადამიანი და ქალის ფსიქოლოგიაში ვერა. გარდა მომხიბლველობისა, ეს ამოუცნობობაც არის ალბათ მიზეზი იმისა, რომ ეგ თემა ესოდენ გვიზიდავს. აბა, რა ახსნა უნდა მოუქებნო მას, რომ ქალს შეუძლია მთელი დღე ელოდოს მამაკაცის სატელეფონო ზარს იმ მიზნით რომ არ უპასუხოს.

გ. გ. — ერთი ხელის დაკვრით და ერთობ მოკლედ მოჭერი... არადა შენს შემოქმედებაში ეს თემა საკმაოდ ვრცელია... დასკვნის სახით რას იტყვი — „ქალი — იდეალი“...

დ. შ. – ჩვენ ირგვლივ თითქმის ყველაფერმა იცვალა ფერი – დამახინჯდა. ერთადერთი, რაც გადარჩა, ესაა ქალის სილამაზე, მისით აღფრთოვანება. როცა ვან გოგმა პირველად შეიცნო ქალი, უბის წიგნაცში ჩაწერა: „ქალს წამის უსასრულობა თუ არა, უსასრულობის ერთი წამი მაინც შეუძლია განგაცდევინოსო“. საოცარი წარწერაა ერთ-ერთ აღმოსავლურ სურაზე: „არასოდეს აატირო ქალი, რადგან მის ცრემლებს ალაპი იცავს, არსთაგამრიგებ იგი ფეხიდან როდი შექმნა, რათა დაემცირებინა, თავიდან როდი შექმნა, რათა გაეამპარტავებინა, იგი შექმნა მამაკაცის გვერდიდან, რათა კაცს გვერდით ჰყოლოდა, მკლავს ქვემოთ რომ დაეცვა, გულის მხარეს რომ უყვარდეს“.

როცა ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება უნდოდა წარმოეჩინა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე-მეოთხე საუკუნის ბერძენი, ანტიკური მედიცინის რეფორმატორი პიპოკრატე ჯერ კიდევ როდის ამბობდა: მამაკაცი ბრაზდება ორ შემთხვევაში: როცა შია და როცა ამცირებენ, ხოლო ქალი კი მხოლოდ ერთ შემთხვევაში – როცა ის არ არის შეყვარებული. უზუსტესი დაკვირვებაა. ვფიქრობ, როგორც უდაბნოში ახლად ამოწვერილ მცენარეს სჭირდება წყალი, ისევე ქალს – სიყვარული. ზედმეტი დოზა და უკიდურესობა, როგორც ზოგადად ყველაფრისათვის არის ცუდი, ასევე სიყვარულისათვის. არა აქვს ამას მნიშვნელობა, ეს დედობრივი გრძნობაა თუ გრძნობა საყვარელი მამაკაცისადმი. სიყვარულის ასეთი ფორმა უკვე სიყვარულის დიქტატურაა. ავიღოთ დედამთილისა და რძლის კონფლიქტის ძირითადი მიზეზი. დედას სურს დიქტატორი იყოს სიყვარულში, შიშობს, რომ შვილსა კარგავს, რადგან ფიქრობს: მეუღლისაკენ აქვს მის შვილს სიყვარული გადამისამართებული. მას სწორედ რძალი მიაჩნია „დამნაშავედ“ და აგრესიასაც მისკენ მიმართავს. ეს პრობლემა ახლა უკვე სა-

ყვარელი მამაკაცის მაგალითზე ლევ ტოლსტიოს აქვს მაღალ-მხატვრული ფსიქოლოგიური ასპექტით ახსნილი. ანა კარენინა ფიქრობს, რომ ალექსი კარენინს მის მიმართ გული აუცრუვდა, რადგან სულ მთლად სახელმწიფო საქმეებზე გადაერთო. ალექსი კარენინს იგი ისევ ძველებურად უყვარს, მაგრამ, ქალისაგან განსხვავებით, მამაკაცის ბუნებრივი ფსიქოლოგია მუშაობს, მისთვის, სიყვარულის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო საქმეები, ომები, ნადირობა და სხვა. ქალს ამისი გაგება ძნელად შეუძლია. ანა კარენინაც ვერ უგებს. ის უკვე აღარ არის სიყვარულში დიქტატორი. ეს მისი პირადი ტრაგედია ხდება და სიცოცხლეს სუიციდით ამთავრებს.

გ. გ. — ახლა ერთ მტკივნეულ პრობლემას მინდა შევეხო: მეცნიერის, მწერლის, ზოგადად ხელოვნის სახელის დევალვაცია, გაუფასურება რომ ხდება, ვეღარც დაითვლი უკვე, იმდენი ცრუ სამეცნიერო აკადემიაა გახსნილი. ამ ყალბ ფარატინა დიპლომებს ურიგებენ ასალგამომცხვარ აკადემიკოსებს; ამავე დროს, პრემიებს ანიჭებენ არამწერალ მწერლებს. რა არის ამისი მთავარი მიზეზი და შესაძლებელია თუ არა, ეს სასაცილო პროცესი შეწყდეს?

დ. შ. — ამას აქვს როგორც ობიექტური, მასშტაბური, ასევე სუბიექტური, ლოკალური მიზეზი. ობიექტური მიზეზი ორია: 1. გლობალიზაცია. 2. საბაზრო ეკონომიკური სისტემა. დავიწყოთ პირველით, გლობალიზაციით. გლობალიზაციას აქვს დადებითი და უარყოფითი თვისებები. ჩვენ ყოველთვის უკუღმავიქცევით, უარყოფითს ადვილად, დიდი სიხარულით ვითვისებთ, ხოლო დადებითის გადმოღების სურვილსაც კი არ ვავლენთ. გლობალიზაციის თანამდევი მოვლენაა მასკულტურა. თუ დიდი ერებისათვის ის ნაკლებად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს, ჩვენისთანა ეთნოკულტურისა და მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, შესაძლოა, სულიერ-ესთეტიკურად მომაკვდინე-

ბელიც კი იყოს. მასკულტურა, ე. წ. მეორეული კულტურა, კულტურის გარეთ მყოფი მასებისათვის, ე. წ. „პლებებისათვის“ არის განკუთვნილი. ნახეთ, უცხოეთიდან რა სახის კულტურის ტირაჟირება ხდება ჩვენთან მასობრივი ინფორმაციების – ელექტრონული თუ ბეჭდური მედიების – საშუალებით. მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: იმის მაგივრად, რომ უცხოეთიდან შემოდიოდეს დიდი ევროპული, ამერიკული და აღმოსავლური მწერლობა, მეცნიერება... თავისი უდიდესი კორიფებით, იმათ სანაცვლოდ შემოდის ე. წ. „ქუჩური ევროპული“ და „ქუჩური ამერიკული“ კულტურა, პრიმიტიული, ბანალური თურქული, მექსიკური, ბრაზილიური სერიალები და სხვა. ყოველივე ეს ჩვენი ერის, განსაკუთრებით მომავალი თაობის შტრვრულ-ესთეტიკურ დონეს დაბლა ექაჩება, მაღალ-მხატვრულის აღქმის უნარს აჩლუნგებს. გარდა ამისა, ყველა უნიჭოსა და ინტელექტუალური უჩენს პრეტეზიას, თავისი ნაცოდვილარი საზოგადოებას ხელოვნების ნიმუშად შეასაღოს.

გ. გ. – კულტურის, ხელოვნების დევალვაციის მიზეზად საბაზრო ეკონომიკური სისტემა დაასახელეთ, საინტერესოა, სად ხედავთ ამ ბრალეულობას?

დ. შ. – ძველი, მარწუხებშემოჭერილი სოციალისტური სისტემა ცნობდა მხოლოდ ერთ – გაბატონებულ იდეოლოგიზებულ სახელმწიფო მონოკულტურას. მას უამრავი უარყოფითი რამ ახასიათებდა, ვთქვათ, კულტურის მკაცრ კომუნისტურ იდეოლოგიურ ჩარჩოში მოქცევა, რეპრესიები, ცენზურა, მაგრამ პქონდა დადებითიც. მეცნიერებათა აკადემია იქნებოდა ეს თუ სხვა შემოქმედებითი კავშირები, ერთეული გამონაკლისების გარდა, ინარჩუნებდნენ მაღალ აკადემიურ დონეს. ამ წრეში მოქცევა შესაძლებელი იყო დიდი გადარჩევის, დიდი სელექციის გზით. საბაზრო ეკონომიკური სისტემის დროს

ყველას შეუძლია, მათ შორის ჩიტირეკიასაც, მეცნიერებათა აკადემიის შექმნა... და ასე ხელაღებით იქმნება უამრავი მეცნიერებათა აკადემია და სხვა შემოქმედებითი გაერთიანება. კანონი ამის საშუალებას იძლევა. საბაზრო ეკონომიკურ სისტემას ვერ შევცვლით, ის ერთადერთია, რომელმაც ყველა თანაბარ მდგომარეობაში უნდა ჩააყინოს და თავისუფალი კონკურენციის პირობები შეუქმნას. ჩემი აზრით, განათლების სამინისტროსთან უნდა იყოს აღიარებულ მეცნიერთაგან შექმნილი კომისია, რომელიც ძნელად შესასრულებელი კრიტერიუმების დაწესებით გასცემს ახალი სამეცნიერო აკადემიის დაარსების ლიცენზიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში ცრუაკადემიკოსთა ბუმი არ შეწყდება. ახლა კი მდგომარეობა კარიკატურული და, ამავე დროს, საგანგაშოა. ყოველივე ამან ზელოვანის, მეცნიერისა და მწერლის სახელის დევალვაცია გამოიწვია. ავიღოთ მწერლობა, ის, ვინც პოეტის სახელზე ვერც იოცნებდა და თავისი ნაწერისთვის მხოლოდ ლექსის ფორმა შეეძლო მიეცა და სხვა არაფერი, დღეს პოეტის სახელით იწონებს თავს; ვინც ჩვეულებრივი პოეტი იყო, დიდ პოეტს ეძახიან, ხოლო დიდ პოეტს უკვე გენიოსად მოიხსენიებენ.

გ. გ. — დავით, დიალოგი რომ გვქონდა თემაზე „ენა და მწერალი“, მუსიკალურ ფოლკლორსაც შევეხეთ; უფრო სწორად, მუსიკალური და ენობრივი დიალექტების ურთიერთმიმართებას. თემა ფაქტობრივ ამოუწურავია... უდიდესი საგანმურის პატრონები ვართ, რასაც ქართული მუსიკალური ფოლკლორი ჰქვია; ხალხური მემკვიდრეობა ჰქვია... ვუვლით მას სათანადოდ? სხვათა შორის, თუმცა არ არის ეს სასხვათაშორისო, იუნესკომ მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ქართული მრავალხმიანი სიმღერა აღიარა (ქართულ ანბანსა და ქვევრში ღვინის დაყენების კულ-

ტურასთან ერთად). ეს ფაქტი მისი დაცვის ვალდებულებასაც გვაკისრებს...

დ. შ. – ერთხელ ანზორ ერქომაიშვილმა მითხრა: იტალიაში ვართ, რომში კონცერტი გავმართეთ, ნამდვილი ფურორი მოვახდინეთ, ყველა აღტაცებულია. ჩემთან მოვიდა ცნობილი იაპონელი მუსიკოლოგი და მეუბნება: თქვენ, ასე პატარა და სუსტ სახელმწიფოს, შეგიძლიათ ასეთი დიდი ზელოვნების მოვლა და დაცვაო? უნდა ვთქვა, ეს სერიოზული კითხვაა. ეს მარტო ჩვენს ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას როდი ეხება, ეს ზოგადად მთელ დიდ ქართულ კულტურას მოიცავს, რომლის მემკვიდრენიცა ვართ. ეს კითხვა უნდა აფიქრებდეთ იმათ, ვისაც ქართული კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ეკისრებათ. უწინარეს ყოვლისა, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს, შემოქმედებით ორგანიზაციებს...

გ. გ. – იუნესკო ვახსენეთ და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვა... რიგინად ვერ დავიცავით და ბაგრატის ტაძარს იუნესკომ მოუხსნა ძეგლის სტატუსი... აქ ერთი საკითხიც იჩენს თავს: როგორ ვზრუნავთ მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციაზე?

დ. შ. – ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით რაც მოხდა, ეს უპასუხისმგებლობისა და არაპროფესინალიზმის მწვერვალია. რაც შეეხება ფოლკლორს, ჩვენში ასე თუ ისე შესწავლილია, თუმცა საკვლევი და საძიებელი კიდევ ბევრია... სამწუხაროდ, ჩვენი უნიკალური ხალხური მემკვიდრეობის საზღვარგარეთ გატანას ვერ ვახერხებთ ისე, როგორც საჭიროა, პოპულარიზაციის საქმეში მოვიკოჭლებთ.... მინდა ერთ თემას შევეხო, რომელიც პირდაპირ უკავშირდება თქვენს კითხვას. ჩემს გაკვირვებას იწვევს აღმოსავლეთ საქართველოში, განსა-

კუთრებით მთიანეთში (ფშავ-ხევსურეთი, ხევი, გუდამაყარ-მთი-ულეთი, თუშეთი) დაკანებული ჩვენი საუნჯე – ჩვენი ანდრე-ზები, ზეპირი რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემებით სავსე კიდობანი. ამ მასალას მრავალი პლასტი აქვს, რომ შევიმეც-ნოთ, იმ დროის სულიერ ცოდნას ვეზიაროთ, რაც დავივიწყეთ. ესაა როგორც მითოლოგიური, ასევე ფილოსოფიური, რელი-გიური, ესთეტიკური, ეთიკური და ფიქტოლოგიური ცოდნა. ეს ისეთი გენეტიკური მეხსიერებაა, ტოპონიმიკაც რომ შემო-გვინახა: ირემთკალო, ავისგორი, აბუდელაურის ტბა.

გ. გ. – წედან ანდრეზთან მიმართებით ბრძანეთ, ჩემს გა-კვირვებას იწვევსო... დავაკონკრეტოთ, რა იწვევს თქვენს გა-კვირვებას!

დ. შ. – ფაქტია, რომ ჩვენ ეს დაფარული, ჯერ კიდევ ხელშეუხებელი საუნჯე სათანადოდ ვერ შევინარჩუნეთ, ვერ აღვნუსხეთ, გარკვეული ნაწილი დავკარგეთ, რაცა გვაქვს, ის ფუნდამენტურად ვერ ვიკვლიეთ და ბუნებრივად ვერ ჩავრთეთ ქართულ კულტურულ ცნობიერებაში, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ალექსი ოჩიაურის მიერ მოძიებულ ცალკეულ ან-დრეზებსა და ზურაბ კიქაძის მიერ გამოქვეყნებულ ამგვარ მასალას, ცალკეულ კვლევებს. ანდრეზი, პროფესორ აპოლონ ცანავასა და პროფესორ ზურაბ კიქაძის დაკვირვებით, ფონე-ტიკური ვარიაციაა. სპარსულმა ანდრეზმა ქართულში მოგვცა ანდერზი, მერე კი ანდერძი. ამიტომ ვფიქრობ, როგორც შვი-ლის ვალია აღასრულოს მშობლის ანდერძი, ასევე თანამედ-როვე მკვლევართა, მათ შორის მწერლების ვალია, ამ საუნ-ჯის – ანდრეზები რომ ჰქვია, უფრო ღრმა, მეცნიერული კვლევა. აკადემიკოსი ავთანდილ არაბული კი მიიჩნევს: ანდრე-ზები არა ანდერძი, არამედ იგავებია. ჩემი აზრით, ეს მოსაზ-რებები ერთმანეთს არ გამორიცხავს. ეს არის იგავური სახით დატოვებული ანდერძი გონიერი წინაპრების მიერ შთამომავ-

ლობისადმი, როგორც ეთიკურ-ზნეობრივი სიბრძნე. ქართულ კულტურულ სივრცეში ანდრეზები ჯერ სათანადოდ ვერ და-მკვიდრდა. ამის გამო ქართული მწერლობა ხელფეხშეკრულია. როგორც ქრისტიანულ მოტივებს ვიყენებთ ალუზიებისა და ასოციაციების სახით, იმგვარად არ ხდება ანდრეზული თემების ახლებური გააზრება.

გ. გ. — გადავინაცვლოთ დღევანდელობაში. დავით, ჩვენ ვცხოვობთ პოსტმოდერნულ ეპოქაში, რომელმაც ხელოვნების თითქმის ყველა სფერო მოიცვა. რას გვეტყვით ამის შესახებ?

დ. შ. — ამ ტერმინს პირველად ვხდებით რუდოლფ პან-ვიცის 1917 წელს გამოცემულ წიგნში „ევროპული კულტურის კრიზისი“. მკითხველისთვისაც რომ უფრო ადვილად გა-საგები იყოს, თუ რას ნიშნავს „პოსტმოდერნი“, მოვიყვნ პოს-ტმოდერნის აღიარებული გერმანელი მკვლევრის ვოლფგანგ ველშის სიტყვებს: „პოსტმოდერნი იწყება იქ, სადაც მთავრდება მთლიანი“. საილუსტრაციოდ, შესაძლოა, არც მთლად ზუსტს, მაგრამ ერთი უხეშ მაგალითს მოვიხმობ: ჩემს შვილს უამრავი მუსიკალური დისკი აქვს, როგორც კლასიკური, ასე-ვე სუპერთანამედროვე საესტრადო ჟანრებისა. მეგობრები ეწ-ვივნენ. უსმენებ მუსიკას. გაოცებული ვუყურებ. ჩართეს ერთი დისკი, სიმღერის მესამედიც არ ჰქონდათ მოსმენილი, მეორეზე გადართეს, შემდეგ მესამეზე, ასე ნაწყეტ-ნაწყეტ უსმენდნენ. ადგნენ იმ განცდით, რომ დროის ეს მონაკვეთი მათთვის სასი-ამოვნო მუსიკის სამყაროში გაატარეს. ანუ ერთიანის, მთლია-ნის განცდა მათ უკვე დაკარგული აქვთ. ნაკუწ-ნაკუწ ადგენენ სინამდვილეს. ახლა უფრო სერიოზული მაგალითი: ნობელის პრემიის ლაურეატის უმბერტო ეკოს გახმაურებული წიგნია „ვარდის სახელი“. იგი სპეციალისტებმა პოსტმოდერნულ ნა-წარმოებად მიიღეს, ასე მიიჩნევდა ავტორიც. ის იყენებს ე. წ. ფიდლერის მეთოდს, რომელმაც ინდუსტრიული და ორგანიზა-

ციული ფსიქოლოგიდან ლიტერატურაშიც გადმოინაცვლა. ეს რომანი არის ორმაგი კოდირების ნიმუში, სადაც ხდება ტექსტთა საინტერესო ურთიერთშერწყმა, შეა საუკუნეების მისტიკური ექსტაზის თანამედროვე ინტელექტუალურ თემებთან. ლესლი ფილლერის აზრით, პოსტმოდერნიზმს ახასიათებს მრავალენობრიობა, უკიდურეს შემთხვევაში – ორმაგი სტრუქტურა, კავშირი ელიტარულ გემოვნებასა და პოპულარულ გემოვნებას შორის. ეს ერთგვარი რიზომაა. რაც პოსტმოდერნიზმი აღნიშნავს ცენტრულობის უარყოფას, უწესრიგო ცნობიერებას. სადაც არ არის მთავარი და მეორეხარისხოვანი. სადაც ყველაფერი მნიშვნელოვანია.

გ. გ. – დავით, დღევანდელი ცხოვრება – რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სოციალურ ეკონომიკური ვითარება – არ აძლევს შემოქმედს მშვიდი მწერლური საქმიანობის უფლებას... იძულებული ვხდებით, პროცესში ჩავერიოთ ჩვენი სიტყვითა თუ საქმით... სწორედ ამიტომ ოცი-ოცდაათი წლის წინათ თქვენი პუბლიცისტური და ესეისტური წერილები ინტენსიურად იძეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, ნაწილი ამ წერილებისა შეიტანეთ კიდეც თქვენს ერთტომეულებში. წერილების კი მხოლოდ ერთი წიგნი გაქვთ გამოშვებული („თანმდევი ფიქრი“, 2014). მეჩვენება, რომ ამ მხრივ დავით შემოქმედელის აქტიურობა მინელდა... რა არის ამისი მიზეზი?

დ. შ. – არაფერი გეჩვენებათ, სწორედ რომ მასეა. მიზეზი მრავალია. შევეცდები, გიპასუხოთ: პირველი – როცა ყველა ლაპარაკობს, ყველა პუბლიცისტია, ექსპერტია, პოლიტოლოგია და ნეანდერტალელის აზროვნების დონის ნაწერი უნდა იკითხო ან მის ბეუტურს უსმინო ტელევიზიით, ამ დროს აღბათ უნდა დადუმდე. მეორე – ანალიტიკური წერილი რომ დაწერო საგნის შესახებ, ზუსტად უნდა იცოდე იგი. ამისათვის საჭიროა ინფორმირებულობა, ზუსტი ინფორმაციის ფლობა,

რომელიც, რაც დრო გადის, თანდათან შეუძლებელი ხდება. ამ ზღვა მასალებში, რასაც ჩვენ გვაწვდიან, ინფორმაციათა უმრავლესობა ე. წ. „ფეიკია“. აქვე დავსძენ: ანალიტიკურ წერილებში უნდა იგრძნობოდეს პუბლიცისტური ესთეტიკა. ამ მხრივ გამოვარჩევდი აკაკი ბაქრაძის წერილებს. მესამე მიზეზი წმინდად სუბიექტურია, თუ განვაზოგადებთ, ზოგადად ქართული. დააკვირდით უცხოელი მწერლების პროდუქტიულობას და ჩვენსას! საკმაო სხვაობაა, თუ გამონაკლისს არ ჩავთვლით (აკა მორჩილაძე, რევაზ მიშველაძე, როსტომ ჩხეიძე, რაულ ჩილაჩავა....) ჩვენ ამსოფლიურ სიამეს უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ ლიტერატურის დაზიანების ხარჯზე, ვიდრე ისინი. მე კი პუბლიცისტიკა დამეჩაგრა იმიტომ, რომ მთელი ყურადღება ლექსებსა და პრო-ზაზე მქონდა გადატანილი. დავსძენ: ნამდვილი პუბლიცისტისათვის აუცილებელია პატიოსნება, მართლის თქმის პრინციპი და მაღალი ინტელექტი. ერთ ადამიანში რომ ეს იყოს თავმოყრილი, იშვიათია. ინტელექტზე საუბრისას არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემთვის მსოფლიოში სამი გამოკვეთილი პიროვნება. ყოველთვის მიკვირდა, როგორ შეძლო ადამიანის გონიერამ ამხელა ინტელექტუალური დონისთვის მიეღწია. ესენი არიან: რუდოლფ შტაინერი (აქ არა აქვს მნიშვნელობა, ვიზიარებთ თუ არა მის ყველა მოსაზრებას, აქ ერუდიციის დონეზეა საუბარი), ხორხე ლუის ბორხესი და უმბერტო ეკო. ქართველთაგან ვისაც მე ვიცხობდი, მათგან გამოვიყოფი აკაკი ბაქრაძისა და მიხეილ ქურდიანის ენციკლოპედიურ განათლებას.

გ. გ. — თქვენ ამბობთ: თითქმის შეუძლებელია ტყუილსა და სიმართლეში გარკვევა, სულ ცრუ ინფორმაციები ვრცელდებაო... მაგრამ მაინც, ფაქტის უტრირებას ხომ არ ვახდენთ?

დ. შ. — არა, ბატონო გიორგი, სწორედაც რომ ასეა. საეთერო გადაცემაში ერთ-ერთი სატელევიზიო არხის დირექ-

ტორმა განაცხადა, მთავარი რეალობა კი არ არის, მთავარი აღქმებია, მთავარია, როგორ აღქმებს შევთავაზებთ მაყურებელსო. ეს ყველაფერი მძიმედ დასაფიქრებელია. ის კაცი პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გვეუბნება: ჩვენი მიზანია ხალხი ვაცხოვროთ ტყუილშით. გამოდის, ჩვენ მოდელირებულ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც სინამდვილის ნაცვლად მნიშვნელოვანია, რა აღქმები მიეწოდება პუბლიკუშს. ეს ნაცადი მექანიზმია მასების ფსიქოლოგის მართვისათვის. ჩვენ ხომ სიმულაციის ხანაში ვცხოვრობთ. რასაც ჩვენ ვუყურებთ, ჩვეულებრივი სიმულაკრებია. სიმულაკრი შლის ზღვარს რეალობასა და წარმოსახვას შორის. ამ საკითხს ღრმად განიხილავს ფრანგი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი ჟან ბოდრიარი თავის საყურადღებო წიგნში – „სიმულაკრი და სიმულაციები“. არ ვიცი, რამდენად საინტერესო იქნება მკითხველისათვის, მაგრამ სულ ბოლო მაგალითს მოვიყვან საქმე ეხება. ყატარის მსოფლიო ჩემპიონატს. დაიწერა და ითქვა რომ ეს სისხლიანი ჩემპიონატია, რადგან სტადიონების მშენებლობების დროს უამრავი ადამიანი დაიღუპა; პარალელურად გამოქვეყნდა სრულიად საპირისპირო ინფორმაციაც, რომ ამ ჩემპიონატმა უამრავი ადამიანი სიკვდილისაგან იხსნა, რაკიდა სტადიონების მშენებლობებზე უკიდურესი ღატაკები დაასაქმესო. ერთი მეორე მხარეს სდებენ ბრალს, „ფეიკიაო“, მეორენი – პირველთ. ჩვენ კი მოვლენას ვერ ვანალიზებთ, რადგან სიმართლე არ ვიცით. აქ ერთი უნდა შევნიშნოთ, როცა ურთიერთგამომრიცხავი ცნობებია, ხალხსაც აღარა აქვს სურვილი სიმართლის ცოდნისა. თანამედროვე ადამიანი, მით უფრო თუ პოლიტიკანგაჟირებულია, იჯერებს იმას, რისი დაჯერების სურვილიც აქვს.

გ. გ. – ვიცი, რომ მაჩაბლის პრემიის ლაურეატიცა ხართ; სამწუხაროდ, თქვენს მთარგმნელობით საქმიანობას მეც არ ვიცნობ... გაგვაცანით მთარგმნელი დავით შემოქმედელი.

დ. შ. — მთარგმნელიო, ბრძანებთ. ვფიქრობ, ჩემ მიმართ ცოტა გადაჭარბებულია ეს სიტყვა. არასდროს მიფიქრია, რომ მთარგმნელი გამხვდარიყავი. არც რუსულის, არც ინგლისური ენის შიგასტრუქტურა, ენის ბუნება, ისე ღრმად არ ვიცოდი, ლიტერატურის ამ სფეროს რომ შევჭიდებოდი. მთარგმნელობამდე შემთხვევით მივედი. ეს ის წლებია, როცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი. ამ დროს ჩვენ მჭიდრო კავშირებს ვაბამდით უცხოურ სამწერლო ორგანიზაციებთან. ისინი თარგმნიდნენ თანამედროვე ქართული პოეზის ანთოლოგიას. ამდენად ჩვენც გვბეჭდავდნენ. ანალოგიური რამ ჩვენც უნდა გაგვეკეთებინა. იმ პერიოდში იმის ფინანსური შესაძლებლობა არა გვქონდა, პროფესიონალი მთარგმნელები დაბვექირავებინა. ამიტომ სპეციალურად მომზადებულ ბწკარედებზე დაყრდნობით დავიწყე თარგმა. შემდეგ მიიჩნიეს, რომ უცხოური ლიტერატურის თარგმანში გარკვეული წვლილი მქონდა შეტანილი და ეს დიდი პრემიაც მომანიჭეს. ჩემთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო, დავაპირე უარი მეთქვა აღნიშნულ პრემიაზე, მაგრამ მეგობრებმა მიიჩნიეს, რომ იმ ადამიანების კეთილი გადაწყვეტილების მიმართ ჩემი ეს პროტესტი უხეშ ფორმას მიიღებდა და არ ივარგებდა. დავსძენ, მთარგმნელი ბუნებით უშურველი უნდა იყოს, რომ საუკეთესო სტრიქონები სათარგმნელ მწერალს მისცეს. ამ საქმეში მუნწივერ გამოდგება. გამოგიტყდებით, მე ასეთი არა ვარ. როცა მარინა ცვეტაევას ლექსი ვთარგმნე, ბაირონისადმი მიძღვნილი, ერთი სტრიქონი, მაგალითად, ასეთი სახის გამოვიდა: „და შენი სისხლის ძღვრიე ვულგანი როგორ გინთებდა ძარღვებში კოცონს“. წარმოიდგინეთ და დამენანა, გავიფიქრე, მარინა ცვეტაევა მსოფლიოში აღიარებული პოეტია, მას პირველხარისხოვანი მთარგმნელები თარგმნიან როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში, და რა სჭირს ჩემი მისახმარებელი-მეთქი. ერ-

თგვარი სიძუნწის გრძნობა გამიჩნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებით, არსით მთარგმნელი არა ვარ.

ცნობილია: პროფესიონალი მწერალი უმეტესად თარგმნის მაშინ, როცა შთაგონებისაგან დაცლილია. გავიხსენოთ მირზა გელოვანი: „პოეზიის თარგმანები ისე არის მკრთალი, როგორც ორჯერ ნაქმარევი ქალი... მე ქალწულის შერთვის ფიქრი არ მაქვს, ახალს არ ვქმნი, მე ქვრივს ვეძებ, ესე იგი ვთარგმნი“.

გ. გ. – დავით, როგორცა ვხედავ, მთარგმნელის გარკვეული გამოცდილება ნამდვილად გაქვთ, რას იტყვით თანამედროვე თარგმანებზე.

დ. შ. – მთარგმნელობაზე ვიტყვით ორ სიტყვას. თარგმნილ ლიტერატურაში უფრო მეტად პოეზიას ვგულისხმობ. აქ ორი უკიდურესი ტენდენცია შენიშნება. ესაა დედნისადმი მონობა და თავისუფალი თარგმანი. პირველ შემთხვევაში მწერლის ყველა სიტყვას მიჰყება მთარგმნელი, მაგრამ მას მხატვრული ძალა აქვს გამოცლილი, მკვდარი, უსიცოცხლო ტექსტია, ხოლო თავისუფალი თარგმნის შემთხვევაში მხატვრული ძალა შთამბეჭდავია, მაგრამ იმდენად დაშორებულია დედანს, რომ უკვე სხვა ნაწარმოებად აღიქმება. საუკეთესო შემთხვევაა, როცა ტექსტის სიზუსტეც დაცულია და თარგმნის მაღალმხატვრულობის დონეც. მთარგმნელმა ე. წ. დედნის მონასა და თავისუფალ თარგმანს შორის ოქროს შუალედი უნდა დაიჭიროს. შეინიშნება ასეთი ტენდენციაც: როცა მკვეთრად ინდივიდუალური სტილის ქართველი პოეტი უცხოურ ლექსის თარგმნის, მას საკუთარ სტილს არგებს, რაც, რბილად რომა ვთქვათ, ცოტათი კომიკურია.

როცა ქართველი მწერალი წერს, ვაზმა გაიხარაო, ნიშნავს გაიზარდაო. რა ქნას უცხოელმა ავტორმა, როგორ თარგმნოს ენით გამოხატული ქართველი კაცის მსოფლალქმა, რო-

მელიც განსხვავდება სხვა ენით გამოხატული აზროვნების სისტემისაგან. გაზის ზრდასთან მიმართებით „გახარება“ ერთდროულად სინონიმიც არის და მეტაფორაც. რაც შეეხება იდიომურ გამოთქმებს, მის სხვა ენაზე მორგებას, აქ საქმე გაცილებით როტულდება.

და ბოლოს ვიტყვი, რომ მოდის ახალგაზრდა მთარგმნელთა ნიჭიერი თაობა, რომელიც დიდი ქართული მთარგმნელობითი სკოლის ღირსეულ გამგრძელებლად მიმაჩნია.

გ. გ. — დავით, მე მგონია, „სპორტის დრო“ მოვიდა... ზოგი ჰობს ეძახის, ზოგი გატაცებას... ვიცი, სპორტის სახეობათაგან ასეთი ჭადრაკია თქვენთვის... რა არის ზოგადად ჭადრაკი და კერძოდ დავით შემოქმედელისათვის, რა ადგილი უჭირავს მას თქვენს ცხოვრებაში, რას იტყოდით ამაზე?...

დ. შ. — ჭადრაკი გონების, აზროვნების ინტელექტუალური თამაშია, სადაც გამარჯვებისაკენ სწრაფვას თან ერთვის სპორტის, მეცნიერებისა და ხელოვნების კომპონენტები. ვერ გავიზიარებ ნაპოლეონის ცნობილ კალამბურს: „ჭადრაკი თამაშისათვის მეტად მძიმეა და მეცნიერებისათვის მეტად მსუბუქიო“. იგი მოითხოვს ყურადღების კონცენტრაციას, ავითარებს აზროვნებასა და ლოგიკას; ზრდის თვითკრიტიკულ დამოკიდებულებას. რაკიდა ლიტერატურაზე მიბმული ხალხი ვართ, ვთქვათ ესეც: ჭადრაკი ნახსენებია მსოფლიოს უძველეს შედევრებში: „სიმღერა როლანდსა“ და „ტრისტან და იზოლდაში“. საქართველოში კი, მეცნიერთა ვარაუდით, ჭადრაკს მეშვიდე — მერვე საუკუნეებში უნდა გასცნობოდნენ. პირველად მოხსენიებულია ბასილი დიდის თხზულებაში „ექუსთა დღეთა“, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი ათონელმა თარგმნა. ჭადრაკი ხშირად სცილდება მხოლოდ თამაშის საზღვრებს — ჭადრაკი ევროპული ქვეყნის, ხორვატიის სახელმწიფო დროშაზეა გამოსახული, როგორც ამ ქვეყნის ისტორი-

ის მნიშვნელოვანი ნაწილი. რამდენად დასაჯერებელია, არ ვიცი, ოღონდ არსებობს ნახევრადლეგენდა იმის შესახებ, რომ, თუ ხორვატიის მეფე მოწინააღმდეგე მეფეს ჭადრაკში დაამარცხებდა, ომში მოგებულად ის გამოცხადდებოდა. და მანაც გაიმარჯვა.

გ. გ. — სკოლებში სავალდებულო საგნად შემოიღეს ჭადრაკი; რას იტყვით ამ ფაქტზე?

დ. შ. — ვიტყვი მხოლოდ დადებითს. წელან ვთქვი: ლოგიკასა და კონცენტრაციის უნარს ავითარებს-მეთქი. ეს კი ყველა ადამიანისათვის საჭიროა. როგორც ცხოვრებაში, ასევე ჭადრაკში უხეში შეცდომა საბედისწეროა. ჭადრაკში მუდამ მობილიზებული უნდა იყო, რადგან ეს ის ადგილია, სადაც საკუთარ მარცხს სხვას ვერავის დააბრალებ. აქ ვერავინ ვერასდროს დაგეხმარება, საკუთარი თავის იმედზე უნდა იყო. გასაფრთხილებელია ყოველი სვლა, დიდია ყოველი სვლის მნიშვნელობა. ცხოვრებასავით არათუ უხეშ, უბრალო შეცდომასაც კი შეუძლია წაგავებინოს. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო რამეს ედუარდ ნორტონ ლორენცმა „პეპლის ეფექტი“ უწოდა: პეპელას, რომელიც ფრთებს ნაზად აქნევს, შეუძლია გამოიწვიოს ზვავი, რომელმაც, შესაძლოა, უმაღლეს წერტილს მიაღწიოს. „პეპლის ეფექტი“ იწვევს აღუზიას რეი ბრედბერის მოთხოვნასთან „ჭექა-ქუხილის ხმა“, სადაც შორეულ წარსულში პეპლის სიკვდილი ცვლის გვიანდელ სამყაროს. ცოტა შორს წავედით. თუმცა კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა გვეთქვა ჭადრაკზე, მაგრამ, ვფიქრობ, რაც ვთქვით, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანმა შეიყვაროს ის და ბავშვობიდანვე ეზიაროს მის საიდუმლოებებს.

* * *

გ. გ. — დავით, მე ვიცი თქვენი დამოკიდებულება ზოგადად სპორტისაღმი; გვისაუბრია, ერთად გვიგულშემატკივრე-

ბია... იქნებ ამ თემაზეც გვესაუბრა: პოლიტიკა და სპორტი. ჩვენ „დიდ საბჭოთში“ გაზრდილი თაობა ვართ; საკითხის ასე დასმა ჩვენთვის, სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობაა...

დ. შ. — სპორტსა და პოლიტიკას ერთმანეთისაგან იზოლირება სჭირდება. ფრანგი კლასიკოსის სტეფან მალარმეს ყურადღებას არ იპყრობდა პოლიტიკა; როდესაც მას სთხოვეს საფრანგეთ-გერმანიის დაპირისპირებისას, რომელთა დაახლოების მომხრე თავად იყო, აზრი გამოეთქვა, უპასუხა: „ჩემთვის საკმარისია ის, რომ ბოდლერი ითარგმნება გერმანიაში და ვაგნერს ტაშს უკრავენ პარიზში“. პოლიტიკამ თავისი წილული თუ უხილავი საცეცებით ყველა სფეროში შეაღწია, მათ შორის სპორტში.

სპორტს, განსაკუთრებით ფეხბურთს, ზოგჯერ ტოტალური უსამართლობის რეჟიმის მქონე საელმწიფო ერთგვარ ფარად იყენებს, რომ ხალხს ფიქრი საერთო უკანონობიდან სპორტზე გადაატანიოს. ავილოთ ესპანეთის ახლო წარსულის მაგალითი. ფრანსესისკო ფრანკო, დიქტატორი გენერალი, რეგენტი თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში. მის დროს ქვეყანაში სისტემატურად ახშობდნენ დისიდენტურ მოძრაობას, ძალადობის გამოყენებით აპატიმრებდნენ იდეოლოგიურ მტრებს. ფრანკომ ფინანსური სახსრები არ დაიშურა, მოიწვია მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები და მადრიდის „რეალი“ იმ დროისათვის მსოფლიოს დაუმარცხებელ საფეხბურთო კლუბად აქცია. მიუხედავად ყველა უსამართლობისა, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ხალხი ბედნიერი იყო.

ესპანელი მწერალი და ომის ყოფილი რეპორტიორი არტურო პერეს რევერტე იხსენებდა: ფოლკლენდის კუნძულების ომი ყველაზე მძიმე ფაზაში იყო შესული, ბრიტანეთის არმია არგენტინელ ჯარისკაცებს ტყავს აძრობდა. ამ დროს ბუენოს აირესში ვიყავი და რეპორტაჟს ვამზადებდი. არგენტინამ, რო-

მელიც იმ სალამოს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშობდა, გოლი გაიტანა და მთელი ქალაქი დაინგრა ღრიალით: „გოლი, გოლი!“ მაშინ მივხვდი, რომ არგენტინა ვერასოდეს მოიგებს ვერც ერთ ომსო.

გ. გ. — მართლაც დიდი და საინტერესო თემაა სპორტი და პოლიტიკა, სპორტი და ეროვნული ინტერესები.

დ. შ. — თქვენი კითხვა თავისუფლად შეგვიძლია განვაზოგადოთ კულტურას, მწერლობასა და სხვა სფეროებზე. რუსეთში მოღვაწე ქართველ მომღერლებზე და სხვა. აქ ამ ისტორიული მაგალითების კიდევ ერთხელ მოხმობა მოგვიწვევს: ირანთან ჩვენ მუდმივი ომები გვქონდა, მაგრამ დიდ პუმანისტურ სპარსულ ლიტერატურასთან კავშირი არასოდეს გავიწყვეტია, პირიქით, ვთარგმნიდით მათ უარველეს კულტურულ ძეგლს ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ და ამ ნაწარმოების პერსონაჟების სახელებს შვილებს ვარქმევდით. მიუხედავად ასეთი მაგალითებისა, აქ საკითხი ასე ერთმნიშვნელოვნად მაინც არ წყდება. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება აქვს. საკითხი ამგვარადაც დაისმის: როცა შენ იბრძვი სხვისი ქვეყნის გაძლიერებისათვის, არა აქვს მნიშვნელობა, რა სფეროში, ამა პქვია „მამლუქური ცნობიერება“. ტერმინი ეკუთვნის აკაკი ბაქრაძეს. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, როცა ჩვენ მონგოლების მიერ დაპყრობილი ვიყავით, მტრის სახელმწიფოს გასაძლიერებლად ქართულმა რაზმმა მონგოლების ჯართან ერთად უცხო ქვეყნის წინააღმდეგ იმში თავდაუზოგავად იბრძოლა. ეს ცალსახად დასაგმობი ფაქტია. მეორე მაგალითი: ნობელის პრემიის ლაურეატი კნუტ ჰამსუნი დიად უჭერდა მხარს ადოლფ ჰიტლერსა და ნაცისტურ გერმანიას. პროტესტის ნიშნად გამოვიდა ნორვეგიის მოსახლეობა და კნუტ ჰამსუნს წიგნები უკანვე დაუბრუნეს. შემდგომში მწერალს გერმანიის

მიერ ნორვეგიის ოკუპაციის მხარდაჭერისთვის ბრალი წაუყენეს სამშობლოს ღალატში, გაასამართლეს, მაგრამ არ დაუჭერიათ ფსიქოლოგიური და ასაკთან დაკავშირებული პრობლემებს გამო. რა თქმა უნდა, არის განსხვავება, ზოგადად უცხო კეთილგანწყობილი ქვეყნის სახელისათვის იბრძვი თუ შენი სამშობლოს მტრის ინტერესებისათვის. თუ მინიმალური შესაძლებლობა არსებობს, ყოველვის უნდა ეცადო, მეგობარ ქვეყნას მოახმარო საკუთარი ნიჭი, ვიდრე შენი ქვეყნის მტერს. ყველაზე იდეალური კი ის არის, როცა შენი სამშობლოს სახელით იმარჯვებ, როცა შენი ქვეყნის დროშა ზემოთ მიიწვეს და ისმის საქართველოს პიმინი...

გ. გ. — რას იტყვი ზეიჩა კვარაცხელიას შემთხვევაზე; მეჩვენება, რომ მან საქართველოში ფეხბურთის ის ზანა დააბრუნა, აღმავლობის პერიოდში რომ გვქონდა (განწყობა, ინტერესი). მსოფლიოს სპორტული პრესა საუბრობს „ქართველზე“, „საქართველოზე“... „გადარეული ქართველიო“ — ღიმილით ასეც ამბობენ... იტალიაში, საღაც ქართველებმა ძირითად ყაჩაღობით „გამოიჩინეს თავი“; კვარაცხელიას წყალობით ქართველ ემიგრანტებს პატივისცემით ეპყრობიან და აივნებზე ქართული დროშებიც კი გამოფინეს... ეს არის „სპორტზე მეტი?“...

დ. შ. — ტალანტი იმას ნიშნავს, რომ ის არ არის მხოლოდ ქართული მოვლენა. ის ტოვებს თავისი ქვეყნის საზღვრებს და მსოფლიო მოვლენად იქცევა, მსოფლიოს საკუთრება ხდება. სპორტი ერთდროულად ნაციონალურიც არის და, ამავდროულად, გარკვეული დოზით, ინტერნაციონალურიც. ვიცით ასეთი მაგალითები. მარადონამ იტალიური გუნდის „ნაპოლის“ დიდებისათვის ყველაფერი გაიღო, აქედან გამომდინარე, ზოგი ნეაპოლელი მსოფლიო ჩემპიონატზე, მარადონას სიყვარულიდან გამომდინარე, არგენტინის ნაკრებს გულშემატკივ-

რობდა... ქართული სახელმწიფოს მიერ გატარებული სპორტის პოლიტიკა (გამონაკლისია რაგბი) არ იძლეოდა იმის წინაპირობას, რომ ხვიჩა კვარაცხელიას მსგავსი საფეხბურთო ტალანტი გამოჩენილიყო. ამ საქმეს ბოლომდე ვერავინ მიიწერს; ეს ღვთისაგან ხელდასხმული ტალანტია. ამიტომ კომიკური და მორალს აცდენილია, რომ ეს ბიჭი ოპოზიცია-პოზიციაშ საკუთარი პოლიტიკური პოპულიზმის „საჯილდაო ქვად“ აქცია. დარჩება თუ არა იგი მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდად ახლა მასზეა დამოკიდებული, მის პიროვნულ თვისებებზე, თავდადებასა და შრომისმოყვარეობაზე, რათა ყველაფერი ქარს არ გაატანოს, როგორც გააკეთა ფეხბურთის სხვა არაერთმა ამომავალმა ვარსკვლავმა (ბრაზილიელი რობინიო, არგენტინელი ხერარდ სავიოლა, მიხეილ მესხი (შვილი)...). ტალანტის კიდევ ერთი ღირსება ის არის, რომ ის ახალ სკოლას ქმნის, ტრადიციას უდებს საფუძველს. სპორტული მიღწევების მიხედვით, ნონა გაფრინდაშვილსა და ხვიჩა კვარაცხელიას შორის ტოლობის ნიშნის დასმა შეუძლებელია, მაგრამ, ღმერთმა ქნას, როგორც თავის დროზე გამობრწყინვებისას ნონამ დიდ ქართული ჰადრაკის ტრადიციას სათავე დაუდო, ახლაც იგივე განმეორდეს. მასსოვს ახლახან, ამ რამდენიმე თვის წინათ, „დინამის“ გადაჭვედილი სტადიონი თბილისში, ფეხბურთის ბილეთის შოვნა რომ ჭირდა. ამ ბიჭმა ფეხბურთი გამოაცოცხლა საქართველოში, ღმერთმა ქნას, როგორც ნონას, მის კვალსაც ბევრი გაჰყვეს და ხვიჩა კვარაცხელიამ ქართული ფეხბურთის რენესანსის საფუძველი შექმნას. საბეჭნიეროდ, ამისი კონტურები ისახება.

რაც შეეხება გამოთქმას – „სპორტზე მეტი“ – ეს მართლაც ასეა. თვალსაჩინო მაგალითი: ბრაზილიასა და არგენტინაში ფეხბურთი არის ეროვნული სიმბოლო.

* * *

გ. გ. — დავით, ახლა ტრადიციულ კითხვას დაგისვამ, თუ საიდუმლო არ არის, როგორია თქვენი სამომავლო შემოქმედებითი გეგმები?

დ. შ. — ამჟამად ვმუშაობ რომანზე, რომლის სავარაუდო სახელწოდებაა „ჰაკალ დამა“. ჰაკალ დამა ბიბლიაში მოხსენიებულია ადგილად, რომელსაც მეორენაირად „ცოდვის მინდორი“ ჰქვია. ადგილი, სადაც ცოდვილმა იუდამ თავი მოიკლა. მოქმედება სამ დროში მიმდინარეობს: საბჭოთა პერიოდში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის უამს და პოსტსაბჭოთა ვითარებაში. შევეცდები ვაჩვენო ზელოვანის ბედი თანამედროვე პრაგმატულ სამყაროში. სურვილი მაქვს, ნაწარმოები გასცდეს ერთ ლოკალურ ქართულ სივრცეს და განზოგადდეს. ჰაკალ დამა ერთი დიდი მეტაფორაა ჩვენი დღევანდელი დედამიწის – ცოდვით დაცუმული სამყაროსი. ნაწარმოებში გაიშლება ფიქრები იმაზე, რა ელის სამყაროს, რა მიზანი აქვს კაცობრიობას. სამყარო სახიფათო პერიოდში შედის: ცოდვებმა უკვე პიკს უწია. პოლიტოლოგებმა უკვე ბირთვულ კატასტროფაზეც დაიწყეს საუბარი. იქნებ ბიბლიაში, „იოანეს გამოცხადებაში“, ნაწინასწარმეტყველებ აპოკალიფსის წინარე სტადიას გავდივართ. ეს ყველაფერი საქართველოსაც ეხება. ჩვენ ახლა უფსკრულის პირას ვდგავართ: ან შევძლებთ სულიერ კათარზისს, იუდას კომპლექსს მოვიხსნით, შევძლებთ დიდ სულიერ ფერისცვალებას, ან არადა გავალთ ისტორიის ასპარეზიდან შერცხვენილნი და გაბითურებულნი.

გ. გ. — დავით, მახსოვე: დაახლოებით 5-6 წლის წინათ ავთანდილ არაბულსა და მე გვესაუბრებოდით თქვენი ჩანაფიქრის შესახებ, წიგნი დაგეწერათ საქართველოზე. დიდი დრო გავიდა და დეტალურად აღარ მახსოვს, რა იყო თქვენი ჩანაფიქრი და რა ბედი ეწია შემდგომში იმ წიგნს?

დ. შ. — ყოველთვის მაინტერესებდა, რა არის საქართველოს არსი, რა დანიშნულება აქვს მას კაცობრიობისათვის, რით გავამდიდრეთ ჩვენ მსოფლიო ცივილიზაცია, რა შევძინეთ მსოფლიოს. ჩემი ნაშრომის დაწერის მიზანიც ეს იყო. წიგნის სავარაუდო სათაურებია: „საქართველოს როლი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში“, ან „საქართველო და მსოფლიო ცივილიზაცია“, ან კიდევ „რა შევძინეთ მსოფლიოს“... წიგნის, ასე ვთქვათ, შავი ჩონხი უკვე დაწერილია, დაახლოებით 600 გვერდი. ვფიქრობ, წიგნი ერთი მესამედით მაინც უნდა შემცირდეს, რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს მთავარზე მთავარი ხოლო მსოფლიოსათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენები და პიროვნებები გამოირიცხოს. თხზულების წერის დროს რამდენიმე სირთულეს წავაწყდი, რაც მოსალოდნელიც იყო. 1. ზოგიერთ ისტორიულ ფაქტზე არსებობს ისტორიკოსთა თუ ამა თუ იმ დარგის მკვლევართა განსხვავებული აზრი. ერთნი რომ ისტორიულ პირს ადიდებენ, მეორეთ მის გმირობაში ეჭვი ეპარებათ. 2. არიან ადამიანები, რომელებიც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პიროვნებები არიან, მაგრამ მყისვე გაჩნდება ოპონენტის აზრი: მას მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაზე კვალი არ დაუმჩნევიაო. მაგალითად, საქართველოს „მეორე სვეტი“ და „ერის მამად“ წოდებული იღია ჭავჭავაძე. ამ უდიდესი ღვაწლის მქონე პიროვნების აღნიშნულ წიგნში შეტანამ, შესაძლოა, იმ მიზეზით, რაც ზემოთ აღვნიშნე, კითხვები გააჩინოს. მაგრამ სულ სხვა ვითარება გვაქვს ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ იაგორ ჭელიძესთან დაკავშირებით (ეგორ ჩელიევი) (1771-1829), რომელმაც ცემენტი გამოიგონა. მსგავსი მაგალითი მრავალი არის. შეიძლებოდა წიგნი აგებულიყო დარგების მიხედვით, ან-ბანის მიხედვით ან ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით. მექონოლოგიას მივანიჭე უპირატესობა. თავიდანვე განვსა-

ზღვრე წიგნის პრინციპი — იგი არ უნდა გამოსულიყო მეცნიერული და არც ზედმეტად მარტივი, მხოლოდ ინფორმაციული ხასითისა, ანუ ყოფილიყო გარკვეულწილად სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის. ამიტომ შევეცადე გარკვეული დოზით ორივე ელემენტი გამეოთვალისწინებინა. ვფიქრობ, ერთი ადამიანის შესაძლებლობისათვის მძიმე ტვირთს შევეჭიდე. ამიტომ დიდმა პასუხისმგებლობამ ერთგვარი შიშის გრძნობაც დაბადა ჩემში. თითქმის ორი წელია, მუშაობა შევწყვიტე. ვცდილობ, მოვიკრიბო ძალა და წიგნზე მუშაობა ამის შემდგომ გავაგრძელო.

* * *

გ. გ. — დავით, ისრაელის სახელმწიფოში, წმინდა მიწაზე, თქვენი ხელმძღვანელობით ჩვენი, რუსთაველის საზოგადოების დელეგაციის, ვიზიტი ძალიან შთამბეჭდავი გამოდგა. როგორ გაიხსენებდით?

დ. შ. — ჩვენი ექსპედიცია აღთქმულ მიწაზე ორი რამით გახლდათ მნიშვნელოვანი. 1. შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს ჩატარება იმ მიწაზე, სადაც ჩვენმა გენიოსმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა. 2. კაცობრიობის სულიერი დედაქალაქის ხილვა, სამყაროს უდიდეს ქრისტიანულ, საკრალურ ადგილებთან მიახლოება.

მაცხოვრისა და წმინდა გიორგის საფლავები. რუსთაველის ფრესკა. გოდების კედელი, გეთსამნიის ბალი, მდინარე იორდანე, ჯვრის მონასტერი... არ მომთხოვოთ, აღვწერო ეს ყველაფერი, მწერალი კი ვარ, მაგრამ ჩემს ძალებს აღემატება გადმოვცე ყველა ეს განცდა.

ემოციის მწვერვალი იყო, სულში ორი სამშობლოს მატარებელ ქართველ ებრაელ დებსა და ძმებთან შეხვედრა.

ვბრუნდებოდით სამშობლოში და გონიერები რეფრენივით მეორდებოდა ყველა ებრაელის გულში დაწერილი სიტყვები: „თუ დაგივიწყო, იერუშალამ!!!

გ. გ. — ტაო-კლარჯეთში მეცნიერების, მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწებისაგან შედგენილი რუსთაველის საზოგადოების ექსპედიციის მიერ უძველესი ქართული ციხე-ტაძრების მონახულების შემდეგ დოკუმენტური ფილმი გაკეთდა. სათაურის იდეა ოთარ ჭილაძის ცნობილი ლექსიდან არის აღებული — „შემაძრწუნებელი ბედნიერება“

მოდით, პროზაულად ვთქვათ: რა იყო შემაძრწუნებელი და რა ბედნიერება?

დ. შ. — „შემაძრწუნებელი ბედნიერება“ — სწორედ ეს ოქ-სიმორონი გამოხატავს ზუსტად იმ განცდებსა და შთაბეჭდილებებს, რაც ტაო-კლარჯეთში განვიცადეთ. ბედნიერებაა, როცა შენ ხარ იმ ცამალალი, უზადო, ქვაში გაცოცხლებული უდიდესი სულიერი კულტურის შემქმნელ ღვთაბრივ წინაპართა მექვიდრე. ხარ საოცრად ამაყი, რომ შეგიძლია გაიმეორო ტიციან ტაბიძის სიტყვები: „მე დიდი მყავდა წინამორბედი, წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა“. შემაძრწუნებელია რომ ისტორიის ბედუქულმართობისა და ტრაგიკული ძნელების გამო ეს საოცარი ციხე-ტაძრები თითქმის იავარქშილია, დღეს შენი აღარ არის, არ გეპუთვნის, შეგიძლია მხოლოდ ტურისტივით მოინახულო და მიეახლო, როგორც უცხოეთის მიწაზე მშობლის საფლავს.

გ. გ. — მე-19 საუკუნეში ბანა ფეხზე იდგა. მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ოსმალეთის ჯარი გამაგრდა ბანაში. რუსებმა ზარბაზნები დაუშინეს და ამას შეეწირა ქართული ციხესიმაგრე...

დ. შ. — მიმძიმს კომენტარის გაკეთება, მხოლოდ ანტიქ-რისტეთა ლეგიონს შეუძლია ქრისტეს სახლის წინააღმდეგ

გალაშქრება, მისი იავარქნა. ჩვენსავით „მართლმადიდებელმა“ ქვეყანამ ქართულ ქრისტიანულ ტაძრებთან მიმართებით ვანდალიზმი ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიულ მტერს, ჩვენთან სარწმუნოებრივად აცდენილ თურქეთს გადააჭარბა. თქვენ მიერ მოხმობილი ეს ერთი შემზარავი ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ საქართველო-რუსეთს შორის ერთმორწმუნეობრივ სიკეთეზე საუბარი წყალს გავატანოთ. არც აღგილობრივთ დაუკლიათ ხელი, ჩვენი უნიკალური ციხე-ტაძრები საქონლის სადგომად ჰქონდათ გამოყენებული. ვნახეთ ტაძრის ჩაშვებული დახვრეტილი კედლები, რომელსაც გასართობად, როგორც ტირს, ისე იყენებდნენ, კედლებსა და გადაშლილ ფრესკებს ნატყვიარები ამჩნევია.

გ. გ. — იშხანი რესტავრირებულია. ოშკის ჯერია. ამ რესტავრაციაზე რა აზრისა სართ. ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ერთად ვისაუბრეთ ამის თაობაზე. ვუთხრათ ჩვენი აზრი მკითხველსაც...

დ. შ. — თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა შორის სამთავრობო დონეზე დადებული ხელშეკრულება საქართველოში არსებულ თურქელ მეჩეთებისა და თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ქართული ციხე-ტაძრების რესტავრაცია-აღდგენის შესახებ ასიმეტრიულია; ამ შემთხვევაში ქართული მხარე იჩაგრება. ხელშეკრულებაში წერია, რომ საქართველოში თურქელი სალოცავები იქნება მოქმედი, მუსლიმური რელიგიური რიტუალები აღესრულება, ხოლო თურქეთში ჩვენს ტაძრებში ქართულად წირვა-ლოცვა არ დაიშვება, ქართული მართლმადიდებლური საეკლესიო მღვდელმსახურება აკრძალულია. იშხნის ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოების დაუმთავრელობის მიზეზით, სამწუხაროდ, შიგნით არ შეგვიშვეს. გარედან დათვალიერებისას შესამჩნევია, ტაძარი ისეა რეკონსტრუირებულ-რესტავრირებული, რომ ტოვებს შთაბეჭდი-

ლებას არა მეშვიდე საუკუნის ძეგლისა, არამედ თითქოს ახალი აშენებული ყოფილიყოს. ჩვენი დელეგაციის შემფოთების საგანი გახლდათ ის, რომ ქართული ტაძრის რესტავრაცია თურქი სპეციალისტების მიერ განხორციელდა. ყოვლად შეუწყისარებელია, რომ აღნიშნულ სამუშაოებში ქართველი რესტავრატორები არ მონაწილეობდნენ. ამ შემთხვევაში ჩვენი ისტორიული ტაძრები ქართულ სულს დაკარგავს, ქართული ფრესკული ხელოვნება სახეს შეიცვლის. დროთა განმავლობაში იმის დამტკიცებაც კი გაგვიჭირდება, რომ ისინი ჩვენია.

გ. გ. — კაპადოკია არაა ისტორიული საქართველო; არც მხოლოდ სანახაობაა ჩვენთვის; მაგრამ იმდენადა ჩვენი ისტორიის ნაწილი, რამდენადაც ორი უდიდესი წმინდანი წმინდა გიორგი და წმინდა ნინო კაპადოკიიდან იყვნენ... ეს ფაქტი რას ნიშნავს თქვენთვის?

დ. შ. — გამომდინარე იქიდან, რომ კაპადოკია ჩვენი უპირველესი წმინდანების სამშობლოა, ჩვენ ამ მიწასთან პირდაპირ ქრისტიანულ-ისტორიული ბმა გვაქვს. მთელი ეს ტერიტორია კლასიკური გაგებით არის იეროფანია, ანუ წმინდა ადგილი, რომელიც ინახავს წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს ბავშვობას, მათ ნაფეხურებს. ამიტომ ისეთი განცდა მქონდა, რომ წმინდა მიწაზე დავაბიჯვებდი.

მართლაც, ულამაზესი, ზღაპრული მხარეა კაპადოკია, „ლამაზი ცხენების ქვეყანა“ — როგორც მას უწოდებენ.

გ. გ. — დავით, კაპადოკიაში ჩვენი გაოცება მიწისქვეშა თუ კლდეში გამოკვეთილმა ქალაქებმაც გამოიწვია...

დ. შ. — ზოგი არქეოლოგი ფიქრობს, რომ აქ პირველი მცხოვრებლები იყვნენ ხეთები. სხვები ადრეული ბრინჯაოს ხანით ათარიღებენ მას. ითვლება, რომ გვირაბები გამოთლილია ქვის იარაღისგან. ცნობილია, რომ ამ ქალაქების უმეტესი ნაწილი გამოკვეთილია უძველესი ქრისტიანების მიერ ჯერ რომის იმპერიისგან

თავის დასაცავად, შემდეგ კი არაბების შემოსევებისგან. ამ უნიკალური მიწისქვემა თავშესაფრების ირგვლივ ქალაქები, იმპერიები და რელიგიები განვითარდნენ და დაუცნენ. ესენი არიან ხეთები, სპარსელები, ბიზანტიის იმპერია. გაოგნებას იწვევს მიწისქვემა ქალაქები, პარმონიულად რომ ერწყმის ბუნებრივ ლანდშაფტს. მაგრამ არსად არ არის ასე კარგად შესამჩნევი ძველი არქიტექტორების გამომგონებლობა, როგორც მიწისქვემა ქალაქებში დერინჯუისა და კაიმაკლიში. დერინჯუის აქვს 600 შესასვლელი, მრავალკილომეტრიანი გვირაბები, რომლებიც აკავშირებს მას სხვა ქალაქებთან და შეუძლია დაიტიოს ათასობით ადამიანი. ეს არის მიწისქვემა ქალაქი, სადაც არის საძინებლები, საჯინობოები, ჭები, წყლის რეზერვუარები, საჭმლის მოსამზადებელი ორმოები, სავენტილაციო შახტები, ოთახები შეზვედრებისთვის, სააბაზანო ოთახები და სამარხები. მისი ნახვისას შთაბეჭდილება იძღვნად დიდია, ჩემი აზრით, კაპადოკია ძველი მსოფლიოს მერვე საოცრებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

გ. გ. – ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ჩვენი ქართული ისტორიული საცხოვრისის ანისის ნახვამ შემძრა.
„აპა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი; აპა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო“... შემაშინა ისტორიის ულმობლობამ...

და ჩამესმის მურმან ლებანიძის ხმა: „ათას ხუთასი ქართველი კვდება არა თავისთვის, არამედ სხვისთვის“...

დ. შ. – გეთანხმებით... ზუსტად ასეთი განცდა გამიჩნდა მეც და დელეგაციის თითოეულ წევრებსაც. ანისი, როგორც მას უწოდებდნენ 1001 ეკლესიის ქალაქი, იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – სომხური ანისის სამეფოს დედაქალაქი (961-1045 წ.). როცა თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს დავით აღმაშენებელს სომხეთს დახმარება. 1124 წელს დავითმა გაათავისუფლა დაპყრობლებისაგან. 1199 წელს კი

უკვე თამარ მეფემ აიღო ანისი და მმართველებად ზაქარია და ივანე მხარგრძელები დანიშნა.

გ. გ. — ჩვენ ისტორიას დავემგზავრეთ. ყარსში იმ ვა-
გონს რომ ნახავ, სადაც ხელი მოეწერა იმ ცნობილ ხელშეკ-
რულებას, უცნაური მოგონებები ცოცხლდება...

დ. შ. — ტრაგიკული ისტორიაა. ამ ხელშეკრულებით
ხომ საბჭოთა რუსეთი და თურქეთი უჩვენოდ შეთანხმდნენ
კავკასიაში ტერიტორიების განაწილების თაობაზე. ხელი ხელ-
შეკრულებას 1921 წლის 13 ოქტომბერს მოეწერა. ამ შეთან-
ხმებით, საქართველოს ბათუმის ოლქიდან დარჩა მხოლოდ ქა-
ლაქი ბათუმი და აჭარის ნაწილი, თურქეთმა მიიღო ართვინისა
და არტაანის ოლქი. საქართველოს ისტორიული პროვინციის
კლარჯეთის VIII-IX საუკუნის ფეოდალური ქალაქი კი იყო
ართვინი. კლარჯეთში კი ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ბაგრა-
ტიონთა სამეფო დინასტია დამკიდრდა. კოლხეთის სამეფოს
ბრინჯაოს მეტალურგიის მნიშვნელოვანი კერა ძვ. წ. აღრი-
ცხვის მეთორმეტე-მეთერთმეტე საუკუნეებისა სწორედ აქ იყო;
ამ ადგილას ჯერ კიდევ გვიანდელი ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა
დასახლება. ჩვენი ისტორიული მტრების მიერ ყარსის ხელშეკ-
რულება საქართველოს ერთიანი სხეულის წინააღმდეგ მიმარ-
თული ვერაგი განაჩენია. ამ მწარე ისტორიული რეალიების
გახსენება ყოველთვის მძიმე ხასიათზე აყენებს კაცს.

გ. გ. — ჰერეთში ისტორიის გადაწერა ხდება... ეს ალბა-
ნური კულტურააო... გული დაგწყდება კაცს: პატრონს ტერი-
ტორია წაართვეს და თავის ისტორიას მაინც ნუ წაართმევენ
ამ მხარეს.

დ. შ. — ჰერეთში ჩვენი დელეგაციის სტუმრობა ჯერ
კიდევ 2014 წელს მქონდა ჩაფიქრებული. მაშინ იმდენი სირ-
თულეები შეგვიქმნა აზერბაიჯანულმა მხარემ, ეს არ მოხერ-
ხდა. სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა

დუმბაძეც ჩავრიეთ საქმეში, თხოვნა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზეც იქნა გაგზავნილი, მაგრამ იქიდან უარი მივიღეთ. ეტყობა, შეეშინათ ჩვენი ჩასვლისა იმ მიზეზით, რომ ქართული კულტურის მოღვაწეთა სტუმრობა ისტორიულ ქართულ მიწაზე მცხოვრებ ქართველებში პატრიოტულ მუხტის გაზრდისო. ეს მეგობარი სახელმწიფოს, სტრატეგიული პარტნიორისაგან საწყენია. გამოხდა ხანი და რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი დელეგაციის ექსპედიცია ამ მიწაზე შედგა. კარგია, რომ ჰერეთად მოიხსენიეთ ეს მხარე და არა საინგილოდ. თუმცა ეს თქვენ, მეცნიერ კაცს, არ შეგეშლებოდათ. ამ მხარის დასახელება საინგილო, ახალია, ჩვენმა ბედუკულმართობამ მოიტანა. ტერმინი „საინგილო“ XIX საუკუნეში დამკვიდრდა. ინგილოს გამაპმადიანებულ ქართველს ეძახდნენ, რაც თურქულად „ახლად მორჯულებულსა“ ნიშნავს. აქედან ეწოდა ამ მხარეს შეცდომით „საინგილო“. იქაურ ქართველებს არ სიამოვნებთ ამ მხარის საინგილოდ მოხსენიება. ეს ტერიტორია მოიცავს კახეთის კავკასიონისა და ალაზნის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილებს. ეს მხარე პირველად ისტორიულ წყაროებში ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნიდან მოიხსენიება. მეთორმეტე საუკუნეში კი ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ერთ-ერთი აღმინისტრაციული მყარი პოლიტიკური ერთეული ჰერეთის საერისთავო. დღემდე მახსოვს ის ქართული სული, რაც იქაურ ქართველებში დავინახე, ეგაა გერმანული ენის სპეციალისტი ევა ბერიკაშვილი ზედმეტ სახელად „საყდარ-ბაბო“, მედავითნე, რომელიც საფლავებს უვლის და პატრონობს. თბილისელი ახალგაზრდა მღვდელი მამა პეტრე, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას თბილისიდან აზერბაიჯანში ჩადის, რომ იქაურ ქართულ ჭაბარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღავლინოს და გულანთებული პატრიოტი, პოეტი ზურაბ პაპაშვილი. ქართულ სიტყვას და-

ნატრებულებს საკმაო რაოდენობის ქართული წიგნები ჩავუტანეთ საჩუქრად. მიხარია, რომ ჩვენი ჩასვლით ჩვენს იქაურ დებსა და ძმებს ცოტათი მაინც შევუთბეთ სული.

ძალადობა ჩვენს ისტორიაზე ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების მიერ ჩვენი უკუღმართი თანმდევი ბედია. აქ ისტორიის ორმხრივი გადაწერა შეინიშნება: ერთი მხრივ, საქართველოს წაართვეს და, მეორე მხრივ, ამველებენ საკუთარ ისტორიას.

გ. გ. — ვაჟა აზარაშვილმა, ვაჟა დურგლიშვილმა, ჯემალ ადამაშვილმა, თენგიზ გაჩეჩელაძემ, მარინა კოლხიდაშვილმა ჩვენი ექპედიციის სხვა წევრებთან ერთად ქართულ სიმღერას მონატრებულ ქართულ ტაძრებში (ტაო-კლარჯეთში, ანისში, ალავერდის მხარესა თუ ჰერეთში) ქართული საგალობლები რომ დააგუგუნეს, რა განიცადეთ?

დ. შ. — ცრემლს ვეღარ ვმალავდი, მეცა და დელეგაციის თითქმის ყველა წევრი ასე ვიყავით. ერთდროულად ამ ხმებს ზეცაშიც მივყავდი და, მეორე მხრივ, რეალობაში, ფრესკებატირებულ, თაღებჩამოშლილ ჩვენს იავარქმნილ ციხე-ტაძრებთან, დაკარგულ სამშობლოსთან მაბრუნებდა. ჩვენი კულტურის მოღვაწეებმა იმ საგალობლებით ცრემლიანი სიხარულის განცდას მაზიარეს.

გ. გ. — დავით, ამ ბოლო დროს გარეჯთან დაკავშირებით პრობლემებმა ისევ იჩინა თავი. ტაო-კლარჯეთის, ჰერეთისა თუ ალავერდის მხარის მონახულებამ ეს პრობლემა როგორ დაგანახა?

დ. შ. — დავით გარეჯი — ეს ჩვენი მეორე იერუსალიმია, ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის დავითის მიერ დაარსებული სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი ფეოდალური ხანის საქართველოს გამოკვეთილად თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი

იყო. დავით გარეჯს, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე კულტურულ და რელიგიური კერას, ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს არა მარტო ქართული, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, აზერბაიჯანული მხარეც. ას წელზე მეტია საქართველო-აზერბაიჯანის ამ მონაკვეთზე საზღვრის გამოჯვნის საკითხი ისე ვერ მოგვარდა, რომ ორივე მხარე ამით კმაყოფილი დარჩენილიყო. აქსიომაა, რომ დავით გარეჯი ქართული ისტორიული, კულტურული და რელიგიური ძეგლია. მის შემადგენლობაში დაახლოებით 27 მონასტერია. ამიტომაცაა ემოციური და მტკიცნეული ყველა ქართველისთვის გაცნობირება იმისა, რომ ამ ერთიანი კომპლექსის ნაწილი სხვა ქვეყნის ფარგლებშია მოქცეული. აზერბაიჯანის მხარე ჯიუტად ცდილობს დაამკიდროს აზრი, რომ ის ისტორიული კავკასიის ალბანური ნაწილია. იმ ქრისტიანული ალბანეთისა, რომელიც, როგორც ქრისტიანული სახელმწიფო, ჩვენს წელთაღიცხვამდე მეოთხე საუკუნიდან არსებობდა. რამდენადაც აზერბაიჯანის მიზანი საკუთარი ისტორიის დამველებაა, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია ქრისტიანული მექანიზრება. დავით გარეჯიც სწორედ ამიტომ არის მათი უპირველესი სამიზნე. თქვენი კითხვის პასუხად ვიტყვი: როცა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ტაო-კლარჯეთში ბანას, ოშკის, იშხნისა თუ სხვა ჩვენთვის თითქმის უიმედოდ დაკარგულ ციხე-ტაძრებს ვუყურებდი, ვფიქრობდი, ვაითუ დღეს მშვიდობიანობის პერიოდში დავით გარეჯსაც იგივე ბედი ელის-მეთქი. ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მშობელ მიწას, ჩვენს ფიზიკურ და სულიერ სხეულს მტრის წინააღმდეგ უთასწორო ომში ხმლების ჟღარუნით დავკარგავთ თუ მშვიდობიანობის პერიოდში კულისური გარიგებით მოყვარე-მტრის დიპლომატიური ფლიდობითა და ქართველ რენეგატთა დალატით.

გ. გ. — ისტორიული საქართველო რომ მოვიარეთ, მერე ახალი პროექტი წამოვიწყეთ: ათცამეტი ასურელი მამის ნაკვალევზე — რა არის ამ პროექტის განხორციელების მიზანი?

დ. შ. — უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში ისტორიული ქართული მიწებისა და ჩვენი ციხე-ტაძრების მონახულების შემდეგ ახლა უკვე ჩვენთან, საქართველოში, წმინდა ასურელ მამათა ნაკვალევზე, სიარული და ექსპედიციის მოწყობა ხომ თქვენი იდეაა, ბატონო გიორგი. ამ კითხვაზე პასუხსაც თქვენზე უკეთ ვერავინ გასცემს.

ჯერ კიდევ მეტვსე საუკუნეში სირიიდან მოსულ ასურელ მამათა, ანუ „ათსამმეტ ასურელ მამათა“, ღვაწლი ჩვენთვის უნიკალური და ფასდაუდებელია. ქართველ წარმართულ მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელება განამტკიცებდა ბერძნულ-ბიზანტიურ ორიენტაციას კულტურულ-პოლიტიკურ სფეროში. ამასთანავე, საფუძველს უყრიდა ისტორიული მტრის — ირანის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლებს. საგანგებოდ აღსანიშნავია მონასტრების მშენებლობა, რომელსაც, დიდი სულიერი მისიის გარდა, სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობაცა ჰქონდა, რადგან ამ სამონასტრო კომპლექსებმა ხელი შეუწყვეს უკაცრიელი ადგილების სამეურნეო ათვისებას. ეს სავანები შემდგომ ქართული განათლების, მწიგნობრობისა და კულტურის ცენტრებად იქცნენ. აი, რამხელა ვალი გვადევს მხრებზე თანამედროვე ქართველებს ჩვენი დიდი მამების წინაშე. ჩვენი ექსპედიციის მიზანი ასურელ მამათა ნაკვალევზე სვლისა იყო გაცნობიერება ყოველივე ამისა. ჩვენს ემოცია — შთაბეჭდილებებსა და ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ფილმის გადაღება გვაქვს განზრახული. ეს იმად კეთდება, რომ ჩვენს მომავალ თაობას გავააზრებინოთ, რისი მემკვიდრენიც არიან და ამით უკეთესი ქართველობის სურვილი გავუჩინოთ.

* * *

გ. გ. — დავით, ბევრი რამ ვნახეთ და განვიცადეთ, რითაც ვამაყობთ და ვიამაყებთ კიდეც... მაგრამ, რადგან ვსაუბრობთ, იქნებ ჩამოთვალოთ, რა გვაქვს ისეთი ქართველებს, რითაც უპირველესად შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენც და იამაყებს ჩვენი შთამომავლობაც.

დ. შ. — კი, ბატონო, ასეთი ძალიან ბევრია, არ მინდა თქვენ და მყითხველმაც იღუზიებში გადახაფრულად ჩამოთვალოთ, მაგრამ მე მაინც უნდა ვთქვა:

— მსოფლიოში 5000-მდე ერია და 200-მდე სახელმწიფო. ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ისტორიის მქონე ერი ვართ და სახელმწიფოცა გვაქვს.

- საქართველოში ქრისტეს კვართია.
- მსოფლიოში 7000-ზე მეტი ენა არსებობს, ანბანური დამწერლობა კი სულ 14. აქედან ერთ-ერთი ქართულია.
- შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ადრერენესან-სული ნაწარმოები მსოფლიოს კლასიკადაა აღიარებული.
- საქართველო — უძველეს ევროპულთა სამშობლოა.
- საქართველო — ძაფის უძველესი სამშობლოა!
- საქართველო — ოქროს წარმოების უძველესი სამშობლოა!

— საქართველოს მეტალურგიის სამშობლოდ მიიჩნევენ. აქ აღმოჩენილია უძველესი არტეფაქტები. ძველბერძნულ ენაში — პროტოქართველ ხალიბთა (ხალდეველ-ქალდეველთა) ტომის სახელი — „ხალიუფს“ ითარგმნება, როგორც — „რკინა“! ანუ სწორედ პროტოქართული ცივილიზაციიდან გავრცელდა მეტალურგია და რკინის იარაღი ასირიაში, მესოპოტამიასა თუ ძველ საბერძნეთში

— შესაძლებელია, საქართველო თაფლის უძველეს სამშობლოდაც აღიარონ! არქეოლოგებმა ბორჯომის მახლობლად

აღმოაჩინეს 5,5 ათასი წლის წინანდელი თაფლის ჭურჭელი! ეს კი 2 ათასი წლით ძველი თაფლია, რომელიც ეგვიპტეში, თვით ტუტანხამონის სამარხშია აღმოჩენილი!

— ქართული ხალხური სიმღერა 2001 წელს „იუნესკო“ კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრად აღიარა. 1977 წელს ილია ზაქაიძისა და როსტომ საგინაშვილის შესრულებული „ჩაკრულო“ კოსმოსში, მზის სისტემაში გაიგზავნა. მსოფლიო შედევრების 25 სიმღერას შორის იყო „ჩაკრულო“, საბჭოთა კავშირიდან ერთადერთი. ოქროს დისკზე დატანილია ასევე „დედამიწის ხმები“ (წყლის ხმაური, ბავშვის ტირილი, ჭექა-ჭუხილის ხმა, მისალმება 60 ენაზე და სხვ.).

— ქართულ ხალხურ ცეკვას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ქართული ქორეოგრაფია მსოფლიოში საუკეთესოდაა მიჩნეული.

— საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა. აქ ექვსასამდე ყურძნის ჯიშია. აღმოჩენილია 8 ათასი წლის წინანდელი ქვევრი ყურძნის წიბწებით! გაერო-მ (იუნესკო-მ) ქართული ქვევრი და ღვინის წარმოება კაცობრიობის არამატერიალურ მემკვიდრეობად აღიარა!

— ბაგრატიონთა დინასტია ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი დინასტიაა მსოფლიოში, რაც სახელმწიფოებრიობის მაღალი დონის მანიშნებელია.

— საქართველო ხორბლის ერთ-ერთი სამშობლოა. მსოფლიოში 27 სახეობის ხორბალია და აქედან 14 ქართული ჯიშისაა.

— ქართული სამზარეულო აღიარებული და გამორჩეულია თავისი მრავალფეროვნებით.

— საქართველოში 1000-ზე მეტი მინერალური წყალია.

— საქართველოს გარდა, მნელად დაასახელებთ ქვეყანას, სადაც ერთდროულად უდაბნოც, ტროპიკული ტყეც, ზღვისპირეთიც და თოვლიანი მწვერვალებიც იყოს.

— დედამიწაზე ნიადაგის 47 სახეობაა და აქედან საქართველოშია — 44.

არ გამოვრიცხავ, ბევრი რამ იქნებ კიდეც გამომრჩა...

* * *

გ. გ. — როცა წავიკითხე შენი სტრიქონები, „ხმალს რომ ჩააგებ, იქნებ მაშინ კვდები, ქართველო!“... უცნაური განცდა დამეუფლა, სხვანაირად მოხვდა გულს...

მე ჩემდათავად მიფიქრია ამის შესახებაც: ჩემში ეროვნულისადმი, დედაენისადმი ინტერესის აღძვრასა თუ განვითარებას ვინ ან რამ შეუწყო ხელი-მეთქი. ალბათ შენც გიფიქრია. ეს, ცხადია, არ ხდება მას შემდეგ, რაც სამწერლო გზას დადექ; დიას, „ვინ ან რამ შეუწყო ხელი!“...

დ. შ. — ზვიად გამსახურდია ერთგან წერს: „მარტო ცხოველს არა აქვს სამშობლო“. ვერდიქტი გამოტანილია, განაჩენი მკაცრია, ანუ უსამშობლოო, სამშობლოს განცდას მოკლებული კაცი ჰირუტყვია. სამშობლო — საუკუნეებიდან ჩემში გადმოკოდირებული გენეტიკური მეხსიერებაა, ვიზუალურად ჩემი ეზოდან დანახული მოხუც დედასავით შეჭადარავებული მთებია, კრიმანჭულივით მიხვეულ-მოხვეული ბილიკებია, სიკეთის გაკვეთილებით — კარის მეზობლებია, თავიანთი უკანასკნელი ლუკმა რომ შეუძლიათ გაგიყონ და ცხოვრების გზაზე გისაგზლონ. ყოველივე ეს ადვილი აღსაქმელია, მაგრამ ის, რომ მთელი თავისი სისავსით, არსით შეიცნო, შვილის წამალზე გამოსულივით გაფორიაქებდეს, აქამდე გრძელი სულიერი გზების გავლაა საჭირო. ამ გზაზე ხელიხელჩაიდებული მოვყავდი, პათეტიკურად გამომდის, მაგრამ სხვანაირად ვერ ვიტყვი, სამშობლოს შეწირული ჩვენი გმირი წინაპრების საოცარ მაგა-

ლითებსა და ქართულ კლასიკურ მწერლობას. რადგან მეკი-
თხებით, ვინ მიმიყვანა უფრო ახლოს სამშობლოს განცდასთან,
გეტყვით: მოგვიანებით ეს იყო აკაკი ბაქრაძე. მისი ლექციები
და წერილები. ბატონი აკაკი შემდგომში ჩემი უფროსი მეგო-
ბარი გახდა და რუსთაველის საზოგადოებაში რამდენიმე წელი
ერთ კაბინეტში მოგვიწია საქმიანობა. ის მოღვაწეობდა, რო-
გორც ამავე საზოგადოოების პრეზიდენტი, და მე – ლიტერა-
ტურული და მეცნიერული ურთიერთობების ხელმძღვანელი.
აკაკი ბაქრაძე იყო სამშობლოზე ჩემი ფიქრის მასწავლებელი.

**გ. გ. – დავით, სამშობლოს ყველაზე მეტად რა ეპითეტი
მიესადაგება?**

დ. შ. – სამშობლო ჩემთვის ერთდროულად მწარეც არის
და ტკბილიც. მწარე, როდესაც საქართველოს აჩენილ და
აკუწულ რუკასთან მდგარი შეშფოთებული ვკითხულობ, სა-
ქართველო სადაა, როცა ფესვებმოვლეჯილ და ფრესკებატირე-
ბულ ტაოსა ან ფეხისგულებიდან გამოცლილ აფხაზეთსა და
ქვემო ქართლს დავსტირი, მაგრამ, როცა ნოსტალგირებული,
უცხოეთში ყოფნის შემდეგ ჩემი დახატული სამშობლოს სა-
ზღვარს გადმოვკვეთ და მონატრებულ მშობლიურ მიწაზე
პირველ ნაბიჯს გადავდგამ, უნებურად, უხმოდ სულში აღმო-
მხდება სიტყვები: რა ტკბილი ყოფილხარ, სამშობლოვ!

„ხმალს რომ ჩააგებ, იქნებ მაშინ კვდები, ქართველო!“
ზემოთ, თქვენს ერთ-ერთ კითხვაში ჩემი ეს სტრიქონიც მოიხ-
მეთ. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი; ზოგიერთმა ფსევდო-
ლიბერალმა, შესაძლოა, ეს სტრიქონები მხოლოდ მილიტარის-
ტულ მოწოდებად აღიქვას. სინამდვილეში, რასაც პოეზიის
ყველა მკითხველი მიხვდება, ხმლის არჩაგება მრავალი კონ-
ტაციური ველის შემქმნელი მეტაფორაა; ცოდნით, პროფესიო-
ნალიზმით, საქმისადმი ერთგულებით, თავდაუზოგავი შრომით,
მაღალი მორალური პრინციპებით შეიარაღებაა. თუმცა არ

გამოვრიცხავ, შეიძლება, ქვეყნის წინაშე ოდესმე დადგეს იმის აუცილებელი საჭიროება, რომ პირადაპირ მნიშვნელობითაც გავიგოთ და გამოვიყენოთ. გამოითქვა აზრი, რომ თბილისის შემოსასვლელში დადგმულიყო მონუმენტური ქანდაკება და ზედ ჩემი ეს სტრიქონი ამოტვიფრულიყო. როგორც ხშირად სჩვევია ჩვენს საზოგადოებას, გამოხდა ხანი და ეს იდეა საერთოდ მიიღიწყეს.

დაბოლოს, შემიძლია ვთქვა, ჯერ კიდევ შორეულ სიჭაბუკეში ისე ღრმად შემოვიდა სამშობლო ჩემში, რომ ის ჩემგან ბოლო ამოსუნთქვამდე არსად წავა. როგორც ერთ ლექსში ვამბობ:

„მე საქართველოს რუკასავით დაჩეხილ გულით
ჩემი სამშობლო – უფლის კვართი – სხეულით დამაქვს“...

ბოლოთება

„ალარ გაათავებ? — მკითხავს მოწყენილი, და იქნებ გა-
ჯავრუბულიც, მკითხველი. — როგორ არა, გავათავებ, მაგრამ
იცით რითა?...“ (ი. ჭავჭავაძე) რითა და ბოდიშით: ვიცით,
დღევანდელ დღეს დრო რომ დეფიციტია, ოქროს ფასი რომ
აქვს და ამდენი კი წაგართვით... მაგრამ, როგორც თავში
ვთქვით, „შევყვეთ და შევყვეთ“... გაგვიჭირდა წერტილის
დასმა, თუმცა მაინც მოვაზერხეთ და დავსვით; რამდენად სწო-
რად და რამდენად დროულად, მკითხველმა განსაჯოს... სა-
თქმელი? — როგორ არ დაგვრჩა... სათქმელს რა გამოლევს...
თუნდაც: სიტყვა არ მითქვამს დავით შემოქმედელის პიროვნე-
ბაზე... მაგრამ ესეც ლოგიკური მგონია: დიალოგის თემა ეს
არ შეიძლება ყოფილიყო... უამისობაც არ ივარგებდა და... აქ
ჩვენს საერთო მეგობარს, ოტია იოსელიანს, მოვიშველიებ, მე
უკეთ ვერ ვიტყოდი: „დავით შემოქმედელი ჭიანჭველას ფეხს
არ დააბიჯებს, მაგრამ არც სარეველას გაახარებს, უხმაუროდ,
მაგრამ დიდ საქმეებს აკეთებს“...

გიორგი გოგოლაშვილი
16. 02. 2023

გიორგი გოგოლაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1948 წელს 24 ივნისს სოფ. გურსებში (ტყიბული). 1971 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სხვადასხვა წლებში იყო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ინსტიტუტის დირექტორი. ამჟამად უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრია.

განლღათ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სწავლული მდივანი. დირექტორის მოადგილე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ამჟამად განყოფილების ხელმძღვანელია.

არის სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის თავმჯდომარე.

გამოქვეყნებული აქტს 41 წიგნი და 400-ზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომი.

იყო დამარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი ჟურნალისა „ბურჯი ეროვნებისა“ (1994-2006 წლები); არის მთავარი რედაქტორი სამეცნიერო გამოცემებისა: „საენათმეცნიერო ძიგბანი“, „ქართველურენათა სტრუქტურის საკითხები“ და „დიალექტოლოგიური კრებული“...

არის დამფუძნებელი და თავმჯდომარე ბესარიონ ჯორბენაძისა და იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებებისა...

დაჯილდოვებულია ი. გოგებაშვილის (2005 წ.) და ი. ჯავახაშვილის მედლებით (2018 წ.)

მიღებული აქტს ილა ჭავჭავაძის ფონდის პრემია („საგურამო“, 2012 წ.); არნ. ჩიქობავასა (20013 წ.) და ი. გოგებაშვილის (2015 წ.) სახელობის სამეცნიერო პრემიები.

შინაარსი

შინათმეა.....	3
ცაფილი პირგელი. მნა მრის სულის სარგებ.....	7
ცაფილი მეორე. ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ და.....	41
ბოლოთმეა.....	243